აკაკი შანიძე

თხზულებანი

IX

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ

А. Г. ШАНИДЗЕ

СОЧИНЕНИЯ В ДВЕНАДЦАТИ ТОМАХ

ТОМ IX

ГРУЗИНСКИЙ МОНАСТЫРЬ В БОЛГАРИИ И ЕГО ТИПИК

ГРУЗИНСКАЯ РЕДАКЦИЯ ТИПИКА

ТБИЛИСИ · 1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი შანიძე

თხზულებანი
თორმეტ ტომად

ტომი
IX

ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი

ტიპიკონის ქართული რედაქცია

1986 თბილისი

81.2 Гр.
შ 214

სარედაქციო კოლეგია:

შოთა ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), თამაზ გამყრელიძე,
კორნელი დანელია (პასუხისმგებელი მდივანი), ივანე იმნაიშვილი,
მზექალა შანიძე, სერგო ჯორბენაძე

მდივანი ლ. ბასილაია

Редакционная коллегия:

Ш. В. Дзидзигури (гл. редактор), Т. В. Гамкрелидзе,
К. Д. Данелиа (ответственный секретарь), И. В. Имнаишвили,
М. А. Шанидзе, С. М. Джорбенадзе

секретарь Л. С. Басилая

IX ტომში შევიდა ავტორის მიერ პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონის კრიტიკულად გამოცემული ტექსტი (წესდებისა), რომელიც 1083 წელს შეუდგენია ბიზანტიის იმპერიის დასავლეთი ნაწილის დიდ დომესტიკს (სარდალს) გრიგოლ ბაკურიანის-ძეს. ქართულ ტექსტს, რომელიც ემყარება უძველეს (XIII • საუკ.) ნუსხას, ახლავს რუსული თარგმანი, ვრცელი გამოკვლევა და ლექსიკონი. შრომას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ ბულგარეთისა და ბიზანტიის ისტორიისთვისაც.

Ս-243146

ტომის რედაქტორი მ. შანიძე

შ $\frac{4602000000}{M\ 607\ (06)-86}$ 250—86

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1986

საყვარელი მშობლების
დაუვიწყარ ხსოვნას

ა. შ.

წინასიტყვაობა

Ⴜინამდებარე წიგნში დაბეჭდილია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი ანუ წესდება უძველესი ხელნაწერის მიხედვით და ახლავს ჩემი რუსული თარგმანი საჭირო შენიშვნებითურთ. ეს მონასტერი დააფუძნა ბულგარეთში საბერძნეთის დასავლეთის დიდმა დემესტიკოსმა[1] სევასტოსმა გრიგოლმა, ტაოელი ერისთავთ ერისთავის ბაკურიანის შვილმა, რომელიც უთუოდ ბაგრატიონთა გვარიდან იყო. ტაო იმ დროს მოწყვეტილი იყო საქართველოს და საბერძნეთის იმპერიის ფარგლებში იყო მოქცეული, ისე როგორც ბულგარეთი, რომელსაც დამოუკიდებლობა მოუსპო და თავის საბრძანებელს შეუერთა ვასილი II-მ.

Ⴄს მონასტერი, რომელიც დააარსა ქართველმა ამირსპასალარმა საგანგებოდ ქართველთათვის, რომლებიც საკმაოდ იყვნენ მის ჯარში, დღესაც არსებობს და ბაჩკოვოს მონასტრის სახელით არის ცნობილი. მისი მშენებლობა დასრულდა 1083 წელს და მაშინვე დაუწერა მისმა დამფუძნებელმა წესდება, რომელიც შეადგინეს ორ ენაზე — ქართულად და ბერძნულად — და რომელსაც ხელი მოაწერა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ 1083 წლის დეკემბერში.

Ⴜესდების ორ ტექსტთაგან მეცნიერთათვის პირველად ცნობილი გახდა ბერძნული, მაგრამ არა პირვანდელი ტექსტი, არამედ მისი თარგმანი ახალ ბერძნულ ენაზე. იგი ეთარგმნათ მე-18 საუკუნეში, ხოლო გამოსცა გ. მუსეოსმა 1888 წელს[2]. 1904 წელს კი გამოქვეყნდა პირვანდელი ბერძნული ტექსტიც ბუქარესტის გადმონაწერის მიხედვით, რომელიც მე-18 საუკუნეში შეუსრულებიათ. მას მიაკვლია ლუი პეტიტმა და მანვე გამოსცა იგი რუსეთის ბიზანტინისტთა ორგანოს XI ტომის დამატებად[3].

Ⴂვიან გავიგეთ, რომ ამ ძეგლის ძველი ხელნაწერი დაცული ყოფილა კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში კუნძულ ხიოსზე და ჩასმული ყოფილა ყდაში იმავე წესდების ქართულ ხელნაწერთან ერთად. ხიოსიდან გამოვიწერეთ ამ ხელნაწერის ფოტოპირები, რომლებიც სხვადასხვა დროს მოვიდა: ჯერ ბერძნული, შემდეგ ქართული. ამ ფოტოების მიხედვით ძველი ბერძნული ტექსტი გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა 1963 წ.. თავის გამოცემას მან დაურთო საჭირო შენიშვნები, თანაც

---

[1] Დიდი დემესტიკოსი (ბერძნულად დომესტიკოს) — მთავარსარდალი, ამირსპასალარი. მთავარსარდალი ორი ჰყავდათ ბერძნებს: ერთი აღმოსავლეთში (აზიაში), მეორე — დასავლეთში (ევროპაში). გრიგოლი იყო მთავარსარდალი საბერძნეთის დასავლეთი ნაწილისა.

[2] *Γρηγόριος Πακουριανός μέγας δομέστικος τῆς Δύσεως καὶ τὸ ὑπ' αὐτοῦ τυπικὸν τῆς μονῆς τῆς Πετριτζονιτίσσης* (Dissertationes Jenenses, t. IV. Leipzig, 1888), pp. 135—210 (მომყავს ლ. პეტიტის გამოკვლევის მიხედვით).

[3] Typicon de Grégoire Pacourianos pour le monastère de Pétritzos (Bačkovo) en Bulgarie. Texte original publié par le R. P. Louis P e t i t, des augustins de l'Assomption: „Византийский Временник". Приложение к XI тому, № 1, XXXII+63 გვ.

თარგმნა დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენით და თარგმანი პირისპირ დაუყენა ბერძნულ ტექსტს [1].

რაც შეეხება წესდების ქართულ ტექსტს, იგი ცნობილი გახდა პირველად ახალი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ინახება ბულგარეთში, სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში. იგი გადმოუწერია ხიოსზე დაცული ხელნაწერისაგან წარსული საუკუნის მეორე ნახევარში (ვიდრე ეს ხელნაწერი ჯერ კიდევ პეტრიწონის მონასტერში ყოფილა) უცნობ პირს, რომელსაც ქართული ენისა და ქართული წერისა არა გაეგებოდა რა. მას დიდი მონდომებით და მიმსგავსებით გადმოუხატავს ქართული ასოები, სიტყვები და წინადადებანი, მაგრამ მისდა უნებურად მრავალი შეცდომა მოსვლია, და თანაც გამორჩენია მთელი სტრიქონები. ამ უხეირო ხელნაწერის მიხედვით ქართული ტექსტი გამოსცა 1954 წ. მიხეილ თარხნიშვილმა და თარგმნა იგი ლათინურად [2]. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ქართულ ტექსტშიცა და ლათინურ თარგმანშიც მრავალი შეცდომა მოიპოვება.

შეტისმეტად საჭირო გახდა, რომ გამოცემულიყო ქართული ტექსტი ხიოსის ხელნაწერის მიხედვით, რომელიც, როგორც ჩანს, 1083 წლის დედნიდან არის გადაწერილი დაახლოებით მე-13 საუკუნეში და რომელიც წარსული საუკუნის 80-იან წლებამდე პეტრიწონში ინახებოდა. ეს გამოცემა მიზნად ისახავს, დააკმაყოფილოს ეს დიდი საჭიროება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ამასთანავე, რომ ეს წესდება დიდად მნიშვნელოვანი ძეგლია არა მარტო საქართველოს ისტორიისა და ქართული ენისათვის, არამედ XI საუკუნის ბულგარეთისა და საბერძნეთისათვისაც, აუცილებელია, მას ახლდეს თარგმანი ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ენაზე, რომელიც საშუალებას მისცემს მკვლევართ, იცოდნენ, რა სწერია შიგ. ამიტომ მე იგი ვთარგმნე რუსულად და დავურთე საჭირო შენიშვნები.

როგორც მოგახსენეთ, ქართული მონასტრის მშენებლობის ამბები მეცნიერებმა გაიგეს პირველად წესდების ბერძნული ტექსტის მიხედვით, ტექსტისა, რომელიც რამდენსამე ადგილას განსხვავდება ქართულისაგან (მეექვსე თავში, აგრეთვე ბოლო ნაწილში, სადაც გუჯრის დამტკიცებაზეა საუბარი). ეს კი მიზეზი გახდა იმისა, რომ ცუდად გაეგოთ და მცდარად გაეშუქებინათ მონასტრის მშენებლობის ამბები. აღმოჩნდა, რომ ბერძნულ ტექსტში გადაუკეთებიათ ადგილები, რომელთაც შეცდომაში შეიყვანეს ნ. მარი, რომელმაც სწორედ ამ გადანაკეთები ადგილების მიხედვით ააგო თავისი მცდარი თეორია, თითქო პეტრიწონის მონასტრის დამაარსებელი იყო სომეხი ქალკედონიტური აღსარებისა, როგორც ქართ-

---

[1] გ ე ო რ გ ი კ ა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი მეხუთე. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1963. გვ. 83—301. ახლავს 12 ტაბულა.

[2] Typicon Gregorii Pacuriani edidit Michael Tarchnišvili (CSCO, vol. 143=Scriptores Iberici, t. 3). Louvain 1954 (ქართული ტექსტი).

Typicon Gregorii Pacuriani interpretatus est Michael Tarchnišvili (CSCO, vol. 144=Scriptores Iberici, t. 4). Louvain 1954 (ლათინური თარგმანი).

ველები, და თითქო ამიტომ უწოდებდა იგი თავის თავს ქართველს[1]. ამ თეორიას, სამწუხაროდ, ჩვენს დროსაც აღმოუჩნდა მომხრეები და დამცველები.

ჩამდვილად კი, თუ გულდასმით შევისწავლით ორსავე ტექსტს, ობიექტური მკვლევარი ადვილად შენიშნავს, თუ რომელი ტექსტი ტყუის, და იმ უცილობელ ჭეშმარიტებამდე მივა, რომ ცვლილება ბერძნულ ტექსტშია შეტანილი, ქართული კი უცვლელად არის გადმოწერილი დედნიდან და შემონახული დღემდე. ეს საშუალებას გვაძლევს, უკუვაგდოთ მცდარი დებულება, რომელიც იმისგან წარმოდგა, რომ უკრიტიკოდ ეპყრობოდნენ საეჭვო ადგილებს და გულუბრყვილოდ სწამდათ ყველაფერი, რაც ბერძნულ ტექსტშია ნათქვამი. ამის შესახებ ვრცლად არის აქ მოთხრობილი შესავალში როგორც ქართულად, ისე რუსულად და მგონია, ამიერიდან უნდა გაიფანტოს ბურუსი, რომელიც ეხვია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის დამაარსებლის მიმზიდველ პიროვნებას.

ქართული ტექსტი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლია ქართული სალიტერატურო ენისა. იგი შედგენილია XI საუკუნეში და ძირითადად ძველი ქართული ენის ნორმების თანახმად არის დაწერილი, თანაც შიგ მდიდარი ლექსიკური მასალაა წარმოდგენილი. ამ ძეგლის ორთოგრაფიულ-გრამატიკული თავისებურებანი საგანგებოდ არის მიმოხილული (გვ. 133—146), ხოლო ლექსიკა დაწვრილებით არის ნაჩვენები (გვ. 147 და შემდ.). აქ კი შეიძლება აღინიშნოს, რომ XI—XII საუკუნის ბულგარეთ-საბერძნეთის ისტორიის სპეციალისტი, რომელსაც ჰსურს, გაიგოს, თუ რა მონეტა იყო «სკიპტრატი»[2], ქართულ ტექსტში იპოვის ამის ახსნას: ეს იყო «ექუსთავი», ე. ი. რომანოზ დიოგენისა და მისი ცოლის ევდოკიას მოჭრილი ოქროს მონეტა, რომელზედაც ექვსი თავი ეხატა: წინა მხარეს იესო ქრისტე, რომელიც აკურთხევს მის აქეთ-იქეთ მდგომარე დიოგენსა და ევდოკიას, ხოლო უკანა მხარეს: დიოგენის გერები — ევდოკიას შვილები: მიხაილი (შუაში), კონსტანტინე და ანდრონიკე.

ქართული ტექსტის მნიშვნელობა მრავალგვარია: შიგ სწორად არის წარმოდგენილი ქართული საკუთარი სახელები (ბაკურიანი, აბაზი) და უფრო მიახლოებით არის გადმოცემული ბულგარული სოფლის სახელები: შიკონი და ჩრევენა. ამას გარდა, ის შეიცავს მასალას ბერძნული ენის ფონეტიკური ვითარების შესახებ XI საუკუნეში[3].

ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი საშუალებას გვაძლევს, უფრო დამაჯერებლად ვიმსჯელოთ XI საუკუნის II ნახევრის ბულგარეთსა და საბერძნეთში მომხდარი საომარი და პოლიტიკური ამბების შესახებ, რომლებიც აქ მოხსენებულია პირდაპირ ან ირიბად. ძეგლში მოცემულია ძვირფასი ცნობები სხვადასხვა ხასიათისა: მსხვილი მემამულის ადგილ-მამულების შესახებ, რომლებიც მან მონასტერს შესწირა, ცნობები სოციალური ურთიერთობისა და მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ ბულგარეთსა და საბერძნეთში და სხვა. ამი-

[1] Н. Марр. Арк'аун, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах-халкедонитах (Оттиск из XII тома, № 1 и 2, „Византийского Временника" 1905 г., СПб. 1905, стр. 1—68).

[2] Г. Г. Литаврин. Болгария и Византия в XI—XII вв., стр. 345 (Прим. 125).

[3] ამის შესახებ ნახეთ ენის მიმოხილვაში.

ტომ გასაგებია, რომ ეს დიდად მნიშვნელოვანი გუჯარი, რომლის ბერძნული ტექსტი არა ერთხელ მოუხმიათ სხვადასხვა საკითხის გასაშუქებლად, თავის ადგილს დაიკავებს სხვა დოკუმენტებს შორის, რომლებიც ბულგარეთ-საბერძნეთის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს ეხება.

ამ ნაშრომის ავტორი მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო ექსპედიციაში, რომელიც მოაწყო საქ. სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიამ ბულგარეთში 1949 წლის მარტში. დიდი გულის ტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ მის გამოცემას ვერ მოესწრო ექსპედიციის ერთი მონაწილეთაგანი — გამოჩენილი ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 16. 7. 1964 წელს.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, გულწრფელი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც ხელი შეუწყო აქედან ბულგარეთს მივლენილი ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრების მუშაობას, განსაკუთრებით კი ბულგარლებს, — მეცნიერებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, — რომელთაც ყველაფერი იღონეს, რომ ექსპედიციის მუშაობას სასურველი შედეგი მოჰყოლოდა.

ა. შანიძე

1970 წლის ოქტომბერი.

შესავალი

1. სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში

საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიამ 1949 წლის მარტში მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში. ექსპედიციაში შევდიოდით: საქ. სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფ. ნ. ბერძენიშვილი, დოც. ოთარ გიგინეიშვილი და ამ სტრიქონების ავტორი, მაშინ საქ. სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. ექსპედიციის ძირითადი მიზანი იყო პეტრიწონის ქართულ სიძველეთა გამოძიება, გამორკვევა და შესწავლა. ჩვენი გამგზავრება ითვალისწინებდა აგრეთვე, თუ შესაძლებელი იქნებოდა, რუმინეთში შევლას და ბესიკ გაბაშვილის საფლავის მოძებნას და ახალი ცნობების მოპოვებას ანთიმოზ ქართველის შესახებ.

პეტრიწონის მონასტერი ამჟამადაც არსებობს, მაგრამ მას ბაჩკოვოს მონასტრის სახელით იცნობენ (ბაჩკოვო სოფელია იქვე, მონასტრის ქვემოთ ერთი კილომეტრის დაშორებით). ეს მონასტერი დააარსა ქართველმა მთავარსარდალმა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ XI საუკუნის 80-იან წლებში (1083 წ.) ბულგარეთში როდოპის მთებში, ჩეპელარსკას ხევზე, რომელიც ასენოვგრადზე (სტანიმაკაზე) ჩამოივლის. მონასტერი დაშორებულია 30-იოდე კილომეტრით პლოვდივიდან (ფილიპოპოლიდან), ხოლო 10-ოდე კილომეტრით — ასენოვგრადიდან (სტანიმაკიდან, ანუ სტენიმახიდან).

გრიგოლი იყო ტაოელი, ძე ერისთავთ ერისთავის ბაკურიანისა, მგონია ბაგრატიონთა გვარიდან[1]. მას მამა ადრე გარდასცვლია და დედას ადგილ-მამული და ქონება უმთავრესად თავის ქალებისთვის მიუცია მზითვად. როცა წამოზრდილან გრიგოლი და იმისი უმცროსი ძმა აბაზი, მათ დიდი ნიჭი და ენერგია გამოუჩენიათ და ძალიან დაწინაურებულან ბიზანტიის სახელმწიფო სამსახურში, განსაკუთრებით გრიგოლი, რომელსაც უმსახურნია საბერძნეთის ფარგლებში შემავალ «აღმოსავლეთში» სხვადასხვა ადგილას: სომხეთში, საქართველოში, სასარკინოზეთში (სირიაში), თავადად ყოფილა კარნუქალაქში (თეოდოსიოპოლში), ანისში, კარში (ე. ი. დღევანდელი გამოთქმით ყარს-ში[2]), შემდეგ ბიზანტიის აღმოსავლეთიდან დასავ-

---

[1] გრიგოლს ტაოში ჰქონდა მამული (35ა, 1).

[2] ყ ა რ ს-ი ქართული სახელია, მაგრამ ისე გადაკეთებულია ჯერ სომხურად და მერმე თურქულად, რომ მას დღეს ქართულად ვეღარ ვცნობთ. ძველად ქალაქს ერქვა კ ა რ-ი, მრავლობითი რიცხვის ფორმით კ ა რ ნ-ი. ეს ქართული სიტყვის მრავლობითის ფორმა სომხური გამოთქმით გახდა კ ა რ-ს (გაბატონდა ბრალობითი ბრუნვის ფორმა ლოკატივის მნიშვნელობით), შემდეგ პირველი ბგერა კ თურქულ გამოთქმაში ყ-დ შეიცვალა და მივიღეთ ყ ა რ ს-ი. «კარი» სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც გვხვდება: კლდე-კარი, ტაოს-კარი, ზე-კარი და სხვა.

ღეთს გადასულა და, უკანასკნელად, ალექსი კომნიანოსის გახელმწიფების შემდეგ (1081 წ.), გამხდარა ბიზანტიის იმპერიის «დასავლეთის დიდი დემესტიკოსი» (ბერძნული გამოთქმით დომესტიკოსი). ამ დროს იგი უკვე სევასტოსი ყოფილა [1]. მაშასადამე, დღევანდელი ტერმინით რომ დაახლოვებით გამოვხატოთ, ის გამხდარა საბერძნეთის დასავლეთის (ე. ი. ევროპული ნაწილის) სამხედრო ოლქის უფროსი, ანუ მთავარსარდალი, ამირსპასალარი. ამ დროს მისი რეზიდენცია იყო ადრიანოპოლში, მაგრამ ამასთანავე ფილიპოპოლში (დღევანდელ პლოვდივში), ქალაქის გარეუბანში, მას პრასტინი (ე. ი. სასახლე და ადგილ-მამული) ჰქონდა. ადგილ-მამულები და ციხე-ქალაქები მას სხვაგანაც ბევრი ჰქონდა, სხვათა შორის, მოსინოპოლშიც (ეგეოსის ზღვის პირად).

გრიგოლ ბაკურიანის-ძემ (რომელიც ბერძნულ წყაროებში გრიგოლ პაკურიანად არის ცნობილი) თავის დაარსებულ მონასტერს, რომლის მშენებლობა 1083 წ. დამთავრდა, «ტიპიკონი» (წესდება) დაუწერა. ეს მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი. ბერძენი შიგ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ყოფილიყო, სახელდობრ მწერალი, რომელსაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა მონასტერსა და ადგილობრივ საერო ხელისუფლებას შორის.

მონასტერი შედგებოდა სამი ეკლესიისა და საცხოვრებელი სენაკებისაგან საჭირო სათავსოებითურთ. ეკლესიათაგან მთავარი იყო ღვთისმშობლის სახელზე, ორი მომცრო იყო იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე. ამას გარდა, მონასტრის გალავნის გარეთ, 200-ოდე ნაბიჯის მოშორებით, გრიგოლმა ააშენა «სამარხო» (ანუ საძვალე), რომელიც დღესაც არსებობს და წარმოადგენს ვლდეზე გადამდგარ ორსართულიან შენობას (ზედა მისასვლელიდან პირდაპირ მეორე სართულში შედიხართ). ის თავის დროს მოხატული ყოფილა. მხატვრობიდან ახლა მხოლოდ ნაშთია მოღწეული. ზედა სართულში ეკლესიაა, ქვედა სართულში აკლდამებია ძვლებით სავსე. აქ გადმოასვენა გრიგოლმა თავისი ძმა აბაზ მაგისტროსი, რომელიც მონასტრის აგებამდე გარდაიცვალა. აქვე დაასაფლავეს ოვით გრიგოლი 1086 წ., აქვე ერთი კედლის ნიშაში დახატულია მონასტრის მაშენებელი გრიგოლ ბაკურიანის-ძე და მისი ძმა აბაზ მაგისტროსი, მაგრამ ეს მხატვრობა განახლებული უნდა იყოს მე-14 საუკუნეში.

«სამარხო» პეტრიწონში ამჟამად ერთადერთი შენობაა XI საუკუნისა. მთავარი ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისა გადაკეთებულია XVII საუკუნის დასაწყისში (1604 წ.). მას გუმბათის თავზე ჯვარი ასვია, რომელზედაც ძველი ქართული ასოებით «ႻႬႢႰႺ» აწერია.

მონასტრის სიძველეთაგან აღსანიშნავია ქართულ წარწერიანი ხატი ღვთისმშობლისა. მისი წარწერიდან ვტყობილობთ, რომ ის მოუჭედინებიათ 1311 წ. ძმებს ათანასის და ოქროპირს, რომლებიც ტაოელები ყოფილან.

ექსპედიციის წევრთა სასიხარულოდ, სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში (Народ-

---

[1] სევასტოსს ბიზანტიის სამოხელეო იერარქიაში იმ დროს მეორე ადგილი ეკავა კესაროსის შემდეგ, მაგისტროსს კი — მეშვიდე (კესაროსი, სევასტოსი, ნოველისიმოსი, კურაპალატი, პროტოპროედროსი, პროედროსი, მაგისტროსი და შემდგომი). გრიგოლის ძმას აბაზს მაგისტროსის ხარისხი ჰქონდა მიღებული.

на библиотека-ში). აღმოჩნდა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ანუ წესდების ქართული ტექსტი. ამ წესდებაში ვრცლად არის მოთხრობილი მონასტრის დაარსების ამბები, ჩამოთვლილია, თუ როგორ მოუწყვია და უზრუნველუყვია ყოველმხრივ თავისი დაწესებულება მის ამშენებელს: შეუწირავს სოფლები გლეხებითურთ და ციხეები, დიდძალი სახნავ-სათესი ადგილები, საძოვრები, ტყეები, სათევზაო ტბა, აგრეთვე შეუწირავს საეკლესიო ნივთები (ქართული და ბერძნული წიგნები, საეკლესიო ჭურჭელი, სამღვდელო შესამოსელი და სხვა), თანაც აუშენებია ერთი სასნეულო და სამი სასტუმრო («ქსენადოში») სტენიმახში (ანუ ბულგარულად, სტანიმაკაში, რომელსაც ამჟამად ასენოვგრადი ეწოდება) და ეგეოსის ზღვისაკენ: ნიკოლწმიდასა და მარმარას. პირველ ნიკოლწმიდაში (სტენიმახთან) ქართული სასწავლებელი გაუხსნია, სადაც ექვსი ყმაწვილი სწავლობდა და ემზადებოდნენ მონასტრის სამსახურისათვის.

გრიგოლის ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია, რომ იგი ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა საბერძნეთს (ბიზანტიის საკეისროს), რომლის ფარგლებში შედიოდა მაშინ როგორც ტაო, საქართველოდან მოწყვეტილი მე-11 საუკუნის დასაწყისში ვასილი II-ის მიერ (976—1025), ისე ბულგარეთიც, რომელიც იმავე ვასილი II-მ დაიპყრო, დამოუკიდებლობა მოუსპო და თავის საბრძანებელს შეუერთა (1018 წ.). გრიგოლი აღნიშნავს, რომ ბევრჯერ დაუღვრია სისხლი მას და მასთან ერთად მისიანებს (ე. ი. ტაოელ ქართველებს) საბერძნეთის «სარგებელისა და მსახურებისათვის». არ იქნება ტყუილიო, ამბობს გრიგოლი, თუ ვიტყვით, რომ ძალიან ცოტა ჩვენგანი მომკვდარა თავის სარეცელზე მშვიდობით, უმეტესობა კი საბერძნეთის მტერთაგან არის დახოცილი ბრძოლებშიო. საქმე იქამდისაც მისულა, რომ თვითონ მე და ჩემთან ერთად არა მცირედი ჩემი ერი ტყვედ ჩავცვინულვართ საბერძნეთის მტრების ხელშიო (1, 4—5)[1]. ამასთანავე გრიგოლი დიდი თავმოწონებით მოგვითხრობს თავის ბრწყინვალე გამარჯვებას პაჭანიკებზე. ეს გამარჯვება დიდხანს დარჩება სასიხარულო მოგონებად ჩემი სიკვდილის შემდეგაც ხალხშიო (2, 18).

მონასტრის დაარსების შემდეგ გრიგოლ ბაკურიანის-ძეს დიდხანს აღარ უცოცხლია: იგი გმირულად დაეცა პაჭანიკებთან ბრძოლაში 1086 წელს.

ტიპიკონი შედგენილი ყოფილა ქართულად და ბერძნულად. ვუჯრის ბოლოს მოთავსებულ ანდერძში იკითხება: «დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისაჲ ღმრთისმშობლისა პეტრიწონისაჲ ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავალეთისა მიდამოჲსა ძისა ბაკურიანისაჲთა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძულითა და ქართულითა». შემდეგ ცოტა ქვემოთ ნათქვამია, რომ ამათგან იურიდიული ძალა ბერძნულ ტექსტს აქვსო («სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა»-ო), ქართულად კი იმიტომ დაიწერაო, რომ «მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძული წარკითხვაჲ და ჯერ-არს, რაჲთა ქართულად

[1] აქედან ჩანს, რომ გრიგოლის ხელქვეით ჯარებში ქართველებიც მრავლად ყოფილან.

დაწერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისხმა-ჰყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა»-ო.

მანამდე ჩვენთვის ცნობილი იყო მხოლოდ ბერძნული ტექსტი, რომლის ახალბერძნული თარგმანი 1888 წელს გამოაქვეყნა ბერძენმა მკვლევარმა გიორგი მუსეოსმა, ხოლო 1904 წელს რუსეთის ბიზანტინისტთა ორგანოში (Византийский Временник-ში) ფრანგმა ლუი პეტიტმა დაბეჭდა ძველი ტექსტიც მე-18 საუკუნეში შესრულებული გადმონაწერის მიხედვით, რომელსაც მან ბუქარესტში მიაგნო ერთ-ერთ ხელნაწერთა კოლექციაში.

პეტრიწონის სხვა ქართული ხელნაწერები ამჟამად არ ჩანს, მაგრამ მოიპოვება ძველი (XI—XIV საუკუნეთა) ბერძნული ხელნაწერები პეტრიწონისა, რომლებიც წინათ გადაეტანათ სოფიის საეკლესიო მუზეუმში და მეორე მსოფლიო ომის დროს კი (რადგანაც ბულგარეთი მე-2 მსოფლიო ომის დროს ფაშისტურ სახელმწიფოთა კოალიციაში მოექცა და ინგლის-ამერიკელი მფრინავები სოფიას ბომბავდნენ) იქედან რილოს მონასტერში გაეხიზნათ[1].

პეტრიწონში ქართველები კარგა ხანს მოღვაწეობდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ერთი კარგა მოზრდილი ხელნაწერი, რომელიც ამ მონასტერშია გადაწერილი. ის ერთ დროს სვანეთში ინახებოდა და დღეს საქართველოს მუზეუმშია დაცული (H—1760). მას მე-15 საუკუნით ათარიღებდნენ, მაგრამ ჭვირნიშნის მიხედვით კი თარიღდება 1300—1340-იანი წლებით[2].

ექსპედიციის წევრებმა ბუქარესტში ინახულეს ანთიმოზ ქართველის მიერ აშენებული ეკლესია. ეს ანთიმოზი პირველად იყო ბერ-მონაზონი, 1705 წელს რიმნიკის ეპისკოპოსი გახდა, უკანასკნელად, 1709 წელს, ვლახეთის მთავარ-ეპისკოპოსობა მიიღო. მას ჰქონდა თავისი სტამბა, სადაც ის ბეჭდავდა წიგნებს რუმინულად, ბერძნულად, სლაურად, არაბულად. ანთიმოზ ქართველი თვალსაჩინო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო იმდროინდელ რუმინეთში და მას საპატიო ადგილი უჭირავს ამ ქვეყნის ისტორიაში. ის იყო თავის დროისთვის ფრიად განათლებული კაცი და დიდი მხატვრული გემოვნების პატრონი; სხვათა შორის, მისი ნახაზების მიხედვით არის შესრულებული ბუქარესტში მისი აშენებული ეკლესიის ჩუქურთმები. ამ ეკლესიას ახლაც «ანთიმს» ეძახიან. ანთიმოზი ყოველთვის აცხადებდა, რომ ის არის ქართველი. მისი სტამბიდან გამოსულ წიგნებში ყველგან იკითხება, რომ დაიბეჭდა ანთიმოზ ქართველის სტამბაშიო (არაბულ წიგნებზე კი: ანთიმოზ გურჯის სტამბაშიო). სხვათა შორის, მან გამოუგზავნა ვახტანგ მეფეს სტამბის მოწყობილობა და მოაყოლა წიგნის ბეჭდვის საქმის მცოდნე სტეფანე უნგროვლახელი, რომელმაც 1710 წელს ერთს ქართულად დაბეჭდილ წიგნს («კონდაკს») ბოლოში რუმინული ლექსი მიაბეჭდა ქართული ასოებით[3].

ანთიმოზი არ ივიწყებდა თავის ქართველობას, ამასთანავე ის იყო თავდადე-

---

[1] რილოს მონსტერი ამჟამად მუზეუმ-ნაკრძალად არის გამოცხადებული.

[2] რ. პატარიძე. უძველესი იტალიური ჭვირნიშნიანი ქაღალდი ქართულ ხელნაწერებში. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია 1962 წლის 14—15 ნოემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 6.

[3] ა. შანიძე. ქართული სტამბის ისტორიისათვის. ლიტერატურული მემკვიდრეობა. წ. I. 1935, გვ. 156.

ბული მუშაკი რუმინეთისთვის. სამწუხაროდ, მალე ის ინტრიგების მსხვერპლი გახდა, ჩამოაგდეს სამიტროპოლიტო საყდრიდან და ექსორია უყვეს (გააძევეს) სინას მთაზე. მაგრამ იქ არ მიუღწევია, — ხმა დადიოდა, გზაზე თურქის მცველებმა წყალში დაახრჩვეს 1716 წელსო.

მე სოფიიდან 23 მარტს პირდაპირ მოსკოვს გამოვფრინდი ბუქარესტ-ოდესა-კიევის ტრასით, ნ. ბერძენიშვილმა და ო. გიგინეიშვილმა კი რკინის გზით ბუქარესტსა და იასში გამოიარეს.

რუმინეთში ყოფნისას (იქეთობასაც და აქეთობასაც) უველაფრად ხელს უწყობდა ჩვენს ექსპედიციას სსრკ-ის მაშინდელი ელჩი რუმინეთში ამხ. ს. ქავთარაძე. მისი დახმარებით ნ. ბერძენიშვილმა და ო. გიგინეიშვილმა ქ. იასში ადვილად იპოვეს ბესიკ გაბაშვილის საფლავის წარწერა ბერძნულად და ქართულად. მაშასადამე, საბოლოოდ გამოირკვა, რომ ბესიკი, რომელიც მეთაური იყო იმერეთის მეფის მიერ რუსეთს გაგზავნილი დიპლომატიური მისიისა და 1791 წელს გარდაიცვალა, დასაფლავებულია რუმინეთის ქალაქ იასში.

თბილისს დაბრუნების შემდეგ მე დავბეჭდე საგაზეთო წერილი ამ სათაურით: «სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში და მისი შედეგები» [1], ხოლო ნიკო ბერძენიშვილმა დაბეჭდა წიგნაკი ამ სათაურით: «ძლევაჲ (გამარჯვება). რუმინია-ბულგარეთის მოგზაურობიდან». 1949. 67 გვ. (ახლავს ხუთი ფოტოსურათი). ამ წიგნაკში მოთხრობილია ჩვენი მისვლა-მოსვლა და საქმიანობა ბულგარეთსა და რუმინეთში.

2. ქართული მონასტრების ტიპიკონები

ქრისტიანობა რომ საქართველოში გავრცელდა, დამკვიდრდა და მთავარ სარწმუნოებად იქცა, ამან სამონასტრო მშენებლობა და მოღვაწეობაც გამოიწვია. პირველი სამონასტრო მოღვაწეები იყვნენ ე. წ. ასურელი მამები, რომელთა მოსვლა მე-6 საუკუნეს განეკუთვნება [2].

ზოგი მონასტრის დაარსების შესახებ კანტი-კუნტი ცნობები მოგვეპოვება, ზოგისა კი კარგად ვიცით როგორც დაარსება, ისე შემდგომი განვითარების გზები. მონასტრები ბევრი იყო ჩვენში: შიო-მღვიმე, გარესჯა, შატბერდი, გელათი და სხვა [3]. ქართული მონასტრები საქართველოს გარეთაც საკმაოდ იყო (იერუსალიმში, შავ მთაზე, საბერძნეთში, კვიპროსზე და სხვაგან) [4]. ყველა მათგანს თავისი წესდება უნდა ჰქონოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე ძალიან უმნიშვნელო ნაშთია მოღწეული. წესდება იმიტომ უნდა ჰქონოდა ყველას, რომ ზოგად საცხოვრებელ მონასტერში მრავალი პირი მოღვაწეობდა: ათონის ქართველთა მონასტერში

---

[1] «ლიტერატურა და ხელოვნება» № 21, 29 მაისს, 1949 წ. ახლავს ორი ფოტოსურათი: სამჯალისა და ტიპიკონის სოფიის ხელნაწერის ერთი გვერდისა.

[2] კ. კეკელიძე. სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში (ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I. 1951, გვ. 69—97).

[3] ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. ნაკვეთი პირველი და მეორე. 1962.

[4] სიტყვა «მონასტერი» სოფლის სახელადაც იქცა; ასეთი სოფლებია: ა) ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში (ხაშურის რაიონი) და ბ) გდუს სასოფლო საბჭოში (ლენინგორის რაიონი).

300, პეტრიწონში 51, ვაჰანის ქვაბში ამდენივე[1]. ყველა მათ თავ-თავის დროს სასმელ-საჭმელი უნდოდა, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი; მონასტერს მამულები ჰქონდა და საქონელი ჰყავდა, რომელთაც მოვლა სჭირდებოდა, მოსავალს აღება, მუშებს ხელფასის მიცემა და სხვა; ამასთანავე წირვა-ლოცვა ეკლესიაში, მაშენებელთა და შემწირველთა მოხსენება, მლოცველთა და სტუმართა მიღება, სნეულთა მკურნალობა, მოხუცებულთა მიხედვა და სხვა — ყველა ეს საკმაოდ რთული საქმე იყო და თავიდანვე უნდა ყოფილიყო ყველაფერი გათვალისწინებული, განსაზღვრული და ჩამოწერილი. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ტიპიკონი[2] ანუ წესდება, რომელსაც ქართულად ძველად აგრეთვე «წესი», «განგებაჲ» ან «წესი და განგებაჲ» ეწოდებოდა. მაგ., ათონის ქართველთა მონასტრის დამაარსებელს იოვანეს, «ეგულებოდა რაჲ აღსრულებაჲ, ყოველი ჴელმწიფებაჲ და უფლებაჲ ეფთჳმეს მისცა, რაჲთა რომელიცა განგებაჲ და წესი ენებოს, იგიცა დაუდვას მონასტერსა» (ცხორ. იოვ. და ეფთჳმესი, 39). აქ, მგონია, წესდება იგულისხმება.

თვით ამ ძეგლში წესდებას ეწოდება «ტიპიკონი» («ტიბიკონი», 11, 2; 22, 2; 33, 2; 36, 5), ან «წესი განგებისაჲ» (36, 1), «გუჯარი განსაგებელისაჲ, რომელ არს ტიპიკონი» (39, სათ.), ან კიდევ «განსაზღვრებაჲ საკრებულოჲ და მცნებაჲ კანონისაჲ» (0, 2), ხოლო პანაგიის მონასტრის წესდებას, რომელიც საფუძვლად დაედო პეტრიწონისას — «წესი განგებისაჲ სამონაზუნოჲსა წიგნისაჲ» (0, 6). ვაჰანის ქვაბთა წესდებას ეწოდება «განგებაჲ», ან «ძეგლი და განგებაჲ» (გვ. 89). შემოკლებით ასეთ წიგნს შეიძლება ძველებურად «განგება» ეწოდოს, ახლებურად კი — წესდება.

უნდა ვიცოდეთ ოღონდ, რომ «ტიპიკონი» (ტჳპიკონი, ტიბიკონი, ტჳფიკონი), ანუ «განგებაჲ», «წესი და განგებაჲ» ან კიდევ «განწესებაჲ», «საეკლესიო განწესებაჲ», ეწოდება აგრეთვე ისეთ წიგნსაც, რომელშიც განსაზღვრულია საეკლესიო მსახურების რიგი სვინაქსარის მიხედვით, ე. ი. თუ რა დღეებში როგორ უნდა სრულდებოდეს წირვა-ლოცვა ეკლესიაში. თვით პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით დეკანოზი უნდა იყოს «მეცნიერ ყოველსავე განგებასა ეკლესიისასა, რაჲთა წესისაებრ სჳნაქსარისა აღასრულებდეს ყოველსავე» (6, 6). ათონის ქართველთა მონასტერში «ვითარცა იყო მამაჲ ჩუენი ეფთჳმე სავსე ზეგარდამოჲთა მადლითა, ეგრეთვე საღმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონასტერსა თჳსსა: პირველად წესნი ეკლესიისანი და განგებანი ყოვლისა წელიწდისანი, ვითარცა წერილ არს დიდსა სჳნაქსარსა» (ცხორ. იოვ. და ეფთ., 58). ასეთია აგრეთვე ერთს შიო-მღვიმურ ხელნაწერში მოთავსებული «ტჳფიკონი საეკლესიოჲსა წესისაჲ კეთილ განგებულისა წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა საბაჲს ლავრისაჲ, რომელი-ესე ესრეთვე იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა»[3], და სხვა ტიპიკონები, რომ-

[1] სხვა მონასტრების შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

[2] ტიპიკონის ნაცვლად ზოგჯერ ტჳპიკონიც იწერებოდა (τυπικόν); გვხვდება აგრეთვე «ტიბიკონი» (დისიმილაციური გამჟღერებით) ან «ტჳფიკონი».

К. Кекелидзе, Литургические памятники, 313 და შემდგომი. იგი პირველად თ. ჟორდანიას აქვს მოხსენებული (ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 69). ეს წიგნი აწჟამად დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—1021) და აწერილი აქვს მ. ჯანაშვილს (Описание III, 1908, გვ. 278—280).

ლებიც მოიპოვება სხვადასხვა წიგნთსაცავში (მაგ., ხელნაწერთა ინსტიტუტის A—399, 459, 647, 686 და სხვა).

ამავე ხასიათისაა ლექციონართა ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ: ლატალისა ასეთი სათაურით: «ესე განჩინებაჲ და განწესებაჲ მოძღუართა მიერ მართლ-მორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალემს»[1]. ან სინას მთისა (ცაგ. № 30, ჯავახ. № 37) მსგავსი სათაურით: «ესე განგებანი და განწესებანი, მოძღუართა მიერ მართლ-მორწმუნეთა, რომელსა ჰყოფენ იერუსალემს»[2].

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ, როცა გრიგოლი აპირებდა საბერძნეთში წასვლას და იქაური სალოცავების მოხილვას და მოლოცვას, მას უნახავს ერთი მეგობარი კაცი, რომელიც იერუსალიმს გამგზავრებას აპირებდა. გრიგოლს უთხოვია მისთვის «საბაწმიდისა წესისა დაწერაჲ და წარმოცემაჲ»[3]. არ მოიპოვება ცნობა, მოუვიდა გრიგოლს დაბარებული საბაწმიდური წესი, თუ არა. არც ის არის ნათელი, რა იგულისხმება ამ «წეს»-ში: წესდება, თუ საეკლესიო განწესება. თითქო უფრო წესდება უნდა იგულისხმებოდეს.

რა ვიცით ქართულ სამონასტრო წესდებათა შესახებ? სამწუხაროდ, ძალიან ცოტა.

1) ქართველთა სამონასტრო მოღვაწეობა ათონზე მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაიშალა. ცნობებს იმის შესახებ, თუ რა წესები იყო ამ მონასტერში ეფთვიმეს დროს, გვაწვდის გ. მთაწმიდლის შედგენილი «ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი», რომელიც არსებითად წარმოადგენს ამ მონასტრის ისტორიას მისი დაარსებიდან მე-11 საუკუნის ნახევრამდე. მონასტერში შემოღებული წესების შესახებ აქ საუბარია ამ ძეგლის 58—104 მუხლებში[4]. მოვიყვან ერთ ადგილს: «აპოთიკი და ბოსტანი და წისქჳლნი კელრისა საურავნი იყვნეს. და ამათგანსა, რაჲცა ვის ეჭმარებინ, კელარი ეურვინ იკონომოსსა თანა და მამასახლისსა. ხოლო საპარიკონომოსოჲ და საწანგროჲ და საჯორე და სამჭედლოჲ და ხურონი და კალაფატნი და მანდრინნი და ვენაჴნი და მენავენი — ესე იკონომოსისა გასაგებელნი იყვნეს. კელარსა ვენაჴთა ზედა ყურძნისათჳს არა ჰქონდა ჴელმწიფებაჲ, აგრეთვე იკონომოსსა ხილისათჳს. გინა შინა მონასტერსა, გინა გარე მეტოქთა კელრისა გასაგებელნი იყვნეს: გინა თუ ზეთის ხილი იყვის გინა თუ ნიგოზი, გინა თუ სხუაჲ ხილი.

ოდეს მამაჲ შინა არნ, რაჲცა ვის ეჭმარებინ, თჳთ მამასა მოაჴსენის, იკონომოსსა არავინ სთხოვნ; და თუ ვინმე სთხოვის, მამასა თანა მიავლინის. უკუეთუ კულა შინა არა არნ, მერმე გააგებნ იკონომოსი.

იკონომოსისა განწესებული შჳდი კრასოვული იყო და ოდეს ტრაპეზსა დაჯდის მწუხრსა, ოთხი კრასოვული მოართჳან» და სხვა (§§ 58—59).

---

[1] К. Кекелидзе, Иер. канонарь, 6.

[2] ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა.

[3] გრიგოლ ხანძთელის ცხორება (ნ. მარის გამოცემა. ТР. VII, СПб. 1911, გვ. ით).

[4] გ. მთაწმიდელი. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა. (ძველი ქართული ენის ძეგლები. 3) 1946.

2) ტიპიკონის წესებს მოგვაგონებს «განაჩენი», რომელიც მამა სჳმეონს მიუცია შიომღვიმისათვის. მას სხვანაირად «წინამძღურის რიგი» ეწოდება. თ. ჟორდანიას სიტყვით, ეს სვიმეონია ბედიელ-ალავერდელი, რომელსაც დავით დიდისაგან ჩაბარებული ჰქონდა შიომღვიმის ლავრის გამგეობა (როგორც ეს თვით დავით დიდის შიომღვიმისათვის დაწერილ ანდერძშია მოხსენებული). ძეგლი პირველად თ. ჟორდანიამ გამოსცა [1] და გადაბეჭდა ი. დოლიძემ [2].

3) ჩვენამდე მოაღწია რომელიღაც მონასტრის «ტჳპიკონის» ნაწყვეტმა. ეს მონასტერი დედაღმრთისას სახელზე იყო დაარსებული თამარ მეფის დროს, რადგანაც ნაწყვეტში თამარის დღეგრძელობაა გამოთხოვილი და თანაც ივანე მხარგრძელი მანდატურთუხუცესად არის მოხსენებული. მონასტრის დაარსებას 1191—1212 წლებს შორის ვარაუდობენ. ნაწყვეტი პირველად დაბეჭდა ს. კაკაბაძემ [3] და გადაბეჭდა ი. დოლიძემ [4].

4) ერთად-ერთი ტიპიკონი, რომელსაც ძველი საქართველოს ფარგლებში არსებულ მრავალ მონასტერთა ტიპიკონებისაგან ჩვენამდე ასე თუ ისე რიგიანად მოუღწევია [5], ეს არის ვაჰანის ქვაბთა ტიპიკონი, რომელიც გრაგნილზეა ნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტის № 933 Ad). პირველად იგი თ. ჟორდანიამ გამოსცა ამ სათაურით: «ძეგლი» ანუ «განგება» ვაჰანის ქვაჰთა მონასტრისა» [6], რასაც დაურთო გრაგნილის ზურგზე მოთავსებული მინაწერები. მანვე გადაბეჭდა «განგების» ნაწყვეტი «ქრონიკების» II ტომში (გვ. 91—94). შემდეგ ეს ძეგლი საგანგებოდ შეისწავლა, გრაგნილი აწერა, ტექსტი გამოსცა, შესავალი, ორთოგრაფიულ-გრამატიკული შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლ. მუსხელიშვილმა [7]. თ. ჟორდანია ამ «განგების» დაწერის დროს 15 წლის ფარგლებით განსაზღვრავდა (1212—1227), ლ. მუსხელიშვილმა კი ეს ფარგლები ორჯერ გააფართოვა და 1204—1234 წლებს შუა მოაქცია. მინაწერები ლ. მუსხელიშვილს არ გამოუცია.

ვაჰანის ქვაბთა «განგებისა და განწესების» ტექსტს, სამწუხაროდ, აკლია. თუ გრაგნილი თავდაპირველად, სულ ცოტა, 15 კეფისაგან შედგებოდა, დღეს მხოლოდ 12 მოიპოვება. მიუხედავად ამისა, ძეგლი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მე-13 საუკუნის სამონასტრო წესების შესახებ ჩვენში.

ამ ტიპიკონის ტექსტი უკანასკნელად დაბეჭდა ი. დოლიძემ [8].

5) ერთად-ერთი წესდება, რომელიც სრულად არის მოღწეული ჩვენამდე [9], ეს არის აქ დაბეჭდილი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც დაწერილია ორ ენაზე, ქართულად და ბერძნულად. ქართული ტექსტის პირველი გამოცემა მ. თარხნიშვილისა (1954) სრული არ არის, თანაც შეცდომები ახლავს, რადგანაც იგი

---

[1] თ. ჟორდანია. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა. 1896, გვ. 20—21.

[2] ქართული სამართლის ძეგლები. III. 1970. გვ. 127—128.

[3] ს. კაკაბაძე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის. 1914, გვ. 71—78.

[4] ქართული სამართლის ძეგლები. III. 1970, გვ. 132—133.

[5] «რიგიანადო», ვამბობთ, რადგანაც მას აკლია კაი გაყოლა.

[6] თ. ჟორდანია. ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა. 1896, გვ. 28—49.

[7] ვაჰანის ქვაბთა განგება (XIII ს.). გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. 1939, 138 გვ.

[8] ქართული სამართლის ძეგლები. III, 135—153.

[9] სრულად ითქმის, მიუხედავად იმისა, რომ შეწირულებათა სიას ცოტა აკლია ქართულ ტექსტში. სამაგიეროდ ბერძნულში მოიპოვება.

სოფიის ხელნაწერის მიხედვით არის შესრულებული. აქ კი ტექსტი სრულია და გამოცემულია ძველი ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ხიოსის კუნძულზეა დაცული კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში.

3. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი

მალე ცხრა საუკუნე შესრულდება მას შემდეგ, რაც 1083 წელს ტაოელმა ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ [1], რომელსაც დიდი პატივი ჰქონდა ბოძებული და უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობა ეპყრა ბიზანტიის იმპერიაში, დააარსა ქართველთა მონასტერი პეტრიწონში, სადაცააგო სამი ეკლესია: ერთი დიდი (ღვთისმშობლის სახელზე) და ორი მომცრო (იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე) და «სამარხო» (საძვალე).

გრიგოლ ბაკურიანის-ძე პატივით (ტიტულით) სევასტოსი იყო და თანამდებობით დიდი დემესტიკოსი (ბერძნული გამოთქმით: დომესტიკოსი), ანუ მთავარსარდალი, ამირსპასალარი საკეისროს დასავლეთ ნაწილში. რეზიდენცია მას ჰქონდა ადრიანოპოლში, მაგრამ ადგილ-მამულები ბევრი ჰქონდა სხვადასხვა ადგილას და, კერძოდ, ქ. ფილიპოპოლშიც (დღევანდელ პლოვდივში), ხოლო ქართველთა მონასტერი დააფუძნა ფილიპოპოლის ახლოს, როდოპის მთებში, სტანიმაკიდან (დღევანდელი ასენოვგრადიდან) 10-ოდე კილომეტრის მანძილზე. დღეს ეს მონასტერი ბაჩკოვოს მონასტრის სახელით არის ცნობილი (ბაჩკოვო სოფელია ერთი კილომეტრის დაშორებით მონასტრის ქვემოთ), ხოლო დავით დიდის ისტორიკოსს იგი ბორღალეთის მონასტრად აქვს მოხსენებული [2].

გრიგოლ ბაკურიანის-ძის ნაგებობათაგან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა, რომელიც ფერდობზეა აშენებული და ქვემო მხრიდან ორსართულიანია, ზემოდან კი — ერთსართულიანი. ქვემო სართულში აკლდამებია ძვლებით სავსე. ეს არის საძვალე (საკუთრივ «სამარხო»). ზემო სართული კი წარმოადგენს ეკლესიას, რომელიც თითქო ის ეკლესიაა, რომელიც წმ. გიორგის სახელზე იყო აგებული. ორი სხვა ეკლესია და სენაკები მთლიანად გადაკეთებულია მე-17 საუკუნეში.

ხსენებულ საძვალეში გადაასვენა გრიგოლმა თავისი ძმა აბაზი, რომელიც მონასტრის აგებამდე გარდაიცვალა და შემდეგ თვით გრიგოლიც იქ დამარხეს (1086 წ.). ორივე ძმის სურათი შემონახულია ამ საძვალის ერთ კედელზე [ტაბ. 2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ბაკურიანის-ძემ ისე მოაწყო თავისი დაარსებული მონასტერი, რომ უკეთესს ვერ წარმოიდგენს კაცი: აუგო ერთი სასნეულო (საავადმყოფო) და სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას, შესწირა სოფლები გლეხებითურთ, ციხე-ქალაქები, საძოვრები, ზვრები, სათევზაო ტბა, წისქვილი და ბევრი სხვა რამ და ეკონომიურად სავსებით უზრუნველყო. ამას გარდა,

---

[1] გრიგოლ ბაკურიანის-ძე ბერძნულად (აქედან კი ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში) გრიგოლ პაკურიანად არის ცნობილი.

[2] «აღავსო ზღუაჲ და ჴმელი ქველის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თჳსთა ოდენ სამეუფოთა, არამედ საბერძნეთისანიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კჳპრისა, შავისა მთისა და პალესტინისანი აღავსნა კეთილითა, უფროსღა...» (ქ. ცხოვრ. I, 352—3).

სახელმწიფო

გრიგოლმა მონასტერს შესწირა საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, სამოსელი და დაუარსა სკოლა, სადაც ექვსი ახალგაზრდა სწავლობდა ყველაფერს, რაც საჭირო იყო საეკლესიო მსახურებისათვის. მოსწავლეები სასმელ-საჭმელს და ტანისამოსს მონასტრისაგან იღებდნენ. სწავლის დასრულების შემდეგ, ვინც ღირსი იქნებოდა, ეკლესიის მსახურნი ხდებოდნენ.

მონასტრის მშენებლობის დასრულების უმალვე გრიგოლმა თავის მონასტერს დაუწერა ტიპიკონი ანუ წესდება, რომელიც დაუმტკიცა თავის ხელის მოწერით. წესდებაზე ხელი მოაწერინა აგრეთვე იერუსალიმის პატრიარქს ეფთვიმეს, რომელიც საზავო საქმეებზე იყო მიწვეული ალექსი მეფის მიერ თესალონიკში ბერძნებსა და «ფრანგებს» (ნორმანებს) შორის ატეხილი ომიანობის გამო და იერუსალიმს გაბრუნებისას გრიგოლ ბაკურიანის-ძეს სტუმრად მიუწვევია თავის ფილიპოპოლის სასახლეში.

წესდებაში აღნიშნულია, რომ გრიგოლმა თავისი მონასტერი გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან და აგრეთვე თავისი ნათესავების რაიმე ჩარევისაგან მონასტრის ქონებასა და საქმეებში. ასე რომ პეტრიწონის მონასტერი, დაარსებული ქართველი ამირსპასალარისაგან და ქართველებისთვის, რომლებიც საკმაოდ ერივნენ მის ჯარებში, შეუვალი, ყველაფრად თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო[1].

ალსანიშნავია, რომ, წესდების 24-ე თავის თანახმად, გრიგოლმა აუკრძალა ბერძნებს მონასტერში დამკვიდრება, გარდა ერთი მწერლისა, რომელსაც მიწერ-მოწერა უნდა ეწარმოებინა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, და ეს იმით დაასაბუთა, რომ ბერძნები შურიანი ხალხია და ვაითუ ხელთ იგდონ ქართველების სავანეო. გრიგოლის შიში საფუძვლიანი იყო. შემდეგში მართლაც თანდათან ბერძნებმა ჩაიგდეს ხელში ეს ქართველების მონასტერი.

წესდება დაიწერა ორ ენაზე, ქართულად და ბერძნულად. ბერძნული ტექსტი დაწერეს ორ ცალად, რომელთაგანაც ერთი, ყოველ შემთხვევისათვის, შეინახეს კონსტანტინოპოლში წმ. პანაგიის მონასტრის წიგნთსაცავში, მაგრამ ბერძნული ტექსტის ამ მეორე ცალს ჩვენამდე არ მოუღწევია. წესდების ქართულ-ბერძნული ხელნაწერი ინახებოდა თვით პეტრიწონში, მაგრამ წარსულ საუკუნეში, როცა ბულგარეთი განთავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და დაისვა საკითხი, თუ ვის ხელში უნდა გადასულიყო პეტრიწონის მონასტერი, სადაც ქართველების ნაცვლად, წინააღმდეგ მისი დამაარსებლის სურვილისა, კაი ხანია მოკალათებულნი იყვნენ ბერძნები, ეს ხელნაწერი გაქრა მონასტრიდან და არ იცოდნენ, რა მოუვიდა. გაქრა იმიტომ, რომ ეს ტიპიკონი ერთბაშად გადაწყვეტდა სადაო საკითხს ბულგარლების სასარგებლოდ და არ გამოაჩინეს. კიდევ კარგი, რომ არ მოსპეს სულ, თურმე გადაეცათ კორაისის სახელობის ბიბლიოთეკისთვის კუნძულ ხიოსზე.

ვიდრე ხელნაწერი ჯერ კიდევ პეტრიწონში იყო, გ. მუსეოსს, რომელსაც აინტერესებდა გრიგოლ ბაკურიანის-ძის ცხოვრება და მოღვაწეობა, არ გამოუჩინეს ძველი ტექსტი, არამედ მისცეს ახალ ბერძნულ ენაზე მე-18 საუკუნეში

---

[1] სპეციალური ტერმინი რომ ვიხმაროთ, პეტრიწონი ყოფილა სტავროპიგიული მონასტერი, როგორიც იყო ჩვენში შიო-მღვიმე (თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტ. საბუთები, გვ. 51).

ნათარგმნი ტექსტი და მკვლევარი იძულებული იყო ტექსტი გამოეცა ამ ახალი თარგმანის მიხედვით 1888 წელს.

შემდეგ ბუქარესტის ხელნაწერთა ერთ კოლექციაში აღმოჩნდა ძველი ტექსტიდან მე-18 საუკუნეში გაკეთებული პირი, რომელიც 1904 წელს გამოსცა ფრანგმა ლუი პეტიტმა[1] (Louis Petit) რუსეთის ბიზანტინისტთა ორგანოში დამატებად და ამის შემდეგ ეს ბერძნული ტექსტი გახდა ყოველმხრივი შესწავლის საგანი.

რაკი გრიგოლ ბაკურიანის-ძე დიდი თანამდებობის პირი იყო საბერძნეთში, მის შესახებ ცნობები ბერძნულ წერილობით წყაროებშიც მოიპოვება, სხვათა შორის ანა კომნინის «ალექსიადა»-შიც, სადაც მას უბრალოდ პაკურიანი ეწოდება. ანა იყო მეფის ალექსი კომნინოსის (კომნიანოსის) ასული, რომელიც სწორედ იმ წელს დაიბადა, როცა გრიგოლმა დააარსა თავისი მონასტერი. ამ ალექსი კომნინოსის სამეფო ტახტზე ასვლას და გამეფებას ხელი შეუწყო გრიგოლ ბაკურიანის-ძემაც. ანამ თავისი მამის მოღვაწეობა ვრცლად აწერა, წიგნში ბევრ პირს შეეხო და, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ პაკურიანი დაბალი ტანის კაცი იყო, მაგრამ გულადი მეომარი და წარმოშობით იყო სომეხთა ბრწყინვალე გვარიდანაო. არავინ დაეჭვებულა, რომ ანას შეიძლება შეცდომა მოსვლოდა და ქართველი სომხად წარმოედგინა; ამიტომ მისი ცნობა სხვადასხვა გამოკვლევაში გადავიდა, მათ შორის, აკადემიკოს თ. უსპენსკის ნაშრომშიც[2], მაგრამ, გ. მუსეოსი რომ შესდგომია პეტრიწონის ტიპიკონის ტექსტის გამოცემას ახალ ბერძნულ ენაზე (1888 წ.), გაოცებულა, როცა შიგ ამოუკითხავს, რომ დიდი დემესტიკოსი გრიგოლი თავის თავს ქართველს ეძახის; გაოცებულა, მით უმეტეს, რომ, ტიპიკონის ბერძნული ტექსტის ცნობის თანახმად, წესდება სომხურადაც დაიწერა და ხელიც სომხურად მოაწერა მას მონასტრის დამფუძნებელმა. ბერძენი მკვლევარი ვეღარ გარკვეულა, ქართველი იყო გრიგოლი, თუ სომეხი. სამაგიეროდ, 1904 წელს რომ ლ. პეტიტმა დაბეჭდა ძველი ბერძნული ტექსტი (ბუქარესტის გვიანდელი გადანაწერის მიხედვით), მან აღნიშნა: ანა კომნინი რასაც ამბობს გრიგოლის შესახებ, ყველაფერი მართალია, გარდა იმისა, თითქო იგი სომეხი იყო წარმოშობითო. პაკურიანის სამშობლო, გვამცნობს იგი ტიპიკონის დასაწყისში, იყო არა სომხეთი, არამედ საქართველო, იგი იყო ქართველთა უბრწყინვალესი გვარიდან. მისი მამა პაკურიანი იყო ერისთავთ ერისთავიო. ცოტა ქვემოთ ლ. პეტიტი ამბობს: გრიგოლს თავი მოაქვს, რომ მას არ დაუზოგავს შრომა, თავისი სისხლიც კი სახელმწიფოს სამსახურში; მაგრამ ის დარჩა გულით ქართველი, მხურვალე პატრიოტი, თითქმის ფანატიკოსიო. ასე დარწმუნებით აცხადებს ბერძნული ტექსტის გამომცემელი ფრანგი მკვლევარი დიდი დემესტიკოსის ქართველობას.

ამის შემდეგ გავიდა ერთი წელი და ნიკო მარმა იმავე ბიზანტინისტთა ორგანოში (1905 წ.) მოზრდილი გამოკვლევა დაბეჭდა ამ სათაურით: **Арк῾аун, монгольское название христиан в связи с вопросом об армянах—халкедонитах,** რომელიც იმ ნაწილში, სომეხ ქალკედონიანებს რომ ეხება, სულ მცდარ დებულებაზეა აგებული. ამ წერილში მან ის აზრი გაატარა დაჟინებით, რომ გრიგოლ ბა-

———

[1] წერენ ლუი პტი-საც, ლუი პეტი-საც.

[2] Ф. И. Успенский. История Византийской империи. т. III. М. Л. 1948, стр. 75.

კურიანი სომეხი იყო, მაგრამ მართლმადიდებელი ქალკედონიტი (ქალკედონიანი), მიმდევარი იმ მსოფლიო კრების დადგენილებათა, რომელიც 451 წელს შედგა ქალკედონში, კონსტანტინეპოლის ახლოს. ამ მსოფლიო კრებაზე ქრისტოლოგიური საკითხები ირჩეოდა და გაიმარჯვეს დიოფიზიტებმა, ე. ი. იმ მიმართულებამ, რომელიც ქრისტეში ორ ბუნებას სცნობდა — ღვთაებრივსა და კაცებრივს და უკუაგდეს მონოფიზიტური მიმართულება, რომელიც ქრისტეში მარტო ერთ ბუნებას სცნობდა — ღვთაებრივს. სომეხთა ეკლესიის წარმომადგენლები ამ კრებაზე არც ყოფილან. ამ დროს სომხებს ომი ჰქონდათ სპარსელებთან და ქრისტოლოგიური საკითხებისთვის არ ეცალათ. მხოლოდ შემდეგ, მე-5 საუკუნის 70-იანსა და 80-იან წლებში, როცა თვით კონსტანტინოპოლში დაუწყეს ეჭვის თვალით ცქერა ქალკედონის კრებაზე მიღებულ დადგენილებას, ამ ახალ მიმართულებას სომხებმაც დაუჭირეს მხარი და ისინი ბოლომდე დარჩნენ მონოფიზიტებად [1].

მაგრამ სომხებში მაინც ერივნენ დიოფიზიტები, ე. ი. ისეთი აღსარების მიმდევარნი, რომლებიც ბერძნებთან და ქართველებთან ერთად დიოფიზიტობდნენ. ნ. მარი ამბობს, აი ასეთი იყო გრიგოლ ბაკურიანიც, რომელმაც პეტრიწონის მონასტერი ააშენაო. ბაკურიანი ტაოელი იყო, ტაოში სომხებიც ცხოვრობდნენ, რომელთაც თავი ქართველებად მოჰქონდათ სარწმუნოების მიხედვითო. ამით აიხსნება, რომ ბაკურიანმა წესდება სომხურადაც დაუწერა თავის მონასტერს და ხელიც სომხურად მოაწერაო. ამიტომ სავსებით უეჭველია (безукоризненно верно) ანა კომნინის ცნობა, რომ გრიგოლი ტომით სომეხი იყოო [2]. ნ. მარმა იმას კი არ მიაქცია ყურადღება, რომ სომეხი ისტორიკოსი მათეოზ ურჰაელი (ანუ მათე ედესელი), გრიგოლ ბაკურიანის-ძის უმცროსი თანამედროვე, რომელიც გარდაიცვალა მოხუცებული 1140 წლის ახლო და რომელიც ქართველებსა და სომხებს კარგად არჩევდა, გრიგოლ ბაკურიანის-ძის შესახებ ამბობს, რომ იგია «ვრაცი აზგავ», ე. ი. ტომით ქართველიო. ამასთანავე ისიც აღსანიშნავია, რომ იმავე ნ. მარმა ლუი პეტიტსაც კი უსაყვედურა: საკვირველია, რომ გრიგოლ ბაკურიანს ქართველად აცხადებ და სრულიადაც არ გეუცხოვება მისი სომხური ხელმოწერაო. ვინ იცის, როგორ წავიდოდა საქმე, ე. ი. რომელი აზრი დამკვიდრდებოდა მეცნიერებაში, რომ ქართული ტექსტი არ აღმოჩენილიყო. მაგრამ, ბედად, ქართული ტექსტიც აღმოჩნდა და ერთბაშად გაირკვა საქმე.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიამ 1949 წლის მარტში სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო პეტრიწონის მონასტრის საკითხის შესასწავლად. ექსპედიციის წევრები რუმინეთზე გავლით სოფიას მიეედით და იქედან, ბულგარელი მეცნიერების თანხლებით, პეტრიწონს ვეწვიენით. იქ ძველი

---

[1] მონოფიზიტობა საქართველოშიც იყო გავრცელებული VI ს.-ში. კ. კეკელიძის თანახმად (ქ. ლიტ. ისტ. I, 1951, 487), ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორი მონოფიზიტური მიმართულებისა იყო. სამოელ არქიდიაკონი ასე ასაბუთებს მონოფიზიტობას: ქრისტე «საშოჲთგან (ქალწულისა) გამოვიდა და ღმრთეებაჲ ჴორცითა გადაიფარა; უკუეთუმცა ღმრთეებაჲ ჴორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა». დიოფიზიტური მოძღვრებით კი ქრისტე არის არა მარტო ს რ უ ლ ი ღმერთი, არამედ ს რ უ ლ ი კაციც» (იქვე).

[2] ნ. მარმა ეს თავისი მცდარი დებულება შემდეგაც გაიმეორა იოანე პეტრიწის შესახებ დაწერილ ნაშრომში (1909 წ.).

რამ, გრიგოლის დროინდელი, აღარაფერი დაგვხვდა, გარდა ერთი შენობისა, რომ-ლის ზემო სართული ეკლესიაა, ქვემო კი — საძვალე, სადაც გრიგოლ და აბაზ ბა-კურიანის-ძეები ხატია ერთ კედელზე. სამაგიეროდ მთავარ ეკლესიაში აღ-მოჩნდა ქართული ხატი, გაჭედილი 1311 წ. ორი ტაოელი ძმის მიერ, ხოლო სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გვიჩვენეს პატარა ტანის ხელნაწერი, რო-მელიც დაბეჭდილ კატალოგში აღნიშნული იყო, როგორც სომხური ხელნაწერი უცნობი შინაარსისა. გავშალეთ და შემოგვცინა პეტრიწონის მონასტრის წეს-დების ქართულმა ტექსტმა. ეს ხელნაწერი ახალია, იგი გადმოუწერია ასო-ასოდ და სიტყვა-სიტყვით ძველი დედნიდან ქართული ენისა და ქართული წერის უცო-დინარ პირს უთუოდ იმ მიზნით, რომ გაეყიდა. ამიტომ შიგ ბევრი შეცდომაა. მაგ-რამ ჩვენთვის ეს ამბავი მაინც დიდად გასახარელი იყო, რადგანაც მაშინ ჩვენ-თვის ეს ხელნაწერი ერთად-ერთი საბუთი იყო იმისა, რომ ტიპიკონის ქართულ ტექსტსაც მოუღწევია ჩვენამდის.

უმალვე ჩვენი ყურადღება იმან მიიპყრო, რომ შიგ ამოვიკითხეთ: ეს ტიპი-კონი დაიწერა ქართულად და ბერძნულადო. არაფერი იყო ნათქვამი, რომ იგი სომხურადაც ყოფილიყოს შედგენილი. არც ის ეწერა, რომ გრიგოლმა სომხურად მოაწერა ხელიო.

სოფიაში ყოფნისას ამ ხელნაწერიდან ამოვწერე ზოგი რამ, მთლიანად ტექსტი გადმოვწერე თბილისს დაბრუნების შემდეგ ფოტოსურათებიდან, რომლე-ბიც გადავაღებინეთ მიკროფილმიდან. ეს მიკროფილმი სოფიის სახელმწიფო ბიბ-ლიოთეკის დირექციამ დაგვითმო თავაზიანად და არმაღნად წამოვიღეთ თბი-ლისში.

1951 წელს სოფიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვსევოლოდ ნიკოლაევმა დაბეჭდა ორი გამოკვლევა ბულგარულად (რუსულ-ფრანგული რეზუმეთი) ბულ-გარეთის მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში. იქიდან გავიგეთ, რომ ძველი ხელნაწერი ტიპიკონისა ქართულად და ბერძნულად დაცული ყოფილა კუნძულ ხიოსზე.

მისი ფოტოსურათების მიღება ვცადე 1953 წელს კავშირის მეცნ. აკადემიის უცხოეთის განყოფილების საშუალებით, მაგრამ ვერას გავხდი. შემდეგ ჩვენი მეც-ნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის საშუალებით ვითხოვეთ (მაშინ ბიბლიოთეკას სათავეში ედგა ვ. უზნაძე, მეტად ენერგიული მოღვაწე). ამჯერად მოგვივიდა ბერძნული ტექსტების ფოტოპირები და პირველი გვერდი ქართული ტექსტისა და თან გვწერდნენ (მოსკოვიდან): ეს ხელნაწერი სომხური ყოფილა და რად გინდა-თო? აქედან უპასუხეს: გამოგვიწერეთ, უთუოდ გამოგვიწერეთ, რადგანაც კარგად ვიცით, რომ ქართულიაო. ამის შემდეგ მივიღეთ კარგად შესრულებული ფოტო-სურათები ქართული ტექსტისაც. ხელნაწერში პირველად ქართული ტექსტი ყო-ფილა მოთავსებული და შემდეგ — ბერძნული და ორივე ერთ წიგნად შეკრული.

ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის წევრებზე ადრე, 1936 წ., სოფიაში ყოფი-ლიყო და იქაური ქართული ხელნაწერი ენახა არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეს, რომელიც მაშინ ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მისთვის ძნელი არ იყო დაედგინა, რომ ეს არის პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც შემდეგ (1954 წ.) მიხეილ თარხნიშვილმა გამოსცა და ლათინური თარგმანი დაურთო.

ჯერ კიდევ ძველი ქართული ტექსტი არ იყო მიღებული ხიოსიდან, რომ მე სოფიაში საჟურნალო წერილი გავგზავნე. იგი დაიბეჭდა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანოში 1958 წელს (ბულგარულად)[1]. წერილში აზრი გამოვთქვი, რომ ტიპიკონის ქართული ტექსტი მოღწეულია იმ სახით, როგორც ის დაიწერა თავის დროს, ბერძნულში კი შემდეგ ჩაუმატებიათ, რომ წესდება თითქო სომხურადაც იყო-მეთქი.

ხიოსიდან ძველი ქართული ტექსტის ფოტოები რომ მივიღეთ, მე იგი შევუდარე ჩემს გადმონაწერს სოფიის ახალი ხელნაწერიდან, შევასწორე ტექსტი, შევავსე იგი და მოვამზადე გამოსაცემად. მერმე რუსულადაც ვთარგმნე. ხოლო ბერძნული ტექსტის ფოტოსურათები გადავეცი ს. ყაუხჩიშვილს (1959 წ.). ამ ფოტოსურათების მიხედვით მან 1963 წელს გამოსცა ტიპიკონის ბერძნული ტექსტი და იგი თარგმნა ახალ ქართულზე, თარგმანი დაუყენა პირისპირ ბერძნულ ტექსტს, წაუმძღვარა შესავალი და დაურთო შენიშვნები და ტაბულები. ს. ყაუხჩიშვილმა ცოტა უცნაური დასკვნა გააკეთა: «ჩვენს წინაშეა ბერძნული რედაქციის ვარიანტი, რომელსაც უკვე განუცდია ცვლილება, შედარებით პირველ დედანთან. აქ ინტერპოლაციასთან კი არა გვაქვს საქმე, არც ვისიმე ბოროტი განზრახვით ტექსტის «დამახინჯებასთან», არამედ აქ გვაქვს ტექსტის შევსება, გამოწვეული ახალი საჭიროებით (მართლმადიდებელი სომხების ბერად აღკვეცით პეტრიწონის სავანეში)»[2].

ამას რომ წერდა ს. ყაუხჩიშვილი, უთუოდ ვარაუდობდა, რომ თავიდანვე პეტრიწონში არ ყოფილან მართლმადიდებელი სომხები, მაგრამ 20-30 წლის შემდეგ ისინიც დამკვიდრდნენ მონასტერშიო. ასეთ მტკიცებას საბუთები უნდა ახლდეს, მაგრამ ასეთი რამ არა ჩანს.

ამჟამად მდგომარეობა ასეთია: ჩვენამდე მოაღწია პეტრიწონის ტიპიკონის ორმავე ტექსტმა, ქართულმაც და ბერძნულმაც. ქართული ძველი ტექსტი (მაგრამ არა პირვანდელი, არამედ დაახლ. მე-13 საუკუნეში გადაწერილი) ხიოსის კუნძულზეა დაცული და მისი ტექსტი ამ გამოცემაშია წარმოდგენილი რუსული თარგმანითურთ. ხოლო ეგევე ტექსტი სოფიის გადმონაწერის მიხედვით გამოსცა ბელგიაში 1954 წელს კათოლიკე მღვდელმა მიხეილ თარხნიშვილმა, სკრელმა, რომელიც რომში მოღვაწეობდა. მან თავის გამოცემას დაურთო ლათინური თარგმანი. ამ გამოცემიდან ქართული ტექსტი უცვლელად გადაბეჭდა პროფ. ისიდორე დოლიძემ[3].

რაც შეეხება ბერძნულ ტექსტს, იგი სამჯერ გამოსცეს: პირველად გ. მუსეოსმა 1888 წ. ახალი ბერძნული თარგმანის მიხედვით, მეორედ — ლუი პეტიტმა ბუქარესტის ხელნაწერთა ერთ კოლექციაში მიგნებული მე-18 საუკუნის გადმონაწერის მიხედვით (ძველი ტექსტიდან), ხოლო მესამედ — ს. ყაუხჩიშვილმა 1963 წელს ხიოსზე დაცული ტექსტის მიხედვით, რომელიც მან ქართულად თარგმნა.

---

[1] А. Шанидзе. Страница из историята на грузино-българските културни взаимоотношения. Исторически преглед. Год XIV. София 1958, стр. 97—104.

[2] პეტრიწონის წესდება: გეორგიკა V, 1963, გვ. 275.

[3] ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. გვ. 35—105.

ქართული და ბერძნული ტექსტი პეტრიწონის მონასტრის წესდებისა ერთი და იგივეა საერთოდ, მაგრამ არის განსხვავებაც: ქართულში მოიპოვება ბოლოს ერთი თავი, სადაც განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა ედღესასწაულათ წელიწადში 12 საუფლო დღესასწაული და იქ აშენებული სამი ეკლესიის წმიდათა ხსენების დღე (ღვთისმშობლობა, იოანეს თავის კვეთა და გიორგობა), თანაც რამდენი დრაჰკანი უნდა მისცემოდა ქამის მწირველებს, ტაბლა როგორ უნდა დაგებულიყო და გლახაკთათვის როგორ უნდა ეზრუნათ. ექვს საუფლო დღეს უნდა ეწირათ თვით გრიგოლისთვის (ხარებას, შობას, მიგებებას, განცხადებას, ფერისცვალებას, ბზობას), ოთხ დღეს მისი ძმის აბაზ მაგისტროსისთვის (დიდ შაბათს, აღვსებას, ამაღლებას, სულიწმიდის მოფენას), ერთ დღეს კი მათი მამის ბაკურიანისთვის (დიდ ხუთშაბათს).

ხარება თვით გრიგოლის მოსახსენებელი დღე იყო, ხოლო დიდი ხუთშაბათი, რომელიც მოძრავი დღესასწაულია, მისი მამის ბაკურიანის მოსახსენებლად იყო დაწესებული. ამიტომ შენიშვნა აქვს გაკეთებული: თუ ხარება დიდ ხუთშაბათს დაემთხვეს, ექვს ქამის მწირველ მღვდელთაგან სამმა უნდა წიროს ბაკურიანისთვის (მამისთვის), სამმა კი — გრიგოლისთვისო (შვილისთვისო).

ეს თავი ამჟამად მხოლოდ ქართულ რედაქციაში მოიპოვება, ბერძნულში კი — არა.

4. ტ ა ნ უ ტ ე რ ი თ უ ო ს ტ ი გ ა ნ ი?

მთავარი რედაქციული განსხვავება ბერძნულსა და ქართულ ტექსტს შორის შემდეგია: ბერძნულში ნათქვამია, რომ ტიპიკონი სომხურადაც დაიწერა და ბაკურიანმა რომ დაამტკიცა თავისი დაარსებული მონასტრის წესდება, ხელი სომხურად მოაწერაო[1]. ქართულში კი არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება. ნათქვამია მხოლოდ შემდეგი: «დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის ჰატიოსნისა მონასტრისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა პეტრიწონისაჲ ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავალეთისა მიდამოჲსა, ძისა ბაკურიანისაჲთა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წ ე რ ი ლ ი თ ა ბ ე რ ძ უ ლ ი თ ა დ ა ქ ა რ თ უ ლ ი თ ა». შემდეგ ნათქვამია, რომ ყველა ტიპიკონს (ერთ ქართულს და ორს ბერძნულს, ამათგან ერთი მონასტერში რჩებოდა, ხოლო მეორე კონსტანტინოპოლში უნდა შენახულიყო), ჩემი ხელმოწერა ახლავს, ხოლო ბერძნულებს ჩემს შემდეგ კიდევ ეფთვიმე იერუსალიმის პატრიარქი აწერს ხელსაო. აქ არსად არ არის ხსენება წესდების სომხური ცალისა, არც სომხურად ხელმოწერის შესახებ, ბერძნულში კი ნათქვამია: «დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად და ხელმოწერილია თვითონ ჩემ მიერ სომხური ასოებითო».

იურიდიული ძალის მქონედ გრიგოლმა ბერძნული მიიჩნია, ხოლო ქართულადაც რომ დაწერა იგივე ტექსტი, მან ეს ასე დაასაბუთა: «და ქართულად [ამისთჳს დაიწერა], რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი

[1] ეს ცნობა მხოლოდ გ. მუსეოსის გამოცემულ ახალ ბერძნულ თარგმანში მოიპოვება (ამას შესახებ ქვემოთ, გვ. 33 და შემდგომ).

არიან და არა იციან ბერძული წარკითხვაჲ, და ჯერ-არს, რაჲთა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ და გულისჴმა-ჰყოფდენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა»-ო. ამის ნაცვლად ბერძნულ ტექსტში ნათქვამია: «დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად, რადგანაც ამ მონასტრის მონაზვნები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა. ამიტომ საჭიროა, ეს ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაცო».

ორში ერთი: ან ქართულ ტექსტშიც იყო თავდაპირველად სომხური ტექსტის ხსენება და შემდეგ ამოშალეს, ხოლო თვით ტექსტი მოსპეს, ან პირველად ბერძნულშიც იმგვარადვე იყო მოთხრობილი, როგორც ქართულშია, და შემდეგ ჩაუმატეს შიგ, თითქო წესდება სომხურადაც იყო დაწერილი და თითქო გრიგოლმა სომხურად მოაწერა ხელი წესდებას. რომელი მათგანი ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას?

ამ საკითხს საგანგებო წერილი უძღვნა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა პარუირ მურადიანმა, რომელიც ერევანში მოღვაწეობს. მისი წერილი დაიბეჭდა სომხურად «პატმა-ბანასირაკან ჰანდეს»-ში (ისტორია-ფილოლოგიის ჟურნალში) 1968 წ. № 1 (გვ. 103—118) და ახლავს რეზუმე რუსულ ენაზე (გვ. 118). წერილში არსებითად ნ. მარის დებულებანია გამეორებული და, სხვათა შორის, ავტორი ამტკიცებს, რომ:

1) გრიგოლ ბაკურიანი სომეხი ქალკედონიტი იყო ქართული აღსარებისა (грузинского толка).

2) ბერძნული რედაქცია ტიპიკონისა შემონახულია პირვანდელი სახით, ქართულ რედაქციას კი აჩნია მერმინდელი გადაკეთების კვალი.

3) ტიპიკონი შედგენილი იყო სამ ენაზე (ბერძნულად, ქართულად და სომხურად) და იგი სარწმუნო წყაროა სომეხ ქალკედონიტთა მოღვაწეობისათვის (გვ. 118) [1].

ნამდვილად კი სულ სხვაგვარად არის საქმის ვითარება. თვით ბერძნულ ტექსტში მოიპოვება ადგილი, რომელიც აშკარად მერმე გადანაკეთებია.

პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობდა 51 კაცი. ამათგან 1 წინამძღვარი იყო, 2 იკონომოსი, 1 დეკანოზი, 6 მწირველი მღვდელი, 2 მთავარდიაკონი, 2 კერძო დიაკონი, 1 მეჭურჭლე, 1 მნათე, 1 კელარი ანუ ოსტიგანი, 1 მემარნე, 1 მეტრაპეზე, 1 მესტუმრე, 2 მეუძლურე, 1 ზედამხედველი, 1 მეპურე, 1 მზარეული, 1 მეკარე, დანარჩენები კი იყვნენ მგალობლები და მეფსალმუნეები.

თანამდებობათა პირების ღირსება და მოვალეობა განსაზღვრული იყო წესდების მეექვსე თავში. ჩამოთვლილ თანამდებობის პირთაგან ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა *ოსტიგანი*, რომლის პირადი ღირსება და მოვალეობა ასეა განსაზღვრული: «და ერთი იყოს *კელრად*, რომელ არს *ოსტიგანი*, წესისაებრ მონასტრისა უზაკუველი და ერთგული, რომელსა ჰქონდის ჴელსა თჳსსა

---

[1] პ. მურადიანის რვა დებულებიდან აქ მოგვყავს მხოლოდ სამი უმთავრესი (სხვა ნახეთ რუსულ შესავალში).

პური და უქდური და საწუნე და ზეთი და თაფლი და სხუაჲ ყოველივე საზრდელი და თჳთ წარაგებდეს შიშითა ღმრთისაჲთა». აქ მოცემულია როგორც ბერძნული წოდება ამ თანამდებობის პირისა («კელარი»)[1], ისე მისი ქართული შესატყვისი («ოსტიგანი»). ამ მუხლში ნახსენები «უქდური» არის რძის ნაწარმი (ყველი და სხვა); «საწვნე» — რისგანაც წვენი კეთდება (ლობიო, ცერცვი, მხალი და სხვ.). მაშასადამე, კელარი ანუ ოსტიგანი უნდა ყოფილიყო პატიოსანი კაცი («უზაკუველი და ერთგული»), თანაც ღვთის მოშიში, რადგან მის ხელში იყო ყოველგვარი საჭმელი მონასტრისა: პური, ერბო-კარაქი, საწვნე, თაფლი, ზეთი და სხვა.

მოდი ვნახოთ, რა არის ნათქვამი ამის შესაფერისად ბერძნულ ტექსტში. მოვიყვანოთ ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი: «ხოლო სხვა კიდევ იყოს კელრად, რომელსაც ივერნი ტანუტერს ეძახიან. ის მონაზონთა და მონასტერთა წესისამებრ უნდა იყოს უზაკველი და ერთგული და თავის განკარგულებაში ჰქონდეს როგორც პური, ისე შეჭამანდი და ყოველგვარი საკმაზი, მაგალითად ზეთი და თაფლი და სხვა ამათი მსგავსი და თვით გასცემდეს თავის დროზე და წესიერად ღვთის მოშიშობით». აქაც ორი ტერმინია: ბერძნული («კელარი») და თითქო მისი ქართული შესატყვისი («ტანუტერი»).

როგორც ვხედავთ, მონასტრის თანამდებობის პირს, რომელსაც ბერძნული ტექსტის მიხედვით კელარ — ტანუტერი ეწოდება და ქართულის მიხედვით კელარ — ოსტიგანი, ერთნაირი მოვალეობა აქვს თავს: მას აბარია საჭმელების საწყობი. ბერძნულ ტექსტში ნათქვამია, რომ კელარს ქართველებში ტანუტერი ეწოდებაო, ხოლო ქართულში ნათქვამია, რომ კელარი, რომელ არს ოსტიგანიო.

ორში ერთი: ან ტანუტერი და ოსტიგანი ერთი და იგივეა მნიშვნელობით, ან არა და რომელიმე ტექსტში (ქართულში ან ბერძნულში) ადგილი შესწორებულია: ან ორივეში იყო ოსტიგანი, რაც ქართულში დარჩა და ბერძნულში ტანუტერად გადააკეთეს შემდეგ, ან კიდევ ორივეგან ტანუტერი იყო, რაც ბერძნულში დარჩა და ქართულში შემდეგ ოსტიგანად გადააკეთეს.

ეს ორი სიტყვა რომ სინონიმები იყოს, შეუძლებელია. ისინი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია. ნ. მარის დროს მხოლოდ ბერძნული ტექსტი იყო ცნობილი და მან აღნიშნა, რომ «ტანუტერ» ტერმინი იხმარება ბაგრატ IV-ის სიგელში და არავითარი ეჭვი არ შეჰპარვია, რომ ეს სიტყვა პეტრიწონის წესდების ამ ადგილისთვის შესაფერისი ან გამოსადეგი იყოს, ყოველ შემთხვევაში არაფერი დაუწერია ამის შესახებ. სამაგიეროდ, პ. მურადიანმა პირდაპირ აღნიშნა, რომ ქართულ ტექსტში პირველად «ტანუტერი» ეწერა და შემდეგ «ოსტიგანად» გადაუკეთებიათო. აი მისი სიტყვები: «თუ ქართველები ნამდვილად «ტანუტერს» ეძახდნენ, მაშ რატომ ქართულ რედაქციაში არ იქნა დაცული ეს ფორმა, არამედ შეიცვალა «ოსტიგან»-ით? (გვ. 110). მართლა ეგრეა ვითომ? მოდი, საკითხი განვიხილოთ

---

[1] კელარი (ბერძნ, κελλάριος ლათინურიდან) — ვისაც ებარა მონასტრის სურსათი (თვით პეტრიწონის წესდებაში კელარი ბერძნულად სხვა ფორმით არის მოხსენებული: κελλαρίτης).

გულდასმით და წუნარად, მშვიდად. გამოსარკვევია: სად, როდის და რა მნიშვნელობით იხმარებოდა ქართულში «ტანუტერი?»

XI საუკუნეში «ტანუტერი» მართლაც იხმარებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში ტაოსა და კლარჯეთში, როგორც ეს ჩანს ბაგრატ IV-ის სიგლიდან, რომელშიც ადგილ-მამულის სარჩელზეა საუბარი. მეფემ გაარჩია ქუთათისში სასახლის კარზე მიწვეული მიჯნაძოროელებისა და ოპიზის მონასტრის ბერების სარჩელი, მან დააკმაყოფილა ორივე მხარე და თავის ბრძანებაში აღნიშნა: «აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა ჴელისუფალთა და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ ჴელ-ჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა». მაშასადამე, ტაოსი და კლარჯეთის ტანუტერი ყოფილა ჴელისუფალთაგანი, იგი საერო პირი იყო და არ შეიძლება ყოფილიყოს თანამდებობის პირი მონასტერში. პირიქით, მის სასარგებლოდ გადასახადს იხდიდნენ მონასტრები და ეკლესიები. ასეთი გადასახადი სდებია კორიდეთის ღვთისმშობლის ეკლესიას[1] და მისი ხუცები გაუთავისუფლებია ერისთავთ ერისთავს ბეშქენს თავისი რძლის ხვაშაქის თხოვნით, როგორც ეს ჩანს განთქმული კორიდეთის ოთხთავის ერთი ქართული მინაწერიდან, რომელიც პირველად მ. ბროსემ გამოსცა, შემდეგ მ. ჯანაშვილმა და, უკანასკნელ, ნ. მარმა[2]. აქ იკითხება, რომ ამ კუთხის მთავარმა ბეშქენმა აპატივა («გაუშუა») სატანუტრო დრამის გადახდა კორიდელ ხუცებს, რაც მათ უნდა მოეხმარათ შესამოსლის საყიდლად. ასე რომ «ტანუტერი» ტაოსა და კლარჯეთში მონასტრის თანამდებობის პირი არ ყოფილა. აქედან ჩანს, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნულ ტექსტში ნახმარი «ტანუტერ» სიტყვა სრულებით არ შეეფერება იმ პირს, რომელსაც აბარია მონასტრის სურსათ-სანოვაგის საქმე. მაშასადამე, ეს სიტყვა ბერძნულ ტექსტში უადგილოა.

ეხლა ვნახოთ, რას ნიშნავს «ოსტიგანი». სულხან ორბელიანის ლექსიკონით «ოსტიგანი» არის «სასმელ-საჭმელთ მნე», ან «სასმელ-საჭმელთ მცველი», ან კიდევ «მეკუჭნავე». სულხანს ახსნილი აქვს აგრეთვე «საოსტიგნო», რომელიც საკუჭნაო არისო. მაგრამ ამასთანავე მას ლექსიკონის ადრინდელი რედაქციის ხელნაწერებში შემდეგი უწერია: «ს ა ო ს ტ ი გ ნ ო ეწოდების — პური, ღვინო და ყოველივე სამარხავი ერთსა სახლსა შინა დამარხულ იყოს და ერთისა კაცისა მიერ წარეგებოდეს. მას კაცსა ო ს ტ ი გ ა ნ ი ეწოდების». აქედან ჩანს, რომ ოსტიგანი სურსათ-სანოვაგის საქმის გამგე ყოფილა. არსებითად იგივეა «სასმელ-საჭმელთ მნე»-ც. სწორედ ასეთი სახელი შეეფერება ქართულ ბადლად ბერძნულ «კელარს», როგორც ეს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდებაშია მოხსენებული.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელი ათონის ქართველთა მონასტრის წესდების ზოგი ადგილის გამოცემაში ასახელებს კელარს და საკელროს (ოსტი-

---

[1] კორიდეთი მდებარეობს ჭანეთში, ჭოროხის მარცხენა შენაკადის მურღულის მარჯვენა მხარეს.

[2] Н. Марр. Грузинские приписки греческого евангелия из Коридии: Известия ИАН, 1911 გვ. 226.

განს და საოსტიგნეს — არა). ოღონდ ათონზე დიდი მონასტერი იყო და იქ ორი კელარი იყო, რომელთა საურავს შეადგენდა: აფთიაქი, ბოსტანი, წისქვილი, ხილი (ზეთისხილი, ნიგოზი და სხვა, გარდა ყურძნისა). ათონის მონასტრის საკელრო კი იგივე ჩანს, რაც საოსტიგნე ხანძთისა. მოსენაე ბერებს ათონის მთაზე თუ რაიმე მოჰრჩებოდათ, არ ჰქონდათ ნება სხვისთვის მიეცათ, არამედ კელრისთვის უნდა დაებრუნებინათ: იკონომოსს «რაჲცა [საჭმელი და ხილი] დაუშთის, საკელროსავე წარსცის»[1].

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: გიორგი მერჩულემ რომ გრიგოლ ხანძთელის «ცხოვრებისა და მოქალაქობის» წიგნი შეადგინა გრიგოლის გარდაცვალების 90 წლის შემდეგ, ე. ი. 951 წელს, მან, სხვათა შორის, შემდეგი ეპიზოდი შეიტანა შიგ: ხანძთაში «ნეტარმან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ (ე. ი. ხის ეკლესია) და შემდგომად — საყოფელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირე და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი». ნ. მარმა ეს ადგილი ისე გაიგო, თითქო საოსტიგნე იყოს სატრაპეზო ან მისაღები ოთახი, დარბაზი: «собственно зал для **настоятеля**, предназначавшийся для собраний при приемах, во время общей трапезы и т. п.»[2] Настоятеля სიტყვას იმიტომ გაუსვა ხაზი ნ. მარმა, რომ მას ოსტიგანი, ეს სპარსული წარმოშობის სიტყვა (რომელიც სომხურშიც იხმარებოდა ოსტიკან-ის ფორმით), ვერ წარმოედგინა შინაარსის ისეთი ცვალებით, რომ სანოვაგის მოურნის მნიშვნელობა მიეღო. მას რომ ხელთ ჰქონოდა პეტრიწონის წესდების ქართული ტექსტი, აღარ დაუწყებდა კამათს ს. ორბელიანს და თავის მცდარ თარგმანსაც შეასწორებდა ამ ნაწილში, რადგანაც ახლა ცხადია, რომ გრიგოლ ხანძთელს დიდი სენაკი რომ აუშენებია, ეს ყოფილა საკელრო, ე. ი. სურსათ-სანოვაგის საწყობი და არა зал настоятеля.

იმავე ნ. მარმა რომ 1904 წ. შავშეთ-კლარჯეთში იმოგზაურა, აწერა შატბერდის ნანგრევები და ერთ დიდ სათავსოს მიაქცია ყურადღება, რომელიც დაახლოებით სიგრძით 18 მეტრი იყო და სიგანით 12 მეტრი, მან ივარაუდა, ეს უნდა იყოს საოსტიგნეო. ეგების ეგრეც იყო, მაგრამ არა წინამძღვრის დარბაზი, როგორც ის ვარაუდობდა, არამედ სასურსათო შენობა.

ამგვარად, ოსტიგანი და საოსტიგნე (ანუ საოსტიგნო) ქართულში ხმარებული სიტყვები იყო VIII—XI საუკუნეებში, განსაკუთრებით მონასტრებში, და ამჟამად არავითარი ეჭვი არ არის, თუ რას ნიშნავდა იგი იმ დროს: ოსტიგანი იყო კელარი, საოსტიგნე კი — საკელრო.

ნ. მარი ცდებოდა იმის გამო, რომ ოსტიგანი უფრო ადრე (საქართველოსა და სომხეთში) აღნიშნავდა სპარსეთის (შემდეგ სახალიფოს) ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელს პროვინციაში, კუთხის უფროსს, მთავარს. სიტყვა ფალაურია წარმოშობით და არაბობის ხანაშიც იხმარებოდა და ჩვენში VIII საუკუნისთვის მიუღია სასურსათო საქმის მეთაურის მნიშვნელობა. ასეთი შეცვლა მნი-

---

[1] გიორგი მთაწმიდელი. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯავახიშვილმა (ძველი ქართულის ენის ძეგლები. 3), 1946, მუხლები 98, 100, 101, 103 და გვ. 107—108.

[2] Г. Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского, стр. XX.

შენელობისა, ალბათ, ასე მოხდა: პირველად *საოსტიგნე* აღნიშნავდა ოსტიგნისთვის, ე. ი. ადგილობრივი მმართველისთვის შესაკრებელ გადასახადს ნატურით (როგორიც არის პური, ღვინო, თაფლი, ზეთი, ხილი და სხვ.), შემდეგ ამ გადასახადის შესანახავ სათავსოს. ეს სახელი («საოსტიგნე») ასეთ სათავსოს მაშინაც შერჩა, როცა ოსტიგნობა გადავარდა. აი მაშინ უნდა შერქმეოდა სასურსათო საქმის გამგეს «ოსტიგანი».

ცხადია, რომ პეტრიწონის მონასტრის წესდების *ოსტიგანი* იგივეა, რაც ხანძთის მონასტრის საოსტიგნის გამგე კელარი; ამიტომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის ტერმინი *ოსტიგანი* თავის ადგილზეა, იგი თავიდანვე უნდა ყოფილიყო და დარჩა.

მეორე მხრით ზემოთ ვნახეთ, რომ «ოსტიგნის» ბადალი სიტყვა ბერძნულ ტექსტში არ შეიძლება «ტანუტერი» ყოფილიყო. მაშასადამე, ცხადია ისიც, თუ სად არის გადაკეთებული პირვანდელი ტექსტი, ქართულში თუ ბერძნულში, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, *რომელი ტექსტი ტყუის, ქართული თუ ბერძნული*.

რაკი დოკუმენტობრივ დამტკიცდა, რომ გადაკეთება წესდების ბერძნულ ტექსტს განუცდია და ისეთი სომხური სიტყვა ჩაუსვამთ («ტანუტერი»), რომელიც ქართულში კი იხმარებოდა, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, რომელიც ტიპიკონში საჭირო, აბა ვინ დაიჯერებს, რომ ამ ტიპიკონის ბოლოს არ იყოს ჩამატებული, თითქოს სომხურადაც დაიწერა ტიპიკონი? ან ვინ დაუჯერებს ასეთ გადამკეთებელს, რომ თითქო სომხურად მოეწეროს ხელი გრიგოლ ბაკურიანს[1], მხურვალე ქართველ პატრიოტს, რომელიც ბერძნებსაც კი არ უშვებდა თავის მონასტერში და რომელიც მეწიეთის მარხვანში ნახსენებია, როგორც «ყოველთა ნათესავთა ჩუენთა მასპინძელი ქართველთა», რომელმაც გიორგი მეფეს გადასცა კარის ციხე (ყარსის ციხე) და მისი მიმდგომი ქვეყანა?

არის კიდევ საკითხები, რომელთაც პ. მურადიანი ეხება ნ. მარზე დაყრდნობით, მაგალითად, თითქო სომხები თავიდანვე იყვნენ პეტრიწონის მონასტერში და თითქო იქ ფსალმუნება სომხურადაც სრულდებოდა, ან კიდევ, რომ პეტრიწონის მონასტრის დაარსების დანიშნულება იყო პავლიკიანთა წინააღმდეგ ბრძოლაო და სხვა, მაგრამ ამათ შესახებ სხვაგან მიწერია[2] და აქ აღარ განვაგრძობ საუბარს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ გრიგოლ ბაკურიანის-ძე იყო ტაოელი ქართველი, სავარაუდებელია ბაგრატიონთა გვარიდან, და თანაც მხურვალე პატრიოტი, რომელსაც ძალიან აწუხებდა ფიქრი, ვაი თუ ბერძნებმა ჩაიგდონ ხელში ეს ჩემი ქართველთათვის დაარსებული მონასტერიო, და წესდების 24-ე მუხლით პირდაპირ აღკვეთა მათი მონასტერში დამკვიდრება. ისტორიამ გაამართლა გრიგოლის შიში: თანდათანობით ამ მონასტერს ბერძნები დაეპატრონნენ და მხოლოდ 1894 წელს გადავიდა იგი ბულგარლების ხელში.

---

[1] გრიგოლის ხელის მოწერის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ იქნება საუბარი.

[2] А. Шанидзе, Великий доместик Запада Григорий Бакурианис-дзе и грузинский монастырь, основанный им в Болгарии. Тбилиси 1970. Издание Тбилисского университета. ეგევე გამოკვლევა გადმობეჭდა ამ წიგნის რუსულ შესავალში.

გრიგოლ ბაკურიანის-ძე რომ ქართველი იყო, ეს გარკვევით არის ნათქვამი ტიპიკონის დასაწყისშივე: «აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა, აღმოსავლელისა და ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ჲ თ ა», 0, 2; გრიგოლს თავი მოაქვს, რომ «ქართველნი ვართ ნ ა თ ე ს ა ვ ი თ მჴნენი და მჴედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი», 0, 4; გრიგოლმა რომ მონასტერი დააარსა ქართველთათვის, ეს არა ერთხელ არის აღნიშნული იმავე ტიპიკონში: «პატიოსანი ესე მონასტერი ქართველთაჲ», 0, 7; «მიმიცემიან მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღმრთისმშობლისა პეტრიწონისადა», 2, 8; «რომელნიცა შევწირენით და მივსცენით წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა და მონასტერსა ქართველთასა პეტრიწონისასა», 2, 14. რომ პეტრიწონის მონასტრის ბერები ქართველები იყვნენ, ესეც გარკვევით არის აღნიშნული: «მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან», 36,2.

ყველა ამის შემდეგ ვისაც რა უნდა, ის ამტკიცოს. პირს ვერავის აუხვამ და ქაღალდიც აიტანს.

5. გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელის მოწერა

საგანგებოდ უნდა განვიხილოთ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის დამფუძნებლის გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელის მოწერის საკითხი.

ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის ამირსპასალარმა სევასტოსმა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ რომ თავის აშენებულ მონასტერს წესდება (ტიპიკონი) დაუწერა ქართულად და ბერძნულად, მან ბერძნული ტექსტი ორ ცალად გააკეთებინა, რომელთაგანაც ერთი პეტრიწონის მონასტერში რჩებოდა, მეორე კი ყოველ შემთხვევისათვის სამეუფო ქალაქში უნდა შენახულიყო, პანაგიის ტაძრის წიგნთსაცავში. სამსავე ცალს (ერთს ქართულს და ორს ბერძნულს) თვითონ გრიგოლმა მოაწერა ხელი, ხოლო ბერძნულ ცალებზე აგრეთვე ხელი მოაწერინა იერუსალიმის პატრიარქს ეფთვიმეს, რომელიც სტუმრად იყო მასთან ფილიპოპოლის პრასტინში. იერუსალიმელი პატრიარქი ალექსი მეფეს გაეწვია თესალონიკში, რომ პატრიარქს მონაწილეობა მიეღო მეომარი ბერძნებისა და ფრანგების გაზავების საქმეში[1]. გრიგოლ ბაკურიანის-ძეს, როგორც ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის (ევროპული ნაწილის) დიდ დემესტიკოსს (ე. ი. მთავარსარდალს), უშუალო კავშირი ჰქონდა საბერძნეთის ომისა და ზავის საქმეებთან და აუცილებლად იქნებოდა საზავო მოლაპარაკების დროს თესალონიკში და იერუსალიმელი პატრიარქი თავის ფილიპოპოლის სასახლეში წაუყვანია სტუმრად, როცა იგი იერუსალიმს

---

[1] ფრანგებად იგულისხმებიან სკანდინავიის ქვეყნებიდან ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში (ნორმანდიაში) ჩასახლებული ნორმანები («ჩრდილოელები»), რომლებიც გაფრანგდნენ და იქიდან XI საუკუნის დასაწყისში თანდათანობით იწყეს დენა სამხრეთ იტალიაში, სადაც ისინი პირველად ადგილობრივ ხელისუფალთა მოურავები და ყმები იყვნენ, ან დაქირავებული მეომრები, შემდეგ და შემდეგ თანდათანობით მაგრად მოიკიდეს ფეხი და ბოლოს თვით გახდნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები. მაგარი ორგანიზაციის წყალობით და შეუნელებელი შეტევითი ბრძოლებითა და ომებით, რომლის დროსაც არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, მათ საფრთხე შეუქმნეს ბიზანტიის იმპერიას ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და სულ გააძევეს სამხრეთ იტალიიდან.

უნდა გაბრუნებულიყო. დიდი დემესტიკოსი პატრიარქს უთუოდ თავის ახლად აშენებულ მონასტერსაც ანახვებდა, აწირვინებდა კიდეც და შეიძლება მისივე დასწრებით მოხდა ტაძრის სატფურება, ე. ი. კურთხევა და მონასტრის საზეიმო გახსნა, რომელსაც უთუოდ მრავალი მიწვეული წარჩინებული პირი დაესწრებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლმა წესდების სამსავე ცალს მოაწერა ხელი (ერთს ქართულს და ორს ბერძნულს). ამის შესახებ წესდებაში ვკითხულობთ: «დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის პატიოსნისა მონასტრისაჲ ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავალეთისა მიდამოჲსა, ძისა ბაკურიანისაჲთა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძულითა და ქართულითა თუესა დეკენბერსა, მეშჳდესა ინდიქტიონსა, დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდა მეათორმეტესა». ეს ქრონიკონი მოცემულია ბიზანტიური სათვალავით, რომელიც დასაბამითგან ქრისტემდე 5508 წელს ანგარიშობდა[1]. მაშასადამე, თუ ამ ქრონიკონს ჩვენს წელთაღრიცხვაზე გადმოვიყვანთ, აღმოჩნდება, რომ ტიპიკონი დაუწერიათ 1084 წელს (6592—5508=1084), დეკემბერში, მეშვიდე ინდიქტიონს, რომელიც სწორედ ამ წელს მოდიოდა[2]. მაგრამ მაშინ ახალი წელი ენკენისთვით იწყებოდა, და არა ოთხი თვის შემდეგ, იანვრით, როგორც დღეს არის. მაშასადამე, ზედმიწევნით რომ ვთქვათ, წესდება დაუწერიათ, ჩვენი ანგარიშით, 1083 წლის დეკემბერში.

ხელმოწერის ადგილი არ არის აღნიშნული, მაგრამ ხელი მოაწერეს უთუოდ ან ფილიპოპოლში, დიდი დემესტიკოსის სასახლეში, ან თვით პეტრიწონის ქართველთა მონასტერში, მგონია, უფრო უკანასკნელში.

შემდეგ გრიგოლ სევასტოსმა და დიდმა დემესტიკოსმა აღნიშნა: «და ქუემოჲთ წარიწერნეს ჴელითა ჩემითა ზემო ჴსენებულისა გრიგოლისითა ყოველნივე ესე ტიპიკონნი, ხოლო ბერძულნი ორნივე წარიწერნეს შემდგომად ჩემისა დაწერილისა წმიდისა პატრიაქისა იერუსალიმელისა ეფთჳმესითა». აქედან ჩანს, რომ გრიგოლს ხელი მოუწერია ქართულ ტექსტზედაც და ორსავე ბერძნულზე, ხოლო ეფთვიმე პატრიარქს — მარტო ბერძნულებზე. და მერე სად არის ეს გრიგოლის ხელის მოწერა ან ქართულ ტექსტზე ან ბერძნულზე? შემონახულია ის, თუ არა?

დავიწყოთ საკითხის გარჩევა ქართული ტექსტიდან, რომელიც, წესდების 33-ე თავის თანახმად, ოთხჯერ უნდა ჩაეკითხათ ყოველ წელიწადს: ღვთისმშობლობასა და სამივე ორმოცა-დღიანი მარხვის დასაწყისში.

გრიგოლის ხელის მოწერა წესდების ქართულ ტექსტში შემონახულია დღემდე, მაგრამ იგი თვით გრიგოლის ხელით კი არ არის შესრულებული, არამედ გად-

---

[1] კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება? (ტ. უ. მ., II, 1922-23, გვ. 392—397).

[2] იგულისხმება წელთაღრიცხვა მცირე ინდიქტიონის მიხედვით, რომლის მოქცევა 15 წელს უდრიდა. იგი შემოიღეს ბიზანტიაში და პირველი მოქცევის პირველი წელი ამ წელთაღრიცხვით 313 წელს დადგა. აქედან მოყოლებული პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის დაწერამდე 772 წელი გავიდა (1084—312=772). ამათგან 765 წელმა შეადგინა 51 მოქცევა (კვიკლოსი, ანუ ციკლი: 15×51=765) და შემდეგ დაიწყო 52-ე მოქცევა. ტიპიკონი დაუწერიათ სწორედ ამ მოქცევის მეშვიდე წელს (765+7=772).

მოღებულია ტექსტის გადმომწერის ხელით მე-13 საუკუნეში დედნიდან, რომელიც 1083 წელს დაიწერა და თვით გრიგოლმა მოაწერა ხელი. დედანზე კი გრიგოლს შეეძლო ხელი მოეწერა ახალი ქართული წერითაც (მხედრულად) და ძველითაც (ნუსხა-ხუცურად). არ ვიცით, რომელი მათგანი იყო მისთვის ჩვეულებრივი სამწერლო ხელი, ვარაუდით კი შეიძლება ვიფიქროთ, რომ მან ხელი მოაწერა მხედრული ასოებით, რომლებიც მის დროს უკვე საკმაოდ დაშორებული იყო სათანადო ნუსხურის მოხაზულობისაგან, რომლისაგანაც იგი გამომუშავდა. მე-13 ს.-ის მწერალმა, რომელმაც იკისრა გრიგოლის ხელის მოწერის გადმოღება დედნიდან, რომელიც ბოლო ნაწილში მის დროს რამდენადმე დაზიანებული უნდა ყოფილიყო[1], ეს ხელის მოწერა გადმოიღო იმავე მწიგნობრული ხელით, რომლითაც მთელი ტიპიკონი გადმოწერა, ე. ი. ნუსხა-ხუცურით, და ნიშნები (ასოები და წერტილები) წითურად გამოიყვანა. ამასთანავე მან პირველი ასო მთავრული დაწერა, სიტყვები ორწერტილით დაყო, ბოლოს კი სამწერტილი დასვა. ამის შემდეგ მან მიაყოლა შავი მელნით დედნისავე ცნობა რვეულთა ვითარების შესახებ («რვეულნი ყოველნი»...)[2] და ამით გაათავა ტიპიკონის დაწერის საქმე.

დამტკიცების ტექსტის წითურად წერა ბიზანტიაში ყოფილა მიღებული: «კეისართა სიგელებს ბოლოში მათი წითურად დაწერილი ხელრთულობა ჰქონდათ და ოქრობეჭედიც შეკიდული იყო[3]»; «სინგურითა და წითლით მარტო სათაურები და საზედაო ასოები კი არ იწერებოდა, არამედ ბიზანტიის კეისრები სინგურს საბუთებში ხელის მოსაწერადაც ხმარობდნენ ხოლმე»[4]. როგორც ჰგავს, გრიგოლ სევასტოსმა ამ ჩვეულების მიხედვით წითურად გამოიყვანა დამტკიცების ფორმულა, რომელიც გადმომწერმა წითურადვე გაიმეორა. მანვე წითურადვე გამოიყვანა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი, შემდეგი ადგილიც: «ხოლო სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა», რადგანაც ეს სიტყვები დედანშიც წითურად იქნებოდა დაწერილი.

როგორც ამ გადმონაწერიდან ირკვევა (გადმონაწერი უთუოდ სარწმუნოა), გრიგოლს ამგვარად დაუმტკიცებია თავისი მონასტრის «წესი განგებისაჲ»:

> მტკიცე: არიან: ზემო: წერილნი: ესე:
> ნებითა: ღ̄ჲთა:

ამ დამტკიცებას აღარ ახლავს «გრიგოლ», ან «გრიგოლ ძე ბაკურიანისაჲ», ან კიდევ «გრიგოლ სევასტოსი და დიდი დემესტიკოსი დასავალეთისა მიდამოჲსაჲ», ან სხვა რამ ასეთი, იმიტომ რომ ეს თავისთავად იგულისხმება, რადგანაც ცოტა ზემოთ ნათქვამია, რომ ქვემოთ წარიწერნეს «ჴელითა ჩემითა, ზემო ჴსენებულისა გრიგოლისითა»-ო.

---

[1] ხელნაწერის ბოლო ნაწილის დაზიანება იმით აიხსნება, რომ უფრო ხშირად იქ იხედებოდნენ, რადგანაც იქ იყო მოთავსებული ცნობა, თუ როგორ უნდა ედღესასწაულათ თორმეტი საუფლო და სამი სატაძრო დღესასწაული.

[2] «რვეულნი» სიტყვის პირველი ასო მთავრულია და წითურად დაწერილი.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. 1926, 148.

[4] ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. 1949, გვ. 46.

გრიგოლის ხელის მოწერას ქართულ ტექსტზე კიდევ დავუბრუნდებით. ეხლა განვიხილოთ ხელის მოწერის საკითხი ბერძნულ ტექსტში. როგორ მოაწერა ხელი თავისი მონასტრის წესდების ბერძნულ ცალებს მისმა დამაარსებელმა? ამის შესახებ უტყუარ ცნობას მოგვაწვდიდა ერთ-ერთი ცალი, რომელიც 1083 წელს დაიწერა და დამტკიცდა: ან ის, რომელიც თვით პეტრიწონის მონასტერში დარჩა სახელმძღვანელოდ და სახელმწიფო ენაზე დამტკიცებულ საბუთად, ან ის, რომელიც კონსტანტინოპოლს გაიგზავნა პანაგიის მონასტერში დასაცავად ყოველ შემთხვევისათვის და საკონტროლოდ. სამწუხაროდ, ეს საკონტროლო ცალი ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება და შეიძლება სამუდამოდ დაკარგულიც იყოს.

ჩვენამდი ვერ მოაღწია ვერც იმ ბერძნულმა ცალმა, რომელიც პეტრიწონში ინახებოდა. ეს ორიგინალი აღარ არსებობს. სამაგიეროდ მოაღწია მისგან გადმონაწერმა, რომელიც დაახლოებით საუკუნე-ნახევრის შემდეგ არის შესრულებული. იგი ამჟამად ხიოსის კუნძულზეა დაცული კორაისის სახელობის ბერძნული აღორძინების ბიბლიოთეკაში ქართული ტექსტითურთ ერთ ყდაში ჩასმული. მას ნომრად 1598 აზის. დიდად სამწუხაროა, რომ არც ამ ძველ ბერძნულ გადმონაწერში მოიპოვება დღეს გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელის მოწერა და არც ეფთვიმე პატრიარქისა, რადგანაც ხელნაწერს ბოლო ფურცელი აკლია, რომელზედაც ამ პირთა ხელის მოწერა იყო.

გრიგოლის ხელის მოწერა არ მოიპოვება არც იმ ტექსტში, რომელიც ბუქარესტის ერთ ხელნაწერთა კოლექციაში აღმოჩნდა და რომელსაც ლუი პეტიტმა მიაკვლია და გამოსცა 1904 წელს. ბუქარესტული ხელნაწერი გადმოწერილია უთუოდ პეტრიწონის ცალიდან მე-18 საუკუნეში[1]. მაგრამ ამ ტექსტს აქა-იქ აკლია და თანაც შეცდომებითაა გადმოწერილი. ამიტომ ლ. პეტიტმა თავისი გამოცემის ზოგიერთ ნაწილში გ. მუსეოსის გამოცემული ახალ ბერძნულად ნათარგმნი ტექსტი გამოიყენა. სხვათა შორის, იქიდანვე ამოიღო მან და დაბეჭდა ცნობა გრიგოლისა და ეფთვიმე პატრიარქის ხელის მოწერის შესახებაც. მაშასადამე, ახალ-ბერძნული თარგმანი ერთად-ერთი ბერძნული ტექსტია, რომელშიც გადარჩენილია ხელის მოწერა ორივე პირისა — გრიგოლ ბაკურიანის-ძისა და მისი სტუმრის ეფთვიმე პატრიარქისა.

ახალ ბერძნულ ენაზე მთარგმნელი პირი უცნობია, თარგმანი კი შესრულებულია 1782 წელს (ამის შესახებ თავშივეა ნათქვამი). რაკი ამ ახალ ბერძნულ თარგმანში დაცულია გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელის მოწერა და აგრეთვე ეფთვიმე პატრიარქისა, ცხადია, მაშასადამე, პეტრიწონის (ამჟამად ხიოსის) ძველ ბერძნულ ხელნაწერში ხელის მოწერის შემცველი ფურცელი ყოფილა მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. როდის ამოვარდა და დაიკარგა ეს ფურცელი, ამისი ცნობა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ეს ახალ-ბერძნული თარგმანი წინათ პეტრიწონში იყო დაცული და უთუოდ პეტრიწონული ტექსტიდან არის ნათარგმნი,

---

[1] ლ. პეტიტი ფიქრობს, რომ ეს არის უეჭველად ის გადმონაწერი (პირი), რომელიც ხრისანთე პატრიარქს წამოუღია 1720 წელს ბაჩკოვოდან, სადაც იგი აღდგომის დღესასწაულზე იყოო (გვ. XXXII).

ამჟამად კი იგიც ხიოსის კუნძულზეა, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გვერდით, 1599 ნომრად [1].

ს. ყაუხჩიშვილმა რომ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების ძველი ბერძნული ტექსტი გამოსცა ორივე მოღწეული ხელნაწერის მიხედვით (ძირითადად ხიოსის ხელნაწერის მიხედვით და ბუქარესტის ტექსტის ვარიანტების ჩვენებით), მანაც, ლუი პეტიტის მსგავსად, გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელის მოწერა გიორგი მუსეოსის გამოცემიდან გადმობეჭდა.

ვიდრე გრიგოლ სევასტოსის ხელმოწერას (ბერძნულ ტექსტზე) უშუალოდ შევეხებოდეთ, მოვიყვანოთ, რა არის ნათქვამი ანდერძში იმის წინ. იქ სწერია [2]: «წინამდებარე ტიპიკონი... დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად 6592 წელს, დეკემბრის თვეში, მეშვიდე ინდიკტიონს, და ხელმოწერილია თვითონ ჩემ მიერ, ე. ი. სათნო გრიგოლის [3] და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ბაკურიანის მიერ სომხური ასოებით და იერუსალიმის უწმიდესის პატრიარქის უფალ ექვთიმის მიერ დასამტკიცებელად და სარწმუნო ყოფად ყველაფერ იმისა, რაც შიგ არის ჩამოწერილი». ცოტა ქვემოთ იკითხება: «დაიწერა ბერძნულად, ქართულად და სომხურად იმიტომ, რომ ამ მონასტრის მონაზვნები ქართველები არიან და არ იციან ბერძნული კითხვა. ამიტომ საჭიროა ეს ტიპიკონი შესრულებული იყოს ქართულადაც და სომხურადაც» [4].

რაც შეეხება მაშენებლის ხელის მოწერას, იგი ასეთია: «მე, გრიგოლ ბაკურიანი, პატიოსანი [5] და დიდი დომესტიკოსი [6] დასავლეთისა, ხელს ვაწერ საკუთარი ხელით პეტრიწონის ღვთისმშობლის სახელობის წმინდა მონასტრის ტიპიკონს».

ჯ ე რ ე რ თ ი: უცნაურია აქ «გრიგოლ ბაკურიანი», ანუ, როგორც ბერძნულ ტექსტშია, «გრიგორიოს პაკურიანოს», რადგანაც გრიგოლი ბაკურიანი კი არ იყო, არამედ ძე ბაკურიანისა, როგორც ეს გარკვევით არის ნათქვამი თავშივე ქართულადაც და ბერძნულადაც:

ქ ა რ თ უ ლ ა დ: «რომელი-ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა

---

[1] ის გარემოება, რომ ეს შედარებით ახალი ხელნაწერის ნომერი უშუალოდ მოსდევს ქართულ-ბერძნულისას, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ერთსა და იმავე დროს მიუღიათ ხიოსის კუნძულზე და ერთად ჩაუწერიათ ბიბლიოთეკის ქონების წიგნში (В. Николаев. Сѫдбата, 292).

[2] თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა (აქაც და ქვემოთაც).

[3] სჯობს, ასე ითარგმნოს: გრიგოლ სევასტოსის (როგორც ტიპიკონის დასაწყისშია ეგევე სიტყვები ნათარგმნი).

[4] აქ ერთი ულოღიკობაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ნათქვამია :«ამ მონასტრის მონაზვნები ქართველებია და არ იციან ბერძნული წერა-კითხვა. ამიტომ საჭიროა, ეს ტიპიკონი დაიწეროს სომხურადაც და ქართულადაც». თუ ბერები ქართველები იყვნენ, განა საკმარისი არ იქნებოდა, რომ ტიპიკონი მხოლოდ ქართულად ყოფილიყო დაწერილი?

ქართულ ტექსტში უფრო გარკვევით არის აღნიშნული, რომ მონაზვნები ეროვნებით ქართველები არიანო («მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან»).

[5] აქაც აჯობებდა, რომ «პატიოსნის» ნაცვლად ყოფილიყო «სევასტოსი», რომელიც ტიტულია.

[6] ქართულ რედაქციაში ყველგან «დომესტიკოსის» ნაცვლად «დემესტიკოსი» იკითხება (ასიმილაციის ძალით).

ყოვლისა დასავალეთისაჲთა, ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა» (0, 2).

ბერძნულად[1]: «ახლახან აშენებულ მონასტერში, რომელიც აღვაშენე მე გრიგოლმა ღვთის ნებით სევასტოსმა და მთელი დასავლეთის დომესტიკოსმა, ღვიძლმა შვილმა ნეტარი ბაკურიანისა, ბრწყინვალე ერისთავთ-ერისთავისა».

ტიპიკონში ბაკურიანი სხვაგანაც არის დასახელებული გრიგოლის მამად; ბერძნულში იკითხება: «დიდი ხუთშაბათის პატიოსანსა და წმიდა დღეს აღესრულოს სახსენებელი ნეტარისა და სახელოვანისა მამისა ჩვენისა ბაკურიანისა, ერისთავთ-ერისთავისა» (21, 11), ქართულადაც იგივეა: «დღესა დიდისა ხუთშაბათისასა საჴსენებელი აღესრულებოდის მამისა ჩვენისა ერისთავთა-ერისთავისა ბაკურიანისათჳს». იგივეა გამეორებული 31, 2-ში, ბერძნული ტექსტით: «ნეტარი მამაჲ ჩუენი ბაკურიანი», ქართულით: «მამისა ჩემისა ბაკურიანისათჳს»[2].

ამ მოწმობათა შემდეგ საკითხავია: როგორ, გრიგოლ სევასტოსსა და დიდ დომესტიკოსს თავისი აგებული მონასტრის წესდების ხელის მოწერისას დაავიწყდა ვითომ, რომ ბაკურიანი მას კი არ ერქვა, არამედ მის მამას? მართალია, იმ დროს გრიგოლი უკვე მოხუცებული ყოფილა, მაგრამ სიბერე იმდენად როგორ მოერია, რომ ზუსტად ვერ აღნიშნა, თუ რა ნათესაური კავშირი იყო მას და ბაკურიანს შორის? მაშინ როგორ მოხდა, რომ ამის შემდეგ იგი კიდევ მთავარსარდლობდა სამი წლის განმავლობაში, ვიდრე ომში დაიღუპებოდა 1086 წელს? თუ კი ტიპიკონის დასაწყისში და აგრეთვე სხვაგანაც ამ დოკუმენტში გრიგოლმა ბაკურიანი მამად გაგვაცნო, ხელის მოწერისას როგორღა მოუვიდა, რომ ეს გარემოება პირდაპირ არ აღნიშნა? მართალია, ბაკურიანი ბერძნებში გვარის სახელად ქცეულა, მაგრამ ხელი ხომ გრიგოლმა მოაწერა და მან როგორ ვერ დაიცვა ზედმიწევნილობა იურიდიულ დოკუმენტში?

მეორე: ბერძნულში მოთავსებული ხელის მოწერის ტექსტი სულ არ ჰგავს სათანადო ტექსტს, რომელიც ქართულს შემოუნახავს ამგვარად: «მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმრთისაჲთა». დოკუმენტის დამტკიცებისათვის სწორედ ასეთი სიტყვები იყო საჭირო.

ყველა ამის გამო უნდა გარკვევით ითქვას, რომ ბერძნული ტექსტით მოღწეული ხელის მოწერა გრიგოლ ბაკურიანის-ძისა დიდად საეჭვოა, საეჭვოა, რადგანაც იგი არსებითად გამეორებაა იმისა, რაც ზემოთ ითქვა: «ხელმოწერილია თვითონ ჩემ მიერ, ე. ი. გრიგოლ სევასტოსისა და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის ბაკურიანის მიერ სომხური ასოებითო».

ეს «სომხური» ხელის მოწერა არ შემონახულა. ის კი, რაც შემოინახა და

---

[1] მოგვყავს ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი. ქართული და ბერძნული ტექსტი ამ ნაწილში მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს.

[2] აღსანიშნავია, რომ ბაკურიან-ი ქართული ფორმაა, სომხურად კი ბაკურან ითქმოდა (*Բակուրան*). მსგავსადვე ქართულად მირიან-ი ითქმის, სომხურად კი — მიჰრან (*Միհրան*, რომელიც მიღებულია სპარს. Mihrān-ისაგან).

ჩვენამდე მოაღწია, ნამდვილად გრიგოლის ხელის მოწერა კი არ არის, არამედ 1083 წლის დედნიდან მე-13 საუკუნეში ვითომც და სწორად ნათარგმნი «სომხურად» დაწერილი სიტყვები და ისიც არა პირვანდელი სახით შემონახული, არამედ მე-18 საუკუნეში გადმოწერილი!

გრიგოლ სევასტოსმა და დასავლეთის დიდმა დემესტიკოსმა უთუოდ ბერძნულ ტექსტებსაც ქართულად მოაწერა ხელი და იმგვარადვე, როგორც ეს ქართულ ტექსტშია: «მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმრთისაჲთა». ამ დამტკიცების ფორმულას ბერძნულ წიგნში შეიძლება მოსდევდა თავის დასახელებაც: «გრიგოლ ძე ერისთავთა ერისთავისა ბაკურიანისაჲ». დამტკიცების ფორმულა ქართულ ტექსტში არის, ბერძნულში — არა.

თუ განვიხილავთ ძველი პერიოდიდან (XI—XII ს.-თაგან) იშვიათად შემორჩენილი საბუთების დამტკიცების ფორმულას, დავრწმუნდებით, რომ იგი წარმოდგენილია ასეთი ვარიანტებით: ვამტკიცებ, მტკიცე არს (მტკიცეა, მტკიცე არიან), დამამტკიცებელი ვარ, დამიმტკიცებია, ჴელითა ჩემითა დამიმტკიცებია და მისთ. ერთი სიტყვით, «მტკიცე» უნდა იყოს ამა თუ იმ სახით, სახელისა თუ ზმნისა. ამასთანავე საბუთის მბოძებელი ზოგჯერ ახსენებს თავის სახელს, ზოგჯერ კი — არა. მაგ., დავით დიდისაგან შიომღვიმის მონასტრისათვის დაწერილ ანდერძს თვით მეფე იწყებს მხედრული ხელით («მე დავითს მიწყიეს»), შემდეგ მწიგნობარი განაგრძობს ხუცურად და ბოლოს თავად მეფე ათავებს ისევ მხედრულად: «სიმტკიცეო ყოველთაო ღმერთო, მტკიცე მტკიცედ უქციე»[1].

თამარ მეფის სიგელს, ბოძებულს შიომღვიმის მონასტრისათვის მისი მეფობის მე-18 წელს, შემოუნახავს, ანტონი ჭყონდიდლის სიტყვით რომ ვთქვათ, «თჳთ საუფლოჲთა ჴელითა» დაწერილი, ხოლო თ. ჟორდანიას დახასიათებას თუ გავიმეორებთ, «წარჩინებულის ხვეულის ასოებით» დაწერილი წინადადება: «ქ. მტკიცე იყოს ღმერთმან შეუცვალებად»[2].

დავით ნარინისაგან მისი მეფობის 32-ე წელს ხეფინისჴეველთა და წაქუელთათვის ბოძებული სიგლის ბოლოს იკითხება: «ქ. მტკიცეა ნებითა ღმრთისაჲთა»[3].

ამის გამო წერდა ი. ჯავახიშვილი: «მეფის ხელრთულობა დამტკიცების ნიშანი და მომასწავებელი იყო, თუნდაც ეს გარემოება ხელრთულობაში საგანგებოდ აღნიშნული არც კი ყოფილიყო»[4].

სწორედ ასეთი ვითარებაა პეტრიწონის მონასტრის გუჯარში. გრიგოლ ბაკურიანის-ძე, როგორც ეს ნათლად ჩანს ტიპიკონის ქართული რედაქციიდან,

[1] თ. ჟორდანია, Завещание грузинского царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре, 1895. მისივე ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, 1896, 14—19; ს. კაკაბაძე, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისათვის დაწერილი; 1912; ა. შანიძე, დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები («ჩვენი მეცნიერება», 8 იანვარი, 1924, 47—48).

[2] თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები, 25—28; ს. კაკაბაძე, შიომღვიმის სამი სიგელი, 1912, 7—8 (ფოტოსურათითურთ).

[3] პალეოგრაფიული ალბომი. დამატება «საქართველოს სიძველეთა» II ტომისა, რვ. I, 1909.

[4] ი. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. 1926, გვ. 115.

ამტკიცებს, მაგრამ თავს არ ასახელებს. მწერალმა გადმოწერა გრიგოლის ხელით დაწერილი ფორმულა «მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმრთისაჲთა» და, როგორც მეტად მნიშვნელოვანი, მან ეს სიტყვები წითურად გამოიყვანა და სიტყვებს შორის ორ-ორი წერტილი დასვა, ბოლოს კი სამწერტილით დაამთავრა.

ამგვარად ირკვევა, რომ გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხელის მოწერა ტიპიკონის ქართული რედაქციის ტექსტზე ნამდვილია, მაგრამ ნამდვილია იმ მხრივ, რომ იგი სწორად და უკლებლივ გადმოწერილი ჩანს დედნიდან, ხოლო ბერძნული რედაქციის ტექსტზე გრიგოლის ხელის მოწერა გააზრებული თარგმანია ვითომც და «სომხური» სიტყვებისა და აშკარად არ შეეფერება დამტკიცების ნამდვილ ვითარებას.

6. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ხელნაწერები

საბერძნეთში, ხიოსის კუნძულზე, კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში, დაცულია ქართულ-ბერძნული ხელნაწერი № 1598, რომელიც შეიცავს პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონს ორ ენაზე: ქართულად და ბერძნულად. ხელნაწერში ჯერ ქართული ტექსტია მოთავსებული (გვ. 1—145) და შემდეგ ბერძნული (გვ. 147—298). ხელნაწერი წინათ (1888 წლამდე?) თვით პეტრიწონის მონასტერში იყო დაცული, თანახმად ამ მონასტრის დამაარსებლის გრიგოლ ბაკურიანის-ძის ბრძანებისა. შემდეგ იგი ბერძენთა ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის მეთაურის კორაისის სახელობის ბიბლიოთეკისთვის გადაეცათ კუნძულ ხიოსზე, რომელიც ბალკანეთის ომებამდე (1912-13 წწ.) ოსმალეთის ფარგლებში იყო, შემდეგ კი საბერძნეთს მიეკუთვნა.

როგორც კი გავიგე დანამდვილებით, რომ პეტრიწონის ტიპიკონის ძველი ხელნაწერი (როგორც მაშინ შეცდომით ვფიქრობდი, დედანი) დაცული ყოფილა ხიოსის კუნძულზე, გადავდგი საჭირო ნაბიჯი მისი ფოტოპირების მისაღებად. ხიოსისთვის რომ უშუალოდ მიგვემართნა, ან ათინის მეცნიერებათა აკადემიის საშუალებით, ეს მაშინ ვერ მოხერხდა; ვერ მოხერხდა ხიოსთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება ვერც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთის განყოფილების საშუალებით. მერმე ამ საქმის მოგვარება თავს იდვა საქ. მეცნ. აკადემიის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა იმავე საქმის შესახებ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინაშე და მან დაავალა თავის «წიგნის განყოფილებას» (Книжный отдел-ს) ამ საქმის გაკეთება. «წიგნის განყოფილებამ» გამოითხოვა, სათანადო წესით და Международная книга-ს მეშვეობით, ჩვენთვის საჭირო ორი ხელნაწერის ფოტოსურათი: ქართულ-ბერძნულისა (№ 1598-ისა) და ახალ-ბერძნული თარგმანისა (№ 1599-ისა). ვერ ავსცდით გაუგებრობას და საქმის შეფერხებასაც: იმის გამო რომ ქართულ-ბერძნული ხელნაწერი (№ 1598) დასახელებულ წიგნსაცავში ჩაწერილი ყოფილიყო სომხურ-ბერძნულად, მოსკოვიდან შემოგვეკითხნენ (1955 წლის მაისში): «თანახმანი ხართ, რომ მიიღოთ 1—73 ფურცლების ფო-

ტოებიო?» აქედან უპასუხეს მოსკოვს: დანამდვილებით ვიცით, რომ № 1593 ხელნაწერის პირველი ნაწილი ქართულია და არა სომხური, მაგრამ, чтобы не смущать библиотекарей на о. Хиос, можно написать им, что нам нужна и «армянская» часть. ეს იყო 1955 წლის აგვისტოში. შემდგომი მიწერ-მოწერის შედეგად [1], რომელიც, რა თქმა უნდა, ეხებოდა სათანადო თანხის გადახდასაც უცხოური ვალუტით, ჯერ მივიღეთ არა მთელი ხელნაწერის ფოტოები, არამედ ბერძნული ნაწილისა, ქართულისა კი მხოლოდ ერთი გვერდი. იძულებული გავხდით, ხელახლა გამოგვეთხოვა (1957 წ. სექტემბერში) ქართული ნაწილის ყველა ფურცლის ფოტოები. ბოლოსდაბოლოს ქართული ნაწილის მიღებასაც ვეღირსეთ.

ძველი ხელნაწერის ფოტოების მიღების შემდეგ (1958 წ.) შევუდგი მისი ტექსტის შედარებას სოფიის ხელნაწერის ტექსტთან, რომელიც გადმოწერილი მქონდა, თავები დაყოფილი მუხლებად [2] და შესწავლილი. გამოირკვა, რომ ხიოსის ხელნაწერი არ არის დედანი, ე. ი. გრიგოლ ბაკურიანის-ძის დროს დაწერილი და მისგან საკუთარი ხელით დამტკიცებული გუჯარი, როგორც ამას წინათ ვფიქრობდი, არამედ მისგან გადმონაწერი, შესრულებული მე-13 საუკუნეში. ისიც გამოირკვა, რომ მასაც აკლია ცოტა და ტექსტი ბოლოში არეულად არის გადმოწერილი. მაგრამ აბა რა შედარებაა იმ ტექსტთან, რომელიც სოფიის ხელნაწერმა მოგვაწოდა და რომელიც სწორედ ამ ძველი ხელნაწერიდან ყოფილა გადმოწერილი მრავალი შეცდომით და სტრიქონების გამოტოვებით!

ა) ხიოსის ხელნაწერი

ხელნაწერის ზომას ვიგებთ იმის საშუალებით, რომ ფოტოგადაღების დროს მეორე ფურცლის წინა გვერდის ქვემო აშიაზე დაუტანებიათ სანტიმეტრიანი საზომი, რომლის მიხედვით დაწერილი გვერდის სიმაღლეა 24 სმ., სიგანე კი 12,5—13 სმ., ზემო და ქვემო აშიის სიფართე, აგრეთვე გარეთასი, სულ ცოტა, ორ-ორი სანტიმეტრი უნდა ვივარაუდოთ, ამდენივე შიგნითა აშიისაც, რომელიც ფოტოზე ნაკლებად არის ასახული. ასე რომ ხელნაწერის ფურცლის ზომა ყოფილა დაახლოებით: სიმაღლით 25 სმ. და სიგანით 17 სმ. (ან ცოტა მეტი ორივე განზომილებით). კ. ამანტოსის ცნობით, იგია 18×26 სმ. და ნაწერისა 12×20 სმ. [3].

აშიებზე მხოლოდ რვეულების ნომრებია მოთავსებული (რვეულის თავსა და ბოლოში) და ტიპიკონის თავთა ნომრები როგორც შესავალში (გვ. 6—12,), სადაც აღნუსხულია ოცდა ცამეტი თავი, ისე თავ-თავის ალაგას (Ⴀ 12, Ⴁ 19 და სხვაგან). რვეულების ნომრის აღმნიშვნელ ასოებს ზემოდან ხაზი არ აზის, თავების ნომრებისას კი აზის (ნიშანი ისეთივეა, როგორიც შემოკლებათათვის იხმარება).

———————

1 მიწერ-მოწერიდან ირკვევა, რომ ხიოსის ბიბლიოთეკას საბერძნეთის განათლების სამინისტროსაგან 1954 წ. აგვისტოში მიუღია ნებართვა, რომ ჩვენთვის ხელნაწერის ფოტოები გადაეღო.

2 ამ დაყოფის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილმაც დაყო მუხლებად მისი გამოცემული ბერძნული ტექსტი.

3 В. Николаев, Съдбата, 287.

ხელნაწერი ზოგან დალაქავებულია, უთუოდ, სინესტისაგან. სინესტეს გაუტანებია რამდენიმე ფურცელში და ლაქა ფურცლის წინა მხარეს მარჯვნივ არის, იმავე ფურცლის უკანა მხარეს კი — მარცხნივ. დალაქავება არსად არ არის ისეთი, რომ ასოების ამოკითხვას, ორიოდე შემთხვევის გარდა, ხელს უშლიდეს. იგი უფრო გარეთა აშიებზეა და აშიასთან ახლო ნაწერ ადგილებში, უფრო მარჯვენა მხარეს (წინა გვერდისთვის), თანაც ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად. 1—7 გვერდების ფარგლებში დალაქავებულა გარეთა აშიის მხარე ზემოდან თითქმის ქვემომდე, აგრეთვე 10—13 გვერდებზე და რამდენადმე შემდეგაც, განსაკუთრებით ფ. 6 (გვ. 11—12); 21—25 გვერდებზე ლაქები ზემო მარჯვენა მხარის კუთხეშია, ეგევეა ზემო მხარეს სხვაგანაც (მაგალითად, გვ. 38—45).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლაქები მე-6 რვეულის ორ წინა ფურცელზე და ორ უკანასკნელზე ნაწერის ზემო მარჯვენა კუთხეში (წინა გვერდისთვის). ამ ლაქების გამო 91—92 გვერდებზე ზოგი ასო არ იკითხება, ხოლო 45 ფურცელზე (89—90 გვერდებზე) ეს კუთხე ჩამოტეხილი აქვს და მცირეოდენი ნაწერი თან გაუყოლებია. ამ გზით დაღუპული ასოები და სიტყვები (საბედნიეროდ, ცოტა) გამოცემაში აღდგენილია და კავებშია ჩასმული.

ზემო კუთხეში დალაქავება შემდგომაც არის (გვ. 93—98). იგი უფრო მეტი ზომით იწყება კვლავ 105-იდან 112-მდე და მერმეც, უფრო კი 121—130-ზე, ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებად.

რამდენადაც შეიძლება იმსჯელოს კაცმა ფოტოების მიხედვით, ეტრატის ფურცლები აქა-იქ ჭიისაგან არის გაჭმული, უფრო ზემო და გარეთა აშიების მხარეს.

ტექსტი ნაწერია შავი მელნით, სათაურები კი წითურით, რომელიც ფოტოზე მკრთალად გამოსულა. წითურადვეა ნაწერი აბზაცის დასაწყისი ასოები და ზოგჯერ მომდევნო სიტყვისაც ან, იშვიათად, მთელი მომდევნო სიტყვაც.

ტექსტი ნაწერია ლამაზი გაკრული ხელით. მთელი წიგნი ერთი გაწაფული მწიგნობრის მიერაა დაწერილი. ქარაგმა ხშირად იხმარება სიტყვათა შესამოკლებლად.

განკვეთილობის ნიშნებად ნახმარია წერტილები: ერთი, ორი და სამი. ერთი წერტილი ზოგჯერ დღევანდელი მძიმის მნიშვნელობითაა ნახმარი, მაგრამ ამ მნიშვნელობით უფრო ორწერტილი იხმარება, რომელიც აგრეთვე წინადადებასაც აბოლოვებს. სულ ბოლოს, აბზაცის (ან ფრაზის) დასასრულს, სამწერტილი ზის.. სანიმუშოდ ნაჩვენებია რამდენიმე გვერდი ტაბულებზე (ტაბ. 3—9).

ხელნაწერის სამკაული, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ წიგნი ორ ფერად უწერიათ: სათაურებისა და აბზაცების დასაწყისი ასოები — წითურად, დანარჩენისა კი — შავად. ამას გარდა, პირველ გვერდზე, ზემო თავში, კამარა ახურავს ტექსტს. კამარა წარმოადგენს წნულს, რომელიც შედგება ირიბად ამავალ-დამავალისა და ერთმანეთში მონაცვლეობით გაყრილი ზოლებისაგან. იგი მოთავსებულია ორ ხაზს შორის. კამარის დაშვებული მოკლე ბოლოები პირველი სტრიქონის ბოლომდე დადის და მარჯვნივ და მარცხნივ აშიებზე გადადის. მისი სიგრძეა 14,8 სმ., სიფართე წნულისა — 1,8 სმ. (ტაბ. 3).

თვითეულ გვერდზე 22 სტრიქონია. არ შემინიშნავს, რომ სადმე დარღვეული იყოს ეს წესი, გარდა სამი შემთხვევისა: 1-ლ გვერდზე, დასაწყისში, კამარის ქვა-

მო 19 სტრიქონია დატეული, 142-ზე ანდერძი თავდება და იქ მხოლოდ 12 სტრიქონია დაწერილი (შემდეგ მოსდევს მერმინდელი მინაწერები დოსითეოს პატრიარქისა და ახალციხელი მღვდლის იოანე მარკოზისშვილისა), ხოლო 145 გვერდზე საერთოდ თავდება ქართული ტექსტი და იქ მხოლოდ 13 სტრიქონია დაწერილი. თუ სტრიქონი სათაურის ან აბზაცის ბოლოს არ არის სრული, იგი ამოვსებულია სამწერტილოვანი ნიშნებით, რომელთაგანაც ერთი ნიშანი შავია, მეორე წითელი და ფერების მიხედვით ენაცვლებიან ერთმანეთს: გვ. 1, 15, 37, 47, 53, 64, 71, 104, 105, 130, 136, 138, 139, 142, 144 (ორჯერ), 145. მე-12 გვერდზე სტრიქონის ამოსავსებად ჯერ სამი წერტილია (შავად) და შემდეგ ჩამწკრივებულია 10 ნიშანი, რომლებიც გაკეთებულია თავ-ბოლო წერტილიანი ხაზისაგან, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ თითო წერტილი აქვს დასმული შუაზე. ასეთი ნიშნები, რიცხვით 21, ერთ სტრიქონზე (ფერების მონაცვლეობით ჩამწკრივებული) ამთავრებს ტიპიკონის ტექსტს სულ უკანასკნელ გვერდზე (გვ. 145).

ხელნაწერის სამკაულადვე უნდა ვიცნოთ აგრეთვე ხერხი ერთ ასოში მეორის ჩასმისა აბზაცის დასაწყისში: Ⴇⴒ 22, 48 (ორჯერ), 50; Ⴚⴃ 1, 45; Ⴍⴤ 75, 79[1]. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოკლე ფეხზე შეყენებული მთავრული Ⴗ ასოს თავი, რომელიც კიბის საფეხურებივით არის გამოყვანილი ისე, რომ ეს თავი გაშლილია ზემოთ და ვიწროვდება ძირისკენ (გვერდი 8, 9, 71). ნახე ტაბულაზე გვ. 71.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მთავრული Ⴋ-ანის ზემო ხაზი მოკლეა: (Ⴋივეც 21); მთავრულ Ⴂ-ანის ფეხი ორ-საფეხურიანია და ოდნავ დაქანებული მარჯვნივ. უ-ნის ნიშანი ერთი ასოა, იგი ოთხ-ხაზიანია, რომელთაგანაც უკანასკნელი ოდნავ მაღალია დანარჩენებზე და მოხრილად ჩამოდის ქვეშ.

წინ გამოშვერილი ხაზები ასოებს წერტილით ეწყება, როგორიცაა: ⴒ ⴅ ⴄ ⴇ ⴈ ⴍ ⴓ ⴗ ⴕ ⴄ ⴕ ⴟ ⴍ, მაგრამ, თუ ისინი სხვა ასოებზეა გადაბმულად დაწერილი, წინა წერტილები ეკარგებათ.

ⴃ ასოს, თუ წინას გადაება, ეკარგება ზემო ხაზი (აღსრულებად 18, 18); უდაბნოჲ (30, 13), ზიარად (95, 18). ⴌ ასოს ზემო ხაზი ოდნავ ირიბად აუდის და ბოლო ძირს დაშვებულ მსხვილ წერტილად უთავდება.

ძალიან ჰგავს ერთმანეთს ბ და შ (ⴁ ⴘ) და ძნელი გასარჩევია. მართალია, საერთოდ ბ ასოს უფრო გამობერილი აქვს მუცელი, მაგრამ მათ გასარჩევად გვშველის სიტყვის მნიშვნელობის დადგენა, მაგ., შ და ბ თითქმის ერთნაირადაა გამოყვანილი «აღშენებულსა» სიტყვაში (გვ. 1, სტრ. 14) ან «ქსენადოშებითა»-ში (გვ. 24, უკანასკნელი სტრიქონი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია მერვე ასო, რომელსაც მარჯვენა ფრთა ზემოთ აუდის, ხაზს ოდნავ ასცილდება და რამდენადმე ⴣ-ანს მოგვაგონებს[2]. ეს მერვე ასო იხმარება, ჯერ ერთი, თავებისა და რვეულების სათვალავში და, მერმე, უე ჯგუფის გადმოსაცემად: უკუⴓ, წუⴓრითა, აღმოკუⴓთილი, უჩუⴓნებდენ, შუⴓნი-

[1] სათანადო ლიგატურების უქონლობის გამო სტამბაში, წინა ასოში ჩაწერილი მომდევნო ასო აქ გარეთ არის გამოტანილი.

[2] ეს თავისებურება სოფიის ხელნაწერშიც არის გამეორებული, რის გამოც მ. თარხნიშვილს «ჰⴓ და» (2, 16, იკითხე «ჰე და») ჰ ხ დ ა-დ წაუკითხავს (Ⴈ 15, 15).

ერად, გუჱგულების, განსუჱნებაჲ და სხვ. ერთად-ერთი გამონაკლისია «სათუენი» (34ა, 36).

ამ პალეოგრაფიულისა და ორთოგრაფიული ნიშნების მიხედვით მგონია, რომ ხელნაწერი მე-13 საუკუნეში უნდა იყოს გადმოწერილი დედნიდან.

წიგნი რვა-რვა ფურცლიანი რვეულებისაგან არის შემდგარი და მისი ფურცლები აღრიცხულია რვეულებრივ, ფურცლობრივ და გვერდობლივ. პირვანდელია რვეულებრივი აღრიცხვა. რვეულს რიცხვის ნიშანი მთავრული ასოებით აქვს გაკეთებული პირველი ფურცლის წინა გვერდის ზემო აშიაზე, შუაში, და იგივე რიცხვი გამეორებულია მერვე ფურცლის უკანა გვერდის ქვემო აშიაზე, ისიც შუაზე. რვეულის ნომრის აღმნიშვნელი ასოები ლიტონად არის დაწერილი, უხაზოდ თავზე, მაშინ როდესაც ბერძნულ ნაწილში (რამდენადაც კი რვეულების ნუმერაცია აქა-იქ გადარჩენილა რვეულის უკანასკნელი ფურცლის უკანა მხარის ქვედა აშიაზე ფოტოფურცლების აკინძვის დროს აშიების ჩამოჭრის გამო) ასოებს ხაზი აქვს თავზე ქარაგმისებრ.

ფურცლობრივი ნუმერაცია არაბული ციფრებით არის შესრულებული, ალბათ, მე-19 საუკუნეში. ნომრის აღმნიშვნელი ციფრები მოთავსებულია ზედა და გარეთა აშიის შესაყარს ადგილას, პირველი სტრიქონის ოდნავ ზემოთ წინა გვერდზე. ციფრები მკრთალი მელნით (თუ ფანქრით) არის დაწერილი და ფოტოზე ზოგჯერ არც კი ჩანს. ქართული ტექსტის ფარგალში აღრიცხულია 73 ფურცელი. ეს აღრიცხვა რომ გაუკეთებიათ, მე-6 რვეულის 1-ლი და მე-2 ფურცელი (და აგრეთვე მათი განაკეცი ცალები: მე-8 და მე-7) თავ-თავის ადგილას ყოფილა. ეს ფურცლობრივი აღრიცხვა განგრძობილია ბერძნულ ნაწილშიც (74, 75, 76, 77 და შემდგომი).

ფოტოგადაღების დროს თვითეული გვერდი აღურიცხავთ მექანიკურად (სანუმერაციო საბეჭდავით) ზემო აშიის შუა ადგილას: 01, 02, 03, 04, 05 და შემდგომი. ნულები რიცხვებს უძღვის ასამდე, მერმე კი არა: 098, 099, 100, 101, 102 და შემდგომი.

ქართული ტექსტი მთავრდება 73 ფურცლის წინა (145-ე) გვერდზე და მეორე გვერდი თავიდან ცარიელი ყოფილა, მაგრამ შემდეგ ბერძნებს გამოუყენებიათ მონასტრის თანამდებობის პირთა სიის ჩამოსაწერად. მას ფოტოზე ნომრად აზის 146. შემდეგ კი ბერძნული ტექსტი იწყება და პაგინაცია იმავე წესით არის განგრძობილი: 147, 148, 149, 150 და შემდგომი.

ამ გამოცემაში ტექსტი ნაჩვენებია ამ პაგინაციის მიხედვით და ირკვევა, რომ პირველი რვეული ნაკლულია. მას ორი წინა ფურცელი აკლია და ტექსტი მესამე ფურცლიდან იწყება. იმ ორ დაკარგულ ფურცელზე შეიძლება მოთავსებული იყო სურათები მონასტრის მაშენებლის გრიგოლ ბაკურიანის-ძისა და მისი ძმის აბაზ მაგისტროსისა, ან პეტრიწონის მონასტრის სურათი, ან კიდევ ისიც და ესეც: ბაკურიანის-ძეებისაცა და მონასტრისაც [1].

---

[1] მონასტრის ნაცვლად შეიძლება ყოფილიყო ღვთისმშობელი, რომლის სახელზედაც იყო აშენებული მთავარი ეკლესია. არაა გამორიცხული იოანე ნათლისმცემლისა და წმიდა გიორგის სურათიც.

ორი წინა ფურცლის კლების გამო პირველი რვეული მე-6 ფურცლით თავდება: ოვეულის აღსანიშნავი ნომერი Ⴀ მე-12 გვერდის ქვედა აშიაზეა დასმული. შემდგომი რვეულები სრულია მეცხრემდის: Ⴁ 13—28, Ⴂ 29—44, Ⴃ 45—60, Ⴄ 61—76, Ⴅ 77—92, Ⴆ 93—108, Ⴇ 109—124. აღსანიშნავია ოღონდ, რომ მე-Ⴅ რვეულის ორი წინა ფურცელი (მათი უკანა განაკეცებითურთ) ერთი მეორის ადგილას ყოფილა ფოტოგადაღების დროს, აი აგრე: ფ. 40, 39 და 46, 45 (გვერდები სათანადოდ: 79/80, 77/78 და 91/92, 89/90). ეს ფურცლები გადავსვი და ტექსტი სათანადოდ გავმართე, რის გამოც მივიღეთ: 39, 40, 45, 46 (გვერდები სათანადოდ: 77/78, 79/80, 89/90, 91/92).

მე-Ⴈ რვეულს აკლია ორი ფურცლის შემდეგ (ე. ი. 128-სა და 129 გვერდებს შორის), ყოველ შემთხვევაში, ერთი ფურცელი, მესამე, და ალბათ მისი განაკეციც, მეექვსე. მესამე ფურცელზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული შეწირულებათა სიის განგრძობა, სადაც ჩამოთვლილი იქნებოდა სამღვდელო შესამოსლები, შანდლები, დროშები და ოთხფეხი ცხოველები, რაც ბერძნულ ტექსტში მოიპოვება (ს. ყაუხჩიშვილის გამოცემით გვ. 245, 9—246, 20) და რაც ამ ნაწილის სათაურიდანაც იგულისხმება, რომელიც 125 გვერდზეა მოყვანილი. ტექსტს აკლია, აგრეთვე, შემდგომი სიის სათაური («ოქრობეჭედთათჳს, რომელნი დაცვულ არიან სამეუფოსა ქალაქსა, დიდსა შინა ეკლესიასა») და ამ სიის პირველი ნომერი (სამი ოქრობეჭედი: ანისისა, ტაოსა და ჩორმერისის პრასტინთათჳს).

შემდეგ მოდის სამი ფურცელი: 129/130, 131/132, 133/134 და ტექსტიც უწყვეტელია. ამის შემდეგ კი არეულია ტექსტი, რაც უთუოდ იმის ბრალია, რომ დედანი, საიდანაც გადმოიწერეს, უკვე წესრიგში არ იყო. აქ 135/136 ფურცლის წინა გვერდის მესამე სტრიქონზე იწყება და უწყვეტლად მიდის ორსავე გვერდზე ტიპიკონის დამტკიცების ტექსტი, ხოლო შემდგომ განგრძობას ორი ფურცლის გამოტოვებით ვიპოვით 141/142 ფურცელზე, სადაც მთავრდება დამტკიცების ტექსტი და მოსდევს მინაწერები იერუსალიმის პატრიარქების დოსითეოსისა და ხრისანთესი და ახალციხელი მღვდლის იოანე მარკოზისშვილისა.

შემდგომი სამი გვერდი 143, 144 და 145 უკავია დღესასწაულების გადახდის ტექსტის დასასრულს, მისი სათაური და დასაწყისი კი მოიპოვება 140 გვერდის ბოლოს, სადაც თავდება შეწირული ჭიქების სია, და გადადის 137/138-ზე. ასე რომ დღესასწაულების გადახდის ტექსტი და ტიპიკონის დამტკიცების ტექსტი ერთმანეთშია გარეული, რაც უთუოდ იმის გამოა, რომ დედანი, საიდანაც ტექსტი გადმოიწერეს, ბოლო ნაწილში ფურცლებ-არეული ყოფილა. მოღწეული ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, რომ ჯერ უნდა იყოს დამტკიცების ტექსტი და შემდეგ კი, თუ როგორ უნდა გადაიხადონ დღესასწაულები, რადგანაც ბერძნული ტექსტი სწორედ უკანასკნელს მოსდევს. მაგრამ თავდაპირველად შეიძლება დღესასწაულების ამბები წინ იყო და მას მოსდევდა დამტკიცება. ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა თვით ხელნაწერის გაუშინჯველად ძნელია.

ტიპიკონის ტექსტში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ დღესასწაულების გადახდის წესი ამ ტიპიკონის ბოლოს («დასასრულსა ამის ტიბიკონისასა») არის მოთავსებულიო: „«ეგრეთვე დიდ-დიდთაცა მოწამეთა და წმიდათა საჴსენებელი და იგივე გლახაკთა მიმართ ქველის საქმისა მიცემაჲ, რომელი განთჳსებულად ყო-

ველთა დღესასწაულთა განგჳწესებიეს, თჳთოეულსა დღესასწაულსა ნუმცა დაიხრწევის, რომლისა საზომი დ ა ს ა ს რ უ ლ ს ა ამის ტიბიკონისასა დაგჳწერიეს სახელ-დებით თჳთოეულისა დღესასწაულისაჲ» (11, 2). მაგრამ «დასასრული» გუჯრის დამტკიცების წინაც შეიძლება ვიგულისხმოთ და მის შემდეგაც.

აღსანიშნავია, რომ ეს მითითება ბერძნულ ტექსტშიც მოიპოვება და სავარაუდებელია, რომ გრიგოლ ბაკურიანის-ძის დადგენილი 15 დღესასწაულის შესრულების წესი თავდაპირველად ბერძნულ რედაქციაშიც იქნებოდა, მაგრამ მას ჩვენამდე არ უნდა მოეღწიოს[1]. იგი მხოლოდ ქართული ტექსტით არის შემონახული.

აქ ერთი საკითხია გასარკვევი: ანდერძის ბოლოს იკითხება: «რვეულნი ყოველნი რვითა ფურცლითა არიან და არა არს მათ შინა აღმოკუეთილი და ნუცაღა ვინ იკადრებს აღმოკუეთად» (გვ. 142). საკითხავია: რას მიეკუთვნება ეს სიტყვები, მოღწეულ ხელნაწერს, თუ დედანს, საიდანაც იგი გადმოწერეს? მე მგონია, აქ იგულისხმება დედანი, რომელსაც გრიგოლ ბაკურიანის-ძემ მოაწერა ხელი[2] და რომელშიც ასეთი სიტყვები უნდა წერებულიყო.

რვა-ფურცლიანობა და ფურცლის ამოუკვეთლობა მოღწეულ ხელნაწერსაც შეეხება, რადგანაც იგიც რვა-რვა ფურცლიანი რვეულებისაგან არის შემდგარი. დედანში «აღმოკუეთილი» ფურცელი, რა თქმა უნდა, თავიდან არ იქნებოდა, მაგრამ ამ გადმონაწერში, როგორც ვთქვით, წინა ორი ფურცელი უთუოდ ამოკვეთილია. ამას გარდა, ბოლო ნაწილშიც აკლია მას რამდენიმე ფურცელი.

ამ გამოცემაში შეწირულებათა შემდეგ ჯერ დამტკიცების ტექსტს ვათავსებთ და შემდეგ — დღესასწაულთა გადახდისას.

რვეულთა ვითარების ცნობის შემდეგ ხიოსის ხელნაწერში მოიპოვება იერუსალიმის დოსითეოს პატრიარქის ხუთ-სტრიქონიანი ბერძნული მინაწერი (1669 წლისა), რომელსაც მეექვსე სტრიქონად ქართული ხელმოწერა აქვს:

ქ. იეროსოლიმონ: დოსითეოს:

[ნახე სურათი, ტაბ. 9].

ამის შემდგომ არის იოვანე ახალციხელი მღვდლის მინაწერი ქართულად (ნუსხური ხელით), ხოლო ამავე გვერდის შიგნითა აშიაზე ზემოდან ქვემოთ ერთ სტრიქონად ხრისანთე პატრიარქს აღუნიშნავს თავისი ყოფნა პეტრიწონის მონასტერში (მინაწერი 1720 წ. აპრილში).

უნდა ვიფიქროთ, რომ დედნის ქართული ტექსტი ცალკე წიგნი იყო და ბერძნულისა—სხვა ცალკე წიგნი. შეიძლებოდა ერთ ყდაში მოექციათ ორივე, როგორც

---

[1] ბულგარულ ლიტერატურაში მოიპოვება ცნობა, რომ მეორე მაშენებელმა (გრიგოლმა თუ გიორგიმ), რომელმაც მე-17 საუკუნის დასაწყისში განაახლა პეტრიწონის მონასტერი, ტიპიკონის ბერძნულ ნაწილში აღნიშნა, რომ მან ეკლესიისა და მონასტრის განახლებასთან ერთად შეცვალა წესდება, დააწესა ახალი სამონასტრო დღესასწაული, შეუცვალა მონასტერს სახელი (ალბათ, პეტრიწონის ნაცვლად ბაჩკოვოსი უწოდა. ა. შ.) და ახალი სარგო გაუჩინა ბერებს და სხვ. იმავე ხელნაწერში საუბარია, რომ რამდენიმე გვერდი ამ ახალ წესდებაში ჩაწერილია ორიგინალისაგან განსხვავებით (В. Николаев. Съдбата, 293). მაგრამ ამ გვერდების ფოტოპირები თბილისში არ მოსულა.

[2] რაც შეეხება თვით ხელის მოწერას, ამაზე ზემოთ არის საუბარი (გვ. 33—40).

მოღწეული გადმონაწერებია ერთ ყდაში, მაგრამ რვეულთა რაოდენობა ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყო აღნუსხული ორსავე რედაქციაში, როგორც ახლაც არის ორივე რედაქციის გადმონაწერში. ბერძნული რედაქციის რვეულები ხიოსურ ხელნაწერში ქართული ასოებით ყოფილა დანომრილი, მაგრამ ნომრები აქა-იქ გადარჩენილია (ისიც მხოლოდ ქვედა აშიაზე, რვეულის უკანასკნელ გვერდზე), რადგანაც ფოტოპირების ყდაში ჩასმის დროს აქ, თბილისში, როგორც ვთქვით, ფართო აშიები ჩამოუჭრიათ. გადარჩენილი ნომრებია: Ⴃ 193, Ⴈ 209, Ⴉ 225, Ⴁ 241. მიკვირს, რად მოხვდა ეს ნომრები კენტ გვერდებზე (და არა წყვილებზე). საქმის ვითარების გარკვევა ძნელია, რადგანაც ხელნაწერი ხელთ არა გვაქვს.

პირვანდელი ქართული დედნის შესახებ ერთი ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ: თითქო იქ უნდა წერებულიყო «შირნიმოქსესტი», რომელიც გადმომწერს შეცდომით «შრინიდოქსესტად» გადმოუღია (140, 2), რაც ნუსხახუცური ẟ და ẟ ასოების მსგავსებით აიხსნება. ეს შეცდომა სოფიის ხელნაწერშიც არის გამეორებული (129, 12). ნ. ლექსიკონში გვ. 220.

რა შეიძლება ითქვას მოღწეული ხელნაწერის ბოლო რვეულების შესახებ? — საქმის ვითარება დღეს ასეთია: 64 ფურცლის (ანუ 128 გვერდის) შემდეგ ტექსტი წყდება, დაწყებულია შეწირული სამღვდელო შესამოსლების ჩამოთვლა, მაგრამ თვით შესამოსლები აღარ არის. აქ უთუოდ აკლია ერთი ფურცელი მაინც, რომლის წინა გვერდის ზემო აშიაზე უნდა ყოფილიყო რვეულის ნომერი Ⴇ და ამ ნომრითვე უნდა აღნიშნულიყო მისი განაკეციც (ე. ი. მერვე ფურცელი) უკანა გვერდის ქვემო აშიაზე. ეს ნომერი (Ⴇ) თითქო მოიპოვება 142 გვერდზე მღვდელ იოვანე მარკოზისშვილის მინაწერის მეოთხესა და მეხუთე სტრიქონს შუა, «კალენიკე» სახელის თავზე [1]. მაშასადამე, იგი მე-9 რვეულის უკანასკნელი გვერდია. მეათე რვეულის პირველი ფურცლის ნომერი Ⴈ 139 გვერდზეა, მისი განაკეცი კი არ ჩანს. საერთოდ, მე-9 და მე-10 რვეულისაგან მოღწეულია სულ 9 ფურცელი, რომლებზედაც ტექსტი არეულად არის გადმოწერილი. ჩვენ ეს ტექსტი ასე დავაწყვეთ ამ გამოცემისთვის: შესამოსლების ხსენების შემდეგ ჩავრთეთ 139/140-ზე მოთავსებული შეწირულებანი: 1) «და რომელი სხუაჲ მივეცით პატიოსანსა და წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა», 2) «მივსცენ ჭიქისაცა ჭურჭელნი პატიოსანნი», რის შემდეგ აკლია ფურცელი, სადაც «ოთხფერჴთათჳს» უნდა ყოფილიყო მოთავსებული და მერე მივაყოლეთ «ოქრობეჭედთათჳს», რომელსაც თავში ცოტა აკლია (გადარჩენილია პირველი მუხლის უკანასკნელი სიტყვის ბოლო). მისი განგრძობა იწყება 129-ზე და უწყვეტლივ მიდის შვიდი გვერდის მანძილზე და თავდება მერვეზე მეორე სტრიქონით (129/130, 130/131, 132/133, 134/135, 1—2).

135-ის მესამე სტრიქონზე კი იწყება ტიპიკონის დამტკიცება, რომლის ტექსტი უკლებლივ არის შემონახული ორ ფურცელზე ასეთი თანამიმდევრობით 135/136, 141/142.

რაც შეეხება დღესასწაულების გადახდის ტექსტს, იგიც სრულია და ხელნაწერში ასეთი თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი: 140, 18—22 (ე. ი. ამ გვერდზე მას უკავია ხუთი უკანასკნელი სტრიქონი, ოთხი მათგანი წითურად), 137/138, 143/144, 145, სულ ხუთი სრული სტრიქონი და ხუთი სრული გვერდი.

[1] ეს ნომერი სოფიის ხელნაწერშიც გადაუტანიათ იმავე ადგილას!

ხიოსის ქართული ტიპიკონის მინაწერები

1669 წლის ოქტომბერში პეტრიწონს სწვევია იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს, რომელსაც ქართული წერა-კითხვაც სცოდნია. მას ტიპიკონის ქართული ტექსტის ბოლოს 142 გვერდზე შემდეგი მიუწერია ექვს სტრიქონად[1] (მეექვსე სტრიქონი ქართულია):

Δοσίθεος ἐλέῳ Θεοῦ πατριάρχης Ἱεροσολύμων ἐνταῦθα ἀφιχθεὶς ἀποφαίνομαι ἐν ἁγίῳ πνεύματι, εἴ τις ὅποιος καὶ ἂν εἶναι, τὰ βιβλία ταῦτα τὰ τυπικὰ τῆς μονῆς ἀποξενώσει ἀπεντεῦθεν, νὰ εἶναι ἀσυγχώρητος καὶ ἀφωρισμένος καὶ ἀναθεματισμένος(;) 1669 'Οκτ. 15. [ტაბ. 9].

ქ იეროსოლიმონ:. დოსითეოს:

ბერძნული ამას ნიშნავს:

«დოსითეოს, წყალობითა ღმრთისაჲთა პატრიარქი იერუსალიმისაჲ, აქა მოსრული განვაცხადებ[2] სულითა წმიდითა: უკუეთუ ვინ და რამანცა გუარმან კაცმან წიგნნი ესე ტიპიკონნი მონასტრისანი განაჴუნეს ამიერ, იყავნ შეუნდობელ, მოკუეთილ და წყეულ! 1669 ოკტ. 15».

საინტერესოა, რომ დოსითეოს პატრიარქი ქართულად აწერს ხელს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იერუსალიმის საპატრიარქოს არსებობა ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოსაგან, სადაც მას მეფეთაგან შეწირული მამულები ჰქონდა. პატრიარქის სადაურობა აქ ბერძნული ფორმითაა მოცემული (იეროსოლიმონ).

ხოლო 1720 წლის აპრილში პეტრიწონს სწვევია იერუსალიმისავე პატრიარქი ხრისანთე, რომელსაც იმავე გვერდზე შიგნითა აშიაზე (ზემოდან ქვემო მიმართულებით) მიუწერია ერთ სტრიქონად თავისი დასტური დოსითეოს პატრიარქის გამოთქმული აზრისა:

Ὁ Ἱεροσολύμων ἐλέῳ Θεοῦ πατριάρχης Χρύσανθος συναποφαινόμεθα 1720 μηνὶ 'Απριλίῳ ζ.

ეს ნიშნავს:

«წყალობითა ღმრთისაჲთა პატრიარქი იერუსალიმისაჲ ხრისანთე თანაგანვაცხადებთ. 1720 თუესა აპრილსა ზ».

დოსითეოსის მინაწერს მოსდევს მარკოზისშვილის მინაწერი ნუსხური ხელით. იოვანე მღვდელი ქარაგმებს ხმარობს, რომლებიც აქ გახსნილია:

«ქ. და მე ფრიად ცოდვილმან და ყოვლისა კაცისა უარესმან და ცოდვილმან იოვანე მღდელმან მარკოზის შვილმან ახალციხელმან მოვ[ე]ლ და წიგნები წავიკითხე თვესა აღვსტოსა, ამ წ[ე]ლსა რომ კალენიკე პატრიაქი რომ მოკუდა, გაბრიელ დაჯდა პატრიაქად. ვინცა შენდობა გვითხრათ, თქვენცა შეგინდნეს ღმერთმან. ამინ».

ამ მინაწერს მ. თარხნიშვილი გაეცნო სოფიის ხელნაწერის მიხედვით და დაასკვნა, რომ აქ მოხსენებულია კალენიკე II. რომლის გარდაცვალების შემდეგ იერუსალიმის საპატრიარქო საყდარი გაბრიელ III-მ 1702 წელს დაიპყრა. მა-

---

[1] ბერძნული მინაწერები მოგვყავს იმ სახით, როგორც მას კითხულობს კ. ამანტოსი (*Χειρόγραφα, 236*). [2] = გამოვთქვამ ჩემს აზრს.

შასადამე, მარკოზისშვილის მინაწერი ამ წელს ეკუთვნისო. მან ისიც დასძინა, რომ, რაკი მინაწერი იმავე ხელითაა შესრულებული, რომლითაც დაწერილია მთელი სოფიის ხელნაწერი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონისა, თვით ეს სოფიის ხელნაწერი 1702 წელს არის გადაწერილიო [1]. ეს უკანასკნელი კი შეცდომაა, რომელიც ჯერ ვ. ნიკოლაევმა გაიმეორა [2] და შემდეგ -- ს. ყაუხჩიშვილმა [3].

1-ლი გვერდის ქვემო აშიაზე გვიანდელი საუკუნის ხელით: ***Ես(ս) քըրրիցի արու-թի՛ գեսեմ***(?) ***որդի խաչում*** (მე ქურიელი (?) არუთინ გესემ (?) ძე ხაჩუმ(ისა)». ეს უთუოდ ახლო ხანში(მე-17—მე-18 ს.?) მიუწერია ვიღაც უცნობ პირს, რომელიც ალბათ სალოცავად იყო მისული მონასტერში.

შეწირულებათა ნაწილის სია, რომელიც ქართულ ტექსტს აკლია

რადგანაც პეტრიწონის წესდების ქართულ ტექსტს აკლია ფურცლები, აქ მოვიყვანთ ბერძნული ტექსტიდან შეწირულებათა სიის დანაკლისს, რაც დაკარგულ ფურცლებზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული, როგორც ეს ს. ყაუხჩიშვილმა თარგმნა:

სამღდელოჲ შესამოსელი [1]: 1) სამი ომოფორი, რომელთაგან ერთზეა ხატი მარგალიტებიანი. 2) სხვა ომოფორი სიმენტისა. 3) აგრეთვე სხვა სამი ომოფორი აბრეშუმისა.

[**სხუანი საჭმარნი**]: 1) სპილენძის შანდლები დიდი თორმეტი და სხვა პატარა ორი. 2) კანკელის მთლიანი შანდალი ერთი თავის შანდლებითურთ და სხვა პატარა ორი მათი ხელტარებითურთ. 3) კამაროვანი შანდალი, ორი. 4) ცხრა დრაკონტარი (დროშა) მათი ტარებითურთ. 5) სხვა დრაკონტარი ათი, უტარო. 6) ქორაკანდელი ჩვიდმეტი მათი ტარებითურთ. 7) ჯამი პატარა წყალკურთხევისა (τῶν Φώτων), ერთი. 8) კაწინი ერთი. 9) ხერნიბოქსესტი და სელიონი ერთი. 10) მახრუტი სასმისი ჩვიდმეტი. 11) აგრეთვე ერთი ქსესტიონი. 12) აგრეთვე ერთი ჯამი. 13) სხვა ქსესტიონი ბროლისა (? κρύον).14) სხვა ქსესტიონი მწვანე, ეგრეთ წოდებული მინა. 15) სხვა ჭიქის სასმისები. 16) და სხვადასხვანაირი კანდელები.

ცხოველთათჳს [2]: 1) ცხენი ულაყი და ფაშატი მათი კვიცებითურთ, ორივე ას ათი. 2) ვირი მამალი და დედალი მათი მუტრუკებით თხუთმეტი. 3) ფურკამეჩი ოთხი. ხბო ორი. 4) მუშა საქონელი მონასტრის ყველა მამულებში მყოფი ორმოცდაშვიდი უღელი. 5) ძროხა და ხარი სამოცდათორმეტი. 6) მეწველი ცხვარი ორას ოცდა თვრამეტი. 7) ვერძი ოთხმოცდა თოთხმეტი. 8) და თხა ორმოცდა თორმეტი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი ჭურჭელი, რომელიც აქ არის ჩამოთვლილი, ქართულშიც მოიპოვება. ბერძნულ ტექსტში ნაჩვენებია საერთო რაოდენობა სპილენძის შანდლებისა, დროშებისა და ქორაკანდლებისა, ქართულში კი, მგონია, საითითოოდ იქნებოდა აწერილი თვითეული მათგანი თუ არა, გარკვეული ნიშნების მიხედვით გაერთიანებული ნივთები მაინც.

---

[1] Typicon, p. II. [2] В. Николаев. Съдбата, 293. [3] ს. ყაუხჩიშვილი. ახალი წიგნი პეტრიწონის შესახებ («მნათობი», 1966, № 1, გვ. 178).

[1] ეს ორი სიტყვა («სამღდელოჲ შესამოსელი») სათაურია და 128 გვერდზე იკითხება. შემდეგ ფურცელი აკლია და ტექსტი წყდება. [2] ქართულში სათაურად უნდა ყოფილიყო «ოთხფერჴთათჳს».

ბ) სოფიის ხელნაწერი

ბულგარეთის დედაქალაქის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში (Народна библиотека-ში) დაცულია პატარა ტანის ხელნაწერი ქაღალდზე. იგი გადმოწერილია ზემოთ აღწერილი ხიოსური ხელნაწერისგან, ალბათ, წარსული საუკუნის 70-80-იან წლებში, ვიდრე ტიპიკონის ძველი ხელნაწერი ჯერ კიდევ პეტრიწონში იყო. ამ ხელნაწერს ადგილობრივ გავეცანით ქართული სამეცნიერო ექსპედიციის წევრები 1949 წლის მარტში და არმალნად წამოვიღეთ ბიბლიოთეკის დირექციისაგან ნაბოძები მიკროფილმი ამ ხელნაწერისა. მიკროფილმი აქ გადავაღებინეთ გადიდებული სახით ფოტოქაღალდზე.

ხელნაწერი ქაღალდისაა, ჩასმულია მკვიდრ ყდაში. ზომა 21 სმ.×16,5 სმ. პროფ. ბ. ცონევის შედგენილს სოფიის სახელმწიფო წიგნთსაცავის «ხელნაწერების და ძველი ნაბეჭდი წიგნების აღწერილობაში» ამ ხელნაწერის შესახებ იკითხება: «581 (167) ხელნაწერი წიგნი უცნობ ენაზე ახალი დროისა. გვერდების რაოდენობა[1] 132,4°. ნაწერი სომხურს ჰგავს, მაგრამ არ არის ასეთი (писмото прилича на арменско, ала не е таково). ბოლოს მოიპოვება რაღაც ტაბულის მსგავსი ქარტაზე (хартия), ჩასმულია მუყაოს ყდაში, მთელი»[2].

ხელნაწერს აქვს ორმაგი პაგინაცია, ძველი და ახალი. პირვანდელი პაგინაცია მელნითაა შესრულებული, ახალი — ფანქრით (ძველი პაგინაციის რიცხვები შიგნითა ანუ ყუის აშიებისაკენ აქვს, ახლისა კი — გარეთა აშიებისაკენ).

ძველი პაგინაციის მიხედვით ცხადია, რომ ხელნაწერს აკლია ორი ფურცელი (გვ. 43—46), რაც ტექსტის ვითარებიდანაც ჩანს. ამით უნდა იყოს გამოწვეული შემდეგ ხელახალი დანომრვა გვერდებისა ფანქრით, რასაც შედეგად ის მოჰყოლია, რომ 42 გვერდის შემდეგ ფანქრით დანომრილი გვერდი მელნისას ოთხით ჩამორჩება: 43 (47), 115 (119), 130 (134). ასე რომ უნდა ყოფილიყო 134 გვერდი, არის კი 130.

ამას გარდა, თავში აქვს ერთი ცარიელი ფურცელი, ბოლოში კი 12 ცარიელი. დაწერილი ფურცლები დახაზულია, დაუწერელი — არა.

ბიბლიოთეკის ქონების წიგნში აღნიშნულია, რომ არ არის ცნობილი, ვინ მოიტანა.

რაღაც ტაბულის მსგავსზე რომ არის ორიოდე სიტყვა პროფ. ვ. ცონევის აღწერილობის წიგნში, ეს არის 1311 წელს მოჭედილი პეტრიწონის ხატის წარწერა, გადმოღებული უცნობი პირის მიერ და ჩაკერებული ხელნაწერის ბოლოს. ქაღალდის ფილიგრანია გვირგვინიანი ფარი ზედ სამი ვარსკვლავითურთ და ზემოთ ნახევარ რკალზე დაყრდნობილი მცხრალი მთვარე ზემოთ აშვერილი ბოლოებით. როგორც ეს ჭვირნიშანი გვიჩვენებს, იგი, რ. პატარიძის ცნობით, მე-19 საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული.

ბულგარულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ცნობა, რომ სოფიის ხელნაწერი პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერში ყოფილა 1892 წლამდი, როცა

[1] შეცდომით ფურცლების რაოდენობაა ნაჩვენები.

[2] Описъ на ръкописите и старопечатните книги на Народната библиотека въ София. Състави проф. Б. Цоневъ. София 1910, стр. 517.

მონასტერი ჯერ კიდევ ბერძნების ხელში იყო. რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ მონასტერი ბულგარლებს დარჩებოდათ და ეშინოდათ, ვაი თუ ბერძნებმა იქიდან რაიმე გაიტაცონო, სახალხო განათლების სამინისტროს აუწერია მონასტრის ქონება და პლოვდივის გუბერნატორს მანოლოვს გადაუცია 1892 წელს სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკისთვის 26 ხელნაწერი და ძველი ნაბეჭდი წიგნი სიის მიხედვით. ეს სია დაუბეჭდავს ვ. იორდანოვს 1930 წ. და იქ 26 ნომრად აღნიშნული ყოფილა: «საეკლესიო სომხური წიგნი. ცნობილი არ არის, როდის დაიწერა» [1].

პეტრიწონის მონასტრის წესდების გადმონაწერი, რომელზედაც აქ საუბარია, გადმოუღია ასო-ასოდ ქართული ენისა და მწერლობის უცოდინარ პირს უთუოდ იმ მიზნით, რომ გაეყიდა და კარგი სასყიდელი მიეღო. რადგანაც მას არა გაეგებოდა რა ტექსტისა, მან იგი გადმოწერა დიდი მიმსგავსებით, შავი მელნით თავიდან ბოლომდე. წითური აქა-იქაა ნახმარი სათაურებში (მაგ., გვ. 101, 102). პირველი გვერდის სამკაულად თავში მოთავსებული კამარა არ გადმოუღია, მაგრამ სხვაფრივ დაუცავს დედნის ვითარება: მთავრული ასოები, ქარაგმები, წერტილები (ერთი, ორი თუ სამი), ასოს ასოში ჩასმა, მთავრული Ⴗ-ს ზემო ნაწილის კიბისებრი სახე და სხვა. დედნისაგან განსხვავებით, გადმომწერს გვერდიდან გვერდზე გადასვლისას ბოლოში ცალკე სტრიქონად აღუნიშნავს მომდევნო გვერდზე დაწყებული სიტყვები ან მათი ნაწილები, ე. წ. კუსტოსები.

აგრეთვე დედნისაგან განსხვავებით, სოფიის ნუსხაში სტრიქონთა რაოდენობა გვერდებზე სხვადასხვაა: 18, 19, 20, 21, 22, 23.

ხელი ერთია ყველგან, თუმცა ზოგან მსხვილად არის ნაწერი, ზოგან — წვრილად. პირველ გვერდებზე ასოები უშნოა და ტლანქი, მაგრამ გადმომწერი თანდათან შესჩვევია ქართულ წერას და შემდეგ და შემდეგ გვარიანად გამოუყვანია. დედნის დაზიანებული ადგილები (ჩამომტვრეული ყური 89/90 ფურცლისა და ნესტისაგან გაფუჭებული ადგილი 92 გვერდისა, 46-ე ფ.-ისა) სოფიის ხელნაწერში დაუწერლად არის დაგდებული.

გადმომწერი დედანს არ მისდევს სტრიქონ-სტრიქონ, არამედ რამდენიც დაუტევია სტრიქონზე, იმდენი დაუწერია და სხვა კი შემდგომზე გადაუტანია. შეცდომები მრავალია და სხვადასხვა გვარისა. აი მაგ., 1-ლ გვერდზე: «მხოლოდ შობილსა» სიტყვაში (1, 2) ი გამოუტოვებია, თუმცა იგი დედანში კარგად ჩანს მომდევნო ლ-სთან გადაბმული (შობილსა); შემდეგ რომ უნდა დაეწერა «სიტყუასა», დაუწერია «სიხუასა», და რომ უნდა გამოეყვანა «ერთ ს̄ლ ქმნულთა», დაუწერია «ერთ ს» და შემდგომი ლ ისე გამოუყვანია, რომ უფრო ი ა იკითხება; «ქმნულთა» რომ დაუწყია (1, 9) და პირველი ასო (ქ) დაუწერია, თვალი დასცურებია და შემდგომი სტრიქონის «მყოფ არიან» მიუყოლებია («ქმყოფ არ»), მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონია დასრულებული «არიან» (რაეს ფრთა არ აქვს მიბმული მარჯვნივ), შეცდომა შეუნიშნავს, მაგრამ არ წაუშლია და ისევ მიუყოლებია «ქმნულთა» (1, 9); დდფლისა-ს ნაცვლად იკითხება მდფლისა (1, 11); «ბრძანებითა» სიტყვის უკანასკნელი ასო დედანში გადატანილია შემდეგ სტრიქონზე; გადმომწერს იგი მომდევნო სიტყვისთვის შეუერთებია. «ბრძანებით აჩემ» (1, 15); «ნებითა»

---

[1] В. Николаев. Съдбата, გვ. 264.

ვერ ამოუკითხავს და «ნეთთა» გადმოუწერია (1, 15); დედნის «დასავალეთი-საჲთა» მის გადმონაწერში «დასავალეთიათა» გამხდარა (1, 17). ეს ერთ გვერდზეა. ასეთი და სხვაგვარი შეცდომები მრავალია წიგნში. საზოგადოდ არეულია ერთმანეთში ⴍ და ⴄ, ⴃ და ⴚ, ⴌ და ⴙ, ⴋ და ⴘ; გამოტოვებულია ასოები და სხვა. მოვიყვან ზოგიერთ შეცდომას: ფუფუნებით] ფუენებით 3, 16, რ⁻ი] ს⁻ი 4, 13; საკუთრად] სასუთრად 7, 1; ჯერ არს] ჯეთძ არს 10, 15; რაჲვე რაჲთურთით] რაჲ ვერათუ რთით 10, 3; ყოფისა] შოფისა 11, 9; ჰაეროვანნი] პაეროვანნი 17, 12; პეტრიწონ] აეტრიწონ 17, 18; სიყრმისა] სიერმისა 18, 3; აგარაებითა] აგარაგითა 20, 1; სამეუფონი] სამიუფონი 28, 4; სჯულად] სტულად 91, 5; სამკაულთა] სამსაულთა 92, 4; ვაფუცებ] ვახუცებ 32, 2 ქვ.; უწესოებაჲ] უწესოებაპ 81, 3 ქვ.; ძმათა] ძდათა 95, 2; განჩინებით] განწნებით 113, 11; დაშთეს] დაშაეს 107, 13 და სხვა.

ბევრგან აკლია შემოკლების ნიშნები (ქარაგმები). მოვიყვანდი მთელ სიას გადმომწერის შეცდომებისას, მაგრამ აბა რა აზრი აქვს, როცა ჩვენ ხელთ გვაქვს მისი დედანი! უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ბევრი შეცდომა გაუსწორებია მ. თარხნიშვილს თავის გამოცემაში და მცდარი დაწერილობა სქოლიოში ჩაუტანია. ოღონდ მ. თარხნიშვილი ვერ მიმხვდარა (ან როგორ უნდა მიმხვდარიყო!) ერთ რასმე: დედნის 142 გვერდზე რომ მოთავსებულია იოვანე ახალციხელი მღვდლის მინაწერი, რომელიც დედანში—ხიოსის ხელნაწერში) სულ სხვა ხელითაა დაწერილი, ვიდრე მთელი ტექსტი, სოფიის ნუსხის გადმომწერს თავისი ხელით, ე. ი. იმავე მოხაზულობის ასოებით გადმოუღია, როგორც ტიპიკონის ტექსტი. ამიტომ სოფიის ხელნაწერში წაიშალა განსხვავება ტიპიკონის ტექსტის ასოებსა და ახალციხელი იოანე მღვდლის მინაწერის ასოებს შორის. აი ამას შეუყვანია შეცდომაში მ. თარხნიშვილი, რომელმაც დაასკვნა, რომ სოფიის ხელნაწერი 1702 წელს არის გადმოწერილი იოანე მარკოზის-შვილის მიერო. სოფიის ხელნაწერის ტექსტი რომ ახალციხელ ქართველ მღვდელს გადმოეწერა, მას, რა თქმა უნდა, ისეთი შეცდომები არ მოუვიდოდა, რომლებიც შიგ მრავლად მოიპოვება. მაგრამ მთავარია მაინც მთელი სტრიქონების გამოტოვება. გადამწერს ხშირად დასცურებია თვალი და უნებლიეთ შემდგომ სტრიქონზე გადასულა და ვერ შეუნიშნავს. აი ეს გამოტოვებული სტრიქონები, რომლებიც აქ კავებშია ჩასმული. დანაკლისს წინ უძღვის და შემდეგ მოსდევს ერთი ან მეტი სიტყვა, რომ ნათელი იყოს, თუ რა და სად არის გამოტოვებული[1].

1) 0, 2 ღმრთის მშობელისა მარიამისსა და [მისისა მის სახელ-განთქმულისა და] შუენიერად შეზავებულისა (Ⴒ 2, 10—Ⴑ 7/8).

2) 0, 3. წინამძღუარიცა ჩემისა [მონასტრისაჲ და მღდელნიცა] და სხუანიცა ძმანი ყოველნივე (Ⴒ 3, 11—Ⴑ 3, 9).

3) 0 (შესავალი), თ. 21. აღაპისა [ქმნაჲ და საფასისა განყოფაჲ დღესა] ჴსენებისა (Ⴒ 10, 5—Ⴑ 10, 11).

———————

[1] Ⴒ—ძველი ხელნაწერი პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონისა, რომელიც ხიოსზეა დაცული. (ადგილი ნაჩვენებია თავებისა და მუხლების მიხედვით, როგორც ამ გამოცემაშია წარმოდგენილი, ხოლო გამოტოვებული სიტყვები — ხელნაწერის გვერდებისა და სტრიქონების მიხედვით).

Ⴑ—სოფიის გადმონაწერი ამავე ტიპიკონისა (ნაჩვენებია ხელნაწერის გვერდებისა და სტრიქონების მიხედვით).

4) 0 (შესავალი), თ. 30. თუ ვითარ ჯერ-არს შემდგომად [მიცვალებისა მისისა ყოფად ჴსენებაჲ] მისი (U 11, 4-3 ქვ.—Ს 12, 6).

5) თ 1, 4. აღმოსავალეთს [გინა დასავალეთს საზერძნეთის]ა სარგე[ბე]ლსა და მსახურებასა (U 18, 7—Ს 18, 8).

6) თ. 1, 5. ყოველივე მხოლოდ ჩემისაგ[ან ნაქონებისა და სამართლად მონაგ]ებისაგან ქმნილ არს (U 19, 9-10—Ს 19, 7).

7) თ. 5, 4. პირველისა მის წინა[მძღურისა მერმეღა აქუნდეს მეორესა] მას ჴელმწიფებაჲ (U 39, 3-2 ქვ.—Ს 39, 2).

8) თ. 5, 5. რომელი ვთქუთ ახლად [დაყენებისათჳს წინამძღურისა და ახლად] დადგინებული იგი (U 49, 15—Ს 39, 17).

9) თ. 6, 22. გინა ურჩ ბრძ[ანებასა მამასახლისისასა, რასაცა ეტყოდის სარ]გებელისათჳს ეკლესიისა (U 51, 2-3—Ს 49, 2). გადმომწერს გადაუბამს: ბრძგებელისათჳს!

10) თ. 12, 5. და იქმნები[სმცა დღესასწაულობაჲ ყოველი შუენიერად გალობი]თა და ფსალმუნებითა (U 65, 2 ქვ.—Ს 64, 9).

11) თ. 13, 1. და ნუგეშინის-სცემდეს [და განჰმართებდეს ცთომათაგან და განსწმედდეს] სულთა მათთა (U 69, 1-2—Ს 67, 10).

12) თ. 15, 13. რაოდენიცა ვინ დაიმდაბლოს [თავი თჳსი, ეგოდენცა აღმაღლდეს და მსგავსად სი]მრავლისა წყალთა ზღჳსა უფსკრულთაჲსა (U 79, 13-14—Ს 76, 2).

13) თ. 26, 1. დიდი იკონო[მოსი გაიკითხვიდეს სხუათა იკონომო]სთა და მსახურთა და ლოღარიასსა უქმოდის (U 109, 2 ქვ.—Ს 106, 5).

14) შეწირულებათა სია (თ. 34ა, 51). სკარამანგნი მძიმენი ხუთნი. [სტავრაჲ ერთი დურანგი გაუკუეთელი]. სტავრაჲ ერთი სხუაჲ ტრივლატი (U 128, 14-15—Ს 120, 5).

15) ანდერძი (თ. 36, 1). დაიწერა ბერძულად და ქართუ[ლად რამეთუ მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუ]არად ქართველნი არიან (U 136, 4-5—Ს 126, 9).

ამგვარად, თხუთმეტიოდე სტრიქონია გამოტოვებული სხვადასხვა ადგილას. ზოგი მათგანი დედანში ერთი სრული სტრიქონია, ზოგი გადადის ერთი სტრიქონიდან მეორეზე. გადამწერს შეცდომა იმიტომ მოსვლია, რომ მსგავს სიტყვას ან ასოს ხედავდა ქვემო სტრიქონზე და, სიტყვების აზრის უცოდინარობის გამო, ადვილად გადადიოდა შემდგომზე.

მ. თარხნიშვილს მხოლოდ სოფიის ხელნაწერი ჰქონდა ხელთ და ეს ადგილები უველა აკლია მის გამოცემას. მის გამოცემას აკლია აგრეთვე მთლიანად იმ ორი ფურცლის ტექსტი, რომლებიც სოფიის ხელნაწერს საზოგადოდ აკლია (გვ. 43—46) და რომლებზედაც საუბარი იყო ზემოთ, ამ ხელნაწერის აღწერისას.

როგორც ვნახეთ ზემოთ, ხიოსის ხელნაწერის აღწერისას, ამ ძველ ხელნაწერს ჰკლებია ფურცლები 128 გვერდის შემდეგ და ზოგი მათგანი არეული ყოფილა. ეს კლება სოფიის ხელნაწერშიც არის, ხოლო არევა კიდევ მეტია შიგ. არეულ ტექსტში გარკვევა და რიგზე დაწყობა ამჟამად ადვილია ძველი ხელნაწერის ტექს-

ტის მოპოვების გამო, მანამდე კი ამ მხრივ ერთგვარ დახმარებას ბერძნული ტექსტი იძლეოდა.

გასაკვირველი როდია, რომ სოფიის ხელნაწერში შეცდომით გადმოწერილი სიტყვები, ან გამოტოვებული სიტყვა, თუ მისი ნაწილი მსგავსადვე ასახული იყოს მ. თარხნიშვილის გამოცემაშიც და აქედან ი. დოლიძისაშიც. აღვნიშნავთ ზოგიერთს:[1]

მ ტ ი ლ ი თ ა გუარად-გუარადითა (Ⴇ 3, 2), მ ხ ლ ი თ ა გუარად-გუარადითა (Ⴃ 3, 2).

მ ო პ ა პ რ ა კ ე ბ ი თ ა (Ⴇ 1, 4), მ ო პ ა ჰ რ ა კ ე ბ ი თ ა (Ⴃ 19, 29).

რომელი ახსართანის ძმასა (Ⴇ 13, 1), რომელი ა ბ ა ზ ს ახსართანის ძმასა (Ⴃ 2, 7).

ჰ ხ დ ა (Ⴇ 15, 15), ჰ ე დ ა (Ⴃ 2, 16) (ხელნაწერში: ჰჱ და).

მონამან ქრისტესმან ძ ე გ ლ ყოფად (Ⴇ 18, 13), მონამან ქრისტესმან გ რ ი-გ ო ლ ყოფად (Ⴃ 4, 1).

და არა საჭამადთა (Ⴇ 20, 5), და არა რ ა ჲ თ ა საჭამადთა (Ⴃ 4, 6) (სოფიის ხელნაწერშია არ̄ა. გადმომწერს შეუერთებია ორი სიტყვა: არა რ̄ა).

ტ რ ა ჲ პ ე ზ ს ა (Ⴇ 19, 13), ტ რ ა პ ე ზ ს ა (Ⴃ 4, 4). სოფიის ხელნაწერის გადმომწერს უ-ს ნაცვლად ჲ გამოუყვანია, რასაც შეცდომაში შეუყვანია მ. თარხნიშვილი, რომელსაც «ჩავარდნილი» ასო პ ფრჩხილებში აღუდგენია.

წმიდისა საკურთხეველისა (Ⴇ 23, 31), წ ი ნ ა შ ე წმიდისა საკურთხეველისა (Ⴃ 5, 7).

შემოვი დ ი ს (Ⴇ 26, 2), შემოვი დ ო დ ი ს (Ⴃ 6, 10).

ორ კრასოვოლი (Ⴇ 30, 13), ორ-ო რ ი კრასოვოლი (Ⴃ 8, 8).

ქველის მ ე ხ უ ჱ ლ ე ბ ი თ ა მოცემულ ჰარს (Ⴇ 51, 29), ქველის მ ე ტ-უ უ ჱ ლ ე ბ ი თ ა (გამოცემაში მ ე ტ უ უ ე ლ ე ბ ი თ ა) მოცემულ არს (Ⴃ 18, 9). სოფიის ხელნაწერში «არს» ზმნის წინ ႸႨ სწერია, რომელიც შეიძლება მის წინ მდგომი Ⴇ ასოს გამეორება იყოს, მიტოვებული. მ. თარხნიშვილს იგი Ⴇ-დ მიუღია.

რაოდენნი ჟამის მწირველნი ი ყ ვ ნ ე ნ მ ღ დ ე ლ ნ ი (Ⴇ 55, 29-30), რაოდენნი ჟამის მწირველნი მ ღ დ ე ლ ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ (Ⴃ 21, 1). ხიოსის ხელნაწერშიც პირველად ისევეა დაწერილი, როგორც სოფიისაში, მაგრამ ორი უკანასკნელი სიტყვა (ი ყ ვ ნ ე ნ მ ღ დ ე ლ ნ ი) დანომრილია: «იყვნენ»-ს თავზე ｂ აწერია, «მღდელნი»-ს ა— ეს ნიშნავს, რომ ჯერ «მღდელნი» უნდა, შემდეგ კი «იყვნენ»; ეს ნომრები სოფიის ტექსტის გადმომწერს ვერ შეუნიშნავს და არ გადმოუღია.

ამასცა ყ ო ვ ლ ა დ მცნებად (Ⴇ 64, 29), ამასცა კ უ ა ლ ა დ მცნებად (Ⴃ 27, 1). შემოკლებით დაწერილი კ̄დ («კუალად») სოფიის ხელნაწერში უხეიროდ არის გამოყვანილი (ყ̄დ).

სამღდელოჲ შესამოსელი რ ი ზ ი ს ა ჲ (Ⴇ 75, 9). აქ სოფიის ხელნაწერში

---

[1] მ. თარხნიშვილის გამოცემა ნაჩვენებია Ⴇ ნიშნით და გვერდებისა და სტრიქონების აღნიშვნით, წინამდებარე გამოცემისა კი — Ⴃ ნიშნით და თავებისა და მუხლების მიხედვით.

(120, 13) უფრო რ ი ს ი ს ა ჲ სწერია, მაგრამ მას შესამოსელთან არავითარი კავშირი არა აქვს. იგია თავ-ნაკლული «ოქრობეჭედთათჳს» სიის პირველი მუხლის უკანასკნელი სიტყვის ბოლო: [და სხუაჲ ჩ ო რ მ ე]რ ი ს ი ს ა ჲ (35ა, 1). ხიოსის ხელნაწერის 128 გვერდიდან, სადაც ტექსტი წყდება, სოფიის ტექსტის გადმომწერი პირდაპირ 129-ზე გადასულა და უშუალოდ მიუყოლებია ამისი ტექსტი: «რისისაჲ, სხუაჲ ოქრო ბეჭედი ორი ჩემთა პრასტინთათჳს, რომელნი არმენაკთა მქონდეს» და შემდგომი.

ჰ ა რ ბ ე ვ ი ს ა თ ჳ ს (Ს 76, 29), ჰ ა რ შ ი ვ ი ს ა თ ჳ ს (Ƕ 35ა, 12).

პ ა ნ ა ქ უ რ ი ლ თ ა ჲ (Ს 79, 11), პანაქურელთაჲ (Ƕ 35გ, 9).

დ ა მ ე ს ტ ი კ ო ს ა დ (Ს 79, 16), დემესტიკოსად (Ƕ 35გ, 11). (Ს-ში კორექტურული შეცდომაც არის: «მე» მარცვალი გამეორებულია: დ ა მ ე მ ე ს ტ ი კ ო ს ა დ).

აქედან ჩანს, თუ რამდენად სანდოა მ. თარხნიშვილის გამოცემა. მაგრამ მ. თარხნიშვილი მაინც მადლობის ღირსია, რადგანაც კარგი ხელნაწერი ვერ იშოვა და რა ექნა? რაც იშოვა, იმის მიხედვით გამოსცა ქართული ტექსტი და მისი ლათინური თარგმანი, რომელიც ქართულის შინაარსობლივ შეცდომებს იმეორებს.

გ) კ ვ ი პ რ ო ს ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი

როდესაც მეორე მსოფლიო ომი გათავდა და საქართველოდან 1921 წელს საფრანგეთში გატანილი სამუზეუმო ნივთები (ხელნაწერები და სხვა) დაგვიბრუნდა (1945 წ. აპრილში), რაც ი. სტალინისა და მოსკოვს 1944 წ. ჩასული საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის შეთანხმების ძალით მოხდა [1], მათ მოჰყვა მათი თავდადებული მცველი პროფ. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც თან მოიტანა ცნობა, თითქო კვიპროსის ბერძენთა მონასტერში დაცული ყოფილიყოს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი. საქ.-ს სსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესიაზე 11 აპრილს 1947 წ. მან წაიკითხა მოხსენება ამ სათაურით: «ევროპაში ნახული ქართული ძეგლები და იქვე შეკრებილი ცნობები სხვა ქართულ სიძველეთა შესახებ». ტიპიკონის შესახებ მომხსენებელმა შემდეგი შინაარსის ცნობები მოგვაწოდა მსმენელებს: «პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ტ ი პ ი კ ო ნ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ტ ე ქ ს ტ ი ს ა ღ მ ო ჩ ე ნ ა. ამდენ ხანს ცნობილი იყო ამ ქართული მონასტრის ტიპიკონის (ე. ი. წესდების) ბერძნული ტექსტი. მეორე მსოფლიო ომის წინ ერთს კვიპრის ბერძენთა მონასტერში აღმოჩენილა ქართული ხელნაწერი ამ მონასტრის ტიპიკონისა, რომლის პირველი გვერდის ფოტოგრაფიული სურათი მივიღე და გადმოვწერე. ცნობილია, რომ კვიპრის კუნძულზე იყო ქართული მონასტერი ღალია. იქ უნდა იყოს ნაპოვნი ხსენებული ხელნაწერი» [2].

---

[1] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, როგორ გადარჩა ეროვნული განძი («კომუნისტი» 15 დეკ. 1970 წ.).

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XXIV სამეცნიერო სესია (1947 წლის 11 და 12 აპრილს). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. 1947, გვ. 67.

ფოტოსურათის მოპოვების ისტორიის შესახებ ე. თაყაიშვილმა შემდეგი გვიამბო:

«პ ე ტ რ ი წ ო ნ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ტ ი პ ი კ ო ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი გ ვ ე რ დ ი. როგორც ცნობილია, გრიგოლ ბაკურიანმა (✝ 1086) 1083 წელს ბულგარეთში, სოფელ პეტრიწონში (ეხლა ბაჩკოვო), ქართველი ბერებისათვის ააშენა მონასტერი და მასთან სემინარია, რომელიც ჩვენი მწერლობისა და ფილოსოფიის ცენტრად იქცა. ამ სკოლის პირველი რექტორი იყო ფილოსოფოსი იოანე, პეტრიწად წოდებული[1]. გრიგოლ ბაკურიანი დიდად დამსახურებული მოხელე იყო ბიზანტიაში. ის იყო დიდი დომესტიკოსი საბერძნეთის დასავლეთ ნაწილისა, ხელმძღვანელობდა ბიზანტიის ჯარებს ამ მხარეში. მან 1084 წელს დაუწერა წესდება ანუ ტიპიკონი თავის მიერ დაარსებულს მონასტერს ბერძნულად, ქართულად და სომხურად. დღემდის ცნობილი იყო მხოლოდ ბერძნული ტექსტი, რომელიც ლუი პტიმ (Luis Petit) გამოსცა 1904 წელს[2].

მეორე მსოფლიო ომის წინ ერთ ბერძენ ინტელიგენტს ენახა ქართული ტექსტის ხელნაწერი კუნძულ კვიპროსის ერთ-ერთ მონასტერში და პირველი გვერდის ფოტოგრაფიული სურათი წერილითურთ გამოეგზავნა აკაკი პაპავასა და მისი მეუღლის თამარისათვის ბერლინში, ხოლო ამ უკანასკნელთაგან მე მივიღე ფოსტით ლევილში. ეტყობოდა, ის ბერძენი შეგნებული ადმიანი იყო და საგნის ლიტერატურას იცნობდა, მაგრამ იგი თხოულობდა ფოტოსა და წერილის საჩქაროდ დაბრუნებას. მეც დავუბრუნე და ვთხოვე პაპავებს ყოველი ზომა მიეღოთ, რომ წერილის ავტორს გადმოეღო ფოტოთი ტიპიკონის მთელი ხელნაწერი (რა თქმა უნდა, ჩვენის ხარჯით) და მოეწოდებინათ ჩემთვის. ამასობაში ომიც დაიწყო და ეს საქმე ჩაიშალა, მაგრამ მე მაინც მივიღე ზომები და იმ პირველი გვერდის ტექსტი გადმოვიწერე, მაგრამ ფოტოგრაფიული სურათის ერთი ზედა კუთხე გასვრილი იყო და ზოგი სიტყვა და ფრაზა არ იკითხებოდა.

ჩემთვის გამოგზავნილ წერილში არ იყო ნაჩვენები, თუ კვიპროსის რომელ მონასტერში აღმოჩნდა ხსენებული ტიპიკონი. ცნობილია მხოლოდ, რომ ამ კუნძულზე იყო ქართული მონასტერი «ღალია» და ალბათ იქ ინახებოდა ეს ხელნაწერი. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი მთავრობა ზომებს მიიღებდეს, მოიკითხავდეს ამ წიგნს — თუ იგი ომის დროს არ დაიღუპა და ფოტოგრაფიულად გადაიღებდეს ტიპიკონის ყველა ფურცელს, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი კულტურის ისტორიისათვის».

მე მგონია, რომ კვიპრული ხელნაწერის ამბავი მოგონილია. მეორე მსოფლიო ომის წინ, 17 თებერვალს 1938 წ. ათინის მეცნიერებათა აკადემიაში ისტორიკოსს კ. ამანტოსს (K. 'Αμάντος) მოხსენება წაუკითხავს გრიგოლ პაკურიანის მონასტ-

---

[1] დაწვრილებითი ცნობები მის შესახებ იხ. კ. კეკელიძის «ქართული ლიტერატურის ისტორიაში», I, 1941, გვ. 96—98.

[2] Византийский временник, т. XI, 1904.

რის ხელნაწერების შესახებ და ეს მოხსენება შემდეგ დაუბეჭდავს (Θρακικά. τ. 10, 1938, pp. 234—252) [1]. უთუოდ ამის შემდეგ გაგზავნეს ბერლინში ფოტოსურათები ამ ხელნაწერისა, მაგრამ არ აცნობეს, თუ სად იყო ეს ხელნაწერი. უთუოდ გზა-კვალის ასაბნევად ხიოსის ნაცვლად კვიპროსი დაუსახელეს ბერლინელ ადრესატს. ე. თაყაიშვილმა რომ ფოტოსურათი მიიღო საფრანგეთში, მან ეს დაიჯერა. რომ აგრეა, იქედან ჩანს, რომ მე მაქვს ე. თაყაიშვილისაგან გადმოცემული მისი საკუთარი ხელით გადმოწერილი ტექსტი კონვერტში, რომელსაც მისივე ხელით აწერია: «პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის დასაწყისი ფოტოგრაფიული სურათიდან. ხელნაწერი აღმოჩენილია ერთ-ერთ კვიპრის კუნძულის ბერძნების მონასტერში, ალბათ ძველ ქართულ ღალიაში».

ე. თაყაიშვილის გადმოწერილი ტექსტის განხილვა გვარწმუნებს, რომ იგია არა მარტო დასაწყისი, როგორც ეს ექვთიმე თაყაიშვილს ჰგონებია, არამედ აგრეთვე ერთი ნაწილი ანდერძისაც. ცხადია, მისთვის მიუწოდებიათ არა ერთი გვერდი, არამედ ორი (1-ლი და 136-ე ხიოსის ხელნაწერის მიხედვით). ე. თაყაიშვილს ეს გვერდები გადმოუწერია სტრიქონ-სტრიქონ და პირველი გვერდის შემდეგ წერტილები დაუსვამს (ვითომ ტექსტი წყდებაო) და შუაში გამყოფი ხაზი დაუწერია. პირველ გვერდზეა 19 სტრიქონი, 136-ეზე—22, სწორედ ისე, როგორც ეს არის ხიოსის ხელნაწერში. რომ ტექსტი ხიოსის ხელნაწერის ფოტოსურათიდან არის გადმოწერილი, ეს იქედანაც ჩანს, რომ გადმოწერილი სტრიქონები ემთხვევა სრულებით ხიოსის ხელნაწერისას. აღსანიშნავია, რომ ხიოსის ხელნაწერში 136-ე გვერდის მე-13 სტრიქონზე მოთავსებული უკანასკნელი სიტყვა («უპყრიეს») გაწყვეტილია და გადატანილია შემდეგ სტრიქონზე (უ პ ყ რ - ი ე ს). ე. თაყაიშვილს ეს სიტყვა ჯერ მთლიანად დაუწერია მეცამეტე სტრიქონზე, მაგრამ, რომ შეუნიშნავს სტრიქონ-სტრიქონ გადმოწერის წესის დარღვევა, წაუშლია ი ე ს და შემდგომ სტრიქონზე რ ი ე ს გადაუტანია. რომ შეუნიშნავს, რომ აქაც შეცდომა მოსვლია, წაუშლია რ და ამგვარად დედნის ვითარება სავსებით აღუდგენია. ამ ნიშნების მიხედვით უეჭველია, რომ ე. თაყაიშვილს პეტრიწონის ტიპიკონის ტექსტი გადმოუწერია ხიოსის კუნძულზე კორაისის სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერის ორი ფოტოგრაფიული გვერდიდან [2]. ხელნაწერის ნამდვილი ადგილ-სამყოფელი იმისთვის დაუმალავს იმ ბერძენ «ინტელიგენტს» და «შეგნებულ ადამიანს», რომ როგორმე თვითონ მოეთბო ხელი ამ საქმეზე.

P. S. ეს წერილი აწყობილი იყო და დამზადებული დასაბეჭდად, რომ 14 ივნისს 1971 წ. სოფიიდან პროფ. Н. Дилевски-საგან მივიღე ჩემი თხოვნის თანახმად გამოგზავნილი მიკროფილმი კ. ამანტოსის გამოკვლევისა, რომელიც ეხება პეტრიწონის მონასტრის ხელნაწერებს, დაცულს კუნძულ ხიოსზე. როცა მიკროფილმი აქ

---

[1] В. Николаев, Сьдбата, 287.

[2] ე. თაყაიშვილს რომ ერთი გვერდი ჰგონებია, ეს ალბათ იმიტომ, რომ ფოტოზე ორი გვერდის ტექსტი შეერთებული იქნებოდა.

ფოტოქაღალდზე გადავაღებინე გადიდებული სახით, გამოირკვა, რომ კ. ამანტოსის გამოკვლევაში სწორედ იმ ორი გვერდის სურათია მოთავსებული, რომლებიც ე. თაყაიშვილისთვის გაუგზავნიათ. მაშასადამე, საბოლოოდ დადასტურდა, რომ «კვიპრული ხელნაწერი» მოგონილი ამბავია და რომ ე. თაყაიშვილის იმ ორი გვერდის ფოტოსურათის წყარო კ. ამანტოსის გამოკვლევა ყოფილა.

ႮႤႲႰႨႼႭႬႨႱ
ႵႠႰႧႥႤႪႧႠ ႫႭႬႠႱႲႰႨႱ
ႲႨႮႨႩႭႬႨ

ქართული რედაქციის ტექსტი

[ძ ი ც ხ უ ნ ი თ ა ვ თ ა ნ ი]

1. Ⴃიდებაჲ მაცხოვარსა, მხოლოსა ღმერთსა ჩუენსა, — Ⴋამასა დაუსაბამოსა და Ⴛესა მისსა მხოლოდშობილსა და ცხოველს-მყოფელსა ყოვლად წმიდასა სულსა მისსა, — რომელი-იგი მისცემს სიტყუასა მახარებელთა ძალითა მრავლითა.

2. Ⴀწ უკუე ვიწყოთ ჩუენ აღწერად ღმრთისა მიერ განსაზღვრებაჲ ესე საკრებულოჲ და მცნებაჲ კანონისაჲ ერთ-სულ ქმნულთა მათთჳს მონაზონთა, რომელნი მყოფ არიან სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა Ⴖმრთისმშობლისასა აღშენებულსა ქართველთა მონასტერსა Ⴎეტრიწონისასა, რომელი-ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ Ⴂრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა[1] ყოვლისა Ⴃასავალეთისაჲთა, [2] ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა Ⴁაკურიანისაჲთა, აღმოსავალელისა და ქართველისაჲთა, რომელი-ესე მებრ მაშენებელი ვარ პირველ ჴსენებულისა მის ახალ-შენებულისა მონასტრისა და მას შინა სამარხოჲსა მის განსასუენებელისა ჩემისა, რომელიცა სახელ-დებით წოდებულ არს სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა Ⴖმრთისმშობელისა Ⴋარიამისსა და მისისა მის სახელ-განთქუმულისა და შუენიერად შეზავებულისა წმიდისა ტაძრისა და ჭეშმარიტად კარვისა დიდებისა ღმრთისა, რომელი-ესე აღემართა მას შინა შემწედ და შესავედრებელად და საჴსრად ჩემდა, ცოდვითა განფრდილისა ამის, და თანა-მეღჳძლისა ძმისა ჩემისა სანატრელისა Ⴀბაზ მაგისტროსისა.

3. Ⴈინაჲთგან უკუე მაქუნდა სიყუარული და ძმობაჲ სულიერი პატიოსნისა მონასტრისა Ⴎანაგიისაჲ, რომელი-იგი არს შინაგან ღმრთივ დაცვულისა ქალ[3]აქისა Ⴉონსტანტინოპოლისა, ახლისა მის Ⴐრომისა[2], და ფრიად მთნდა და ჯეროვან მიჩნდა მათი იგი წესი და განგებაჲ სამონაზუნოჲ და საკრებულოჲ და Ⴋოქალაქობაჲ, რომელი აქუნდა მათ, ამისთჳსცა ვინებე, რაჲთა ეგრევე სახედ მითვე წესითა და განგებითა დაემტკიცოს ჩემიცა ესე მონასტერი და ეკლესიაჲ ყოვ-

---

[1] დემესტლიკოსისა. აქედან გადავიდა, უთუოდ, მეწიეთის მარხვანში გრიგოლ ბაკურიანის-ძის დემესტლიკოსობით მოხსენება. სხვაგან ტიპიკონში ყველგან დემესტიკოსი იკითხება.

[2] ჰრომისაჲ.

ლითავე საეკლესიოჲთა განგებითა და რაჲთა ეგრეთვე მოქალაქობდენ წინამძღუარიცა ჩემისა მონასტრისაჲ და მღდელნიცა და სხუანიცა ძმანი ყოველნივე, ვითარ-იგი არიან ზემო ჴსენებულისა მონასტრისა Ⴑანაგიისანი, ყოვლისაებრ წესისა მათისა, რომლისა აღწერაჲ ამისსა შემდგომად გუეგულების.

4. Ⴐამეთუ უკუეთუ იგინი, რომელნი ბუნებით მოქალაქენი ყოფილ არიან ოდესმე და ჩუეულნი კეთილად ცხორებასა და აღზრდილნი ფუფუნებით, და ესევითარსა მას შორის დიდსა და ერ-მრავალსა ქალაქსა დაჯერებულ არიან ეგევითარსა მაშენებლისა მათისა და-დ[4]ებულსა წესსა და უცთომელად უპყრიეს მათდა მიცემული იგი ნამარხევი დადებულისა მის წესისა მათისაჲ, და აწ ჩუენცა, ჵ მამანო და ძმანო, რომელნი-ესე მკჳდრ ვართ მონასტერსა ამას შინა, ვინაჲთგან ქართველნი ვართ ნათესავით მჴნენი და მჴედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი ვიდრელა-იგი სოფელსა შინა ვიყვენით, და მოსრულ ვართ აწ სამონაზუნოსა ამას წესსა და გარეგან ქალაქისა არს ყოფაჲ ჩუენი, შორს სოფელთაგან და მსოფლიოთა, ესევითარსა ამას შუენიერსა უდაბნოსა, რომელი აღსავსე არს ყოვლითა კეთილითა, ესე-იგი არს მრავლითა და ტკბილითა წყლითა და წყაროებითა და მათ შინა მრავლითა და გულის-სათქუმელითა თევზითა და თითო-სახითა ნაყოფითა, ხილითა და ვენაჴებითა და მხლითა გუარად-გუარადითა [5] და სხჳთა ყოვლითავე, რომელიცა უჴმს მონაზონთა, ვითარ უკუე არა უფროჲსად თავს-ვიდვათ და დავიმარხოთ წესი მცნებისა მის მათისაჲ?

5. Ⴞოლო და უკუეთუ ეგრეთ რაჲმე არს,—რომელ რაჲ-იგი მე არა მწადის, — და უმეტეს ჩუენ მიერ დაწესებულისა ამის წესისა პატიოსნისა მონასტრისა Ⴑანაგიისა უფართესი და უმდიდრესი ცხორებაჲ ვისმე ენებოს და უფროჲსი განსუენებაჲ უნდეს, წარვიდენ კეთილად, ვინაჲცა პოონ გულის-თქუმაჲ გულისა მათისაჲ, რამეთუ არცა თუ ნეტართა მათ იწროჲ რაჲმე ცხორებაჲ უქადაგებიეს, არამედ საშუვალსა ოდენ გზასა სლვაჲ.

6. Ⴀწ უკუე წესი ესე განგებისა სამონაზუნოჲსა მის წიგნისაჲ, რომელი-ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ ზემო ჴსენებულისა პატიოსნისა მონასტრისა Ⴑანაგიისა განგებისაგან და სხუაჲ მცირედი, რომელ ჩუენ შევსძინეთ და შთავწერეთ მას შინა, ესე არიან, რომელსა თჳთ[6]ოეულად გამოაჩინებენ თავსა ზედა გამოსახულნი ესე

Ⴐიცხუნი თავთანი

Ⴐამეთუ ესე ესრეთ განვაწესეთ, რაჲთა ყოველმანვე გამომეძიებელმან რომლისავე პირისამან ქამსა თჳსსა ადვილად პოოს საძიებელი თჳსი.

7. Ⴇ ა ვ ი Ⴆ. Ⴇუ ვითარსახედ აღიშენა, ანუ ვითართა მიერ საჴმართა პატიოსანი ესე მონასტერი ქართველთაჲ.

8. Ⴇ ა ვ ი Ⴡ. Ⴇუ რაულნი ანუ ვითარსახენი შესაწირავნი და ადგილნი მიეცნეს წმიდასა ამას ეკლესიასა ჩემთაგან მონაგებთა და ძმისა ჩემისა Ⴀბაზისთაგან, რომელ არიან მოძრავნი და უძრავნი და თჳთძრვადნი.

9. Ⴇ ა ვ ი Ⴇ. Ⴀზნაურებისათჳს მონასტრისა ჩემისა ყოველთაგან სამეუფოთა და სამღდელთმთავროთა ხარკთა და მისაჴდელთაგან გამოსავალთა.

10. Ⴇ ა ვ ი Ⴈ. Ⴄრთობისათჳს და ზოგებით ცხორებისა ძმათა კრებულისათა და დაყენებისათჳს მათისა მოსენაკეობისაგან და თავისა თჳსისათჳს საკუთრად რაჲსამე ზრ[7]უნვისა, გინა სენაკსა შინა თჳსსა საზრდელთა შემზადებისა.

11. Ⴇ ა ვ ი ႨႠ. Ⴜინამძღურისათჳს მონასტრისა, თუ ვითარ ჯერ-არს გამორჩევაჲ და დამტკიცებაჲ და თუ შემდგომად პირველისა ვითარ ჯერ-არს მეორისა დაყენებაჲ მასვე სამსახურებელსა მონასტრისასა.

12. Ⴇ ა ვ ი ႨႡ. Ⴐავდენობისათჳს მონაზონთაჲსა და რიცხჳსა, რომელნი დავაწესენით, რაჲთა არა დააკლდენ, არცა ამათგან საჴმარი პურის ფასად გინა ძღუნად იძიოს, და თუ რავდენთაჲ ჯერ-არს ამათგან მსახურად და ჴელისუფლად დაყენებაჲ, ანუ ვითარსახედ.

13. Ⴇ ა ვ ი ႨႢ. Ⴋღდელთათჳს ჟამის მწირველთა, თუ ვითარ ჯერ-არს გამორჩევაჲ და დაწესებაჲ მათი, ანუ თუ მსგეფსსა შინა რავდენი დღე ჯერ-არს, რაჲთა სასეფოდ ჟამი წირონ.

14. Ⴇ ა ვ ი ႨႣ. Ⴒაბლისა დაგებისათჳს და მსახურთა დუმილით და სიმშჳდით მსახურებისათჳს.

15. Ⴇ ა ვ ი ႨႤ. Ⴘესამოსელთათჳს გინა სამოსლისა ფასისა, თუ ვითარ ჯერ-არს ანუ რომელსა [8] ჟამსა განყოფაჲ, რაჲთა განუყოს წინამძღუა[რ]მან ძმათა.

16. Ⴇ ა ვ ი ႨႥ. სამთავე მარხვათა სიწმიდით მარხვისათჳს და მარადღე გლახაკთა ღუწისათჳს ქველის საქმითა.

17. Ⴇ ა ვ ი ႨႦ. Ⴃღესასწაულისათჳს წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა და სხუათათჳს საუფლოთა დღესასწაულთა და საჩინოთა წმიდათა, რომელ ბრწყინვალედ აღესრულებოდიან.

18. Ⴇ ა ვ ი ႨჁ. Ⴘემკობისათჳს და განათლებისა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა სანთელთა მიერ და კანდელთა, თუ ვითარ ჯერ-არს ყოფაჲ, და განკრძალულად ლოცვისათჳს, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა გულს-მოდგინებით იქმნებოდის და მოწიწებით.

19. Ⴇ ა ვ ი ႨႧ. Ⴅითარმედ ჯერ-არს, რაჲთა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღუარსა გულის სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაჲცა შეჰმთხუეოდის მათ.

20. Ⴇ ა ვ ი ႨႣ. Ⴞელთსაქმრისათჳს და შრომისა და ვითარმედ ჯერ-არს ყოვლადვე ფსალმონებაჲ შრომასა შინა.

21. Ⴇ ა ვ ი ႨႤ. Ⴛმათათჳს, რაჲთა არა ჳანვიდოდიან, [9] არცა იქცეოდიან გარეგან მონასტრისა თჳნიერ წინამძღურისა ბრძანებისა; და მათთჳს, რომელნი ორგულთაებრ მაჩუენებლობით ილოცვიდენ შორის კრებულისა.

22. Ⴇ ა ვ ი ႨႥ. Ⴞელისუფალთათჳს მონასტრისათა, რომელ არიან კონომოსნი[1] და აბარმადნი.

23. Ⴇ ა ვ ი ႨႦ. Ⴋცნებაჲ განკრძალვისათჳს საჭურისთაგან, რომელ არიან ყუერულნი, და სხუათაგან, ჭაბუკთა ჰასაკითა.

24. Ⴇ ა ვ ი ႨႡ. Ⴀზნაურებისათჳს მონასტრისა და თავისუფლად ყოფისა ყოველთაგან თჳსთა ჩემთა, შორიელთა და მახლობელთა, და სხუათა ვიეთგანცა, რაჲთა არავის აქუნდეს ზიარებაჲ რაჲვე რაჲთურთით.

25. Ⴇ ა ვ ი ႨႧ. Ⴅითარმედ, უკუეთუ ეცრუვოს[2] წინამძღუარი ანუ სხუაჲ ვინ ჴელისუფალი აღთქუმასა თჳსსა და იპაროს მონასტრისაჲ გინა ეკლესიისაჲ რაჲმე, აღიჴოცოს ეგევითარი იგი.

26. Ⴇ ა ვ ი Ⴉ. Ⴋათჳს, რომელნი საჴმარსა შემოსწირვენ მონასტერსა ქამის საწირავად მიცვალებულთა მათთათჳს; სწავლაჲ, თუ ვი[10]ეთგან ჯერ-არს მოღებაჲ ესევითარისაჲ.

27. Ⴇ ა ვ ი ႩႠ. Ⴋცნებაჲ ძმათა მიმართ, თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად საჴსენებელი ჩემი და მიცვალებულთა ჩემთაჲ და აღაპისა ქმნაჲ და საფასისა განყოფაჲ დღესა ჴსენებისა ჩუენისასა და წყალობისა ყოფად გლახაკთა მიმართ.'

28. Ⴇ ა ვ ი ႩႡ. Ⴋიცვალებულთათჳს წინამძღუართა და ძმათა მონასტრისათა, თუ ვითარ ჯერ-არს ჴსენებაჲ მათი წმიდითა ქამისწირვითა და ლოცვითა.

29. Ⴇ ა ვ ი ႩႢ. Ⴀრა შესლვისათჳს მონასტრად ჩუენდა დედაკაცისა, არცა სადედოჲსა მონასტრისა შენებად ოდესმე საზღვართა მისთა.

30. Ⴇ ა ვ ი ႩႣ. Ⴀრა დაწესებისათჳს შინაგან მონასტერსა ჩუენსა ბერძნისა ხუცისა მონაზონისა და თუ რაჲ არს მიზეზი ამისი.

31. Ⴇ ა ვ ი ႩႤ. Ⴌათესავთა და მსახურთა ჩუენთა ქართველთათჳს, რომელნი წესსა მონაზონებისასა მოვიდენ, თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ მათი მამასახლისისაგან და ძმათა, ანუ თუ მათ ვითარ უჴმს [11] ყოფაჲ და მსახურებაჲ კრებულისათა თანა.

32. Ⴇ ა ვ ი ႩႥ. Ⴆოლარიას ქმნისათჳს და ანგარიშის ყოფისა კონომოსთა[3] და სხუათა მსახურთაჲსა წინამძღურისაგან და წინამძღურისაჲ ძმათაგან.

---

[1] ასეა! [2] ეცროვოს.

[3] ასეა!

33. Ⴇ ა ვ ი ႩႦ. Ⴞსენებისა ყოფისათჳს ზოგად მიცვალებულთა ყოველთა ძმათათჳს, რაჲთა დაუცადებელად იჴსენებოდიან სულნი მიცვალებულნი ლოცვითა და ჟამის წირვითა.

34. Ⴇ ა ვ ი ႩႡ. Ⴋონასტერსა შინა სასნეულოჲსათჳს; თუ ვითარ ჯერ-არს ფუფუნებით და განსუენებით მსახურებაჲ მათი.

35. Ⴇ ა ვ ი ႩႧ. Ⴇუ რაჲსათჳს აღშენებულ არიან ჩემ მიერ ქსენადოშნი[1], — რომელ არიან უცხოთა სადგურნი, — Ⴑტენიმახისაჲ, Ⴋარმარისაჲ და Ⴎრილონგისაჲ, — და თუ ვითარ განიწესნეს იგინი.

36. Ⴇ ა ვ ი Ⴊ. Ⴙემ მიერ დადგინებულისათჳს პირველისა წინამძღურისა Ⴂრიგოლ Ⴈანელისა; თუ ვითარ ჯერ-არს შემდგომად მიცვალებისა მისისა ყოფად ჴსენებაჲ მისი ანუ რომელსა დღესა.

37. Ⴇ ა ვ ი ႪႠ. Ⴋოყმეთათჳს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ, ანუ ვითარ [12] განისწავლნენ და მერმელა შევიდენ მონასტრად; და მღდელისათჳს, რომელი იყოს Ⴌიკოლწმიდას.

38. Ⴇ ა ვ ი ႪႡ. Ⴑაკარგავისა არა მიცემისათჳს წინამძღურისაგან ძმათაგანსა, ანუ თუ სხუასა ვისმე, რაჲთა არა აქუნდეს ჴელმწიფებაჲ არცა [განიჭებად, არცა] განსყიდად მონაგებთაგანი რაჲ ეკლესიისათაჲ.

39. Ⴇ ა ვ ი ႪႢ. Ⴉრძალულად დამარხვისათჳს წიგნისა ამის განსაგებელისა, რომელ არს Ⴂუჯარი Ⴒიბიკონისაჲ, და თუ ვითარ ჯერ-არს წარკითხვაჲ ამისი.

40. Ⴉურთხეულ არს Ⴕრისტე ღმერთი
ჩუენი ყოლადვე[2], აწ და მარადის
და უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმინ[3].

41 (Ⴇ ა ვ ი ႪႣ. შესაწირავთათჳს, რომელნი მიგჳცემიან და დაგჳმტკიცებიან ეკლესიისადა).

ა) Ⴑიწმიდისა სამსახურებელთათჳს და ხატთა და ჯუართათჳს და ყოველთავე პატიოსანთა სამკაულთათჳს, რომელნი მიგჳცემიან და დაგჳმტკიცებიან და დაგჳსხმან პირველ თქუმულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, და ეგრეთვე ოთხფერჴთათჳს და ყოვლისა ფერისა თჳთო-სახეობისათჳს, რომელნი მივსცენით წმიდასა ამას მონასტერსა.

ბ) Ⴃა რომელი სხუაჲ მივეცით პატიოსანსა და წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა.

გ) Ⴋივსცენ ჭიქისაცა ჭურჭელნი პატიოსანნი.

დ) Ⴍთხფერჴთათჳს, რომელნი მივსცენით მონასტერსა ჩუენსა].

42. Ⴇ ა ვ ი ႪႤ. Ⴍ ქ რ ო ბ ე ჭ ე დ თ ა თ ჳ ს, და ს ხ უ ა თ ა წ ი გ ნ თ ა თ ჳ ს, რ ო მ ე ლ ნ ი დ ა ი ს ხ ნ ე ს ს ა მ უ ფ ო ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა და Ⴎ ე ტ რ ი წ ო ნ ს და Ⴑ ო ფ ი ა წ მ ი დ ა ს.

---

[1] ქესენადოშნი.

[2] ასეა (სრულად არის დაწერილი).

[3] ა̄ნ (ქარაგმით).

ა) Ⴍქრობეჭედთათჳს, რომელნი დაცვულ არიან სამეუფოსა ქალაქსა დიდსა შინა ეკლესიასა.

ბ) Ⴍქრობეჭედთათჳს, რომელნი დაისხნეს ნამარხევად მონასტერსა ჩუენსა.

გ) Ⴋოსაჴსენებელი წიგნი და აპოტიქსი ოქრობეჭედთა ჩუენთაჲ და სხუათა სასამართლოთა ნაწერთაჲ, რომელნი ნამარხევად სხენან სოფიაწმიდას].

43. [Ⴇ ა ვ ი ႫႢ. Ⴃამტკიცებისათჳს წესისა ამის განგებისა].

44. [Ⴇ ა ვ ი ႫႣ. Ⴀთორმეტთა საუფლოთა და სამთა სხუათა საჩინოთა დღესასწაულთათჳს, თუ ვითარ დღესასწაულობდენ].

*

Ⴇ ა ვ ი Ⴀ

ს ი ტ ყ უ ა ჲ[1] შ ე ს ა ვ ა ლ ი ა ღ შ ე ნ ე ბ ი ს ა თ ჳ ს წ მ ი დ ი ს ა ა მ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა

1. Ⴐამეთუ ნანდჳლვე ჯერ-არს და სამართალ ზოგად ყოველთათჳს ქრისტეანეთა მართლმადიდებელთა, რომელნიცა ნათელ-ღებულნი არიან სახელითა Ⴋამისაჲთა და Ⴛისაჲთა და Ⴑულისა წმიდისაჲთა, მარადის მოლოდებად ზოგადსა [13] მას ყოველთა კაცთა აღსასრულსა და ზრუნვად დღისათჳს სიკუდილისა მათისა სასოებითა მით მკუდრეთით აღდგომისაჲთა და მოგონებად საშინელი იგი და შესაძრწუნებელი განკითხვაჲ სამართალთა მათ სასჯელთა Ⴕრისტეს ღმრთისა და Ⴋაცხოვრისა ჩუენისათაჲ და თითოეულისა[2] ჩუენისა საქმეთა თჳსთაებრ სამართლად მიგებაჲ, რომლისათჳსცა თანა-გჳაც ყოველთა ყოვლითა ძალითა ჩუენითა ამათ ესევითართათჳს ზრუნვაჲ და ღუწოლაჲ, ვიდრეღა ცხორებასა ამას შინა ვართ ყოფით, რაჲთა ყოვლითა ძალითა ჩუენითა მოსწრაფებით ვიღუაწოთ განრინებად საშინელთა მათგან საუკუნეთა სატანჯველთა და ცეცხლისა მისგან გეჰენიისა და ჴმისა მისებრ და სწავლისა წმიდისა სახარებისა მიცემად აქა და მივასხებად ღმრთისა საჴსრისა კეთილისა თავთა თჳსთათჳს, რაჲთა იყოს იგი ღმრთისა მიმართ ვითარცა მცირედი ნუ რაჲ მიზეზი მიცემული მისდა, რომლითა ღირს [14] ვიქმნეთ მიმთხუევად მიუწდომელთა მათ კაცთ მოყუარებისა მისისა კეთილთა და ამით სახითა ქმნად ჩუენდა ყოვლადვე საქმეთა კეთილთა ძალისაებრ თითოეულსა, და ესრე სახედ მოღუაწებითა მოგებად ჩუენდა [ნაცვალად] მამონაჲსა ამისგან სიცრუვისა[3] მეგობართა საცნაურთა სახიერებით შემწყნარებელთა ჩუენთა მერმესა მას საუკუნესა [შდრ. Ⴊუკ. 16, 9], რაჲთა ამის ყოვლისა ესრეთ წარმართებითა მათ თანა მებრ ღირს ვიქმნნეთ საღმრთოსა მას მკჳდრობასა მიმთხუევითა Ⴕრისტეს მიერ მოტევებასა ბრალთასა.

2. Ⴐომლისათჳსცა მე Ⴂრიგოლ, ზემო ჴსენებულმან სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან, ფრიად ცოდვილმან და უღირსმან მო-

---

[1] და სიტყუაჲ. [2] თითუმეულისა. [3] სიცროვისა.

ნამან Ⴕრისტესმან, ვიხილე[1] თავი ჩემი სიყრმით ჩემითგან და ვიდრე სიბერედმდე ამაოდ და ცარიელად ყოველთაგან საქმეთა კეთილთა, ოდენ ღირს[2]-ქმნულად ჭეშმარიტსა და მართლმადიდებელსა ქრისტეანეთა სარწმუნოებასა [15] ქართველთასა, რომელთა-იგი სწორად აქუს და განუყოფელად მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭეშმარიტთა ბერძენთა ნათესავისასა. Ⴃა დაღაცათუ წადიერებაჲ მაქუნდა პირველითგან და განვიზრახევდ Ⴀღმოსავალეთსვე ყოფასა ჩემსა და ვიდრე Ⴃასავლეთს დამკჳდრებადმდე აღშენებასა ეკლესიისასა და მონასტრისასა სამარხოდ და განსასუენებელად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა, გარნა მრავალთა მიერ ცოდვათა ჩემთა და ცვალებისაგან ამის სოფლისა საქმეთაჲსა და ჩემისაგან საწუთროჲსა ზრუნვათა შექცევისა და სიყუარულისაგან ვერ ღირს ვიქმენ აღსრულებად გულის ზრახვასა ჩემსა ვიდრე აქამომდე.

3. Ⴞოლო აწ, ჟამსა სიბერისა ჩემისასა, არა თუ მე ჩემითა სიბრძნითა და მეცნიერებითა, გინა თუ გულისჴმის-ყოფითა, არამედ უფროჲსღა აურაცხელითა და გამოუთქუმელითა კაცთმოყუარისა ღმრთისა ჩუენისა სახიერებითა[3] და მოწყალებით მოხედვითა უღირსსა ამას [16] და ყოვლად უნდოსა მონასა მისსა ზედა, მცირედ რაჲმე განვიფრთხვე საწუთროჲსა ამის ზრუნვათაგან და, მოვიჴსენე რაჲ დღე აღსასრულისა ჩემისაჲ და წინამდებარე იგი საქმეთა ჩემთა მოსაგებელისა ზარი და შიში და, ვითარცა პირველ ვთქუ, განვიცადე თავი ჩემი, რამეთუ ცუდ ვარ და ცარიელ ყოველთაგან საქმეთა ღმრთისა სათნოთა, ამისთჳს უკუე შევვედრე მე ჩემსა მას და ყოველთავე შეცოდებულთა სასოსა და შემდგომად ღმრთისა შესავედრებელსა და მჳსნელსა ქრისტეანეთასა უმეტეს კურთხეულსა დედასა Ⴕრისტეს ღმრთისა ჩუენისასა მარადის ქალწულსა Ⴋარიამს, ყოვლად წმიდასა ღმრთისმშობელსა, და მის თანა ზეშთა საკჳრველად დიდებულსა დიდსა მას წინამორბედსა და ნათლის-მცემელსა Ⴕრისტესსა, ნაშობთა შორის დედათაჲსა უმეტეს უაღრესსა წმიდასა Ⴈოვანეს, და ეგრეთვე თავადსა მას ელვარედ მბრწყინვალესა მთავარ-მოწამესა და თავსა Ⴕრისტეს მარტჳლთასა ახოვნად მოღუაწესა წმიდასა Ⴂიორგის და ვყვენ ესენი წინამძღუარ [17] ჩემდა ცხორებისა და მეოხად Ⴕრისტეს მიმართ ღმრთისა ჩუენისა დღესა მას განკითხვისასა ყოველთა თანა წმიდათა სათნოთა და საყუარელთა Ⴕრისტესთა, და აღვაშენენ ყოვლითა გულს-მოდგინებითა და დიდითა წარსაგებელითა ეკლესიანი ტაძრად სამკჳდრებელად დიდებისა ერთბამად სახელსა ზედა სამთა ამათ ზეშთა საკჳრველთასა ჰაეროვანნი და დიდად შუენიერნი, ძალისაებრ ჩემისა და ქცეულებისა დაუდგრომელთა მათ და დაუმტკიცებელთა ჟამთა ამის საწუთროჲსათა, თემსა შინა Ⴔილიპუპოლისასა, მიღმართ სამხრით კერძო ჴევსა შინა ერთსა ფრიად

[1] ვიხილ. [2] ღირ· [3] სხ̄რებითა.

მაგარსა, საზღვართა შინა სოფლისა მის, რომელსა Ⴎეტრიწონ ეწოდების, რომელი-იგი Ⴁასილიკოსობად ჩინებულ არს.

4. Ⴐომელიცა წმიდათა და თჳთმპყრობელთა მეფეთა ჩუენთა თჳსითა წმიდითა სარწმუნოჲთა და თაყუანის-საცემელითა ოქრობეჭდებითა მოუნიჭებიეს ჩემდა ნაცვალად ჩემთა მათ მრავლითა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა, რომელი-ესე ჰასაკითგან სიყრ[18]მისა ჩემისაჲთ და ვიდრე სიბერედ ჩემდამდე არაოდეს უდებ ვიქმენ დათხევად სისხლთა ჩემთა და თჳსთა ჩემთასა და მრავლისა მის ერისა ჩემისასა სათნო-ყოფისათჳს მეფობისა მათისა, ვინაჲცა ვიბრძანე მსახურებად Ⴀღმოსავლეთს გინა Ⴃასავლეთს საბერძნეთისა სარგებელსა და მსახურებასა. Ⴑე, ნანდჳლვე და ვიდრე ტყუეობათა შთავრდომადმდეცა თავით ჩემით და ჩემ თანა არა მცირედთა ნათესავთა ჩემთა ჴელსა წარმართთასა მიცემადმდე მიმსახურებია საბერძნეთისადა. Ⴃა უკუეთუ ვთქუა, თუ მცირედნიღა ვინ ჩუენგანნი მომკუდარ არიან სარეცელსა ზედა თჳსსა მშჳდობით, რომელნი არა ჴელთაგან საბერძნეთისა და ძელისა ცხორებისა მტერთაჲსა მახჳლითა მომწყდარ არიან, არა ვტყუვი.

5. Ⴞოლო აწ რამეთუ ღირს მყო მე ღმერთმან აღსრულებად გულის-თქუმასა გულისა ჩემისასა და განსრულდეს წმიდანი ესე ეკლესიანი გარე მოზღუდვილით მონასტრით და სენაკებითურთ ჩემთა მრ[19]ავალთა საფასეთა წარგებითა. რომლისათჳს ვიკადრო და ვთქუა, ვითარმედ არავის სხჳსა მიკნინადმდე საჴმრისა, გინა ვინაჲვე მონახუეჭისა ანუ თუ გლეხთა ჩემთა უსასყიდლოდ მოპაჰრაკებითა რასავე მსახურებასა შინა, გინა ჭირვებითა მათითა ქმნილ არს შენებაჲ წმიდისა ამის ეკლესიისა და მონასტრისა ჩემისაჲ, არამედ ყოვლივე მხოლოდ ჩემისაგან ნაქონებისა და სამართლად მონაგებისაგან ქმნილ არს.

Ⴇავი Ⴂ

Ⴘესაწირავთათჳს და ძღუენთა და ადგილთა, რომელნი მიეცნეს და დაისხნეს ეკლესიასა ამას

1. Ⴋივეც უკუე და დაუმტკიცე წმიდასა ეკლესიასა ჩემსა მე, Ⴂრიგოლ, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან ყოვლისა Ⴃასავალეთისამან, ძემან სულ-კურთხეულისა Ⴁაკურიანისამან, ოქრობეჭდებითა ჩემდა მონიჭებულისაგან მონაგებისა და მამულისა ჩემისა, რომელნიცა მაქუნდეს ჴელმწიფებით სრულითა და შეუძრავითა უფლებითა, ლოგისქმნილ[20]ითა ოქრობეჭდებითა:

Პირველად თავითგანვე თემსა Ფილიპოპოლისასა ციხედ წოდებული სოფელი Პეტრიწონისაჲ, რომელი Ვასილიკოსობად[1] წოდებულ არს, სრულად ყოვლითა აგარაებითა თჳსითა,
Ივანოვა აგარაკი, რომელსა შინა აწ მონასტერი აღიშენა,
Პეტრიწონი აგარაჲ და
Ვაჩქოვა აგარაჲ,
Დობროლონგი აგარაჲ,
Დობროსტანი აგარაჲ,
Მოსინაჲ აგარაჲ,
Ზაშკოვა აგარაჲ,
Იავორროვა აგარაჲ.
Ესე ყოველნი თავიეთ ზღვრითა და სინორითა, და ყოვლითა სამართალითა და პირველითგანვე ქონებულითა ნაქონებითა მათითა და შემოსავალითა მათდა ქმნილისა მისებრ პერიერეზმონისა.
2. Ეგრეთვე მივეც დამოკიდებით მისსა ჩემი დიდი სოფელი Სტენიმახი, ჩემ მიერ აგებულითა ორითავე ციხით მისითურთ და ეგრეთვე მსგავსად აგარაებითურთ:
Ზიპიწონით და
აგარაჲთ Ბარბარეწმიდითურთ, რომელი-იგი Ფრენაკსა ახლავს,
და სოხასტრებით მი[21]სით:
Ნიკოლწმიდით,
Ელიაწმიდით,
ზემოჲთ Გიორგიწმიდითურთ და
ქუემოჲთ, რომელი სოფელსა ახლავს, მითვე სახითა სრულებით თავისა ყოვლითავე პირველითგან გარე-შემოწერილითა ზღვრითა და ჩემ მიერ დადებულითა სინორითა შორის მისსა და მეორისა ციხისა Ვოტინაჲსა.
3. Მივეც კუალად ციხეცა Ვანსკაჲ ახალ-ციხითურთ Ვრისით და სხჳთა ყოვლითა სოფლებითა და აგარაებითა მისითა და პლანინაებითა და ყოვლითავე ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა მისითა.
4. Ეგრეთვე მივეც Თოფოლიწონთა Პრეტორად სახელ-დებული სოფელი, რომელსა Ბელოვა ეწოდების, თავისა ყოვლითა შემოწერილებითა და ზღვრითა და ყოვლითა ნაქონებითა სრულებით.
5. Მივეც მაგასვე ზემო ჴსენებულსა ეკლესიასა ჩემსა თემსა შინა Ვოლერონისასა ვანდსა Მოსინოპოლისასა პრასტინი ჩემი Ზაუწი თავისა ყოვლითა ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა სრულებით. Და ციხესა Მოსინოპოლისასა შიგნით ჩემ მიერ განძითა ნასყიდნი სასახლენი ადგილნი და ჩემგანვე აღგებულნი სახლნი მას შინა და ეგრ[22]ეთვე ყმისა ჩემისა Ვარდან პრონოიტისისა ჴელითა გან-

[1] ვასილისკოსობად.

ძითა ჩემითა ნასყიდნი სახლნი მასვე ციხესა შინა Ⴔილიპოპოლისასა; და ციხესა გარეგნით მონასტერი Ⴂიორგიწმიდისაჲ, რომელი-იგი არს Ⴑაპიკისა მთის ძირსა, თავისა ვენაჴებითა და ყანებითა და მტილებითა და ყოვლითა სამართალითა და ნაქონებითა.

6. Ⴃა მასვე თემსა შინა ვანდსა Ⴑერითორისასა მივეც პრასტინი ჩემი სახელით Ⴔინა ზედა ნართაულით მიწით და ყანებით მისითურთ, ვითარ-იგი საპარადოდიკოსა პრახტიკონსა შინა სწერია.

7. Ⴄგრეთვე Ⴑერითორისა ციხესა შიგნით ავლინი, რომელი Ⴀბაზს, Ⴀხსართანის ძმასა, სიძესა ჩუენსა, ჰქონდა[1], მითვე ყოვლითა შენებულებითა და ნაქონებითა.

8. Ⴄსე უკუე ყოველნი, რომელნი სახელ-დებით ზემოჲთ სწერიან, მიმიცემიან ზემო ჴსენებულისა მონასტრისა ჩემისა ქართველთა Ⴖმრთისმშობელისა Ⴎეტრიწონისადა, ვითა ზემო ვთქუ, თავიეთ ყოვლითავე ზღვრითა და პირველითგანვე ქონებულითა ჭამულებითა და სამართალითა და თავიეთ ულლებითა ყოვლითა და თესულებითა [23] და ყოვლითა ალაგითა და შემოსავალითა.

9. სანატრელსა უკუე ძმასა ჩემსა Ⴀბაზ მაგისტროსსა ესრეთ დაეწესა ანდერძსა შინა მისსა, ვითარმედ: სადაცა ინებოს ძმამან ჩემმან Ⴂრიგოლ აღშენებაჲ ეკლესიისა და საფლავისაჲ, მე მუნ დამმარხეთ. Ⴃა სხუათა თანა საჴმართა დაეწერა და დაეწესა ნაწილად სულისა თჳსისა[2] თავისა სოფელი Ⴑრილონგი თემსა შინა სოლონიკისასა, რომელ არს საარხონდოსა სტეფანიანისასა, რომელი-იგი აქუნდა მას პატიოსნითა და თაყუანის-საცემელითა სარწმუნოითა[3] ოქრობეჭდითა მინიჭებულად მისდა ნაცვალად პრასტინთა მისთა, რომელნი დაეტევნეს Ⴀნტიოქიას.

10. Ⴃა კუალად ესეცა დაეწესა ანდერძსა შინა თჳსსა, ვითარმედ: უკუეთუ ვერ ეწიფოს ძმასა ჩემსა შენებად ეკლესიისა და მონასტრისა, მაშა სადაცა დავიმარხო, მუნ მიეცეს ესე სოფელი.

11. Ⴂარნა ვინაჲთგან წინამძღურებითა ღმრთისაჲთა, აღიშენა ჩემ მიერ ზემო თქუმული ესე ეკლესიაჲ და მონასტერი ჩემი, ვყავთ ჩუენ ბრძანებისაებრ მისისა და მოვიყვანე ლარნაკი მისი აქა, [24] მონასტერსა და ეკლესიასა სამარხოსა ჩემსა, და მუნ დავდევით საფლავსა შინა გუამი მისი. Ⴃა ვითარ-იგი ჯერ-იყო და შეჰგვანდა ჩემისა მისგან დიდისა და მრავლისა შეურვებისა და მჴურვალედ შემწუველისა სურვილისა, რომელი მაქუნდა მისა მიმართ, ეგრეთ პატივით და ღირსებით ვიღუაწეთ იგი და განვაწესეთ ყოველივე სარგებელი სულისა მისისაჲ და ფრიადიცა გასაყოფელი მივეც ჴელითა ჩემითა საჴმართა და საფასეთა ჩემთაგან, პირველ, ოდეს-იგი ვიყავ მე Ⴇეოდოსოპოლისს, და აწცა კუალად, Ⴃასავლეთს მოსლვასა ჩემსა.

12. ႠႼ უკუე, ვითარცა ვთქუ, სოფელი იგი Ⴑრილონგი, მისი-

---

[1] ჰქუნდა. [2] თჳსსა. [3] ასეა.

საებრ განწესებისა, მივეცით მონასტერსა ჩუენსა და სამარხოსა მისსა და განვაწესეთ ყოფად მისთჳს ლოცვისა მრავლისა და ჟამის წირვისა, ვითარ ესერა ქუემოჲთ სწერია. Ⴋიგჳცემიეს უკუე სოფელი ესე Ⴎრილონგი მონასტრისა ჩუენისადა თავისა ძუელითა ციხებითა და აგარაებითა, ქსენადოშებითა და ყოვლითა [25] ზღვრითა მისითა და პირველითგანითა ნაქონებითა და სამართალითა მისითა.

13. Ⴄგრეთვე დაეწერა ანდერძსა შინა თჳსსა სანატრელსა ძმასა ჩემსა და მოეცა ლეღატად ნაწილად ჩემდა ეგრევე სახედ ოქრობეჭდითა მისდა მინიჭებულთა ადგილთაგან სოფელი Ⴞრავიკი Ⴉესაროპოლიითურთ, რომელ არს თემსა Ⴑერაჲსასა, ვანდსა შინა Ⴆავალტონისასა სათევზითა ტბითა მისითა და აგარაჲთა, რომელსა Ⴂლავავა ეწოდების, და მე ვიქმენ[1] უფალ და ჴელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა. Ⴂარნა მე პ ი რ ვ ე ლ ა დ სურვილისათჳს მისისა და მოწლედ სიყუარულისა და მ ე რ მ ე რამეთუ არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა საჴმართათჳს, რამეთუ ნებითა ღმრთისაჲთა და ბედითა წმიდათა და თჳთმპყრობელთა მეფეთაჲთა და ჩემითა მოსწრაფებითა და მოჭირვებითა არარაჲ მაკლდა, არცა მაქუნდა ხუეჭაჲ რაჲსავე, რომლისათჳსცა პირველ თქუმული ესე სოფელი და ციხე, რომელი ლეღატად ჩემდა დაეტევა მას, განვაწესე და მივეც [26] კუალად იგიცა ამასვე ზემო ჴსენებულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩემსა და სამარხოსა მისსა.

14. Ⴀწ უკუე სახელ-დებით ზემო თქმულნი ესე ციხენი და სოფელნი და პრასტინნი ყოველნივე, რომელნიცა შევწირენით და მივსცენით წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა და მონასტერსა ქართველთასა Ⴎეტრიწონისასა, ყოველთავე სახელები პატიოსანსა შინა და სარწმუნოსა სიმტკიცისა ოქრობეჭედსა, რომელი შეიქმნა ამის მონასტრისათჳს, თითოეულად წერილ არიან.

15. Ⴋრავალი უკუე სხუაჲცა საჴმარი განეწესა პირველ თქუმულსა სანატრელსა ძმასა ჩემსა მონაგებთა და საფასეთა მისთაგან ჴელითა ჩემითა მიცემად სულისათჳს მისისა, ესე-იგი არს განძისაგან, ვეცხლის ჭურჭელთაგან, შესამოსელთაგან და სხჳსა ყოვლისავე საჴმრისაგან და ეგრეთვე ოთხფერჴთაგან და ყოვლისაგანვე ჰასაკისა პირთაჲსა, რამეთუ ნებითა ღმრთისაჲთა მდიდარი იყო და აქუნდა ყოველივე საჴმარი უკლებად.

16. Ⴠე[2] და ჩემიცა არა მცირედი აქუნდა საფასე მის თანა ნამარხევად დადე[27]ბული, რომელიმე ჴელითა ჩემითა მიცემული მისდა და სხუაჲ რომელიმე, შემდგომად Ⴀღმოსავლეთს განმგებელად წარ-

[1] ვექმენ (თუ «ვექმენ» ფორმას დავტოვებდით, მაშინ მომდევნო ობიექტები მიცემით ბრუნვაში დადგებოდა: ვექმენ უფალ და ჴელმწიფე ამას სოფელსა და ციხესა).

[2] ჰე.

სლვისა ჩემისა Ⴇეოდოსოპოლისს, ჩემთა პრასტინთა ყოველსავე შემოსავალსა ამათ წელთასა ბრძანებითავე ჩემითა აიღებდა და დაჰმარხვიდა, რამეთუ არავინ მესუა მე სხუაჲ ვინ უფროჲს მისსა მისანდობელი სულისათჳს ჩემისა, ვითარ-იგი არცა მას ვინ ესუა უფროჲს ჩემსა მისთჳს მისანდობელი. Ⴃა რომელი-იგი იყო ჩემი მის თანა, ყოველივე ძუელი განძი იყო: რომანატი, მონამახატი[1], დუკატი, ექუსთაველი და მიხაილატი, რომლისაგან, Ⴀღმოსავლეთით რაჲ მოვიქეც შემდგომად ძმისა ჩემისა დალევნისა, არცა ერთი რაჲ ვჰპოვე გინა თუ ჩემისაგან, გინა თუ მისისაგან საფასისა, რომელიცა მას სულისა თჳსისათჳს დაეწესა მიცემად.

17. Ⴞოლო ზემო ჴსენებულნი ეგე მონაგებნი ყოველნი, რომელთაცა სახელები თჳთოეულად ზემოჲთ სწერიან, ესრე სახედ მიგჳცემიან სრულებით ყოვლითა საჴმრითა მათითა, სეფითა ულლებითა და [28] ეგრეთვე გლეხებითა, მთითა და ბარითა, ტყითა და პლანინაებითა და საძოვრითა[2] ადგილებითა, ვენაჴებითა და ხილნარებითა, წისქჳლებითა და სახლებითა, ზღჳთა და ჴმელითა, ციხებითა და ყოვლითა შენებულებითა მათითა და ყოვლითა ქონიერებითა მათითა და შემოსავალითა შინა და გარე, ძრვადითა და უძრავითა და თჳთმოძრავითა ყოვლითა.

18. Ⴀმას თანა შევწირენით და მივსცენით ხატნი პატიოსანნი მრავალნი და ჯუარნი საუფლონი, სავსენი ნაწილითა ძელისა ცხოვრებისაჲთა და სახარებანიცა ქართულნი და ბერძულნი. Ⴀმათგანნი უმრავლესნი დიდძალითა წარსაგებელითა შემკულ არიან თუალებითა პატიოსნითა და მარგალიტითა, მინაჲთა და შემეფტონითა. Ⴃა სხუაჲ სამკაული მრავალი ფერი ეკლესიისაჲ, რომელ არიან ბარძიმ-ფეშხუმები და საცეცხურები ვეცხლისაჲ და ქორაკანდელნი ვეცხლისანი და ჭიქანი ბრწყინვალედ პატიოსანნი და ეგრეთ[29]ვე სამეუფონი შესამოსელნი პატიოსანნი თჳთ მებრ წმიდისა მეფისა კირუ Ⴀლექსისა Ⴉომნიანოსისა, თჳსისა წმიდისა ტანისაგან წარმოცემული ჩემდა ჟამსა მას, ოდეს-იგი ღმერთმან დიდითა ძალითა თჳსითა და შეწევნითა ძლიერისა მარჯუენისა თჳსისაჲთა და ეგრევე მსგავსად ბედითა წმიდისა და თჳთმპყრობელისა მეფისა ჩუენისაჲთა, დაამჴუა ჩუენ მიერ უშჯულოჲ და ფრიად მძლავრი მტერი ქრისტეანეთა და საბერძნეთისაჲ ნათესავი პეწინაგთაჲ, რომელთაცა ძლეულებაჲ და მოსრვაჲ წიგნითა აღწერად ვერ ძალ-მიც, რომელთასა ვჰგონებ, რომელ შემდგომად აღსრულებისა ჩემისა მრავალთა შინა ჟამთა იჴსენებოდის მაშინ ყოფილი იგი ღმრთისა მიერ საკჳრველებაჲ.

19. Ⴄგრეთვე იგიცა შესამოსლები მივეც, რომელ, ოდეს კუმანთა ტყუეობისაგან გამომიჴსნა ღმერთმან წყალობითა თჳსითა, წარმო-

---

[1] მონამახი. [2] სასაძოვრითა.

ეცნეს ჩემდა წმიდასა მეფესა და ძლიერსა სევასტოკრატორსა, ძმასა მეფობისა მისისასა.

20. Ⴋივსცენით კუალად სხუანიცა სამოსელნი უკერველნი დიდ-ფასისანი და სხუანიცა ხატნი ფიც[30]რისანი, ოქროპეტალოჲთა და წამლითა შუენიერად დაწერილნი, საჴმარად და სამკაულად ეკლესი-ისა და ეგრეთვე საკანდლენი რვალისანი ჯაჭუებითურთ და სასანთლენი კელაპტარნი მრავალნი.

21. Ⴃა ამათ ყოველთა საზომი და სახე ამისსა შემდგომად წიგნსა ამას შინა წულილ-წულილად ქუემო შთაგჳწერია, რომელნიცა მი-გჳცემიან წმიდისა ეკლესიისა ჩუენისადა[1].

Ⴇავი Ⴂ

Ⴀზნაურად ყოფისათჳს მონასტრისა ჩუენისა ყოვლისაგანვე სახისა სახარკოჲსა და მსახურებისა

1. Ⴘემდგომად ყოვლისა ამის განვაწესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჩემი და სამოღუაწეოჲ სენაკები და უდაბნოჲ ესე და მონასტერი საკრებულოჲ ყოფად თჳნიერ ყოვლისა მსახურებისა, სამეუფოჲსა და სამთავროჲსა, ყოვლითა ამით ზედა წერილით მონაგებითურთ, რომელი დაგვიწე-რიეს და მიგჳცემიეს ამის მონასტრისადა, ზემავალითა და ქუემდებარითა და თჳთმავალითა ყოვლითა, რაჲთა იყოს თავისუფალ ყოვ-ლითურთ, აზნაურ და თჳთჴელმწიფე, თჳთმფლობელ და და[31]უმო-ნებელ[2] და რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ: სამეუფოსა და საპატრიაქოსა, სამიტროპოლიტოსა და საებისკოპოსოსა და სამამა-სახლისოსა ყოველსა.

2. Ⴃა უფროჲსღა მიტროპოლიტისაგან ფილიპოპოლელთაჲსა[3] არს აზნაურ და შეუვალ მიმუნადმდე, ვიდრე არცაღა თუ კუერექსსა შინა იჴსენებოდის სახელი მისი, გარნა ამას ხოლო იტყოდიან, ვითარმედ: «მოიჴსენენ, უფალო, ყოველნი ეპისკოპოსნი მართლმადიდებელნი» და შემდგომი ამისი.

3. Ⴃა ეგრეთვე ყოველთაგან მთავართა და ჴელმწიფეთა მსოფ-ლიოთა არს თავისუფალ მონასტერი ჩემი, დიდთაგან და ვიდრე მიმ-ცირეთადმდე, ვითარ-იგი სარწმუნოთა მიერ სამეუფოთა ოქრობე-ჭედთა არს დამტკიცებულ[4] ესე ყოველი.

---

[1] მხედველობაში აქვს 34-ე და 35-ე თავებში ჩამოთვლილი ნივთები. [2] და-ომონებელ.

[3] ასეა. [4] დამტკიცებუ.

Ⴇავი Ⴄ

ზოგად მცხორებელთათჳს კრებულისა ძმათა და განყენებისათჳს მათისა მოსენაკეობისაგან

1. Ⴌებითა ღმრთისაჲთა, განწესებისაებრ წმიდათა პირველთა მამათაჲსა, ვინებე მეცა, უნდომან და უღირსმან მონამან Ⴕრისტესმან Ⴂრიგოლ, ყოფად მონასტრისა ჩემისა და მას [32] შინა დამკჳდრებულთა ძმათა, რაჲთა იყვნენ ყოველნი იგი ზოგად მცხორებელ ერთობით, წინამძღუარიცა და ძმანიცა; ბრძენმცა არიან და გულისჴმის-მყოფელ საღმრთოთაცა საქმეთა შინა და კაცობრივთა, ერთ-გულ და ერთ-სიტყუა ყოვლით კერძო მყუდროსა მას შინა და დაწყნარებულსა ცხორებასა.

2. Ⴃა იყავნ ტაბლაჲ მათი საზოგადო და საერთადო, რამეთუ არა მნებავს რაჲთურთიით, რაჲთა ორი გუარი პური, გინა საჭმელი ანუ სხუაჲ რაჲმე სანოვაგეთაგანი შეიქმნებოდის, ანუ თუ ორი გუარი ღჳნოჲ იწდეოდის, რამეთუ სადაცა ზოგად მცხორებელნი იყვნენ, არა ჯერ-არს, რაჲთა ერთი მეორისა უმჯობესთა საზრდელთა და სასუმელთა იჴუმევდეს, არცაღა თჳთ მებრ მამასახლისი, რამეთუ უფროჲსღა მისა ჯერ-არს ქონებად უმეტესისა სიმდაბლისა და წესიერებისა, რაჲთა ესრეთ შეუძლოს მან სხუათა მათ დამჭირვად და პყრობად განწესებულსა ამას ქუეშე.

3. Ⴂანვაყენებ ამისგანცა, რომელ არს საკუთრად თავისა თჳსისათჳს ალაგისა რაჲსამე [33] ღუწოლაჲ ძმისაჲ, ანუ თუ ნაშრომისა, ანუ ოთხფერჴისა მოგებაჲ, ანუ სენაკთა შინა მათთა რაჲსაცა დამარხვაჲ, რამეთუ ამას ყოველსა გარე განვსდევნით — მარტოდ ჭამასა და სუმასა ფარულად გინა ცხადად, გინა თუ სხუასა თანა. Ⴐამეთუ რომელი ამას იქმოდის, იგი წინა-აღუდგების აღთქუმასა მას და მცნებასა, რომელი-იგი წინაშე ღმრთისა და კაცთა არა კაცთა, არამედ ანგელოზთა აღუწერიეს ცათა შინა, რომლისათჳს სიტყჳსა მიცემაჲ მიგუეჴადების წინაშე საშინელთა საყდართა Ⴕრისტესთა.

4. Ⴄგრეთვე არცა სადუღარისა ჭურჭლისა ჯერ-არს ქონებად, არცა წუენისა ქმნად, გინა კიდეგნად ტაბლისა შემზადებად, ანუ თუ მოღებად რაჲსამე საზიაროსა მას ტრაპეზსა და მუნ შეჭმად, რაჲთა არა პატიოსნისა ტაძრისა წილ და სამოციქულოჲსა ტაბლისა საფარდულ იქმნას ადგილი ესე.

5. Ⴞოლო უკუეთუ უძლურებისათჳს, გინა სიბერესა დიდსა მიწევნისა მიზეზითა ნუგეშინის-ცემაჲ ჴმდეს ვისიმე, ჯერ-არს, გარნა კნინოდენ.

6. Ⴞოლო უკუეთუ მთავართაგანი ვინ, გინა თუ შუებ[34]ულად ცხორებულთაჲ მოსრულ იყოს მონაზონებად და ესევითარნი იგი მსახურისა გინა მოწფისა საკუთრად დადგინებასა ინუკევდენ, არა ვსცემთ მიშუებასა. Ⴐამეთუ უკუეთუ მიუშუას ვინ და ადგილ-სცეს მათ, არა ხოლო თუ უსწორებლობაჲ და განყოფილებაჲ შეიქმნების ამის მიერ შორის ძმათა და საზიაროჲსა მის ცხორებისა წესისა შეცვალებაჲ, არამედ დიდიცა სავნებელი და ახალ-სახეობაჲ არა სულიერი ოდენ შორის შემოვალს, არამედ მონაგებთაცა ადგილისათა სარგებელისა წილ სავნებელი ფრიადი შეემთხჳოს და ევნოს მას შინა მყოფთა მათ თჳთრჩულობითა მით [1] და შეძინების-მოყუარებითა. Ⴐამეთუ განთჳსებით საკუთრად წესისა ძიებითა ზოგად საცხორებელსა მას წესსა და საქმესა უწესოებად და ორგულებად შესცვალებენ და, — რაჲთა ესრეთცა ვთქუა, ვითარმედ, — საჯმარსა მას უჯმრად გამოაჩინებენ თავჯერდობით. Ⴀრამედ უფრჲსღა თანა-აც ესევითართა მათ, რაჲთა ღმრთის მოშიშებით და სიბრძნით სხუათაცა მსახურების განგებაჲ თ[35]ავს-იდვან და არა რაჲთა საჭამადთა და სასუამადთა სენაკთა შინა თჳსთა დაჰმარხვიდენ და გინა ცხადად, გინა ფარულად ჭამად გული უთქუმიდეს, რამეთუ ამას ყოველსა გარე-განვაშორებთ ქონებად ვისსამე.

7. Ⴃა არა გუნებავს, რაჲთა ძმათა საჯმარი რაჲმე აქუნდეს განთჳსებულად, ცხადად გინა ფარულად, დიდი გინა მცირე; არცა სხუათაგან მოღებად რაჲსამე, გინა მიცემად ვისამე ქველის საქმედ, დაღაცათუ გლახაკცა იყოს. Ⴃა ნუმცა ვინ არს უმეცარ ესევითართა, ვითარმედ არა საქებელ არიან, რამეთუ საეშმაკო არს ესე და გარეგან შჯულისა, და კანონისა მის მოძღურებისა დამჴსნელ.

8. Ⴐამეთუ ოდესღა-იგი არავის აქუნდეს ჴელმწიფებაჲ თავისა თჳსისა უფლებად, ვითარ უკუე ეუფლოს სხჳსა საჯმართა ვითარცა თჳსთა? და რომელსა-იგი [2] თჳსთაგან საჯმართა ყოველთა ეჯმნას, ვითარ განაგებდეს სხჳსასა მას და ვითარცა თჳსსა მისცემდეს მოქენეთა მათ?

9. Ⴐამეთუ რომელსა თავიცა თჳსი უარ-ეყოს ერთ გზის და ნებაჲცა და სიმართლისადა იყოს დამონებულ და მერმე [36] თავ-მოთნებით განაგებდეს რასმე, რასამცა სხუასა იქმოდა ეგევითარი თჳნიერ, რამეთუ სიმართლესა განეყენების და მონა ცოდვისა ჰყოფს თავსა თჳსსა?

10. Ⴃა რაჲმცა უკუე სასყიდელი მისცა Ⴕრისტემან ესევითარსა მას, რომელი სიმართლესა თჳსსა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილოს?! Ⴂინა რომელიმცა საქმე წყა-

---

[1] მ̄თ.

[2] რ̄ლი-იგი.

ლობისა, გინა უცხოთ მოყუარებისა იყო ესე, რაჟამს-იგი არცა თუ მცირედი ზღვევაჲ თავს-იდვას ვინ, არამედ ნაცვალად მისსა, რომელი-იგი გლახაკსა მისცა, სხუასა საჭმარსა ითხოვდეს წინამძღურისაგან და ძუელისა წილ ახალსა ინებებდეს და უჭმრისა წილ საჭმარსა ბორროტად მოვაჭრებითა?

11. Ⴅითარ უკუე არა ცხად არს, ვითარმედ იჭირვი შენ, რომელი-ეგე ამას ჰყოფ, არა თუ სტუმართ მოყუარეობისათჳს, გინა გლახაკთ მოწყალებისა, არამედ საფარდულისა შეძინებითა და ანგაჰრებითა, ოდესღა-იგი მათსა მას ზღვევასა რეცა ლმობიერად იჩქურებ და სიცივისა და სიშიშულისა თავს-დებად ჰმარჩუენებ[37]ლობ სიყუარულისათჳს მოყუსისა, რაჲთამცა ესრე სახედ არა მიემთხჳე მეცნიერებით დასჯილებასა?

12. Ⴟერ-არს უკუე და სამართალ განკრძალვად ყოველთა და უფროჲსღა წინამძღურისა სწავლათა შედგომად და იგი ოდენ ცნობად შჯულად და მცნებად და საღმრთოდ ბრძანებად, რომელი-რაჲ მან უბრძანოს, და არა შთავრდომად რეცა გონება-ტკბილობით მპარვობასა და არა უმეცრებად, ვითარმედ ზიარი არს და ზოგადი ყოველთათჳს უცხოთ მოყუარებაჲ იგი და ქველის საქმე, რომელი იქმნების მნეთა მიერ და განმგეთა ეკლესიისათა.

13. Ⴜწ უკუე რომელი წესსა ამას ზედა არა დაადგრეს[1], არამედ უმეტესსა რასმე ჴელ-ჰყოფდეს და ზეცაიერსა მას მორჩილებასა ზაკულებით აღაშფოთებდეს, უკუეთუ არა ინებოს განმართებად თავისა თჳსისა და მოსლვად სიმართლესა, ეგევითარი იგი, ვითარცა ჴუებული შვილებისაგან, უცხოდ შეირაცხენ ძმობისა ამისგან და იჯმენინ და განვარდინ საღმრთოჲსა ამისგან სამკჳდრებელისა.

Ⴇავი Ⴅ

Ⴜინამძღურისათჳს მონასტრისა, ვითარ [38] ჯერ-არს გამორჩევაჲ და დამტკიცებაჲ ანუ შემდგომად პირველისა წინამძღურისა ვითარ ჯერ-არს მეორისა დაყენებაჲ მასვე მსახურებასა მონასტრისასა

1. Ⴝეშმარიტად უკუე და სამართლად პირველ ყოვლისა წინა მდებარეთა მათ განწესებათაჲსა ჯერ-არს წინამძღურისა ძმათა მონასტრისათა ყოფად ურჩეულესი და უფრო უწესიერესი, რომელი უმეტეს ყოვლისა სასწრაფო არს ჩუენდა ფრიად და რომლისათჳს ყოველი მოგონებაჲ და გულს-მოდგინებაჲ ჩუენი აღვძართ და განვიკითხეთ ურთიერთარს გამოცნობით და ესე ვპოვეთ წრფელი და ყოვლისა შფოთისაგან თავისუფალი გზაჲ: რაჲთა ვიდრე მე, მაშენებელი ზემო

[1] დაადრგეს.

ჴსენებულისა მის მონასტრისაჲ, ცოცხალ ვიყო, რომელიცა მე დავაწესო წინამძღურად მონასტრისა, იგი იყავნ, და უკუეთუ დაადგრეს[1] წესიერად და სიწრფოებით განწესებულისა ამისებრ მცნებისა, ეგოს იგი წინამძღურობასა მას შინა ვიდრე დღედმდე აღსასრულისა მისისა.

2. Ⴞოლო შემდგომად მისსა დაყენებადი იგი, წესისაებრ ჟამისა, [39] წინამძღუარი ჟამსა მიცვალებისა მისისასა მანვე პირველმან გამოარჩიოს მეორედ წინამძღურად ყოფადი იგი მწყემსად ძმათა, გარნა არა თჳსებისა, გინა მეგობრობისა მიზეზითა, არამედ ძმათა ყოველთა წამებითა და დამტკიცებითა ყოს, და რომელი-იგი შემძლებელ იყოს ჟამსა მას შინა და ურჩეულესი, უფროჲს ყოველთა გულისჴმის-მყოფელი და თუალ-უხუავი.

3. Ⴞოლო მისდა ესრე ჯერ-არს ქონებად ჴელმწიფებისა ჴელთდებულისა მის მამობისასა[2], რომელი-იგი ძმათა წინამძღუარ ყოფად იყოს, რაჲთა არა იყოს ნეფსით თჳსით მოსწრაფე წოდებასა მას, არამედ, ვითარცა ზემო ვთქუ, გამორჩევასა მას და ბრძანებასა მოელოდის ზედამდგომელისასა, რამეთუ ესრე მნებავს ყოფად ყოველთა მათ, უფროჲსღა, რაჲთა ესევითარი იგი ჴელ-ყოფაჲ ესრე სახედ ყონ, გარნა არა თჳნიერ ნებისა გინა დაჯერებისა აღსრულებადისა მის წინამძღურისა.

4. Ⴞოლო შემდგომად ამიერ განსლვისა პირველისა მის წინამძღურისა მერმეღა აქუნდეს მეორესა მას ჴელმწიფებაჲ მთავრობისაჲ მის თანა-განზრახვითა მოღუაწეთა და [40] ჴელისუფალთა მონასტრისათა და რომელნი-იგი მოურნე სულისა მიცვალებულისაჲ მის იყვნენ.

5. Ⴉუალად ამასცა ვიტყჳ: შემდგომად მიცვალებულისა მის წინამძღურისა, რომელი ჩემ მიერ გამორჩეულ და დაწესებულ იყოს წინამძღურად, უკუეთუ ესრეთ რაჲმე დახუდეს, რომელ ანასდეულად მიიცვალოს და ვერ ეწიფოს ესრეთ განგებად და დაყენებად ვისამე წინამძღურად სამწყსოჲსა მის, მაშინ უკუე გამორჩევითა და გამოძიებითა უმჯობესთა და მოღუაწეთა და მეცნიერთა ძმათა და სულისა მოურავთაჲთა დაიწესოს ძმათაგანი წინამძღურად. Ⴃა ესე კუალად წესისაებრ პირველ ჩემ მიერ განჩინებულისა, რომელი ვთქუთ ახლად დაყენებისათჳს წინამძღურისა. Ⴃა ახლად დადგინებული იგი დგეს და ეგოს ეგრევე სახედ, ვითარმცა მიცვალებულისა მისგან იყო გამორჩეულ და დადგინებულ.

6. Ⴞოლო დადგინებასა და წარმართებასა მას წინამძღურისასა ესრეთ განვაგებთ, რაჲთა მიიცვალებოდის რაჲ პირველი წინამძღუარი, ესე იგი არს უფლისა რაჲ [41] ვიდოდის, ვიდრეღა ჯერეთ იყოს-

---

[1] დაადრგეს. [2] ასეა (მოსალოდნელი იყო: მამობისაჲსა). შდრ. შუენიერებასა სახლისა ღმრთისასა (21,3).

და იგი ცხორებასა ამას, შემოკრიბნეს ძმანი ყოველნი ერთად და
წარმოადგინონ, რომელი-იგი შემდგომად მისსა წინამძღუარ ყო-
ფად იყოს, და ამცნონ მას დამარხვად ყოველივე ჩუენ მიერ პირველ
განსაზღვრებულისა მის განგებისა წესი, რაჲთა მას ზედა მოქალა-
ქობდეს, და არა აქუნდეს ჴელმწიფებაჲ თავით თჳსით განგებად
რაჲსამე.

7. Ⴃა მერმე შემდგომად დაფლვისა მიცვალებულისა მის მესამე-
სა დღესა ესე ჯერ-არს ყოფად ახლისა მის წინამძღურისა: რაჲთა
აღასრულონ ღამის თევაჲ და პანაშჳდი და სამხრად, აღასრულონ რაჲ
საღმრთოჲ საიდუმლოჲ, წინაშე წმიდისა საკურთხეველისა დაადგი-
ნონ და ძმათა ყოველთა წესისაებრ თჳთოეულმან ყოველმან მუჴლნი
მოუდრიკნეს და ამბორს-უყონ და მერმეღა, შემდგომად ამისსა, გან-
მხიარულებულნი ერთბამად ყოველნი ტრაპეზად იწოდნენ უფლისა
მიერ და უხუებით ტაბლაჲ დაეგოს და ჰმადლობდენ ღმერთსა.

8. Ⴐომლისათჳსცა ვაფუცებ და ამასვე ვეტყჳ პირველსა მას წი-
ნამძღუარსა და შემდგომთა მისთა, რაჲთა წარმართებულად და
სიწრფ[42]ოებით ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა და სიმართ-
ლით იქცეოდის ძმათა მიმართ და თავადისა Ⴕრისტეს Ⴈესუჲს მიერ
უფლისა ჩუენისა, თუალ-უხუავისა მის, განმკითხველისა გულთა და
თირკუმელთაჲსა და განმკუეთელისა უფროჲს ყოვლისა მახჳლისა
ორპირისა, რომელი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჳნველისა და ნა-
წევართა მიიწევის და განჰვლის და მიაგებს თჳთოეულსა საქმეთაებრ
(Ⴂამოცხ. 2, 23, Ⴄბრ. 4, 12); და რაჲთა არა-რაჲ ულირსებით და სავ-
ნებელად წმიდასა მას ზედა სამწყსოსა ძმობისასა განიზრახოს, რო-
მელთათჳს არცა ერთი რაჲ შრომაჲ გინა ჭირი თავს-უც, არცა
თჳსითა შრომითა მოუგიეს, ვითარ-იგი დიდისა მოციქულისა Ⴎავ-
ლესებრ ჯერ-არს თქუმად განკანონებით, ვითარმედ: რომელი-იგი
არა იქმოდის, ნუცაღა ჭამნ! [II თესალ. 3, 10]. Ⴀმისთჳს რასაცა
იქმოდის, ესრეთმცა ჰყოფს, ვითარცა წინაშე თუალთა Ⴛისა ღმრთი-
სათა სახილველად მისა.

9. Ⴃა მის თანა ყოველნი ესრეთვე იქმოდინ წესსა მას და განგე-
ბასა თჳსსა მართლად და უბიწოდ, რამეთუ კმა არს მათდა მადლი
ესე, რამეთუ [43] რომელსა შინა არა დაშურეს, სხუათა შრომილსა და
ნაოფლავსა შინა იშუებენ, რომელი-იგი სხუათა დიდითა მოსწრა-
ფებითა და მრავლითა ღუაწლითა და რუდუნებითა შემოუკრებიეს,
რომელსა იგინი ხოლო იცნობენ, რომელთა გამოცდილებით უწყიან.
Ⴃა ამის ყოვლისა უშრომელად და თჳნიერ ზღვევისა მშუებელ და მჴმა-
რებელ იქმნეს! Ⴀმისთჳს თანა-აც, რაჲთა მარადის ღმერთსა ჰმად-
ლობდენ ჯერისაებრ და ჩუენ გუაჴსენებდენ კეთილად, ვითარცა მი-
ზეზსა[1] ქმნულთა მათდა ესევითართა მათ კეთილთასა.

---

[1] მიზეზ.

10. Ⴃა ვითარმცა უკუე არა სამართლად თანა-ედვა ყოველსავე სიმართლით მავალსა ყოველსა შინა ცხორებასა მისსა მადლობაჲ მჴსნელისა და ღმრთისა ჩუენისაჲ, რომელსა-იგი არცა თუ მცირედ რაჲთამე დამაშურალ არს რჩეულისა ამის და ნუყიერისა ადგილისა ძიებასა! Ⴙუენ ვართ უკუე, რომელთა თავს-ვიდევით ესევითარი ზრუნვაჲ ზე და ქუე სლვითა ჩუენითა და ყოვლისავე ადგილისა მონაგებთა ჩუენთაჲსა მიმოხილვითა და გამოკითხვითა და განსასუენებელისა ძიებითა სამკჳდრებელად [44] ძმათა, რომლისა უფროჲს უმჯობესი და შემსგავსებული ვერსადა ვპოვეთ.

11. Ⴃა ამან ესოდენმან ჩუენმან საქმისა ამის თანა-შემწეობამან ესრე სახედ ერთად შეკრებულსა ამას კეთილთა სიმრავლესა მიმამთხჳნა ჩუენ, რომელ არს პირველად სადგური ესე ყოვლითურთ შუენიერი და განსასუენებელი და აღვსებული მხიარულებითა და სიტკბოებითა და არა ესე ხოლო, არამედ ყოველთა საჴმართა უხუებით და უვნებელად ქონებითა, რომელსა შინა ყოველივე საჴმარი სულიერი და ჴორციელი ურთიერთას შეზავებულად აქუს.

12. Ⴐომლისათჳს მინდობილ ვარ თქუმად, ვითარმედ მსგავს არს ესე ძალისაებრ სამოთხისა ღმრთისა და პირველისა მის კაცისა საშუებელისა, რამეთუ უხუად აქუს და უჴირველად და უზრუნველად ყოველი საშუებელი მას შინა დამკჳდრებულთა მათ, უფროჲსღა ოდეს ვინ შუენიერებასა ეკლესიისასა მიხედნეს და სიკეთესა სამკაულთა და შესამოსელთა მისთასა და მას შინა სულნელებასა მადლითა სულისაჲთა აღსავსესა და ჴმა-ტკბილობასა მას გალობისა ფსალმუნთაჲსა და სულთა [45] სარგებელსა მას წესიერებასა და სამეუფოჲსა მის გზისა სასუფეველისა ჩუენებასა და სხუასა მას ყოველსა მადლითა ღმრთისაჲთა შემკობილებასა.

13. Ⴀწ უკუე ამის ყოვლისა ესრეთ უნაკლულოდ ყოფითა და ყოვლისა კეთილისა უშრომელად პოვნითა ვითარ არა უზრუნველად და სიხარულით ცხონდებოდის ყოველი, რომელი აქა მკჳდრობასა ღირს იქმნას და მარტივითა გულის-სიტყჳთა უღელვოდ ჰმართებდეს ნავსა თჳსსა დაწყნარებულსა ამას შინა ჰაერსა, მსგავსად საყდართა ღმრთისათა მხილველისა მის წინაწარმეტყუელისა [შდრ. Ⴄსაია 6, 1] და მოციქულებრ მოქალაქობითა, ვითარცა-იგი იტყჳს Ⴈობ საკჳრველი: «ეცინოდის ამბოხებასა ქალაქთასა და ჴმასა მოხარკეთასა შეურაცხ-ჰყოფდის» [Ⴈობ 39, 7].

14. Ⴞოლო უპირატეს ყოველთასა, ზეშთა ყოვლისა, წინამძღუარსა უჴმს ყოველსა შინა განმართებაჲ თავისა თჳსისაჲ, რაჲთა სახე კეთილი ყოველთა ექმნას; უფროჲსღა, რაჲთა არაჲ მოიგოს თავისა თჳსისათჳს საკუთრად, რამეთუ ყოველივე მისი არს, და რაჲთა ლოცვისათჳს მოცალე იყოს და სიტყჳთა მოძღურებისაჲთა და სწავლისაჲთა ფრთხილ, ღუწოლისა[46]თჳს ძმათაჲსა მოსწრაფე და უპატიოსნეს ყოვლისა შეჰრაცხოს ესევითარი განგებაჲ და უაღრეს, ვი-

თარცა იტყჳს საღმრთოჲ მოციქული: «სდევდეს სიმართლესა მარ-
ჯუენითცა და მარცხენით, დიდებითა და გინებითა, ქებითა და გმო-
ბითა, ვითარცა მაცთურნი და ჭეშმარიტნი» [II კორ. 6, 7-8]. და
სხჳთა ყოვლითა ესევითართა მცნებათა სახითა ჰმწყსიდეს და უძღო-
დის მისდა რწმუნებულთა მათ სამწყსოთა, მიწევნად ნეტარებასა მას
მოსალოდებელსა. Ⴞოლო სულ-გრძელებასა და სიმშჳდესა და სახიე-
რებასა ყოველთა მიმართმცა აჩუენებს, დიდთა და მცირეთა, და და-
უთმობდეს სულ-მოკლეთა და უდებთა სიყუარულითა Ⴕრისტესითა.
Ⴃა ჯერ-არს თქუმად, ვითარმედ მდრტჳნველთა მათ ზედაცა მებრ
ჯერ-არს ჩუენებად სულ-გრძელებისა, რომელთა დათმობაჲ უძნელეს
და უმძიმეს არს უფროჲს ყოვლისა. Ⴂარნა რომელნი თავს-იდებდენ
მათსა, მრავალი სასყიდელი მოიღონ ღმრთისაგან, რამეთუ მსგავს
ღმრთისა იყვნენ.

15. Ⴃა შემდგომად ამის ყოვლისა ამასცა ვამცნებ კუალად, რაჲთა
არა იყოს მონასტერსა ჩემსა წინამძღუარი, რომელსა თჳს[47]ნი და
ნათესავნი მრავალნი ესხნენ. Ⴃავაყენებ ამისგანცა, რაჲთა არა და-
აყენოს წინამძღუარმან თჳსთა მისთაგანი ჴელადად გინა მსახურად
მონასტერსა შინა, გინა გარე სოფელთა ანუ პრასტინთა.

Ⴇავი Ⴅ

Ⴐიცხჳსათჳს მონაზონთაჲსა რომელნი დავაწესენით, რაჲთა არა დააკლდენ, და მათგანთა ჴელისუფლად დაყენებისათჳს

1. Ⴟერ-არს უკუე რიცხჳსათჳსცა ძმათაჲსა განსაზღვრებად ესრე
სახედ, ვითარ-იგი ქველის მოქმედმან ღმერთმან ჩუენმან პირველ
დასაბამსა შემოსლვაჲ კაცთაჲ სოფლად განაწესა უწინარეს და არა-
რაჲსაგან არსებად მოიყვანნა იგინი წესიერად და ზომიერად, ვითარ-
იგი არავის აქუნდა იჭჳ.

2. Ⴀწ უკუე მნებავს მეცა, რაჲთა იყოს რიცხჳ ზოგად ცხორებულ-
თა მათ ძმათაჲ ორმეოცდა ათამდინ[1], თჳნიერ მამასახლისისა. Ⴞოლო
არიანმცა წმიდათა და მოღუწეთაგანნი[2] და მადლითა ღმრთისაჲთა
შემკულნი სათნოებითა. Ⴃა არა მნებავს, რაჲთა დააკლდეს რიცხჳსა
ორმეოცდა ათთასა თჳნიერ მამისა.

3. Ⴅაფუცებ უფლისა მიმართ და თანა [48] კანონსა დავსდებ არა
შთამოყვანებად რიცხჳ ერგასისთაჲ მათ. Ⴀრამედ უკუეთუ შე-
ემთხჳოს დაკლებაჲ ამის რიცხჳსაჲ გინათუ სიკუდილითა ვისითა, ანუ
სხჳთა მიზეზითა რაჲთმე, კუალადმცა შეემატების და განსრულდების
რიცხჳ ორმეოცდა ათთაჲ მათ, რაჲთა დიდების მეტყუელებასა

---

[1] ასეა. [2] ასეა.

ღმრთისასა და ლოცვასა არა მოაკლდეს და მსახურებაჲცა ადვილად იქმნებოდის და წესიერად და დაუკლებლად. Ⴃა ამის ორმეოცდაათერთმეტისა რიცხჳსაგან:

4. Ⴄრთი იყოს წინამძღუარ და მწყემს მონასტრისა და ძმათა, რჩეული და განსრულებული სულიერითა მეცნიერებითა ყოვლითავე და მოღუწებითა.

5. Ⴃა ორნი იყვნენ იკონომოსად ზედა სოფელთა: ერთი Ⴔილიპოპოლისა კერძისათა და ერთი Ⴑისინოპოლისასათა და სხუათა მათ ქუემოთა სოფელთასა.

6. Ⴃა ერთი დეკანოზად იყოს, წმიდაჲ მოქალაქობითა და მეცნიერ ყოველსა განგებასა ეკლესიისასა, რაჲთა წესისაებრ სჳნაქსარისა აღასრულებდეს ყოველსავე.

7. Ⴃა იყვნენ მღდელნი ჟამის მწირველნი ექუსნი,

8. Ⴃა მთავარ-დიაკონნი ორნი, რომელნი [49] საკურთხეველსა ჰმსახურებდენ და სხუაჲ რაჲცა ებრძანოს მათ.

9. Ⴃა სხუანი კერძოდიაკონნი ორნი წიგნის მკითხველად და კანანარხად.

10. Ⴞოლო ერთი, რომელიცა იყოს მისანდობელი და მოშიში ღმრთისაჲ, დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად ეკლესიისა, სამკაულთა და სიწმიდეთა[1] და საჭმართა და განძისა მცველად, რაჲთა სადაჲთცა შემოვიდოდის, წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს.

11. Ⴃა ერთი იყოს მნათედ-კანდელაკად, რომელ ბრძანებისაებრ დეკანოზისა იმჭირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხჳმელსა და შიშითა ღმრთისაჲთა წარაგებდეს ჯეროვნად. Ⴃა დიდთა დღესასწაულთა, ოდეს მსახურებაჲ ეკლესიისაჲ განმრავლდეს, სხუათაცა ძმათა მისცემდეს მამასახლისი თანაშემწედ მნათისა.

12. Ⴃა ერთი იყოს[2] კელრად, რომელ არს ოსტიგანი, წესისაებრ მონასტრისა, უზაკუველი და ერთგული, რომელსა ჰქონდის ჭელსა თჳსსა პური და უჭდური და საწუნე და ზეთი, თაფლი და სხუაჲ ყოვლივე საზრდელი და თჳთ წარაგებდეს შიშითა ღმრთისაჲთა.

13. Ⴃა [50] ერთი იყოს მემარნედ-ვაქინრად, მოშიში ღმრთისაჲ მსახურებასა თჳსსა,

14. Ⴃა ერთი იყოს მეტრაპეზედ,

15. Ⴄრთი მესტუმრედ,

16. Ⴍრნი მეუძლურედ — მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებელად,

17. Ⴃა ერთი რჩეული და ღმრთის მოშიშთაგანი იყავნ იპიტირიტად — ძმათა ზედამხედველად, რაჲთა იქცეოდის მონასტერსა შინა, და რომელნიცა ძმათაგან არა მოსრულ იყვნენ ეკლესიად ჟამსა ცის-

---

[1] სიწმედეთა. [2] იყო.

კრისა გალობისასა პირველ დაწესებულთა წართქუმისა, მათ სწავლიდეს და ასწრაფობდეს წარსლვად ეკლესიად, რაჲთა არა უდებ იყვნენ და სხუასა მისდა დაწესებულსა წინამძღუართაგან წესსა აღასრულებდეს;

18. Ⴃა ერთი იყოს მეპურედ,

19. Ⴃა ერთი მზარაულად,

20. Ⴃა ერთი მეკარედ,

21. Ⴃა სხუანი იყვნენ მგალობელად და მემჴრედ და მეფსალმუნედ.

22. Ⴃა ესე ყოველნი იყვნედ ერთ-სულ და ერთ-ზრახვა, ნებასა და შიშსა შინა ღმრთისასა და ურთიერთას სიყუარულსა, და მორჩილებასა და მსმენელობასა წინამძღურისა მათისასა, შენებასა შინა და სარგებელსა მონასტრისასა. Ⴃა ნუმცა [51] ვინ არს ამათგანი წინააღმდგომ, გინა ურჩ ბრძანებასა მამასახლისისასა, რასაცა ეტყოდის სარგებელისათჳს ეკლესიისა, გინა სწავლისათჳს და მოძღურებისა სულიერისა, გინა ჴორციელისათჳს მსახურებისა მონასტრისა.

Ⴇავი Ⴆ

Ⴋღდელთათჳს ჟამის მწირველთა, თუ ვითარ ჯერ-არს გამორჩევაჲ მათი, ანუ მათ ვითარ უჴმს ჟამას წირვაჲ

1. Ⴌირს არს წინამძღურისა და ძმათა ფრიადითა გამოძიებითა გამორჩევაჲ მღდელთაჲ და რომელნიცა წმიდად და სათნოდ და ღირსად იპოვნენ და განსრულებულად შიშითა ღმრთისაჲთა აღსრულებად საღმრთოსა მას საჲდუმლოსა, იგინი დააყენნენ ჟამის მწირველად, რამეთუ მათ მიერ მოგუცემს კაცთ-მოყუარე ღმერთი და Ⴋაცხოვარი ჩუენი მჴსნელი Ⴈესუ Ⴕრისტე ჴსნასა სულთა ჩუენთასა.

2. Ⴞოლო უკუეთუ წარმდები ვინმე იპოოს მათგანი და სცთეს წესსა მას შინა მღდელობისასა, დადუმენინ ეგევითარი იგი მღდელობისაგან და მის წილ სხუაჲ დაეწესოს[1] ღირსი კაცი რიცხუსა მას შინა მღდელთასა აღმასრულებელად საღმრთოსა მას საიდუმლოსა. ხოლო ცთომილი იგი [52] გარეგან მონასტრისა სოხასტერთა შინა დაიწესოს[1] და მიცემულისაებრ მისდა მამასახლისისა მიერ კანონისა ინანდეს და შენდობასა და წყალობასა ღირს იქმნას და ეგრეთღა დაეწესოს[1] დასსა მას თანა ძმათასა, რომელთა-იგი არა აქუნდეს მღდელობაჲ,

3. Ⴐომლისათჳს გაფუცებ ღმერთსა ცხოველსა და უბიწოსა დედასა მისსა, მამანო და ძმანო, რაჲთა არავის მიუშუათ უღირსებით ჟამის წირვად ეკლესიასა შინა ჩემსა. Ⴗუალად ნუცა შურისა მიერ

---

[1] ასეა (დაეწესოს, დაიწესოს).

შესმენითა, ნუცა სხჳთა რაჲთმე საეშმაკოჲსა მტერობისა მჴრის ზრახვითა განაძებთ ვის მღდელთაგანსა მონასტრით, არამედ ჭეშმარიტითა გამოძიებითა სცნობდით ცთომასა მღდელისასა და ესრეთ განაძებდით.

4. Ⴃა ვინაჲთგან ყოველსავე საჴმარსა თჳსსა ჴორციელსა ეკლესიისაგან აღიღებს მღდელი, ჯერ- ესრეთ -იყო, რაჲთა ყოველთა დღეთა წელიწდისათა სასეფოდმცა წირვიდა; გარნა ჩუენ, უმეტესისა სარგებელისა მათისათჳს, ესრეთ განვაწესეთ, რაჲთა ყოველთა საუფლოთა და სახელოვანთა დღესასწაულთა სასე[53]ფოდ წირვიდენ და მათთჳს წირვიდენ, რომელთათჳს განსაგებელსა ამას შინა ჩუენსა განგჳწესებიეს, და სხუათა მათ მსგეფსისა დღეთა სამსა დღესა სასეფოდ წირვიდენ: ოთხშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა. Ⴐომელი ჩუენთჳს განგჳწესებიეს, ჩუენთჳს იწირვოდის, და რომელი არა, ვისგანცა ეკლესიასა საწირავად საჴმარი აღოს და წინამძღუარმან და ეკლესიისა მნეთა უბრძანონ და განაწესონ, მათთჳს წირვიდენ.

5. Ⴉჳრიაკე დღე თჳთ საუფლოჲ არს, ხოლო სხუანი დღენი მღდელთანი არიან, — ვისიცა ენებოს, მათთჳსცა წირვიდენ.

Ⴇავი Ⴈ

Ⴒრაპეზისა შემზადებისათჳს და მსახურთა[1] დუმილით და სიმშჳდით მსახურებისა

1. Ⴄგრეთვე ტრაპეზისაცა საქმე და მსახურთაჲ კეთილად აღესრულებოდენ საზომსა მას ზედა, რომელიცა საზრდელთათჳს განგჳსაზღვრებიეს და ვითარ-იგი აწ ჩუენგან აღესრულების და აქა განჩინებით დაგჳწერიეს. Ⴂარნა წუთლა უპირატეს მსახურთათჳს გუნებავს განცხადებულად თქუმად და რომელნი იმსახურებიან, — ესე იგი არს რომელნი დასხდებიან ტ[54]აბლასა და რომელნი ზე დგანან მსახურებად, — და ზედამდგომელთა და განმგეთა კეთილად წესიერებისათჳს და სიმტკიცისა, რაჲთა რომელნი ზე-დგომით ჰმსახურებდენ, მიმოსლვასა მათსა მყუდროდ იქმოდინ თჳნიერ რეხუებისა ფერჴთაჲსა; და რომელთა ინაჴ-ედგას ტაბლასა, დაწყნარებულად მიიღებდენ საზრდელსა მათსა, რაჲთა ყოველივე სადიდებელად ღმრთისა იყოს და მარილითა მადლისაჲთა კეთილად შეზავებულ.

2. Ⴞოლო პირველობაჲ და უკუანაჲსკნელობაჲ, რომელ არს ერთმანერთისა ზემო ჯდომაჲ გინა ქუემო ჯდომაჲ, არა აქა საძიებელ არს, არამედ თავადმან ღმერთმან განაგოს მერმესა მას ესევითარი განკრძალულად, რაჲთა არა შფოთი და უწესოებაჲ შორის შემოვიდეს.

3. Ⴃა-ნუცა შეურაცხ-ჰყოფენ ურთიერთას უცხოჲთა რაჲთმე

[1] მსა...რთა.

განზრახვითა გარეგან წესისა სამონაზუნოჲსა სავნებელად სულთა თჳსთათჳს და ურთიერთასმცა პატივ-სცემენ სიტყჳსაებრ მოციქულისა, ვითარმედ «თჳთოეული თქუენი ნუ ხოლო თავისა თჳსისა სარგებელსა ეძიებნ, არამედ მოყუსისასაცა» (I Ⴉორ. 10, 24). Ⴃა ესრე სა[55]ხედ ამაღლდეს სიმდაბლითა მით ბრძანებისა მისებრ საუფლოჲსა, ვითარმედ «რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს» (Ⴋათ. 23, 12).

4. Ⴄგრეთვე წესსაცა წიგნის კითხვისასა ჟამსა ჭამისასა მტკიცედმცა იპყრობენ და შუენიერად დუმილსა და სმენასა; და ნუმცა ამას შინა ოდენ აჩუენებენ მტკიცედ წესიერებასა, არამედ ყოველსავე საქმესა შინა და ადგილსა, შინა და გარე, და ყოველსავე საქმესა მათსა განკრძალულად მოქალაქობითა.

5. Ⴃა ნუმცა იქმნების პურისა გინა ღჳნისა და სხუათა მათ სანოვაგეთა, რომელ განწესებულ არიან, შეცვალებაჲ უგულებელს-ყოფითა და ჭელჭობითა, რაჲთა არა მიზეზ ექმნას მონაზონთა ამის მიერ შეცვალებად წესსა ამას ზოგად ცხორებისასა და ჩუენ მიერ განწესებულისა ამის პირველ თქუმულისა წესისა სხუად წესად ცვალებად. Ⴐომლისათჳს განწესებულსა ამას უჭდურისასა და ყველსა ხუთთა მათ დღეთა შინა მსგეფსისათა, ვითარ-იგი თავითგანვე განგებულ არს, ნუმცა დააკლებენ, გინა სრულიად გარდასწყუედენ თჳნიერ მარხვათაჲსა.

6. Ⴃა ეგრევე ოთხსა საჯეროსა [56] ნუმცა დააკლებენ. Ⴃა სამი საჭმელი იქმნებოდის, რაჲცა ღმერთსა მოეცეს. Ⴃა ოთხი კრასოვოლი სრულად მიეცემოდის.

7. Ⴋნებავს, რაჲთა კჳრიაკესა დღესა უმბრწყინვალესი დაეგებოდის ტაბლაჲ, ვიდრე სხუათა მათ დღეთა, რამეთუ მაშინ ღამესა ათევენ ძმანი და დაშურებიან საუფლოჲსა აღდგომისა გალობასა შინა და ფსალმონებასა.

8. Ⴃა ეგრეთვე ზატიკთა შინა Ⴀღვსებისათა და ათორმეტთა მათ დღეთა Ⴕრისტეს Ⴘობისათა[1] სამისა საჭმლისაჲ ჯერ-არს ქმნაჲ, გინა ოთხისაჲცა, რაჲცა ღმერთსა მოენიჭოს. Ⴃა მწუხრსა ყველი დაეგოს და თუ სხუაჲ რაჲმე დასაგებელი იყოს. და ორ-ორი კრასოვოლი იწდიოს მათ დღეთა შინა.

9. ႭႳკუეთუ კულა წინამძღუარმან ჟამისამან დახედნეს და სხუაჲცა რაჲმე შესძინოს და ჯერ-იჩინოს ესრეთ განგებად, მიშუებაჲ აქუს ჩუენგან ყოფად ამისა, რაჲთა დაიჴსნას ჭუვილი მათი, რომელნი უნაყროვნეს-რე იყვნენ.

10. Ⴃა უკუეთუ პრასტინთაგან ანუ საცხოვართა, გინა თუ ღმრთის მოყუარეთა ვიეთგანმე, ანუ თუ თჳსთაგან მამასახლისისათა გინა

[1] ასეა. მოსალოდნელი იყო: ათორმეტთა მათ დღეთა განგებულებისა Ⴕრისტესთა

ძმათაჲსა, ანუ მეგო[57]ბართაგან მათთა რაჲცა გუარი ნუგეშინის-საცემელი, — საჭამადი გინა სასუამადი, — შემოვიდეს მონასტრად, ჯერ-არს, რაჲთა ყოველი იგი კელარსა მიეცეს და მან, ჯერისაებრ განწესებულისა ამის წესისა, წარაგოს საჴმრად ძმათა. Ⴀნუ თუ თჳთ მებრ ძღუნისა მის უფალმან მოიღოს საზიაროსა მას ტაბლასა და ზოგად იჴუმიონ. Ⴃა ესე ამისთჳს, რაჲთა არა დაიჴსნას საკრებულოჲ წესი.

11. Ⴃა მომრთუმელი იგი ძღუნისაჲ მის და თუ სხუაჲ ვინმე სტუმარი ესტუმროს, ანუ თუ ხილვად მამისა გინა ძმათა მოვიდეს თჳსთა მათთაგანი, გინა უცხოთაჲ, ანუ მეგობართაგანი, ჯერ-არს ძმისა მის, რომლისაცა თანა მოსრულ იყოს, რაჲთა, — უკუეთუ ტაბლისა დაგებისა ჟამსა ესტუმროს, — მის თანავე საზიაროსა მას ტრაპეზსა მიიყვანოს და, ვითაცა[1] ენებოს, მუნ პატივ-სცეს[2] და სიყუარული აჩუენოს.

12. Ⴞოლო უკუეთუ არა იყოს ჟამი ტაბლის დაგებისაჲ, ანუ სტუმარი იგი ისწრაფდეს და არა ელოდის, წარიყვანოს იგი ძმამან მან კელარსა თანა და მუნ პატივს-სცეს[2] ჯერისაებრ. Ⴇუ არა, არა ჯერ-არს ძმისა წარ[58]ყვანებად სტუმარი სენაკსა თჳსსა და მუნ სიყუარულისა ყოფად.

13. Ⴃა უკუეთუ მონაზონი ვისსამე სტუმრად მოვიდეს, ჯერ-არს მისა[3] სამ დღე განსუენებად და მეოთხესა დღესა საგზლისა ჩადებად და წარგზავნად გზასა თჳსსა.

14. Ⴞოლო უკუეთუ უძლურებაჲ შეემთხჳოს მას, ჯერ-არს დამჭირვად მისა და ფუფუნებად ვიდრე სრულიად[4] განმრთელებადმდე.

15. Ⴃა უკუეთუ მონასტერსა შინა მიიცვალოს, ჯერ-არს მისი ლოცვითა და ფსალმუნებითა დამარხვაჲ წესისაებრ, რაჲთა სასყიდელი მიიღოს ღმრთისაგან.

Ⴇ ა ვ ი Ⴇ

Ⴗესამოსლისათჳს ანუ სამოსლისა ფასისა, თუ ვითარ ჯერ-არს განყოფად მამასახლისისაგან ძმათა, და საჴამრობლისათჳს

1. Ⴗემდგომად ამისა შესამოსლისა ფასისათჳს ვიზრუნეთ აღწერად და ჴამლთათჳს და საფარველთა ჴორცთაჲსა და სხჳსა საჴმრისა ყოვლისა. Ⴃა გუენება, რაჲთამცა არა იქმნებოდა ესე გაროქვითა, დაღაცათუ წარსაგებელი ფრიად უჴმდა, არამედ რაჲთა მიეცემოდის ესე ყოველი თჳთოეულსა წელიწადსა შინა უკლებად ყოველთავე, წე-

[1] ასეა (სრულად სწერია). [2] ასეა. [3] მისსა. [4] ს῀დ. [5] ჯერ მისსა.

სის[59]აებრ თჳსისა, რაჲთა არა აქუნდეს ძმათა მიზეზი განსლვად მონასტრისაგან ამათ ესევითართა საჭმართათჳს მოსყიდად რაჲსამე, ანუ ჭამლთა ძიებითა კარითი-კარად რორინებად ანუ მეჭამლეთა რუდუნებად ანუ სხუაგან სადმე წარსლვად და ამათ მიზეზთაგან ვნებისა შემთხუევად და ძმათაგან კიდე-ყოფად, არამედ რაჲთა უფროჲსად უცთუნებელად დაადგრენ მსახურებასა ეკლესიისასა და მსახურთა მისთასა თანა-ნადებისა აღსრულებითა.

2. Ⴃა თუმცა შესაძლებელ იყო ჩუენგან ზემო თქუმულისა[1] მის აღსრულებად, რაჲთამცა წესისაებრ პატიოსნისა მონასტრისა Ⴑანაგიისა ვჰყოფდითმცა განყოფასა შესამოსელთასა, არა რაჲმცა უჯეროვნეს და უმჯობეს ამისსა იყო. Ⴂარნა, შეცვალებისაებრ და მომართებისა ჟამთა ამათ და უმტკიცებლობისა, განვაწესეთ ყოფად ესრეთ, რაჲთა იყვნენ ძმანი სამ დასად განყოფილ და როქსა აიღებდენ:

Ⴜ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი მონასტრისაჲ აიღებდეს დრაჰკანსა ორმეოცსა.

Ⴃა ჟ ა მ ი ს მ წ ი რ ვ ე ლ ნ ი მღდელნი და ო რ ნ ი იგი დ ი დ ნ ი ი კ[60]ო ნ ო მ ო ს ნ ი და დ ე კ ა ნ ო ზ ი და დ ო მ ი ა რ ი და სხუათა უთავესთა ძმათაგანნი, რომელთაგან შეიქმნას რიცხჳ პ ი რ ვ ე ლ ი ს ა დ ა ს ი ს ა ჲ, ათხუთმეტი სული; და აიღებდეს თითოეული ამათგანი დრაჰკანსა ოცსა;

Ⴞოლო მ ე ო რ ე დ ა ს ი იყავნ ეგრეთვე ათხუთმეტი სული; და აიღებდეს თჳთოეული ამათგანი დრაჰკანსა ათხუთმეტსა;

Ⴞოლო მ ე ს ა მ ე დ ა ს ი იყავნ რიცხჳთ ოცი სული და თჳთოეული ამათგანი აიღებდეს დრაჰკანსა ათსა.

Ⴃა ყოველივე განძი როქისაჲ იყავნ სტამილონი სრული.

3. Ⴃალაცათუ შემოსავალი ყოველი ფერი მონასტრისაჲ სეკდენბერისა თუესა შეკრბების და აპეტის იქმნების და მაშინ ჭმდა, რაჲთამცა აიღეს ძმათა თავიეთ შესამოსლისა ფასი, გარნა ამისთჳს, რაჲთა არა უნდეს ძმათა ვაჭრობისა გზითა მისლვაჲ ქალაქად და განშორებად სამსახურებელისაგან მონასტრისა და გამოჭუებად ლოცვისაგან, განვაწესეთ, რაჲთა აიღებდენ განწესებულსა მას შესამოსლისა ფასსა დიდებულსა Ⴕრისტეს Ⴀღდგომისა დღესა, Ⴃიდსა Ⴉჳრიაკესა, რომელ არს Ⴀ[61]ღვსებაჲ, რაჲთა, რაჟამს-იგი ჩუენ მიერ განსაზღვრებული პანაგირი შეიქმნას პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისაჲ, მაშინ თჳთოეულმან მათმან ვაჭრობაჲ[2] თჳსი ქმნას და პანაგირსა მას იყიდოს, რაჲცა უჭმდეს.

4. Ⴃა ვინაჲთგან როქითა იქმნა დაწესებაჲ შესამოსლისა მათისაჲ, ამისთჳს ჯერ-არს მიშუებისა მიცემად, რაჲთა ჭელ-ეწიფებოდის როქსა მათსა და ნაძუელავსა ზედა ყოფად, ვითარცა ენებოს.

---

[1] თქულისა. [2] ვაჭობაჲ.

5. ႭႳკუეთუ კულა ჟამთა ცვალებითა გინა თუ რომელსამე ჟამსა წინამძღუარმან ეგრეთ ჯერ-იჩინოს, რომელ როჟისა წილ შესამოსელსა მისცემდეს ძმათა, იპყარნ კუალად ზემო დაწერილი წესი პანაგიელთაჲ, რომელი სწერია მეოთხესა თავსა, რაჲთა არა აქუნდეს ძმათა ჴელმწიფებაჲ ნაძუელავსა განცემად ვისსაცა, გარნა მამასახლისსავე შეუქციოს.

Ⴇავი Ⴈ

სამთა მათ ორმეოცთა მარხვათა წმიდად მარხვისათჳს და გლახაკთა მიმართ წყალობისა ყოფისათჳს ყოველთა დღეთა

1. Ⴞოლო სამთა მათ წმიდათა ორმეოცთა მარხვისა დღეთა უღჳნოდ და უზეთოდ ჯერ-არს მარხვაჲ თჳნიერ შაბათ-კჳრიაკეთაჲსა, რომელსა შინა ნუგე[62]შინის-საცემელად ძმათა ჟამსა ჭამისასა სასუმელი განწესებულ არს და თჳთოეულსა დღესა საზრდელისა განყოფაჲ კარსა ზედა მონასტრისასა მყოფთა ძმათა Ⴕრისტესთა, რომელ არიან გლახაკნი, რამეთუ იგინი არიან მიზეზნი ჴსნისა ჩუენისანი და მომატყუებელნი მერმეთა მათ კეთილთანი.

2. Ⴃიდთა უკუე მარხვათა შაბათ-კჳრიაკეთა შინა იგივე ზომი სამარხოჲ სანოვაგე დაეგებოდის, თჳნიერ თევზისა, და კრასაული სრულად მიეცემოდის. Ⴞოლო ხუთთა მათ დღეთა თჳნიერ ზეთისა იმარხვიდენ. Ⴞოლო სამშაბათსა და ხუთშაბათსა თჳთო კრასაულსა სუმიდენ.

3. Ⴞოლო Ⴕრისტეს შობისა მარხვათა ერთ გზის ჭამდენ დღესა შინა და იგიცა მეცხრესა ჟამსა. Ⴃა დღესა, რომელსა შინა «ღმერთი უფალი» ითქუმოდის, ორ-ორსა კრასაულსა სუმიდენ სამხრად, და თითოსა — მწუხრი. Ⴂარნა სამთა მათ დღეთა მსგეფსსა შინა განვაყენებთ ზეთისაგან.

4. Ⴄგრეთვე ამითვე სახითა წმიდათა Ⴋოციქულთა მარხვასა იმარხვიდენ სამთა მათ დღეთა უზეთოდ, და ზოგად ყოველნი ჭამდენ ერთ გზის [63] დღესა შინა, მეშჳდესა ჟამსა, და სუმიდენ ორ-ორსა კრასაულსა, და თჳთო კრასაულსა — მწუხრი სერობასა.

Ⴇავი ႨႠ

Ⴃღესასწაულისათჳს ეკლესიისა ჩუენისა და სხუათათჳს საუფლოთა დღესასწაულთა და სახელოვანთა წმიდათასა, რაჲთა ბრწყინვალედ დღესასწაულობდენ

1. Ⴂანვაწესეთ ყოფად დღესასწაული ეკლესიისა ჩუენისაჲ დღესა მიცვალებისა ყოვლად წმიდისა Ⴖმრთისმშობელისასა და მნებავს, რაჲთა ყოველნი საუფლონი დღესასწაულნი ესრეთ მოწიწებით და ბრწყინვალედ იქმნებოდენ[1], ვითარცა ჰშუენის დიდსა მას და სახელ-განთქუმულსა ეკლესიასა ჩუენსა.

2. Ⴀგრეთვე დიდ-დიდთაცა მოწამეთა და წმიდათა საჴსენებელი და იგივე გლახაკთა მიმართ ქველის საქმისა მიცემაჲ, რომელი განთჳსებულად ყოველთა დღესასწაულთა განგჳწესებიეს, თჳთოეულსა დღესასწაულსა ნუმცა დაიხრწევის, რომლისა საზომი განთჳსებულად დასასრულსა ამის ტიბიკონისასა დაგჳწერიეს სახელ-დებით თჳთოეულისა დღესასწაულისაჲ.

3. Ⴞოლო უფროჲსღა უმეტესად პატივ-იცემებოდენ დღესასწ[64]აული Ⴋიცვალებისა ყოვლად წმიდისა Ⴖმრთის მშობელისაჲ, რომლისათჳს ვაფუცებ ყოველთა შემდგომად ჩუენსა მომავალთა, რაჲთა არარაჲთა სახითა არა დააკლებდენ, არამედ, შესაძლებელ თუ იყოს მათგან, უმეტეს და უმბრწყინვალეს აწინდელისა ამის ჩუენ ზე ყოფილისა პატივ-სცემდენ და დღესასწაულობდენ. Ⴐამეთუ დღესასწაულის მოყუარენი და რომელნი დღესასწაულობდენ, დიდთა ნიჭთა მიიღებენ ღმრთისაგან და წარუვალთა კეთილთა დაიმკჳდრებენ და საღმრთოთა მადლთა მიემთხუევიან.

4. Ⴀგრეთვე სხუათაცა წმიდათა დღესასწაულსა ჰყოფდენ ბრწყინვალედ.

Ⴇავი ႨႡ

Ⴉანდელთა მიერ და სანთელთა განბრწყინვებისათჳს წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა, თუ ვითარ ჯერ-არს, და ლოცვისათჳს, რაჲთა არარას შეექცეოდინ ლოცვასა შინა

1. Ⴟერ-არს უკუე, რაჲთა მარადღე ყოველთა დღეთა და ღამეთა წინაშე ხატსა წმიდისა Ⴖმრთისმშობელისასა სამნი კანდელნი დაუვსებლად ენთებოდინ და ერთი — დიდსა საკურთხეველსა, და ერთი — წინა კანკელსა Ⴔუარცუმისა ხატსა წინაშე, და ერთი — Ⴙათ[65]ლის-

[1] ასეა.

მცემლისა ხატსა წინაშე, ეგუტრისა მისისა კარსა, და ერთი — წმიდისა გიორგისსა, და ზედა საფლავსა სამარხოსა ჩუენსა — სამი კანდელი.

2. და ყოველთა დღეთა წელიწდისათა ცისკრისა ლოცვისა ჟამსა და სამხრისა და მწუხრისასა ამათ ზემო თქუმულთა კანდელთა თანა თჳთო სანთელი ენთებოდის ვიდრე ლოცვისა გასრულებადმდე. და რაჲ ლოცვაჲ გაასრულონ, სანთელნი დაივსნენ, ხოლო კანდელნი დაუვსებელადმცა ენთებიან.

3. ეგრეთვე ყოველთა დღეთა სამთა მათ ჟამთა ლოცვისათა საუფლოთა მათ ათორმეტთა დღესასწაულთა წინაშე კანდელნი ენთებოდინ ვიდრე ლოცვისა გასრულებადმდე.

4. და ეგრეთვე სახელოვანთა მათ საუფლოთა დღესასწაულთა რაოდენნიცა კანდელნი ეკიდნენ ეკლესიასა შინა, აღენთნენ და რავდენნიცა სასანთლენი იყვნენ, სანთლითა აღივსნენ[1].

5. და დღესასწაულსა ეკლესიისა ჩუენისასა უმეტესადღა იქმნებოდის აღნთებაჲ, და სხუათაცა საუფლოთა დღესასწაულთა. და იქმნებისმცა დღესასწაულობაჲ ყოველი შუენიერად გალობითა და ფსალმუნებითა და სულნელებითა. [66] და ბრწყინვალედ აღსავსე ტრაპეზი დაეგოს, რაჲცა ღმერთსა მოეცეს.

6. ხოლო დიდების მეტყუელებისათჳს ღმრთისა და ლოცვისა ვითარ-იგი განგებულ არს და განწესებულ, რად საჭმარ არს თქუმად, ვითარმედ ვითარცა ხარკსა და თანა-ნადებსა საღმრთოსა, ესრეთ ჯერ-არს გარდაჭდაჲ თანა-წარუვალად და ვითარცა ღმრთისა მცნებათა აღსრულებაჲ და საუკუნოდ უცთომელად დამარხვაჲ, რაჲთა ურთიერთას მოჰჭდიდენ და მტკიცედ დაიმარხვიდენ პირველ ყოვლისა წესსა წმიდისა მის დიდების მეტყუელებისა ღმრთისასა კანონისაებრ და შჯულის-დებისა, ვითარ-იგი უპყრიეს ძმათა პატიოსნისა მონასტრისა საბაწმიდისათა, ჟამსა ცისკრისასა და სამხრისასა, მწუხრისა და სერობისასა და ღღისაცა განწესებულთა ჟამთა შემდგომებით მათითურთ და უფროჲს-ღა საღმრთოჲსა მის საჲდუმლოჲსა შეწირვასა.

7. გარნა ნუმცა ჰყოფენ ურთიერთას სწრობით ფსალმუნებასა მას, ნუცა პირველ განსრულებისა ერთისა კერძისა მეჴრეთა მიერ გალობისა მეორისა კერძისანი დაიწყებენ, არამედ ჯეროვნად წესსა ზედა მათ[67]და[2] განწესებულსა.

8. და აქა მებრ საცნაურ იქმნას: გარდამავალი მცნებათაჲ და შევარდეს წყევასა ქუეშე მამათასა ვითარცა შეურაცხის-მყოფელი ბრძანებათა და შინებათა ღმრთისათაჲ, რამეთუ არა ხოლო თუ ჩუენისაგან ოდენ, არამედ შჯულისაგან და მცნებისა ღმრთისა გამოჩნდეს უცხო ქმნული.

9. ხოლო ამას ვიტყჳთ არა მათთჳს, რომელნი მიზეზითა რაჲთ-

---

[1] აღავსნენ. [2] მათ მიერ.

მე ჯეროვნითა საქმესა რასმე შექცეულ იყვნენ, ანუ უძლურებასა ანუ ნუგეშინის-ცემასა ძმათასა, ანუ სტუმართა შეწყნარებასა, გინათუ ღუწოლასა გლახაკთასა, არამედ განვაფრთხობთ უდებთა და განვაშორებთ მცონარებისაგან, ვითარცა სრულიად გარდამავალთა შჯულისათა.

10. Ⴞოლო შემსგავსებულად მცნებისა ამის ვამცნებთ მონაზონთაცა, რაჲთა იმარხვიდენ წესიერად დუმილსა ყოველსა ჟამსა, და უფროჲსად ჟამსა წმიდისა ლოცვისასა, რაჲთა არავის მიეშუას უბნობად ერთი ერთისა, ჯეროვნად გინა უჯეროდ, ანუ სიცილად ვიდრე მიგანღიმებამდეცა[1], გინათუ ჴმა-მაღლობად რაჲმე უწესოდ და ამის მიერ განრყუნად შუენიერსა მას გალობი[68]სა ჴმასა და სმენისა მყუდროებასა და თანა-შეჰწე ეშმაკთა ყოფად, რამეთუ მათი არს მებრ ესე საქმე.

11. Ⴌუცაღა კუალად შეექცევიან სხუასა რას ლოცვასა შინა, არამედ ჯეროვნად და შეუძრველად სულით და ჴორცით საღმრთოსა მას მსახურებასა შექცეულნი შესწირვენმცა ღმრთისა მიმართ სულიერსა მას გალობასა.

12. Ⴞოლო უკუეთუ ვინ რაჲთურთით ამას მცნებასა შეურაცხჰყოფდეს, კანონსა მას ქუეშე იყავნ შევრდომილ და წმიდათა მამათა მიერ დადებულითა წესითა განიკანონნენ[2].

13. Ⴜმას თანა ჯერ-არს კჳრიაკისა ძალთა ღამის თევაჲ ლოცვითა და ფსალმუნებითა[3] და წიგნის კითხვითა.

Ⴇავი ႨႢ

Ⴅითარმედ ჯერ-არს ყოველთა დღეთა აღსაარებად ძმათა წინამძღუარსა თანა გულის-სიტყუათა და საქმეთა და ყოველთა ცთომათა მათთა, რაჲცა ექმნას

1. Ⴔრიად ჯეროვან და სათანადო არს წინამძღურისა, რაჲთა განიკითხვიდეს ყოვლადვე გულის-სიტყუასა ძმათასა და არავის მათგანსა შეურაცხ-ჰყოფდეს, რომელნი-იგი შეურვებულ და შეიწრებულ იყვნენ გულის-სიტყუათაგან, არამედ გამოჰკითხვიდეს მარადღე [69] და ნუგეშინის-სცემდეს და განჰმართებდეს ცთომათაგან და განსწმედდეს სულთა მათთა ყოვლისაგან შებღალვისა სულიერისა და ჴორციელისა.

2. Ⴖა ეგრეთვე ძმათა თანა-აც სარწმუნოებით შემუსრვილითა გულითა და სულითა წრფელითა გამოცხადებად მისა ყოველთა ცთომათა და წყლულებათა თჳსთა და არა წარსლვად და აღსაარებად სხუაგან სადა, ვითარცა უცხონი და არა შვილნი მამისანი, და ესრეთ

[1] ვ̄ემი გ̄ნმღიმებამდეცა. [2] განიკანონნნენ. [3] ფ̄ნითა.

სივერაგით ზაკულებად აღსაარებისა მიმართ, რამეთუ წინამძღურისა ჯერ-არს, რაჲთა იცოდნის ყოველთა გულის-სიტყუანი და სხუაჲ ყოველი სიმტკიცე საქმისა მათისაჲ, და არა სხუასა ვის თანა ჯერ-არს გამოცხადებად გულის-სიტყუათა თჳნიერ წინამძღურისა ხოლო.

3. Ⴃა კუალად ნუვინ ძმათაგანი თავით თჳსით თჳნიერ ნებისა და გამორჩევისა წინამძღურისა ჴელ-ჰყოფს სამსახურებელსა რასაცა, რაჲთა არა მომატყუებელ სიკუდილისა ექმნას თავსა თჳსსა და სხუათა სახე ურჩებისაჲ მისცეს, ვინაჲთგან-იგი არა უწყოდის წინამძღუარმან ნებაჲ გულის ზრახვათა მისთაჲ.

4. Ⴐამეთუ არა უწყის თავით თჳსით გამომრჩეველმან უმჯობესი თჳსი, რამეთუ რომელსამე ესრ[70]ეთ სათნო რაჲმე უჩნს, და რომელსამე—ეგრეთ, და არა უწყინ გამორჩევაჲ კეთილისაჲ; ვინაჲთგან-იგი მას ვისმე ესე-ესე ვინმე ჰშუენინ თანა-შემწედ საქმისა, და ამას ვისმე — სხუაჲ ვინმე. Ⴃა ამას ყოველსა სიბრძნე უჴმს და საწინამძღუროჲ განკითხვაჲ, რამეთუ მან უწყის ყოვლისავე კეთილად განგებაჲ.

5. Ⴀწ უკუე ოდეს-იგი ურჩ ვინმე იპოვნენ ძმათაგანნი და ნებისა თჳსისა გამორჩევისა მოყუარე, ვითარ უკუე აზნაურად შვილად იწოდნენ სულიერისა მის მამისა, ვინაჲთგან თჳთ ნეფსით თჳსით უცხო ჰყოფენ თავთა თჳსთა მამულისაგან სამკჳდრებელისა და მტყუვრად გამოჩნდებიან აღთქუმათა თჳსთა ღმრთისა მიმართ. რამეთუ «რომელი მცირესა ზედა ურწმუნო იყოს, იგი დიდთაცა მცნებათა ზედა მცთომ და ურწმუნო იქმნების» (შდრ. Ⴋუკ. 16, 10) და მის ზედა სათქუმელ არს ჟამსა თჳსსა სიტყუაჲ მოციქულისაჲ, ვითარმედ «ურწმუნოჲ იგი გან-თუ-ეყენებოდის, განეყენენ» (I Ⴉორ. 7, 15), მსგავსად იგავისა ღეღჳსა მის, ვითარმედ: «და ადგილიცა რაჲსათჳს დაუჰყრიეს უქმად ცუდითა უნაყოფოებითა»?! (Ⴋუკ. 13, 7).

6. Ⴐამეთუ არა რაჲ არს უბო[71]როტესი, ვითარ-იგი ოდეს ურჩ ექმნებოდის ვინ უხუცესსა თჳსსა და უჯეროთა მეტყუელებდეს წინა-აღმდგომად[1] მისა. Ⴄსევითარი-იგი აღიჴოცენ შორის ძმათა, რაჲთა არა მოყუასთა თჳსთა სახე ბოროტისა ექმნას და მოძღუარ ურჩებისა, ოდეს-იგი არაოდეს იქმოდის ნებისაებრ წინამძღურისა, არამედ ნებასა ხოლო თჳსსა აღირჩევდეს.

7. Ⴞოლო უკუეთუ წინამძღუარი არა იყოს მღდელი, გარნა ლიტონი მონაზონი იყოს და უმეცარი შჯულსა მას კანონთასა, და რამეთუ ჴელსა შინა მღდელისასა არს შეკრვაჲ და განჴსნაჲ, ჯერ-არს წინამძღურისა, რაჲთა გამოირჩიოს მღდელთაგან უმჯობესი და მოღუაწე და მეცნიერი შჯულსა მას კანონთასა და იგი განაჩინოს სულიერად მოძღურად ყოველთა ძმათა, რაჲთა წინამძღურისა წილ მას უთხრობდენ და აღუარებდენ ყოველთა ცთომათა და გულის-სიტყუათა თჳსთა.

---

[1] აგრეა ხელნაწერში, მაგრამ მგონია, «წინა-აღდგომად» უნდა.

Ⴇავი ႨႣ

Ⴤელთსაქმრისათჳს და შრომისა და ვითარმედ ჯერ-არს ფსალმუნებაჲ შრომასა შინა

1. Ⴃა მათცა [1], რომელნი-იგი ჴორციელად შურებოდინ, თანა-აც ფსალმუნებისა არა დაცადებაჲ, არამედ რაჲთა ჴელთ[72]საქმარსა მას შინა თანა-ილოცვიდენ ყოვლადვე პირითა, რამეთუ იგი არს საკუმეველი საჲდუმლოდ შეწირული ღმრთისა ბრძანებისაებრ Ⴃიდისა Ⴅასილისა და მომხდელ თანა-შემწეობასა მას ანგელოზთასა.

2. Ⴐამეთუ სახლსა შინა სამეუფოსა მრავალი ჭურჭელი არნ, რომელიმე ოქროჲსა და ვეცხლისაჲ და რომელიმე კეცისაჲ (შდრ. II Ⴒიმ. 2, 20). Ⴀმისთჳს ფრიადი სიბრძნე უჯმს წინამძღუარსა ჩუენებად მათ-და გზასა ჭეშმარიტებისასა. Ⴐამეთუ მრავალ-სახეთა მიერ გზათა ჯერ-არს ჩუენდა შესლვად სასუფეველსა ცათასა, რამეთუ რომელიმე ამას წარჰმართებს სათნოებასა, და სხუაჲ — სხუასა, და სხუაჲ რომელიმე — ყოველსავე.

3. Ⴐამეთუ რომელთაჲმე [2] შერისხვაჲ ჯერ-არს უხუცესისაჲ, და რომელთამე [2] — შერჩულვაჲ, და რომელთამე [2] — წყლულებისა განკუეთაჲ მხილებისა მახჳლითა. Ⴃა ყოველსავე საზომისაებრ ჯერ-არს ქმნად და ჟამსა ჯეროვანსა.

4. Ⴃა რომელთამე საქმესა და შრომასა ჴორციელსა ჯერ-არს დადგინებაჲ, რომელნი-იგი გონებითა დაუმტკიცებელ და ულმობელ იყვნენ, რაჲთა ნეფსით და უნებლიაჲთ შრომითა მიეახლნენ ღმრთისა. Ⴐამეთუ სული შრომის მოყუარე მახლობელ არს ღმრთისა და ადრე მიიღებს კურ[73]ნებასა.

Ⴇავი ႨႤ

Ⴀრა განსლვისათჳს ძმათაჲსა მონასტრით თჳნიერ ბრძანებისა უხუცესისა

1. Ⴞოლო რომელნი დაუდგრომელ იყვნენ ძმათაგან, არა მიუშუას მათ წინამძღუარმან ნებისაებრ მათისა განსლვად და რორინებად, ვინაჲცა ენებოს ცნობისა სისუბუქითა, არამედ რომელნი წარმდებობდენ ესევითარითა ჩუეულებითა, ჯერ-არს დაყენებაჲ მათი ბრძანებისაებრ წმიდათა მათ და ღმრთივ დადებულთა კანონთაჲსა.

2. Ⴃა არა ამას შინა ხოლო ჯერ-არს წურთაჲ მათი, არამედ სხუა-

---

[1] მათდაცა. [2] ასეა.

სა ყოველსავე შინა საქმესა ურჩებისა და უსმენელობისასა, რაჲთა ჯეროვნად და სამართლად იქცეოდინ წესისაებრ მონაზონთაჲსა.

3. Ⴐამეთუ ხარკად ზედა-აც ყოველთა მწყემსთა კრებულისათა არა გარდასლვად მათდა დადებულსა ამას საზღვარსა, არამედ რაჲთა ამით წესითა ჰმწყსიდენ სულიერთა მათ სამწყსოთა მათდა რწმუნებულთა, ესე იგი არს შეცოდებულთა მათ განკანონებად სინანულითა და ზრუნვად მათთჳს თანა-მოლმეობით ყოვლითა გულითა და ყოვლითა გონებითა ვითარცა ასოჲს მოდგმათა თჳსთა, რაჲთა არა შევარდეს სა[74]სჯელსა ღმრთისასა.

4. Ⴐამეთუ ყოველი ბრძანებული წინამძღურისაჲ შჯული არს თანა-წარუვალი, და ვითარცა შჯულსა ღმრთისასა, ესრეთ ჯერ-არს შეწყნარებაჲ მორჩილთა კრებულსა ყოველსავე მის მიერ ბრძანებულსა და რაჲთა არა რაჲთა უდარესად შეჰრაცხონ ღმრთივ დადებულსა შჯულსა. Ⴐამეთუ არა ჯერ-არს გამოწულილვაჲ ბრძანებათა მისთაჲ, არცა წინა-აღდგომაჲ, გინა ჴდომაჲ, რომელ-ესე უწინამძღრობისა და თავჴედობისაჲ არს სასწაული და უწესოებაჲ, რომელიიგი აღაშფოთებს და დაჰჴსნის ყოველსავე კეთილსა. Ⴐომელთაცა ზედა სასჯელი ღმრთისაჲ სამართალ არს ესევითარისა მოქმედთა ზედა.

5. Ⴀმისთჳს უკუე ამასცა ვიტყჳ და განვაჩინებ ნებისაებრ ღმრთისა: არავის სხჳსა მნებავს მთავრობად გინა ჴელმწიფებად მათ ზედა, არცა წესსა მას მორჩილებისასა მნებავს დაჴსნად ოდესვე. Ⴐამეთუ არა ჯერ-არს მონაზონისათჳს სხუაჲ რაჲმე სიტყუაჲ რქუმად წინამძღუარსა[1], გარნა ესე ხოლო, ვითარმედ: «ვცოდე, მომიტევე». Ⴐამეთუ რომელნი ესრე სახედ მონაზონებდენ და ამას წესსა ზედა ერთობით ეგნენ, მშჳდობაჲ იყავნ მათ ზედა და [75] წყალობაჲ ღმრთისა მიერ!

6. ႭჃკუეთუ კულა ემხილოს ვისმე ძმათაგანსა და არა ინებოს ყოფად კანონსა მას ქუეშე განსაზღვრებულსა, არამედ წინა-აღუდგებოდის და უმეტესად ფიცხოოდის და ურგებად შეჰრაცხოს მხილებაჲ იგი უხუცესისაჲ და არა უფროჲსღა შესაძინელად და სარგებელად თჳსად გულისჴმა-ყოს შერისხვაჲ მისი და წინა-განეწყვებოდის მწყემსსა მას და მკურნალსა და მხილებასა მისსა არა თავს-იდებდეს და ამისთჳს ცხადად გინა თუ ფარულად უჴდებოდის მას მტერობით,— რომელი-ესე მე არა მნებავს, რამეთუ სენითა საეშმაკოჲთა არნ სნეულ ესევითარი, რომელი ასუმიდეს მოყუასსა თჳსსა მრღჳესა, რომლისა ძლით განბძარვაჲ და განყოფაჲ მრავალ გზის შეემთხუევის გუამსა მას ეკლესიისასა, — ესევითარი იგი, უკუეთუ შემდგომად ერთ გზის გინა ორ გზის და სამ გზისცა შერჩულვისა და განკანონებისა განუმართებელად ეგოს თჳსსავე ზედა თავჴედობასა, ვითარცა ასოჲ

———

[1] წინამძღ̄რისა.

დამპალი განიკუეთენ და განეშორენ სამწყსოჲსა მისგან საღმრთოჲსა!

7. Ⴉუალად ამისსა შემდგომად თანა-აც ცნობად მნესა მას სულიერსა, რომელ [76] არს წინამძღუარი, მოსწრაფებისა[1] ჩუენებად ჟამსა და უჟამოსა და, სიტყჳსაებრ სამოციქულოჲსა, ყოვლითა სულგრძელებითა გამოცდად ყოვლისა (II Ⴒიმ. 4, 2) და გამორჩევად კეთილისა და განშორებად ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა (შდრ. I Ⴇეს. 5, 22—23) და არა უგულებელს-ყოფად მცირეთა ცთომათა ვიეთთამე, «რაჲთა არა მცირემან მან ცომმან ყოველი აღსუარული აღაფუვნოს სიბოროტედ» (I Ⴉორ. 5, 6).

8. Ⴃა კუალად: ႭჃკუეთუ დიდ-დიდთა ვინ მოღუაწებათა ჴელ-ყოს თავით თჳსით გამორჩევითა და შეურაცხ-ყოს მამათა მიერ დადებული ესე წესი, რომელი-იგი პირველითგან გამოცადეს და გამოირჩიეს და მომცეს ჩუენ საღმრთოდ ნამარხევად ვითარცა ჭეშმარიტად უცთომელი და საშუვალი სამეუფოჲ გზაჲ, რომელ არს განშორებაჲ თჳთრჩულობისაგან, [არა შესაწყნარებელ არს], რამეთუ თჳთრჩული ყოველი მარადის მცთომ არს და გამოუცდელ და დაუმტკიცებელ. Ⴀმისთჳს უკუე საცნაურ არს, ვითარმედ, ვითარცა-იგი მორჩილი სიტყჳსა და საქმისა მიერ გამოცდილ არს ყოველსავე შინა და შეურყეველ, ეგრეთვე არა შესაწყნარებელ არს საქმე მათი, რომელნი-იგი გარეგან წესისა ჰყოფდენ რასაცა.

9. მათთჳს, რომელნი-იგი მა[77]ჩუენებლობით ილოცვენ შორის კრებულისა, ვითარცა-იგი ორგულნი. ႭჃკუეთუ იყვნენ ვიეთნიმე, რომელნი გარეგან ნებისა ზოგად ცხორებულთაჲსა და თჳნიერ სწავლისა წინამძღურისა შორის კრებულისა სახესა მოღუწებისასა აჩუენებდენ ლოცვისა მიზეზითა, რაჲთამცა დაარწმუნეს[2] მხილველთა, ვითარმედ იგინი არიან უპირატესნი და მოღუაწენი ძმათა შორის და ესრეთ მოიპარვიან ცთუნებულნი სულთაგან ბოროტთა, რომელთა მიმართ არს ბრძოლაჲ ჩუენი სიტყჳსაებრ მოციქულისა: «რომელი-იგი ბნელი არს და ნათელსა იჩემებს». Ⴃა ესე სიტყუაჲ კმა არს სახისა მოცემად ჩუენდა, რაჲთა განვეკრძალნეთ. Ⴃა კუალად, რამეთუ წმიდისა მის და ყოვლად პატიოსნისა მონასტრისა Ⴑანაგიისა წესისაგან განსწავლულ ვართ განცხადებულად, და მათგან ჯერ-არს სახისა მოღებად, რომელთა სრულ ყოფაჲ გუნებავს.

10. Ⴃა კუალადცა ვთქუა: ყოველსავე შინა ჯერ-არს გამოცნობაჲ და ყოვლითა სახითა შერჩულვაჲ და კეთილისა მიმართ წარმართებაჲ და გონებისა აღმაღლებაჲ ქუეყნიერთა ზრუნვათაგან, რაჲთა გამოწულილვისა და ბრძანებისაებრ წინამძღურისა იქმნებოდის ყოველივე, [78] რამეთუ მის მიერი განწესებაჲ და გამორჩევაჲ ღმრთისა მი-

[1] დამოსწრაფებასა. [2] დაარწმუნა.

მართ თჳსებაჲ არს, ვითარცა-იგი მისგან განშორებაჲ ცუდ არს და ამაო.

11. Ⴃა ამას ამისთჳს ვიტყჳ, რამეთუ გონებისაჲ ჯერ-არს მარადის დაცვაჲ გულის-სიტყუათაგან ბოროტთა, რამეთუ მის გამო იქმნების წარმართებაჲ ბოროტისა მიმართ და კეთილისა. Ⴀმისთჳს თანა-აც განშორებაჲ ბოროტისაგან და კეთილისა მიმართ მოსწრაფებაჲ, რომლისა მიერ ესოდენი ნაყოფი სიწმიდისაჲ და სიმართლისაჲ იქმნების, ვითარცა-იგი ღაღადებს დიდი იგი ჴმაჲ Ⴆარსუნელისა მის ნესტჳსა [1] — Ⴎავლესი, და გუაუწყებს, თუ რაჲა [2] ნაყოფი სულისაჲ, რომელ არს სიყუარული, სიხარული, მშჳდობაჲ, სულ-გრძელებაჲ, სიტკბოებაჲ და შემდგომი ამისი [Ⴂალ. 5, 22].

12. Ⴞოლო თჳთრჩულობით მოღუაწებასა და საჩუენებელად ქმნილსა, რომელსაცა სახილველად კაცთა მაჩუენებლობით იჩემებდენ, შეუდგს მარადის საცთური და აღმოცენებაჲ სიცრუვისაჲ, რამეთუ გარეშეთა მიმართ ეჩუენების ცუდისა დიდებისა შედგომითა, რომელთა აღსასრული საშჯელსა შინა არნ, რომელნი-იგი დიდ-დიდთა განიზრახვენ თავთა თჳსთათჳს, რომელ-ესე უძჳრეს არს უფრ[79]ოჲს ყოვლისა, რამეთუ მხილველთა ოდენ მოიმადლებს მტყუვარითა მით და არა ჭეშმარიტითა მოღუაწებითა, რომელსა-იგი გარეგან მცნებისა მამათაჲსა იქმოდინ, ვითარცა იტყჳს წინაწარმეტყუელი, ვითარმედ: «უკუეთუ მოიდრიკო ქედი შენი ვითარცა გრკალი და შთაიცუა ძაძაჲ, ანუ თუ ნაცარი დაირეცო ქუეშე შენსა, არცა ესრეთ ვისმინო შენი, რამეთუ არა ესევითარი მარხვაჲ გამოვირჩიე, იტყჳს უფალი, არამედ დაუნეცუე მშიერთა პური შენი, შეიყვანენ გლახაკნი სართულსა შენსა, შემოსენ შიშუელნი და სახლეულთაგან შენთა თუალსა შენსა ნუ გარე-მიიქცევ, და ესრეთ სათნო-გიყო [3] შენ» [Ⴄსაია 58, 5—7].

13. Ⴐამეთუ რაოდენცა ვინ დაიმდაბლოს თავი თჳსი, ეგოდენცა ამაღლდეს [Ⴋათ. 23, 12] და მსგავსად სიმრავლისა წყალთა ზღჳსა უფსკრულთაჲსა მყუდროებით გარდაჰმატოს შრომათა სიმართლისათა, რამეთუ რაოდენცა ვინ წარჰმართოს თავი თჳსი მოღუაწებითა, ეგოდენცა ამაღლდეს ზეცად მიმართ და მსგავსად არწივისა მაღლად მფრინვალისა სიმაღლედ ზეცისად აღვიდეს. Ⴐამეთუ სიმდაბლე მარადის საქმეთა თავისა თჳსისათა გამოეძიებს და თავსა ხოლო თჳსსა მიხე[80]დავს და მას დაშჯის. Ⴐამეთუ ესრეთ არს მებრ შჯულისდებაჲ წმიდათა მამათა ჩუენთაჲ და მიზეზი შესავალთა მათ სასუფეველისათაჲ, რომელი მიმიყვანებს ჩუენ განმზადებულთა მათ ადგილთა განსუენებისათა, რომელთაცა არა ხოლო თუ შჳდთა მათ ამის საწუთროჲსა ჟამთა, არამედ მერვისა მისთჳსცა საუკუნოჲსა მიეცეს ნაწილი სიტყჳსაებრ Ⴑოლომონისა [Ⴄკლ. 11, 2].

---

[1] ნესჳტისა (იკითხე: ნესუტისა). [2] ასეა. [3] სათნო-გიყოს.

14. Ⴃა კუალად ამას თანა საუფლოჲცა იგი მაცხოვრისა ბრძანებაჲ, ვითარ-იგი გუასწავლის და იტყჳს: «ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ ტკბილ არს და ტჳრთი ჩემი მცირე და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთაჲ» (Ⴋათ. 11, 29—30).

15. Ⴐამეთუ არა ხოლო თუ მერმეთა მათ კეთილთა მოგუცემს ჩუენ ღმერთი, არამედ ამასცა ცხორებასა მოგუმადლებს და წარგჳმართებს, უკუეთუ ვჰყოფდეთ ნებასა მისსა, რომელთა-ესე თანა-გუაც, რაჲთა ყოველსავე კეთილსა ნიჭსა და განმარჯუებასა ჩუენსა ღმრთისა მივაჩემებდეთ და მას შევჰვედრებდეთ თავთა ჩუენთა და მას ვიგონებდეთ მარადის. «Ⴃა იყოს ადგილი ჩუენი მშჳდობით და სამკჳდრებელი ჩუენი Სიონს, რამეთუ მუნ შემუსრნეს უფალმან ძალნი მშჳ[81]ლდთანი, საჭურველი, მახჳლი და ბრძოლაჲ» (Ⴔს. 75, 2—3), «Ⴋუნ არს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული» (I Ⴉორ. 13, 13). Ⴋუნ საღმრთოჲსა მის სიყუარულისა ტრფიალებაჲ და განათლებაჲ, რამეთუ განმანათლებელ არს იგი საკჳრველად მთათაგან საუკუნეთა (Ⴔს. 75, 5).

16. Ⴀწ უკუე ტრაპეზისა სანოვაგეთათჳს და სისწორისათჳს მსახურთაჲსა და ზოგად ყოველთა ძმათა კეთილად წესიერებისათჳს და სიმტკიცისა და სხჳსა ყოვლისა განგებისათჳს აქამომდე აღიწერა და განიწესა ჩუენ მიერ.

17. Ⴞოლო საეკლესიოთა წესთათჳს, ვინაჲთგან ცხად არს ყოველთათჳს[1], შემოკლებულად ვთქუა, ვითარმედ ჯერ-არს მსახურებისა მის ფსალმონებისა შეწირვაჲ მარადის გულს-მოდგინედ, მღჳძარებით და სიყუარულით, თჳნიერ ყოვლისა მცონარებისა, დღე და ღამე, მადლისა მისებრ ღმრთისა მიერ მაცხოვრისა მონიჭებულისა თჳთოეულისა ენისა ჴმობად გალობისა თავადისა Ⴕრისტე Ⴈესუჲს მიერ[2] უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. Ⴀმინ.

Ⴇავი ႨႥ

Ⴋოურნეთათჳს და მოღუაწეთა მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და ეპიტროპოსნი

1. Ⴉუალად შემდგომად თქუმულთა ამათ [82] ამას ვამცნებ და დაშჯილებით ვასწავლი და განუსაზღვრებ ძმათა ჩუენთა, რომელნი უდაბნოსა ჩუენსა მკჳდრ არიან, რაჲთა არაოდეს დაუტეონ პატიოსანი ესე სამოწესეოჲ ჩუენი თჳნიერ ეპიტროპოსთა და იკონომოსთა, რომელ არიან განმგენი და აბარმადნი, არამედ რჩეულთამცა და გა-

[1] ყოველთა მიერ (ყ̄თა მ̄რ). [2] მ̄რ (მიერ).

მოცდილთა დააწესებენ ზედამხედველად და განმგებელად შინა და გარე; და შემდგომად აღსრულებისა მათისა სხუათა გამოარჩევდენ ეგრეთვე ღმრთის მოშიშთა და წესიერთა, გინათუ საეკლესიოთაგანნი იყვნენ, ანუთუ მსოფლიოთაგანნი ღმრთის მოყუარენი, და ნაცვალად პირველთა მათ დააყენებდენ განმგედ და მოურნედ მონასტრისა და თავთა თჳსთა, რომელნიცა უპირატესნი იყვნენ პატივითა და შემძლებელნი განმგეობად.

2. Ⴃა არაოდეს მნებავს ყოფად მონასტრისა თჳნიერ წინამძღურისა და განმგეთაჲსა, რამეთუ არა ხოლო თუ სულიერთა წესთა ჯერ-არს დამარხვაჲ, ვითარ-ესე ჩუენ მიერ შჯულდებულ არს, არამედ ჴორციელთათჳსცა ჯერ-არს ზრუნვაჲ, რაჲთა მტკიცედ დაჰმარხონ მას შინა მყოფთა მათ [83] მსახურთათჳს, რაჲთა არცა ერთიითა რაჲთ იყვნენ მოქენე საჭიროთა მათ საჴმართათჳს.

Ⴇავი ႨႦ

Ⴋცნებაჲ კრძალვისათჳს საჭურისთაგან და მოყმეთა ჭაბუკთა

1. Ⴞოლო საჭურისთათჳს, რომელნი ყუერულად სახელ-დებულ არიან, და უსაკოთათჳს ჭაბუკთა არა ხოლო თუ ჩუენგან, არამედ პირველთაგანცა წმიდათა მამათა დახრწეულ არს დასაბამითგან ყოფაჲ მათი მონასტერსა შინა, ვითარცა დასაბრკოლებელი საქმე. Ⴃა ჩუენცა შეუდეგით განსაზღვრებულსა მათსა, რაჲთა ეგრეთვე დაადგრეს საუკუნოდ. Ⴃა არცა მიზეზითა სამსახურებელისაჲთა ვწამებთ ვის შეწყნარებად მათგანსა მონაზონთა თანა და არცა სხჳთა რაჲთმე მიზეზითა, რამეთუ უწესოებაჲ არს ესე და უშუერებაჲ.

2. Ⴃა, რაჲთა უჯეროვნესად ვთქუა, მსგავსად წმიდათა მათ მამათა სკიტელთა, ვითარმედ: ნუ შემოიყვანებთ აქა ყრმათა ჭაბუკთა, რამეთუ ოთხნი ეკლესიანი მათ მიერ აღოჴრდეს[1], და ამისთჳს არა დაუტეობთ ჩუენ სახესა დაბრკოლებისასა მათთჳს, რომელნი-იგი შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან [84] წინამძღუარნი, არცა რაჲთურთიით რაჲთაცა მიზეზითა მიუშუებთ მათ ესევითართა მათ შეწყნარებად, რომელთა მიერ იჭჳ საგმობელი შეიქმნებოდეს, რაჲთა არა ვსცეთ გზაჲ შესავალი სიბოროტესა.

3. Ⴐამეთუ დაღაცათუ წინაჲსწარვე განწესებათა მათ შინა ჩუენთა განთჳსებულად განვაგეთ ესევითართა საქმეთათჳს, გარნა არა ხოლო ჩუენ მიერ დადებულ არს ესე შჯულად, ვითარცა ზემო ვთქუთ,

---

[1] აღაოჴრდეს (მ. თარხნიშვილმა აღნიშნა, თუ საიდან არის მოყვანილი ეს სიტყვები: ეს ყოფილა Apophthegmata patrum. Isaac Celliorum, 5. (PG, 65, 225).

არამედ საქალაქოთა მათ და საერისკაცოთაცა შჯულთა ეგრევე სახედ კეთილად აღუჩნდა ამისი შჯულად დამარხვაჲ, ვითარცა დიდი და საჭმარი საქმე. Ⴞოლო საცნაურ არს, ვითარმედ გარეგან კანონთაჲსა შორის შემოსრული და კანონთაგან განგდებული საქმე არა ჯერ-არს შეწყნარებად ჩუენდა სახედ უკეთურებისა.

4. Ⴀმისთჳს უკუე ვამცნებ განკანონებით ყოველთა, რომელნი შემდგომად ჩუენსა წინამძღუარნი ყოფად არიან და მნენი, და ყოველსავე ძმობასა, და ვაფუცებ თავადსა უფალსა ჩუენსა Ⴈესუ Ⴕრისტესა და უხრწნელსა დედასა მისსა, რაჲთა არაოდეს თავს-იდვან გარეგან განსაზღვრებულისა ამის ჩუენისა კ[85]ანონისა და მამათა მოცემულისა მცნებისა განგებად რაჲმე, რაჲთაცა მიზეზითა და სახითა, რაჲთა არა სულთა თჳსთა ხოლო წარწყმედისა, არამედ მონასტრისაცა სრულიად[1] დაქცევისა და წარწყმედისა მიზეზ არა იქმნენ შეურაცხებითა საუფლოთა ამათ სიტყუათაჲთა და დაწესებულისა ამის ჩუენისა და საშინელითა განკანონებისა დათრგუნვითა.

Ⴇავი ႨႡ

Ⴀზნაურად ყოფისათჳს მონასტრისა ჴელმწიფებისაგან თჳსთა და ნათესავთა ჩუენთაჲსა და სხჳსა ყოვლისაგან სახარკოჲსა

1. Ⴌებავს უკუე განსაზღვრებად პატიოსანი მონასტერი ჩემი, რაჲთა იყოს იგი აზნაურ და თავისუფალ ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თჳსთა და ნათესავთა ჩემთა, გინა ტომად ჩემდა სახელ-დებულთა, რომელნი აწ არიან და რომელნი ყოფად არიან, და სულისა ჩემისა მოურავთაგანცა და ყოველთავე ამას სოფელსა შინა მყოფთა კაცთაგან: არავის აქუს ნაწილი არცა ზიარებაჲ რაჲთურთით, დიდი ანუ მცირე, გინათუ განთჳსებული რაჲმე ზემო ჴსენებულსა მონასტერსა ჩემსა და ეკლესიასა თანა, [86] გინათუ საჭმართა და მონაგებთა მისთა თანა.

2. Ⴀრავის მივსცემ მიშუებასა, არცა ჴელმწიფებასა რაჲთურთით, რაჲთამცა ნათესავთა ჩემთა გინა მსახურთა ღელატისა ამღებელთაგანი[2] მიზეზითა ჩემგან მათდა ღელატისა დატეობისაჲთა ჴელ-ყოს და ეცადოს[2] მკჳდრად გამოჩინებად გინა თუ ყოფად მონასტრისა ჩემისა. Ⴞოლო უკუეთუ გამოჩნდეს ვინ და იტყოდის, ვითარმედ: «არა მაქუს ღელატი», აღიღოს ათორმეტი ფოლი ღელატად მისა, და სხუაჲ სამართალი არარაჲ აქუნდეს.

3. Ⴐამეთუ მე მკჳდრად ჩემდა ჩემი ეკლესიაჲ მაქუს და მონას-

---

[1] ს̃დ.

[2] ამღებელთაგანი... ჴელ-ყოს და ეცადოს (სუბიექტი შეწყობილია მეორე შემასმენელთან).

ტერი, რომელი-იგი ყოვლითა ნაქონებითა მისითა, რომელი მივეც და დაუმტკიცე მას უღირსებისა ჩემისაგან, ძღუნად შემიწირავს ღმრთისა და საჴსრად ცოდვილისა სულისა ჩემისა. Ⴃა ნუ იყოფინ, ვითარმცა აქუნდა ვის ჴელმწიფებაჲ ჴელთ-დებად მისა[1], ნუცა ერთსა ვის მათგანსა დამორჩილებულ არს მონასტერი ჩემი! Ⴐამეთუ ესევითარი ესე სამკჳდრებელი მონაზონთათჳს ხოლო განმისაზღვრებიეს საყოფლად საუკუნოდ და მარადის თავისუფლად და თჳთმფლობელად [87] მათითურთ, რომელნი-იგი ჟამითი-ჟამად წინამძღუარნი და ჴელისუფალნი იყვნენ მას შინა და განმგებლობაჲ ეპყრას განწესებისაებრ ჩუენისა.

4. Ⴐამეთუ არათუ ვითარ-იგი ვიეთნიმე იქმან, რომელ მონასტერთა დაამყარებენ, ანუ თუ სხუასა რასმე პატიოსანთაგანსა მოიგებენ და ნათესავთა თჳსთა ჴელმწიფებასა ქუეშე ჰყოფენ შემდგომად სიკუდილისა მათისა მენაცვალეობითა, ჟამთა ცვალებისაებრ, ეგრეთვე ჩუენცა ვჰყოფდითმცა, გინა განვაწესეთ! ნუ იყოფინ ჩუენდა ამისა[2] ესრეთ ყოფად! Ⴐამეთუ მრავალი სავნებელი და ურთიერთარს ჴდომისა და წინა-აღდგომისა[3] მიზეზი შორის მათსა შემოჴდების და მტერობაჲ და განდგომილებაჲ, ოდეს-იგი თჳთოეული მათი თავსა თჳსსა უწოდდეს უფლად ყოვლისა, ვითარ-იგი მებრ მრავალ გზის სამსჯავროთა შინა ვიხილე ჰე თუალითა ჩემითა. Ⴃა ესე ფრიად უჯერო არს და უჴმარ, რამეთუ მრავალ გზის უღირსი უფროჱს წარემატების ბჭობასა შინა, ვიდრეღა ღირსი, და უსამართლოჲ მართალსა წარჰჴდის. Ⴐომლისათჳს არა მნე[88][ბავს ამის ადგ]ილისა[4] ღმრთისა[5] ნათესავთა ჩემთა[გან]სა ვ[ის ჴელთ-დე]ბად[6] გინა უცხოსა.

5. ႠႼ[7].... უკუეთუ გამოჩნდეს გინა მტკიცეთა და ჭეშმარიტთა თჳსთა ჩემთაგანი, ანუ თჳსად ჩემდა სახელ-დებულთაგანი ვინმე, ანუ მსახურთა და ყრმათა ჩემთაგანი წინა-აღმდგომად ეკლესიისა[8], გინა მონასტრისა ჩემისა, ანუ სოფელთა გინა აგარაკთა მისთა, ანუ ციხეთა, რაჲთამცა ანუ სახლი იშენა ამათ შინა, ანუ სახიზნავად თჳსად შექმნა, ანუ დამკჳდრებად მას შინა ინებოს, გინა უფლებად მისა[9], ანუ რასაცა გუარსა სახესა შემოსავალთა მისთაგანსა თუალახუნეს და მიიხუეჭოს, ანუ შეძინების-მოყუარეობდეს რასაცა ზედა საჴმარსა, დიდსა გინა მცირესა, ანუ მებრ ლიტონითა სიტყჳთა ერთითა ხოლო მიტაცებად მოიგონოს, პირველად წყეულ იყავნ და შეჩუენებულ სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათაგან, რომელნი ჩი-

---

[1] მისსა. [2] ამისსა. [3] წინა-აღმდგომისა. [4] ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილი დაზიანებული ყოფილა დედანში. [5] ღ̄ჲ. [6] ფრჩხილებში ჩასმული ასოების წაკითხვა საეჭოა (შდრ. 108, 6: ნუ იყოფინ მათდა ჴელთ-დებად ესევითარისა ამის ადგილისა). [7] ამას მოსდევს ერთი სიტყვა, რომელიც კარგად არ იკითხება (უკუჵ?). [8] აქ კიდევ იკითხება «გამოჩნდეს». [9] მისსა.

კეას შეკრბეს, და განგდებულ იყავნ ყოვლისაგან წესისა და სარწმუნოებისა ქრისტეანეთაჲსა და ნაწილი მისი Ⴈუდას თანა იყავნ Ⴈსკარიოტელ[89]სა!

6. Ⴃა მერმე რაჲცა მისდა ლეღა[ტად მიმე]ცეს ზემავალი ანუ ქუემ[დე]ბარ[ე ანუ] თჳთმოძრავი, ჭელმწიფებაჲ აქუნ[დეს ეკ]ლესიასა ჩემსა გამოღებად ყოვლისა მის და უფ[ლებ]ად[1] დამტკიცებით.

7. Ⴐომლისათჳს არა ვეჭუ, თუმცა ესოდენ უმადლო და კეთილის მოვიწყე ვინ იქმნა ჩემთაგან და გარდაჰჴდა მცნებულსა ჩემსა, რამეთუ ყოველთა თანა კეთილის მოქმედი ყოფილ ვარ: აღმიზრდიან და საზომად მომიწიფებიან არა თუ ამისთჳს, ვითარმცა სამართალი რაჲმე ვისმე ჰქონებოდა ჩემ თანა მამულისა სამკჳდრებელისა ძლით, არამედ მცნებისათჳს ხოლო ღმრთისა და ჩემისა მათდა მიმართ მოწლედ გულის ქონებითა.

8. Ⴐამეთუ ნეტარი მამაჲ ჩუენი ვინაჲთგან ადრე მიიცვალა და ჩუენ მცირენი დაგჳტევნა და ჰასაკად ვერ მოწიფებულნი, ამისთჳს ყოველი მონაგები და საჭმარი მამისა ჩუენისაჲ დედამან ჩუენმან დედობრივისა ჭირვეულობასა მიხედვითა სხუათა მათ შვილთა თჳსთა დათა ჩუენთა ზითვად მისცა და ჩუენ შიშუელნი დაგჳტევნა ყოვლისაგან მამულისა და დედულისაგანცა საჭმრისა. Ⴃა დანი ჩუენნი [90] [ზითვითა] მათითურთ წარვიდეს ქმართა [მათთა და] განიბნინეს სხუათა და სხუათა შინა [სოფელთა და მ]უნ წარაგეს ყოველი.

9. Ⴄგრეთვე მე[ცა მსახუ]რებითა[2] და რუდუნებითა ჩემითა Ⴑ[ომხე]თს შინა და Ⴑაქართველოს და Ⴑასარკი[ნ]ოზეთს მებრ და მერმე Ⴑაბერძნეთს მოსლვითა საცხორებელსა ჩემსა ვეძიებდი და მოვირეწდი. Ⴃა მრავალთა შინა ჟამთა ვიქცეოდე ესრეთ. Ⴃა ესე ყოველი — გინათუ მონაგები, გინა საჭმარი, ანუთუ პატივი მთავრობისაჲ მომიგიეს, — ყოველივე შეწევნითა ღმრთისაჲთა ქმნილ არს ჩემდა და მშობელთა[3] ჩემთა ლოცვითა და თჳთ ჩემითა მრავლითა ტანჯვითა და მოჭირვებითა და სისხლთა დათხევითა, და არათუ სხჳსა ვისითაცა თანა-შეწევნითა, გინა ქველის მეტყუელებითა მოცემულ არს. ႭႳფროჲსღა ყოველნივე თჳსნი და ნათესავნი და ყრმანი ჩემნი ჩემითა მოსწრაფებითა და მსახურებითა და ჩემდა მომართ საყუედურისა [არ][4] დადებითა არიან მიმთხუეულ დიდებასა და კეთილის მოქმედებასა წმიდათა მეფეთა ჩუენთაგან. Ⴃა რომელი-რაჲ მათდა მიმიცემია, გინა ლე[91]ღატად დამიც, და რომელი მე მაქუს და რომელი ეკლესიისა ჩემისადა მიმიცემია და რომელი სხუაჲ მიცემად მეგულების, ჩემი არს ყოველი და [ჩემ]თა სისხლთა ფასი, და ჩემისაგან მიმიცემია, რაჲცა-რაჲ ვისდა მიმიცემია და ჩემისა სულისათჳს მიმი-

[1] ხელნაწერში იმდენი ადგილი არ არის, რომ «უფ[ლად მის]ად» აღვადგინოთ.

[2] აღდგენილი ნაწილის წაკითხვა საეჭვოა.

[3] მშობლთა. [4] ეს ნაწილაკი დედანში არ არის.

ცემია, სხჳსა მის ყოვლისა თანა, რომელი-იგი მკუდართა და ცოცხალთა ჩემთა თანა მიქმნია კეთილი, და არა სხჳსა ვისისაცა ნაწილისა გინა ხუედრებულისაგან მქონებია, გინა მიმიცემია.

10. Ⴃა ამის ყოვლისათჳს ვინებე მე, რაჲთა მონასტერი ჩემი აზნაურად ეგოს ყოველთაგან თჳსთა ჩემთა და უცხოთა და სამეუფოჲსაგანცა[1] კერძისა და საპატრიაქოჲსა და ყოვლისა საჴელმწიფოჲსა და სამთავროჲსა, ვითარ-იგი სარწმუნოთა და თაყუანის-საცემელთა ოქრობეჭედთა მიერ დამტკიცებულ არს, რომელთა ზედა არა საჭმარ იყო ჩემდა სხჳსა ოქრობეჭდისა აღებაჲ მონაგებთა ჩემთათჳს, გარეშე პირველთა მათ ოქრობეჭედთა, რომელნი მაქუნდეს. Ⴂარნა ამისთჳს ვითხოვე და ავიღე წმიდათა მეფეთა ჩუენთაგან საკუთრად სხუაჲ ახალი ოქრობეჭედი, რაჲთა ჩემ მიერ განგებუ[92]ლი და განწესებული ყოველი მონასტრისა ჩემისათჳს შ[ეუძრ]ველად და უზრუნველად [მტკი]ცე[დ დამა]რხულ იქმნას ვიდრე აღსას[რუ]ლადმდე სოფლისა.

11. Ⴃა უკუეთუ წინამძღუარ[თა]განი ვინმე მონასტრისათაჲ, გინათუ ძმათაგანი ვინმე გამოჩნდეს, რომელმან გარდასლვაჲ ინებოს მოწევნულისა ამისგან ტიპიკონისა და მოიგონოს განზრახვაჲ ზაკუვისაჲ და ისწრაფოს შედგომად[2] ნათესავთაგანსა ვისმე ჩემსა, გინათუ სხუასა ვისმე უცხოსა დაკლებად რაჲსამე, გინა მიცემად ვისამე თითოეულთა ამათგან, რომელიცა-რაჲ მივეცით და დაუმტკიცეთ წმიდასა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, ანუთუ უფლებად ვინმე ინებოს მას ზედა, გინა ფერჴისა შედგმად მას შინა, იგივე ზემო წერილი წყევაჲ მიიღენ და განიძენ მონასტრისაგან, და ვითარცა შინა-განმცემელი და მზაკუვარი დაისაჯენ, ვითარცა გარდამავალი ტიპიკონისა ამის ჩუენისაჲ!

Ⴇავი ႨႧ

Ⴋისთჳს, ვითარმედ უკუეთუ შესცთეს წინამძღუარი და ეცრუოს[3] აღთქუმასა გინათუ სხუაჲ ვინ ჴელისუფალთაგანი და წა[93]რაგოს საჭმარი მონასტრისაჲ, ჯერ-არს ესევითართა მათ გარდადგი[ნებაჲ]

1. Ⴞოლო უკუეთუ იქმნას სადა, — რომელსა-იგი მე ა[რა ვ]ეჭუ, არცა მოველი, — და შეურ[ა]ცხ-ყო[ნ წინა]მძღუართა ჩემ მიერ დადებული ესე სჯული [და ს]არგებელისა წილ მავნებელ ძმათა ექმნენ, მიშუებაჲ აქუს ბრძანებისაჲ დამორჩილებულთა მათ ძმათა, რომელ-

---

[1] სამეოფოჲსაგანცა. [2] შეგომად.
[3] ეცროუს.

ნიცა უპირატესნი იყვნენ და მოხუცებულნი ძმათა შორის, მოღუაწენი და მეცნიერნი ჟამსა მას შინა, ჴელისუფალთა და მნეთა თანაგანზრახვითა, რომელთა-იგი თანა-აც ყოვლითა მოსწრაფებითა წარმართებად ესევითართაჲ მათ და არა მიშუებად, რაჲთა დაირღუას და აღოჴრდეს [1] ესევითარი ესე შუენიერი სამოწესეოჲ სამკჳდრებელი, ანუთუ უჴმარ იქმნეს. Ⴞოლო უკუეთუ დაუთმოს ვინ ეგევითართა მათ მავნებელთა და მიუშუას, არა მცირე დასასჯელი მიიღოს ღმრთისაგან და წმიდისა Ⴖმრთისმშობელისა, ვითარ-იგი ზემოცა ვთქუთ.

2. Ⴃაღაცათუ მცირედცა რაჲმე სავნებელი მონასტრისაჲ უგულებელს-ყოს და არა იზრუნოს, და რაჲთაცა მიზეზითა სც[94]თეს და მჴურვალითა გულითა არა იღუაწოს დამარხვად საჴმარი ეკლესიის[აჲ] უგულებელს-ყოფითა და საჴმართა ეკლესიისათა უჯეროდ და ურიდად წარაგებდეს, და სამკაულთა და საფასეთა ეკლესიისათა წარწყმედად მიუშუებდეს და საქმესა მჴეცისასა იქმოდის, პირველად უკუე სიტკბოებით და შიშითა ღმრთისაჲთა ჯერ-არს სწავლად მისა მათ მიერ და, შემდგომად ჯეროვნისა ამის სწავლისა, უკუეთუ არა მოვიდეს განმართებად, წმიდისა მის ადგილისაგან განეშორენ ერთობითითა წამებითა და განსჯითა ზოგადითა ყოველთა მიერ. Ⴃა მერმე ამისა შემდგომად ნაცვალად მისა სხუაჲ ღირსი დაიდგინოს ადგილსა მისსა ყოველთა მიერ განზრახვით გამორჩევითა.

3. Ⴄსე ძალისაებრ ჩუენისა კმა-იყავნ აწ თქუმად ამის ჯერისათჳს, რომელი-ესე კაცობრივისაებრ გონებისა განვაგეთ და დავამტკიცეთ. Ⴐამეთუ ვინმცა კაცთაგანმან უძლო ყოვლისავე უცთომელად წარმოთქუმად და განგებად, ვინაჲთგან წინამდებარე მომავალი ყოველი უცნაურ არს კაცთაგან? არამედ თჳთ მებრ მსახურთა [95] და ჴელისუფალთა ადგილისათა ვაფუცებ ღმრთისა მიმართ ცხოველისა, რაჲთა არცა ერთითა რაჲთ სახითა და მიზეზითა არა უგულებელსყონ ჩუენ მიერ განწესებული ესე.

4. Ⴃა უკუეთუ სადა რაჲთაცა მიზეზითა განცხადებულად შესცთეს წინამძღუარი და არა იქცეოდის უმჯობესისა გამორჩევითა, არამედ მწყემსობისა წილ მგელ ექმნეს სამწყსოთა მათ ზედა [2] და საჴმარსა მონასტრისასა განჰლევდეს და მონაგებთა მისთა წარჰსწყმედდეს და საქმეთა მგლისათა იქმოდის, არა დაუთმონ მას მონასტრისა მყოფთა, არამედ პირველად უკუე სიმშჳდით და სიტკბოებით ღმრთის მოყუარებრ ასწაონ და ამხილონ ძმებრივად, და უკუეთუ არა ინებოს განმართებად, თავი თჳსი და სახე არა განაგოს, გარდაიგდოს და განშორებულ იქმნას ესევითარი-იგი ჴელმწიფებისაგან თჳსისა ზოგად ყოველთა წამებითა და ჴელისუფალთა თანა-დგომითა. Ⴃა

[1] აღაოჴრდეს.

[2] «ზედა» ზედმეტი ჩანს. ან «მგელ ექმნეს სამწყსოთა მათ», ან «მგელ იქმნეს სამწყსოთა მათ ზედა».

მერმე ამისა შემდგომად ყოველთა ზიარად გამორჩევითა და ჴელი-სუფალთა და მოღუაწეთა და მეცნიერთა ძმათა წამებითა რომელიცა ღირსი იყოს, შორის შემოიყვანონ და ნა[96]ცვალად მისა განაწესონ.

Ⴇავი Ⴉ

Ⴋათთჳს, რომელნი საჴმართა მისცემდენ ჟამის საწირავად მიც[ვ]ალებულთა მათთათჳს, და სწავლაჲ, [თ]უ ვიეთგან ჯერ-არს აღებაჲ

1. Ⴋის ხოლო საჴმრისა ჯერ-არს აღებაჲ და შეწყნარებაჲ ჟამის მწირველთა, რომელი-იგი არა იყოს მიზეზ მონასტრისა ვნებისა, არცა ახალ-სახეობად რაჲმე, არამედ სიმტკიცედ წინამდებარეთა საქ-მეთათჳს და სისრულედ ღმრთის მსახურებისა, უფროჲსღა რაჲთა არა დასამძიმებელად, არამედ გულს-მოდგინებად წინამდებარისა მის საქ-მისა და სარგებელად სულისა შემწირველთაჲსა და რომელთათჳს შე-იწირვოდის.

2. Ⴐამეთუ ესე არს მებრ სათნოჲ ღმრთისაჲ ნაყოფიერებაჲ, რო-მელსა უდიდებულესი ყოვლისაჲ აქუს ნაცვალისა მიგებაჲ, და არა მო-ვაჭრებაჲ სულიერისა ვნებისაჲ ესევითარისა მის მიერ საქმისა, არა-მედ შეწირვაჲ სათნოდ სრულებათა საღმრთოთაჲ, რომელნი-იგი აღ-წერილ და განსაზღვრებულ არიან ამათ საქმეთათჳს. Ⴐომლისათჳს ჯერ-არს და სამართალ სრულებით-რე თქუმად დასასრულსა ამის წიგნისასა და აღწერად მტ[97]კიცესა ამას შინა განწესებასა, რაჲთა ცხად იყოს და უმტკიცეს თქუენდა დღესაჴსენებელი ზოგად ცხორე-ბულთაჲ ჟამსა მიცვალებისა მათისასა.

Ⴇავი ႩႠ

Ⴋცნებაჲ კუალად ძმათა მიმართ ჩემისა და თჳსთა ჩემთა დღესაჴსენებელისათჳს და ძმათა მიმართ სიყუარულისა ყოფისა და საფასეთა განყოფისათჳს დღესა ჴსენებისა ჩუენისასა გლახაკთა მიმართ

1. Ⴂანვაწესეთ უკუე საჴსენებელი ნეტარისა და კეთილად ჴსენებუ-ლისა ძმისა ჩემისა Ⴀბაზ მაგისტროსისაჲ ყოფად დღესა, რომელსა შინა მიიცვალა იგი, — თუესა სეკდენბერსა ოცსა წმიდისა მოწამისა Ⴄვსტათის დღესასწაულსა, რაჲთა დაეგოს მას დღესა შინა ტაბლაჲ ბრწყინვალე და შუენიერი და აღსავსე ყოვლითა კეთილითა, რომე-

ლიცა მოეცეს ღმერთსა: მწუხრსა სუან ძმათა ორ-ორი კრასაული, სამხრად — ოთხ-ოთხი; და რაოდენნი ჟამის მწირველნი მღდელნი იყვნენ მონასტერსა შინა და გარე სოხასტერთა და სოფელთა შინა მას დღესა, ყოველთა მისთჳს წირონ ჟამი. Ⴃა მიეცეს მას დღესა გასაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამეოცდა ათორმეტი, და შემდგომად ღამის თევისა და ჟამის წირ[98]ვისა კუალად განეყოს[1] დრაჰკანი ოცდა ოთხი ძმათა მათ მოსრულთა დღესა ჴსენებისა მისისასა.

2. Ⴋნებავს კუალად თქუმად ჩემთჳსცა. Ⴐამეთუ, ვითარცა-იგი წერილ არს: «კაცად-კაცადი თჳსისაებრ შრომისა მიიღებს სასყიდელსა» [I კორ. 3, 8], არამედ დაღაცათუ სიქადული ჯერ-არს, გარნა არადვე სარგებელ არს, ხოლო «რომელი-იგი იქადოდის, უფლისა მიერ იქადოდენ» [I კორ. 1, 31]. Ⴐამეთუ თქუენ თჳთ მებრ, რომელნი-ეგე დასაბამითგან მიცნობთ მე, უწყით კეთილად ყოველი ხარკებაჲ და სწრაფაჲ და ოფლითა მრავლითა შრომილებაჲ ჩემი, და ნიჭნი ღმრთისანი, რომელნი-იგი არა მე, არამედ მადლმან ღმრთისამან ქნა[2] ჩემ თანა. Ⴃა ვიცი სიყუარული თქუენი, რომელ, დაღაცათუმცა არა გამცენ და მოგაჴსენე, თქუენ არა დაივიწყებთ, არცა უდებჰყოფთ საჴსენებელსა ჩემსა, რომლისაჲ თანა-გაც ყოფად, არამედ ჰყოფდეთ უეჭუელად. Ⴂარნა მნებავს, რაჲთა უჰატიოსნესადღა ჰყოფდეთ და გულს-მოდგინედ, და სარწმუნოებით მომიჴსენებდეთ მე ყოველსა ჟამსა. Ⴃა რომელნი-იგი შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან, ვევედრები მათ ყოველთა, ვითარცა მამათა და ძმათა, რაჲთა არა[99]ოდეს დამივიწყონ ჩუენ.

3. Ⴞოლო ჯერ-არს დღესა მას ჴსენებისა ჩუენისასა გულისჴმისყოფად ძმათა, რომელნიცა ხედვიდენ ესოდენსა მას შუენიერებასა სახლისა ღმრთისასა, რომელ არს წმიდაჲ ეკლესიაჲ, და წლითიწლადთა მათ შემოსავალთა მისთა და სხუათა მათ საჴმართა, რომელთა-იგი შემდგომად ღმრთისა ჩუენ ქმნილ ვართ მიზეზ მოგებისა ყოველთა მათ კეთილთაჲსა, და ნუმცა დამივიწყებთ ჩუენ, არამედ რომელსაცა დღესა ინებოს ღმერთმან ბრძანებითა მისითა ყოფად აღსასრული ჩემ[3] გრიგოლისი, მას დღესა ჰყოფდით ჩემსაცა საჴსენებელსა.

4. Ⴃა მისცენ გასაყოფელად გლახაკთა დრაჰკანი სამოცდა ათორმეტი და ნუგეშინის-სცენ[4] ძმათა უხუად დაგებულითა ტრაპეზითა საჭმელთა მიერ და სასუმელთა. Ⴃა ეგრეთვე რომელნიცა მოსრულ იყვნენ დღესასწაულობად ჴსენებასა ჩუენსა, მათცა ნუგეშინის-სცენ. Ⴃა შემდგომად ღამის თევისა და ჟამის წირვისა კუალად განუყონ ძმათა მათ მოსრულთა დღესა ჴსენებისა ჩუენისასა დრაჰკანი ოცდა ოთხი. Ⴃა უკუეთუ მის დღისათჳს განწესებუ[100]ლთა ამათ დრაჰკანთაგან ანუ შემზადებულთა მათ საზრდელთაგან და- რაჲ -ჰმატდეს

---

[1] განიყოს. [2] ასეა. [3] ჩ̄ი. [4] ნუგეშინისცენ.

სიმცროჱსაგან მოსრულისა მის ერისა, იგიცა მეორესა დღესა გლახაკთა განეყოს და სხუად რად ნუ იჴმარების.

5. Ⴃა ეგრეთვე რაჲცა-რაჲ ყოვლისაგან შემოსავალისა წელიწდისა დაჰმატდეს, ოდეს ყოველივე საჴმარი ეკლესიისაჲ და ძმათაჲ განწესებისაებრ ჩუენისა მიცემულ იყოს, და სხუაჲ ყოველივე სათანადოჲ და საჭიროჲ წარსაგებელი ქმნილ იყოს, მის ყოვლისა ნამეტნავისა, რომელი დაშთომილ იყოს, ნახევარი კუალად ეკლესიასავე საჴმრად დაეტეოს საწინაოთა მოულოდებელთა რათმე ჭირთა და წარსაგებელთათჳს, ხოლო ნახევარი ყოვლისა მის ნამეტნავისაჲ ეგრევე მსგავსად ჟამსა ჴსენებისა ჩემისასა განეყოს კეთილად მსახურთა მიმართ[1] ძმათა ქრისტესთა, გლახაკთა და დავრდომილთა და მსახურთა და მუშაკთა[2] მონასტრისათა და გლეხთა მისთა. Ⴃა ყოველივე წინამძღუარმან და განმგეთა განუყონ თანა-განზრახვითა და მეცნიერებითა აბარმადთა და იკონომოსთაჲთა.

6. [101] Ⴞოლო შიშითა ღმრთისაჲთა და წმიდითა გონებითა და უბრალოჲთა ნებითა ჰყოფენმცა განყოფასა მას, და უწყიანმცა, თუ ვითარსა სასჯელსა ღირს იპოვა, რომელსა-იგი გუადრუცი საუფლოჲ ეტჳრთა და მპარავ და მრეხველ და განმცემელ უფლისა თჳსისა იქმნა (Ⴈოვ. 12, 6; 18, 2—3). Ⴃა კუალად თუ ვითარ დაისაჯა Ⴂეეზი კეთროვნებითა ვეცხლის მოყუარებისა მისისათჳს (IV Ⴋეფ. 5, 27). Ⴃა ეკრძალებიანმცა, რაჲთა არარაჲ ესევითარი შეემთხჳოს განმყოფელთა მათ.

7. Ⴀწ უკუე ამის ყოვლისა უკლებად და უცთომელად მნებავს დამარხვად ყოველთა მიერ, რაჲთა არცა ერთითა რაჲთ მიზეზითა დაეხრწიოს რაჲ ამათგანი.

8. Ⴞოლო უკუეთუ ძმათა შემოწირულისა ანუ სხუათა ვიეთმე მიერ მოძლუანებულისაგან შემოიკრიბოს დრაჰკანი, არა ჯერ-არს ნამეტნავისაჲ მის სულისათჳს ჩუენისა წარგებად, გარნა დამარხვაჲ ჯერ-არს ძმათავე საჴმრად, და შემოსავალისაგან მონასტრისა ყოფად ყოველივე საჴმარი ჴსენებისა ჩუენისაჲ.

9. Ⴄგრეთვე განვაწესეთ, რაჲთა ყოველთა შინა დღეთა წელიწდისათა საღმრთოსა მას შინა საჲდუმლოსა ჟამის წირვისასა [102] თანა-შეწირულ იქმნას ჴსნისათჳს სულთა ჩუენთაჲსა სამი სეფისკუერი უდიდროვნესი, რომელსა ანაფორაჲ ეწოდების, და ამოკუეთილ იქმნას ერთი სულისათჳს ჩემისა, და ერთი ძმისათჳს ჩემისა და ერთი მამისა ჩემისა Ⴁაკურიანისათჳს. Ⴃა ორი იგი აღმოკუეთილი განეყოს გლახაკთა და უძლურთა, კართა ზედა მონასტრისათა მყოფთა, და ერთი იგი ძმათა ევლოგიად განეყოს. Ⴃა ეგრეთვე ყოველთა შინა ეკლესიათა სოხასტრისათა ერთი სეფისკუერი აღმოკუეთილ იქმნას საჴსრად სულთა ჩუენთათჳს თჳნიერ ყოვლისა ცილობისა. Ⴃა ამას გან-

[1] მ̄რთ. [2] მოშაკთა.

კანონებით და დაშჯილებით ვამცნებ დამარხვად ყოველსა ძმობასა ჴსენებისათჳს ჩუენისა და სარგებელისათჳს სულთა ჩუენთაჲსა, რაჲთა ესრე სახედ ჰპოონ წყალობაჲ ღმრთისაგან.

10. Ⴟერ-არს კუალად, რაჲთა დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა ყოველთავე მღდელთა ჩუენთჳს წირონ ჟამი: ჩემთჳს და ძმისა ჩემისათჳს და მიცვალებულთა ჩუენთათჳს; და ეგრეთვე წმიდასა და დიდებულსა ბრწყინვალესა დღესა Ⴕრისტეს Ⴀღდგომისასა — Ⴀღვსებასა,—და წმიდასა Ⴀმა[103]ღლებისა დღესა, და Ⴑულისა წმიდისა მოსლვასა, და Ⴞარებასა, და Ⴕრისტეს შობასა, და Ⴂანცხადებასა, — ამათ წმიდათა დღესასწაულთა ყოველივე ჟამის წირვაჲ ჩუენთჳსმცა იქმნების. Ⴃა ეგრეთვე წელიწდისა ყოველნი შაბათნი ჩუენთჳსმცა იწირვიან: ერთი შაბათი ჩემთჳს და ერთი ძმისა ჩემისათჳს. Ⴃა ყოველთა დღეთა დიდსა შინა ეკლესიასა, ოდეს ზედა მწირველმან საჲდუმლოჲ აღასრულოს და ერი აზიაროს და სიწმიდესა ზე-უკუმოიყვანებდეს, მას ჟამსა მღდელმან მოგჳჴსენნეს ჩუენ სახელ-დებით, მე და ძმაჲ ჩემი, და შენდობაჲ ითხოვოს ცოდვათა ჩუენთათჳს და ძმანი ყოველნი თანა-ეწამნენ მას. Ⴃა ეგრეთვე ცისკრისა და მწუხრისა ლოცვისა აღსასრულსა მოგჳჴსენებდენ მღდელნი და ძმანი ყოველნი მე და ძმასა ჩემსა და ითხოონ ღმრთისაგან და თქუან, ვითარმედ: «შეუნდვენ ღმერთმან ბრალნი მაშენებელთა ჩუენთანი!»

11. Ⴞოლო დღესა Ⴃიდსა Ⴞუთშაბათისსა საჴსენებელი აღესრულებოდის სანატრელისა და კეთილად მსახურისა მამისა ჩუენისა ერისთავთა ერისთავისა Ⴁაკურიანისათჳს ლოცვითა და ჟამის წირვითა, და ძმა[104]თათჳს ბრწყინვალე და ჯეროვანი ტაბლაჲ განემზადოს. Ⴃა განეყოს მას დღესა დრაჰკანი ოცდა ორი გლახაკთა.

12. Ⴛმანო, მოიჴსენებდით ჭირთა და რუდუნებათა და შრომათა ჩემთა, რომელ თქუენისა სიყუარულისათჳს დავშუერ, რომლისათჳს სასყიდელიმცა კეთილი გჳპოვნიეს თქუენ მომჴსენებელთა და ჩუენ ჴსენებულთა Ⴕრისტე Ⴈესუჲს მიერ უფლისა ჩუენისა!

Ⴇავი ႩႡ

Ⴐუ ვითარ ჯერ-არს ჴსენებისა ყოფად მიცვალებულთა წინამძღუართა მონასტრისათა და სხუათა მათ ძმათა ჟამის წირვითა და ლოცვითა

1. Ⴍდეს წინამძღუარი მონასტრისაჲ აღესრულოს, ჯერ-არს ყოველთა მღდელთა და ძმათა ღირსებით და დიდებით პატივის-ცემაჲ მისი სანთლითა და საკუმეველითა, ფსალმუნებითა[1] და გალობითა

[1] ფსალმ҃ნითა.

აღსრულებად მის ზედა ყოველივე წესი სამკუდროჲ. Ⴇუ მღდელთაგანი იყოს, სამღდელოჲთა წესითა დაჰმარხონ; და თუ ლიტონი მონაზონი იყოს, მონაზონთა წესითა; და წარაგონ გასაყოფლად საფლავსა მისსა ზედა ათორმეტი [105] დრაჰკანი. Ⴃა ნუგეშინის-სცენ ძმათა და უმატონ საჭამადსა და სასუამადსა. Ⴃა მესამესა დღესა ყონ მისთჳს პანაშჳდი და ღამის თევაჲ და მღდელთა ყოველთა ჟამი მისთჳს წირონ და ეგრეთვე ცხრასა და ორმოცსა და წელიწდისა აღსრულებასა საეკლესიოჲსა წესისაებრ.

2. Ⴞოლო ოდეს ძმათაგანი ვინმე აღესრულოს, ესრევე ლოცვითა და გალობითა წესისაებრ დაჰმარხონ იგი და იქმნას მისთჳს პანაშჳდი და ღამის თევაჲ სამსა, ცხრასა, ორმეოცსა და წელიწდისა აღსრულებასა.

Ⴇ ა ვ ი ႩႢ

Ⴐ ა ჲ თ ა ა რ ა შ ე ვ ი დ ე ს დ ე დ ა კ ა ც ი ე კ ლ ე ს ი ა ს ა ჩ უ ე ნ ს ა, ა რ ც ა ს ა დ ე დ ო ჲ მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ა ღ ე შ ე ნ ო ს ო დ ე ს ც ა ს ა ზ ღ ვ ა რ თ ა შ ი ნ ა მ ი ს თ ა

1. Ⴀრა მნებავს უკუე რაჲთურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა ჩემსა გინა მონასტერსა რაჲთაცა მიზეზითა, არცა ცოლოსნისა კაცისა დამკჳდრებაჲ საზღვართა მისთა, გინათუ მოყმისა ვისიმე უწუერულისაჲ, რაჲთა არასადა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარათა [106] იყვნენ.

2. Ⴃავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოჲსა მონასტრისა საზღვართა შინა მონასტრისათა და ნუმცა იქმნების ესე ოდესვე მიზეზითა იოვანეს[1] დედისა და ეფრემის დისაჲთა. ႭჃფროჲსღა მათიცა ჯერ-არს სხუაგან მიცვალებაჲ მიერ, რამეთუ დაუთრგუნველად ყოვლითურთ დედათაგან განვაწესეთ ყოფად ადგილი ესე, ვითარ-ესე მებრ სიცოცხლესავე შინა ჩუენსა განვაგეთ, რომელ ოდენ დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა მოვიდოდინ ლოცვად და დაჰყოფდენ ვიდრე ჟამის წირვისა ჟამადმდე და მყის ხოლო მსწრაფლ განვიდოდინ მიერ. Ⴃა ამის ჯერისათჳს ვაფუცებ განკანონებით, რაჲთა სხუასა არა რომელსა შინა ჟამსა იქმნას ესე.

———

[1] ი̄ნეს.

Ⴇავი. ႩႣ

რაჲთა არაოდეს დაიკარგოს მონასტერსა შიგნით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი და თუ რაჲ არს[1] ამისი მიზეზი

1. Ⴉუალად ვამცნებ ამასცა და შჯულ-დებით დავამტკიცებ, რაჲთა არაოდეს იყოს მონასტერსა შინა ჩემსა მკჳდრობით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი, თჳნიერ ერთისა ხოლო მონაზუნისა, რომელმან ჴელით წ[107]ერილი იცოდის და მწიგნობრობასა იქმოდის და თავადსა თანა მიივლინებოდის[2] წინამძღურისაგან და მონასტრისა საქმეთა იურვოდის.

2. Ⴞოლო ამას ამისთჳს განვაწესებ ესრეთ დამტკიცებით, რომელ ვითა არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ჴელოვანნი, მეშინის, თუ ნუთუ სავნებელი და დასაკლებელი რაჲმე შეამთხჳონ მონასტერსა, ანუ თუ წინა-აღმდგომცა ადგილისა იქმნენ და სრულიად უფლებად მისა[3] ეცადნენ მამასახლისობად ჴელ-ყოფითა, ანუ სხჳსა რაჲსმე მიზეზისა სახითა, და თავისდა[4] შექმნად ინებონ მონასტრისა. Ⴐომელი-ესე მრავალ გზის გჳხილავს მათგან ქმნილად ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულ-მარტიობისაგან. Ⴇუ არა, ნებითა ღმრთისაჲთა, ჭეშმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა მიმდგომნი ვართ და აღმსაარებელნი და მოწაფენი მათნი.

Ⴇავი ႩႤ

Ⴇჳსთა და ნათესავთა ჩუენთა და ყმათა ჩუენთათჳს ქართველთა, რომელნიცა მონაზონებისა წესსა მოვიდოდინ, თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ მათი

1. Ⴓკუეთუ იყვნენ სადა [108] მახლობელთა თჳსთა ჩუენთა ცოცხალთაგანნი, — მათ ვიტყჳ, რომელნი აღრაცხილებისა წესითა მახლობელ ჩუენდა იყვნენ თჳსებით, — და წესსა შინა მონაზონებისასა წურთილ და შესწავებულ იყვნენ და გონიერ და მეცნიერ განმგებელად მონასტრისა და შემძლებელ, ჯეროვნად და სამართლად შემირაცხიეს თავ ყოფაჲ მათი საწინამძღუროდ, ვიდრე უცხოჲ ვინმე და გარეგანი.

2. Ⴓკუეთუ კულა უცხო იყვნენ იგინი სამღდელოჲსაგან წესისა და მოღუაწებისა და არა ხოლო მოღუაწებასა შინა იყვნენ უძლურნი, არამედ შეუძლებელნიცა და უჴმარნი საერისკაცოჲსაებრ განგებისა

---

[1] არ. [2] მივლინებოდის. [3] .მისსა. [4] ან: თავისად (ხელნაწერში სწერია: თავისდად).

და არცა თუ გულ-სავსებით მსახურებაჲ იცოდიან, ნუ იყოფინ მათდა ჴელთ-დებად ესევითარისა ამის ადგილისა, რამეთუ სამკჳდრებელი ესე ზოგად ცხორებულთათჳს და წესიერთა განმისაზღვრებიეს საყოფლად, რაჲთა აზნაურად ეგოს უკუნისამდე ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თჳსთა და ნათესავთა ჩემთა, და არცა ერთსა ვის მათგანსა დაემო[109]რჩილოს, არამედ მარადის იყოს თჳთჴელმწიფე და თჳთმფლობელ ყოვლით კერძო.

3. Ҁოლო უკუეთუ ზემო თქუმულთა ამათ ნათესავთა და ყრმათა ჩუენთაგან უსწავლელნი ლიტონნი ხოლო ვინმე იყვნენ ქართველთაგანნი და აღკუეცაჲ ინებონ და განწესებულისა მის რიცხჳსაგან ძმათაჲსა დაკლებულ ვინმე იყოს, მაშა ჯერ-არს მათი უფროჲს პატივცემაჲ და შეწყნარებაჲ და ადგილსა მას დაკლებულისასა დაწესებაჲ აღმავსებელად რიცხუსა ძმათა რავდენობისასა. Ҁოლო იგინი იყვნენ, წესისაებრ მონასტრისა და ერთობისა მის ძმათაჲსა, მორჩილებასა ქუეშე წინამძღურისასა. Ӡა რიცხუსა მას ძმათასა ნუმცა დააკლდების ნუ ოდეს.

Თავი ႩႨ

Ზოღარიას ქმნისათჳს იკონომოსისა და სხუათა მსახურთაჲსა წინამძღურისაგან და წინამძღურისაჲ ეპიტროპოსთაგან და ძმათა

1. Ჯერ-არს და სამართალ, რაჲთა წელიწადსა შინა ორ გზის დიდი იკონომოსი გაიკითხვიდეს სხუათა იკონომოსთა და მსახურთა და ლოღარიასსა უქმო[110]დის: ერთჯერ სეკდენბერსა და მეორედ Ⴀღვსებასა შიშითა ღმრთისაჲთა და სამართალითა. Ӡა რაჲცა შემოსავალი იყოს, აიღებდეს მათგან და აპოტიქსსა შეუქმოდის დიდი იკონომოსი და მამასახლისსა მისცემდეს.

2. Ӡა მისგან იქმნებოდის ლოღარიასად და აპოტიქსსა აიღებდეს.

3. Ⴋამასახლისი ეგრეთვე შიშითა ღმრთისაჲთა ეპიტროპოსთა მეცნიერებითა წარაგებდეს შემოსავალსა საჴმრად ეკლესიისა და მონასტრისა და დანაშთომსა, რომელი არა წარგებულ იყოს სარგებელად და ჴამსად მონასტრისა, მისცემდეს მეჭურჭლესა და დოშიარსა და მისგან აპოტიქსსა აიღებდეს. Ӡა ყოველთა Ⴀღვსებათა მამასახლისი იქმნებოდის ლოღარიასად იკონომოსთაგან და მეგანძურისა და სხუათაგან ძმათა.

4. Ӡა ეგრეთვე მეგანძური, რომელ არს დოშიარი, გაიკითხვოდის ლოღარიასობით წელიწადსა შინა ორგზის მამასახლისისაგან და სხუათაგან ძმათა.

5. Ӡა უკუეთუ ამათგანსა ვისმე მოეხუეჭოს ანუ ცუდად წარეგოს

სა[111]ჴმართაგან ეკლესიისათა, ჯერ-არს, რაჲთა დაკლებული იგი და შეჭმული ეკლესიასავე შეუქციოს და თჳთ განიძოს მსახურებისაგან თჳსისა.

6. Ⴃა რომელი-რაჲმე დაჰმეტდეს ეკლესიისა შემოსავალთაგან, გარეშე ჩუენ მიერ განწესებულისა მის წარსაგებელისა და სხჳსა მის ჯეროვნად წარგებულისა, რომელიცა საჴმრად და სარგებელად ეკლესიისა ქმნილ იყოს, იგი ყოველი დამარხულ იყავნ, რაჲთა სხუასა შინა ჟამსა ოდესმე საჴმრად და სარგებელად ეკლესიისა წარევგოს.

7. Ⴀმასცა განვაწესებ, რაჲთა არა ოდეს დააკლდეს ვიდრე ათად ლიტრადმდე განძი საფასე მონასტერსა, რაჲთა საწინავროდ საჴმრად ეგოს მონასტრისათჳს მომავალსა შინა ჟამსა. Ⴃა სხუაჲ, რაჲცა ამისსა უმეტესი დაშთეს, მისცენ და ადგილი მოუყიდონ ეკლესიასა.

Ⴇავი ႩႦ

Ⴐაჲთა ჴსენებასა ჰყოფდენ ყოვლადვე მიცვალებულთასა ჟამის წირვითა და სამღდელოთა შინა საჲდუმლოთა მოიჴსენებდენ სულსა შესუენებულთასა დაუცხრომელითა ლოცვითა

[112] 1. Ⴀმასცა კუალად მცნებად ნამარხევად[1] მიგცემ თქუენ, მამანო და ძმანო ყოვლითა დამოწმებითა და სიმტკიცითა და კანონებით დაშჯითა და აღვსწერ მტკიცედ, რაჲთა ყოვლადვე და მარადის დაუხრწეველად აღასრულებდეთ საჲდუმლოსა საღმრთოჲსა მის მსხუერპლისასა; და მარადის იჴსენებიანმცა ჩუეულებისაებრ სულნი შესუენებულთა ყოველთა ქრისტეანეთა[2] Ⴕრისტეს მიერ ძმათა ჩუენთანი; ვითარ-იგი მებრ დასაბამითგან წესად მოგჳლებიეს ზეგარდამო და ვიდრე მოაქამდე მადლითა ღმრთისაჲთა დამარხულ არს ყოველთა შინა ეკლესიათა, ეგრევე სახედ თქუენცა დაჰმარხეთ, რამეთუ ესე არს საქმე შუენიერი და სათნოჲ უფლისაჲ და თანა-აც ყოველთა მორწმუნეთა შეურყეველად დაცვაჲ ამის ესევითარისა მცნებისაჲ და უფროჲსღა მონაზონთაგან, რამეთუ ამის მიერ ყოველი ძალი წინა-აღმდგომისა ჩუენისა ეშმაკისაჲ დაიჴსნების.

2. Ⴃა ეგრეთვე ეგუტერსა შინა წმიდისა Ⴈოვანე Ⴙათლის-მცემელისასა მღდელი ერთი დაიკარგოს, რაჲთა მარადის დაუცხრომელად ჴსენებათა ჰყოფდეს შეს[113]უენებულთასა.

3. Ⴃა კუალად აღესრულებოდენ ყოველთა ძმათა საჴსენებელი

---

[1] ეს სიტყვა წვრილი ასოებით არის დამატებული სტრიქონს ზემოთ.

[2] ქ¯ნეთა.

ღამის თევითა და ჰანაშჳდითა და ჟამის წირვითა, ვითარცა ზემო წერილ არს.

4. Ⴃა არა ესოდენ, არამედ უკუეთუ მორწმუნეთაგანმან ვინმე გარეთ მოღმართ ძღუენი შემოწიროს და საჴმართა მიერ ქველის საქმითა ჰმსახუროს მონასტერსა ამას და გინათუ ლოცვითა მოჴსენებისა მისისათჳს ყოს ესე, ანუთუ წლითი-წლად ჴსენების ყოფისათჳს, ჯერ-არს, რაჲთა ყოველთა ულოცონ მას ჴელ-აპყრობით და ჩუენისა ამისებრ დამცნებისა მოიჴსენებდენ წმიდათა შინა ჟამის წირვათა.

5. Ⴃა ამის ყოვლისა დაუხრწეველად და უქცეველად ჰყრობად ვამცნებ ყოველთა, რომელნიცა შემდგომად ჩუენსა მომავალ არიან, ვიდრე აღსასრულადმდე ამის საწუთროჲსა.

Ⴇავი ႩႡ

Ⴋოუძლურებულთა და მოხუცებულთა ძმათათჳს, თუ ვითარ ჯერ-არს განსუენებაჲ და ფუფუნებაჲ მათი

1. Ⴞოლო რომელნი-იგი მოუძლურდენ ძმათაგან ჭირვეულნი სნეულებითა, გინა თუ სიბერითა, ანუ სხჳთა [114] რაჲთმე მიზეზითა სენთაჲთა, მათი ჯერ-არს უმეტესად ღუწოლაჲ და ფუფუნებაჲ საზრდელითა და სასუმელითა. Ⴃა ეგრეთვე მათ თანა-აც მოთმინებაჲ და არა სულ-მოკლებით დრტჳნვაჲ და რაჲთა თჳთ მათ თავადთა და რომელნი-იგი ჰმსახურებდენ მათ, ზოგად სასყიდელი მიიღონ მართლმსაჯულისა მის მიერ Ⴕრისტეს ღმრთისა ჩუენისა. Ⴀმეთუ ესე არს ნანდჳლვე ნებაჲ ღმრთისაჲ, რომელ არს მოყუასთა მიმართ კეთილის ყოფაჲ და სიყუარული მათი და სიტკბოებისა ჩუენებაჲ.

2. Ⴃა არა ხოლო ესე ოდენ თანა-აც წინამძღუარსა, რაჲთა ჴორცთათჳს ხოლო ზრუნვიდეს, არამედ სულთაცა მათთა[1] უჴმს გამოზრდაჲ სიტყჳთა მით მოძღურებისაჲთა; და არა სიტყჳთა ხოლო, არამედ საქმითაცა, რაჲთა მსგავსად მკურნალისა ჴელოვნისა ჰკურნებდეს სულთა მათთა.

3. Ⴀმეთუ ესე არს მებრ საძიებელი ჩუენი, რომლისათჳს ყოველი სიტყუაჲ და საქმე მოღუაწებისაჲ სრულ იქმნების და რომლისა უმეტეს სათნო ღმრთისა არა რაჲ არს, ესე იგი არს უწესოთა და ლირწთა წესიერებად მოყვანებაჲ, მომთრ[115]ვალეთა მარხვითა განმჴნობაჲ, მრისხანეთა[2] სიმშჳდისა და სულ-გრძელებისა სწავლაჲ, ამპარტავანთა სიმდაბლითა განშუენებაჲ.

---

[1] მათთაჲ. [2] მრისხანეთაჲ.

4. Ⴐამეთუ ესე არს სიბრძნე პირველი, ესე არს სიბრძნის მოყუარებაჲ საღმრთოჲ, ესე არს ხატი და მსგავსებაჲ ღმრთისაჲ კაცობრივისაებრ ძალისა და ბაძვაჲ მისი, რომელმან-იგი «უძლურებანი ჩუენნი იტჳრთნა და სნეულებანი ჩუენნი განკურნნა» (Ⴄს. 53, 4; Ⴋათ. 8, 17). Ⴐამეთუ რაჲღამცა სხუაჲ იყო ეგევითარი-იგი, გარნა პირი ღმრთისაჲ, ვითარცა იტყჳს წინაწარმეტყუელი, ვითარმედ «რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, პირ ჩემდა იწოდოს» (Ⴈერ. 15, 19) და ხატ — ხატიერებისათჳს პირმშოსა მას სახესა მიმსგავსებითა.

Ⴇავი ႩႧ

სამთა მათ ჩემ მიერ აღშენებულთა ქსენადოშთათჳს, რომელ არიან უცხოთ სადგურნი

1. Ⴞოლო რომელ-იგი სოფლისა სტენიმახისა ქუემო კერძო, ორთა მათ გზათა ზედა აღვაშენეთ ქსენადოში ერთი, განუწესებ და განუსაზღვრებ მას მისვე სოფლისა სტენიმახისა შემოსავალისაგან, რაჲთა მიეცემოდის მგზავრთათჳს და გლახაკთა ყოველთა შინა დღეთა წელიწდისათა:

ა) დიკაჲ [116] ორი მოდი,

ბ) ღჳნოჲ ორი მეტროჲ და

გ) საწუნე, — რაჲცა ღმერთსა მოეცეს ცერცუთაგან [1] და მხალთა.

დ) Ⴂანუწესე წისქჳლიცა ერთი სასეფოთა წისქჳლთაგან, რომელ არიან სტენიმახს, რაჲთა საფქავსა დაუფქვიდეს,

ე) და გლეხი ერთი ულლისა უფალი თავისუფლად სხჳსა ყოვლისა სამსახურებელისა და ჭირისაგან მასვე სოფელსა შინა, რაჲთა ოდენ სამწიროსა მას ჰმსახურებდეს შეშისა მოღებითა და წყლისაჲთა და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სამსახურებელი;

ვ) და კაცი ერთი სარწმუნოჲ [2] მემწირედ მონაზონთაგანი, რომლისა ჴელითა განეყოფვოდის [3] დაწესებული ესე საზრდელი გლახაკთა და მოგზაურთა. Ⴃა იყავნ იგი წმიდა გონებითა და მოშიში ღმრთისაჲ, რაჲთა შიშითა ღმრთისაჲთა ჰყოფდეს განყოფასა მას შეურგულებელად [4] და აღიღებდეს ძმათა თანა მონასტრისათა წესთასა თჳსსა და როქსა, ვითარცა ერთი მესამისა დასისაგანი.

2. Ⴃა იყვნენ ქსენადოშსა მას შინა ცხედარნი მრავალნი და ფურნე და თორნე, განჭურვებულნი ზამთრისა დღეთა სტუმართათჳს სატფობლად და გასაჴმ[117]ობლად და განსასუენებლად.

3. Ⴃა უკუეთუ დაუძლურდეს ვინ მოსრულთა მგზავრთა და სტუ-

---

[1] ცერცოთაგან. [2] სარწმონოჲ. [3] განიყოფვოდის. [4] შეოურგულებელად.

მართაგანი, ჯერ-არს მათი განსუენებაჲ სამ დღე და ეგრეთ წარგზავნაჲ. ႭჃკუეთუ კულა სრულიად მოუძლურდეს და ვერ ეძლოს სლვად, ჯერ-არს მუნამდის დამჭირვაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს.

4. Ⴀღიშენის უკუე სამწიროჲსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი, რაჲთა საჭმარი რაჲცა იყოს, მას შინა დაიმარხოს და არავის ჴელ-ეწიფოს მძლავრთა მგზავრთაგანსა უნებლებით მიტაცებად.

5. Ⴞოლო ქსენადოში Ⴘარმარისაჲ, რომელ არს ჴიდსა ზედა, და მეორე ქსენადოში Ⴌიკოლწმიდისაჲ, რომელ არს ზღჳს კიდესა, რომელნი აღვაშენენით საჴსრად სულისა ნეტარისა ძმისა ჩუენისა, განვაწესე ეგრეთვე, რაჲთა იყვნენ მსახურად მათ შინა მონაზონნი ორნი — ერთი მუნ და ერთი მუნ, — და აღიღებდენ იგინიცა როქსა, ვითარ-იგი აიღებს სტენიმახელი.

6. Ⴃა მიეცემოდის სასტუმროსა Ⴘარმარისასა სოფლისა Ⴆრავიკისა შემოსავალისაგან ყოველთა დღეთა:

ა) დიკაჲ მოდი ერთი

ბ) და ღჳნოჲ მეტროჲ ერთი

გ) და გლეხი ერთი [118] გაუთავისუფლონ მფქველად და მრეშუელად და მერწყულად და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს ქსენადოშსა მსახურად.

7. Ⴃა ეგრეთვე მიეცემოდის ქსენადოშსა Ⴌიკოლწმიდისასა შემოსავალისაგან სოფლისა Ⴓრილონგისა ყოველთა დღეთა:

ა) დიკაჲ მოდი ერთი და

ბ) ღჳნოჲ საწყაული ერთი და

გ) სხუაჲ საწუნე, რაჲცა ღმერთსა მოეცეს, — გინა თუ ცერცჳ, გინა თუ მხალი.

დ) და გლეხი ერთი მუნითცა გაუთავისუფლონ, რომელ საფქავსა უფქვიდეს და შეშასა მოართუმიდეს და სხუაჲ რაჲცა სამსახურებელი იყოს ქსენადოშისაჲ, იქმოდის.

8. Ⴐომლისათჳს ვაფუცებ ყოველთა ღმერთსა ცხოველსა და უბიწოსა დედასა მისსა, რაჲთა არაოდეს დაიხრწიოს განწესებაჲ ესე სასტუმროთაჲ ამათ, არცა რაჲ დააკლდეს ჩუენ მიერ განჩინებულისა ამისგან მისაცემლისა, დიდი გინა მცირე, კნინოდენიცა. Ⴃა მრწამს მე ღმრთისაჲ და წმიდათა მისთაჲ, რომელ, დაღაცათუ სხჳსა არარაჲსათჳს, გარნა ამისთჳს მებრ, უკუეთუ ვინ დაჰმარხოს წესი ესე, ღმერთმანცა, მიზეზმან კეთილთამან, დაუჴსნელად და შეუხებელად ყოველთაგან ბოროტთა დაიცვას ადგილი ესე.

9. [119] Ⴃა უკუეთუ[1] უმეტესად და უდიდესად აღემატოს შემოსავალი მონასტრისა ჩუენისაჲ, თანა-აღემატებოდენ სტუმართ მოყუარებისაცა ესე წესი. Ⴃა უკუეთუ არა, მაშა რომელი ესე განვაჩი-

---

[1] უკ͞თუ.

ნეთ, ნუმცა ოდეს დააკლდების, არამედ უფროჲსღა შეურყეველად და მტკიცედ ეგენ ყოვლადვე.

10. Ⴀⴜკუეთუ კულა ინებოს ვინ შემდგომად ჩუენსა დაჴსნად ესევითარისა ამის სტუმართ მოყუარებისა წესი, ბრალად დიდად შეერაცხენ მას და ცოდვათამცა ჩუენთა მზღველი არს წინაშე ღმრთისა!

Ⴇავი Ⴊ

Ⴙუენ მიერ პირველ წინამძღურად დადგინებულისა Ⴂრიგოლ Ⴃანელისა საჴსენებელისათჳს

1. Ⴎირველ ადრით ჟამითგან შეყუარებულ იყო ჩუენ მიერ მონაზონი ესე სანატრელი Ⴂრიგოლ და მასცა სარწმუნოებით და მჴურვალითა გულითა ემსახურა ჩუენდა და გჳლოცვიდა. Ⴃა უფროჲსღა აწინდელსა ამას ჩუენ მიერ დადებულსა მისდა მსახურებასა და ზედამდგომელობასა შინა ეკლესიისა[1] და მონასტრისა შენებისასა კეთილად წარმართებითა, და უცონილად, მისდა რწმუნებულისა მსახურებისაჲთა უმეტესსა მიემთხჳა [120] ჩუენ მიერ სიტკბოებასა და სიყუარულსა.

2. Ⴀმისთჳს ჩუენცა მისდა მიმართ მოწლეობითა სიყუარულისაჲთა განჩინებით დავაწესეთ დღე ჴსენებისა მისისაჲ, რაჲთა დღესასწაულსა წმიდისა Ⴂრიგოლ Ⴖმრთისმეტყუელისასა აღესრულებოდის საჴსენებელი მისი. Ⴃა თანა-აც ყოველთა მღდელთა და ძმათა ბრწყინვალედ დღესასწაულობაჲ ყოვლითა განგებითა და მისთჳს ჟამის წირვითა და ნუგეშინის-ცემად ძმათა უმეტესთა საზრდელთა მიერ და სასუმელთა. Ⴃა მიეცეს მას დღესა შინა წარსაგებელი გასაყოფლად გლახაკთა ექუსი დრაჰკანი და ჟამსა მიცვალებისა მისისასა, მესამესა დღესა, და მეცხრესა, და მეორმოცესა, და წელიწდისა აღსრულებასა, ვითარცა ზემო წერილ არს სხუათათჳს მიცვალებულთა წინამძღუართა, ეგრეთვე მის ზედა აღესრულოს ყოველივე.

3. Ⴃა უკუეთუ ზემო ჴსენებულმან ამან მამამან[2] დაიცვას ყოველივე, რაჲცა მოწევნულსა ამას ტიპიკონსა სწერია, სრულებით შეურყეველად და არა მაოჴრებელ იპოოს მონასტრისა ჩუენისა, დიდითა რაჲთ გინა მცირითა, იყავნ [121] იგი კურთხეულ! Ⴞოლო უკუეთუ იპოვოს ცხორებასა შინა თჳსსა გინა შემდგომად სიკუდილისა

---

[1] ეკლესიისასა.

[2] მამან.

ცთომასა რას შინა, საჴსენებელისა წილ წყევაჲ მიიღენ და უცხო იქმენინ წმიდისა ამის მონასტრისაგან და ძმობისაგან მისისა!

Ⴇავი ႪႠ

Ⴋოყმეთათჳს დიაკონთა, თუ სადა იყვნენ, ანუ ვითარ განისწავლნენ

1. Ⴂანვაწესეთ უკუე ყოფად მოყმეთა მოსწავლეთა Ⴌიკოლწმიდას, რომელ არს მახლობელად ციხისა სოხასტერი. Ⴃაიკარგოს მას შინა მღდელი ერთი წმიდაჲ და მოღუაწე მოხუცებულთაგანი, ღირსად ჟამის მწირველი, და აიღებდეს როქსა და საზრდელსა და სხუასა ყოველსა საჴმარსა სწორად სხუათა მათ მღდელთა, რომელნი იყვნენ დიდსა მონასტერსა, და ჰმსახურებდეს წმიდასა მას ტაძარსა გალობითა და კურთხევითა.

2. Ⴃა მსგეფსსა შინა სამსა დღესა სასეფოდ ჟამსა წირვიდეს: ერთსა დღესა — მამისა ჩემისა Ⴁაკურიანისათჳს და ერთსა დღესა — მამის ძმისა ჩემისა Ⴞუასროვანისათჳს და ერთსა — მამის ძმის წულისა ჩემისა Ⴁაკურიანისათჳს.

3. Ⴃა განეწესოს დიდისა ეკლესიისაგან და [122] წინამძღურისაგან მიცემად საკუმეველი, ზეთი და სანთელი და მხჳმელი და ზედაშე, ვითარცა შეჰგვანდეს ზემო თქუმულსა მას ეკლესიასა და ტაძარსა წმიდისა Ⴌიკოლაოზისსა.

4. Ⴃა იყვნენ წმიდასა მას ეკლესიასა Ⴌიკოლწმიდისასა მღდელსა მას თანა სასწავლოდ ყრმანი ექუსნი. Ⴃა აიღებდენ მონასტრისაგან საზრდელსა თჳსსა და სამოსელსა, ვითარ-იგი შეჰგვანდეს, ვიდრემდის დაისწავლონ სრულიად ყოველი წესი სამღდელოჲ.

5. Ⴃა ოდეს ჰასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდენ, მაშინღა რომელნიცა ღირს მღდელობისა იყვნენ მათგანნი, ხუცად იკურთხნენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა და ჟამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა, თუცა თუ არა დაჰკლებოდის რიცხუსა პირველ განწესებულთა მღდელთასა. Ⴃა აიღებდენ[1] იგინიცა ყოველსა მისაცემელსა ვითარ სხუანი იგი ჟამის მწირველნი.

6. Ⴞოლო რომელნი არა ღირს იყვნენ მათგანნი მღდელობასა, განისხნენ მიერ, გარნა რიცხუსა ყრმათასა ნუმცა ოდეს დაკლებულა Ⴌიკოლწმიდას სწავლისაგან.

---

[1] და იღებდენ.

[123] Ⴇავი ႪႢ

საკარგავისა არავისდა მიცემისათჳს, არცა განსყიდისა

1. Ⴂანვაყენებ ამისგანცა და რაჲთურთით არა მივსცემთ მიშუ-ბასა [1], ვითარმცა, Ⴀღმოსავალეთისა გინა Ⴃასავალეთისა მონასტერ-თა წესისაებრ, წინამძღუარმან საკარგავი მისცა ვის ძმათაგანსა მო-ნაგებთაგან მონასტრისათა: ანუ გლეხი, ანუ მიწაჲ, ანუ ვენაჴი, ანუ ბოსტანი, გინა თუ სხუაჲ რაჲცა-რაჲ ესევითარი, რაჲთა არა დაიჴსნას ერთობაჲ ძმათაჲ.

2. Ⴄგრეთვე განსყიდასა და განიჭებასა ვისსაცა პირსა არა უწა-მებთ და ამას ყოვლითა სიმტკიცითა ვამცნებთ, რომელი-ესე ნუ იყო-ფინ ყოფად ოდესვე. Ⴂარნა გლეხთა ხოლო მიეცემოდის საკარგავი, რომელნი ეკლესიასა ჰმსახურებდენ და თანა-ნადებსა თჳსსა გარ-დაიჴდიდენ.

Ⴇავი ႪႡ

ჴრძალვით დამარხვისათჳს გუჯარისა ამის განსაგებელისა, რომელ არს ტიპიკონი, და რაჲთა ეკლესიისა ჩუენისა დღესასწაულსა და სამთავე წმიდათა მარხვათა შემოსლვასა წარიკითხვოდის ტიპიკონი ესე [124] საეროდ სრულებით

1. Ⴀაფუცებ უფლისა მიმართ და სიტყუასა დავსდებ ყოველთა თანა, რაჲთა არაოდეს [2] დააკლოს ვინ ჩუენ მიერ დადებულთა ამათ წესთაგან, არცა გარდაჰჴდეს კანონთა ამათ. Ⴀჵკუეთუ კულა ინებოს ვინ დაჴსნად სჯულის-დებაჲ ესე, ანუ მცნებაჲ განწესებულისაჲ ამის შეცვალოს, ანუ და-რაჲ-აკლოს ამისგანი, ანუ თუ იოტაოდენი ერთი რქაჲ გამოიღოს ამისგან [შდრ. Ⴋათ. 5, 18], გინა თუ ყოვლითურთ მებრ სრულიად მოჰპარვაჲ ანუ წარწყმედაჲ და გამოჴუებაჲ მონასტ-რისა ამისგან მოიგონოს წინამძღუარმან ანუ ძმათაგანმან ვინმე, ანუ-თუ სხუამან რამანცა გუარმან კაცმან, დასჯილ იყავნ ღმრთისაგან და ყოველთა წმიდათა მისთაგან და ბრალთა და ცოდვათა ჩუენთა თანა-მდებ იყავნ წინაშე ✝რისტესა.

2. Ⴞოლო რომელთა განკრძალულად და შიშით დაიცვან წმიდათა

---

[1] მიშუბასა. [2] არაჲოდეს.

მამათაგან განწესებული ესე ტიპიკონი, და ჩუენ მიერ დამტკიცებული ესე განსაზღვრებაჲ, ბრალობისა ჩუენისაგან თავისუფალ და კურთხეულ იყავნ[1] უფლისა ჩუენისა Ⴈესუჲს Ⴕრისტეს მიერ, რომლისა თანა Ⴋამასა Ⴑულით წმიდითურთ შუენის დიდებაჲ, მთა[125]ვრობაჲ და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ[2].

Ⴇავი ႪႣ

სიწმიდისა სამსახურებელთათჳს და ხატთა და ჯუართათჳს და ყოველთავე პატიოსანთა სამკაულთათჳს, რომელნი მიგჳცემიან და დაგჳმტკიცებიან და დაგჳსხმან პირველ თქუმულსა ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა, და ეგრეთვე ოთხფერჭთათჳს და ყოვლისა ფერისა თჳთო სახეობისათჳს, რომელნი მივსცენით წმიდასა ამას მონასტერსა, რომელ არიან ესე:

Ⴀ

1) Ⴞატნი ოქროჲსანი შემეფტონითა, ორნი, რომელთა შინა სუენებიან ნაწილნი ძელისა ცხორებისანი.

2) Ⴃა სხუაჲ ხატი ერთი დიდი, შემეფტონითავე, Ⴔერისცვალებისა უფლისაჲ.

3) Ⴃა სხუაჲ ხატი ერთი დიდი შემეფტონითა, რვა-კედლოვანი.

4) Ⴃა სხუაჲ ხატი ერთი მცირაჲ, კარედი, წმიდისა Ⴖმრთისმშობლისაჲ, შემეფტონითავე.

5) Ⴟუარი პატიოსანი ერთი დიდი შემეფტონითა და თუალებითა, წმიდისა საკურთხეველისაჲ.

6) Ⴃა სხუაჲ ჯუარი ერთი ვეცხლისაჲ, სადროშაე, წითლითა თუალებითა.

7) Ⴃა ჯუარი ერთი სხუაჲ შეშისაჲ ოქროჲთა მოჭედილი, და ზედა ხუთი თუალი მჴიე იაგუნდი[3].

8) Ⴃა სხუაჲ ხატი [126] ერთი ქვისაჲ, ექუს-კარედი, Ⴟუარცუმისაჲ.

9) Ⴑხუაჲ ხატი ერთი დიდი შეშისაჲ, პეტალოჲთა ვეცხლითა შემოჭედილი, წმიდისა Ⴂიორგისი.

10) Ⴑხუაჲ ხატი ერთი წმიდისა Ⴂიორგისი და Ⴇევდორესი, სარუთითა და ვეცხლითა მოჭედილი.

---

[1] ასეა. მოსალოდნელი იყო: იყვნედ. [2] ა̄ნ. [3] იაგონდი.

11) Ჵა სხუაჲ ხატები შეშისაჲ, ოქროპეტალოჲთა შეკაზმული, რიცხჳთ ოცდა შჳდი.

12) Ჵა კანკელი დიდისა კონქისაჲ, რომელსა აქუს გამოსახულად ათორმეტი საჲდუმლოჲ განგებულებისა ქრისტესი.

13) Ⴁარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ, ოქროჲთა ცურვებული, თუალებითა, რომელთაგან აკლს თუალი ათერთმეტი.

14) Ⴁარძიმი ერთი იასპი, ოქროჲთა და შემეფტონითა შეკაზმული.

15) Სხუაჲ ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ, ხატოვანი, სამი წყვილი.

16) Ⴉოვზი ვეცხლისაჲ ერთი.

17) Საცეცხურნი ვეცხლისანი სამნი.

18) Სასაკუმევლე ვეცხლისაჲ ერთი.

19) Ჵურჯი ვეცხლისაჲ, სანაწილე სიწმიდისაჲ, ერთი [1].

20) Ⴕორაკანდელნი ვეცხლისანი ორნი, თავიეთ ჯაჭუებითა, — ერთი მათგანი ოქროჲთა ცურვებული არს.

21) Სახარებაჲ ერთი ბერძული, ოქროჲთა და შემეფტონითა შეკაზმული, რომელსა ზედა სხენან [127] თუალნი დიდფასისანი.

22) Სხუაჲ სახარებაჲ ერთი, ქართულად წერილი ოთხთავი, ვეცხლითა შეჭედილი, ოქრო-ცურვებული.

23) Სხუაჲ სახარებაჲ ერთი მცირე, ოთხთავი ვეცხლითა მოცუარული.

24) Სხუაჲ სახარებაჲ დიდი, მრგულად წერილი ოთხთავი, ეგრეთვე ვეცხლითა მოცუარული.

25) Სხუაჲ სახარებაჲ ერთი გამოკრებული, ვეცხლითა შეკაზმული და ოქროჲთა ცურვებული.

26) Სხუაჲ სახარებაჲ ერთი, გამოკრებული, ლიტონად შემოსილი.

27) Ⴜიგნი ერთი Ⴇარგმანებაჲ სახარებისა Ⴈოვანეს თავისაჲ.

28) Ⴜიგნი ერთი Ⴖმრთისმეტყუელი.

29) Ⴜიგნი ერთი წმიდისა Ⴁასილის Ⴈთიკაჲ.

30) Სხუაჲ წიგნი ერთი დიდი, Ⴇრავალთავი.

31) Სხუაჲ წიგნი ერთი, Ⴚხორებაჲ წმიდისა Სჳმეონისი.

32) Სხუანი ორნი წიგნნი წმიდისა Ⴋაქსიმესნი.

33) Სხუანი ორნი წიგნნი Ⴉლემაქსნი.

34) Სხუანი ორნი წიგნნი, წმიდისა Ⴖმრთის მშობლისა [2] ცხორებაჲ.

35) Სხუაჲ წიგნი ერთი, Სტოდიელი.

---

[1] ხელნაწერში იკითხება: დურჯი ერთი ვეცხლისაჲ, სანაწილე სიწმიდისაჲ ერთი. რადგანაც დურჯი სანაწილედ უნდა ყოფილიყო გამოყენებული (როგორც ამას ბერძნული ტექსტი მიგვითითებს), ისინი გავაერთიანე პირველი «ერთის» გამოტოვებით.

[2] ასეა (ღ̄თის მშობლისა).

36) სხუანი წიგნნი, სათუენი, სამნი.
37) სხუაჲ წიგნი ერთი, საგალობელი Ⴐვათა ჴმათაჲ.
38) სხუაჲ წიგნი ერთი, სჳნაქსარი.
39) სხუაჲ წიგნი ერთი [128] Ⴉურთხევათაჲ.
40) სხუანი ორნი წიგნნი, გამოკრებულნი Ⴎავლენი.
41) სხუაჲ წიგნი ერთი, Ⴍცდა ოთხთა ჟამთაჲ.
42) სხუაჲ წიგნი ერთი, Ⴄკლესიისა კურთხევაჲ, ვეცხლითა მოცუარული.
43) სხუაჲ წიგნი, Ⴎარაკლიტონი Ⴍთხთა ჴმათაჲ.
44) სხუაჲ წიგნი ერთი წმიდისა Ⴈსაკისი.
45) სხუაჲ წიგნი ერთი, გამოკრებული Ⴂადგარი.
46) Ⴃავითნი ერთნი.
47) Ⴃურაჲ სამეუფოჲ ოქსიკასტორი ოთხი; ერთი მათგანი ოქროქსოილი არს.
48) სუდარაჲ ოთხი ოქრო-წერილითა ალმითა.
49) სტავრაჲ სამოსელი უკერავი, ოქსიკასტორი, ორი.
50) სკარამანგნი მძიმენი, ხუთნი.
51) სტავრაჲ ერთი — დურანგი გაუკუეთელი.
52) სტავრაჲ ერთი სხუაჲ ტრივლატი.
53) სხუაჲ საკურთხეველისა საბურავი, შეკერული სკარამანგი დურანგი, თავისა წესითა ყოვლითა.
54) სხუაჲ საბურავი საკურთხეველისაჲ ორთა ეგუტერთაჲ სრულებით.
55) სხუაჲ საკურთხევლისა საბურავი ერთი, თეთრი ექსამიტონი, რომელსა აქუს ხატი წმიდისა Ⴖმრთისმშობლისაჲ მარგალიტოვანი.
56) სამღდელოჲ შესამოსელი . . . .
. . . .
. . . .

[აკლია]

ⴃ

(139) Ⴃა რომელი სხუაჲ მივეცით პატრონსანსა და წმიდასა ეკლესიასა ჩუენსა

1) Ⴋიხაელ მეფისა მოცემული ყელსა სასუენებელი ჯუარი პატრონნისაგან Ⴛელისა ცხორებისა.

2) Ⴃა ეგრეთვე Ⴞოთათორისა მოცემული ჩემდა ლედატად ყელსა სასუენებელი ჯუარი პატიოსნისაგან ძელისა ცხორებისა.

3) Ⴃა სხუაჲ მისგანვე დატეობილი ჩემდა მცირე ხატი, რომელსა შინა სუენებიან ცხოველს-მყოფელისა სისხლისაგან Ⴕრისტეს ღმრთი-სა ჩუენისა.

Ⴃა ესენი დაისხნეს ვეცხლისა ბუდეთა ოქროვანთა შინა, ვითა სხუანი იგი პატიოსანნი ჯუარნი, რაჲთა არავისი ჴელი შეეხებოდის და ზაკულებაჲ რამე[1] შეემთხჳოს.

4) Ⴋიჳეც საზოლავროჲ ჯუარი ერთი სხუაჲ ვეცხლისაჲ ოქროჲთა ცურვებული.

5) Ⴋიჳეც ვეცხლისა კაწინი ერთი, დიდი, თეთრი.

6) Ⴃა სხუაჲ მიჳეც მცირე კაწინი ერთი ვეცხლისაჲ, ოქრო-ცურვებული და კანინი მისი.

7) Ⴋივსცენ ვეცხლისა აპალარნი სამნი, რაჲთა შექმნენ ზემო თქუმულთა წმიდათა შთასასუენებელნი ბუდენი და სამწერობელნი და [140, 1-17] სხუაჲ სამსახურებელი ეკლესიისაჲ, რაჲცა ჴმდეს.

8) Ⴋიჳეც ვეცხლისა შრინიმოქსესტი[2], წყვილი ერთი.

Ⴂ

Ⴋივსცენ ჭიქისაცა ჭურჭელნი პატიოსანნი

1) Ⴁროლისა ლუდედიკი ერთი, გამოქანდაკებული.
2) Ⴝიქაჲ ბროლისაჲ ფსკერედი, სადაგი, დიდი, ერთი.
3) Ⴑხუანი ბროლისა ჭიქანი ფსკერედნი, გამოჭრილნი, ორნი.
4) Ⴑხუაჲ ჭიქაჲ ბროლისაჲ მცირაჲ, ერთი.
5) Ⴑხუაჲ ბროლისა მცირე კეფი ერთი, გამოქანდაკებული.
6) Ⴑხუაჲ ბროლისა წყლის სასუმელი, პირ-ცხავი კუტალი, ერთი.
7) Ⴋუჴამი კეფი ერთი, ძუძოანი.
8) Ⴋახრუდი ყელ-იწროჲ კუტალი ორი.
9) Ⴋახრუდივე ჭიქაჲ დიდი, ერთი.
10) Ⴋუჴამი ჭიქაჲ დიდი, ერთი.
11) Ⴋახრუდი ორ-ბაგედი ნავის-სახე ჭიქაჲ ერთი.
12) Ⴋახრუდი კეფი ერთი, სხუაჲ.
13) Ⴋწუანე მინაჲ, კეფი ერთი.

Ⴃ

[Ⴍთხფერჴთათჳს]

. . . .

. . . .

[1] ასეა. [2] შრინიდოქსესტი.

[Ⴇავი 35]

[Ⴍქრობეჭედთათჳს]

Ⴀ

[Ⴍქრობეჭედთათჳს, რომელნი დაცვულ არიან სამეუფოსა ქალაქსა, დიდსა შინა ეკლესიასა]

1. [Ⴍქრობეჭედნი სამნი ჩემთა პრასტინთათჳს, რომელნი Ⴀღმო-სავალეთს მქონდეს, ესე იგი არს ერთი Ⴀნისისაჲ, სხუაჲ Ⴒაოჲსაჲ და სხუაჲ Ⴞორმე[129]რისისაჲ.

2. სხუაჲ ოქრობეჭედი ორი ჩემთა პრასტინთათჳს, რომელნი Ⴀრმენაკთა მქონდეს, — ერთი Ⴆავაკაჲსაჲ არს და ერთი -- Ⴀრნასაკი-სა და Ⴋარტისპაჲსაჲ.

3) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი, მონასტრისა კიურა Ⴄვფროსინე-სი[1], რომელ არს Ⴈრუსოლივადსა.

4) სხუანი ოქრობეჭედნი სამნი Ⴋიხაელ მეფისანი Ⴋისინოპოლი-სა პრასტინთათჳს.

5) სხუაჲ ოქრობეჭედი ოთხი Ⴔილიპოპოლისა პრასტინთათჳს.

6) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი უბრალოებისათჳს Ⴗარს თავადო-ბისა ჩემისა.

7) სხუაჲ ოქრობეჭედი ორი განუკითხველობისათჳს Ⴗარნუქა-ლაქს მთავრობისა ჩემისა.

8) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი თავისუფლად ყოფისათჳს პრასტინ-თა ჩემთაჲსა, რომელ არიან Ⴔილიპოპოლისს და Ⴋისინოპოლისს[2] შინა.

9) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი სოფლისა Ⴕსანთიისათჳს.

10) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი Ⴋარღონაჲსა, ჭილსა ზედა წერი-ლი, რომელი-იგი წინდად მაქუს.

11) Ⴆიველონნი ორნი, — ერთი მათგანი არს Ⴄფდუკიმოჲსთჳს, და ერთი — სოფლისა Ⴗოტრიაჲსათჳს.

12) სიმიოსინი ერთი [130] Ⴋიხაელ მეფისაჲ Ⴎეწინაგისა ჰარში-ვისათჳს.

13) Ⴄგრეთვე სიმიოსინი ერთი სხუაჲ მისვე მეფისაჲ Ⴔილიპოპო-ლისა მიტროპოლიტისა საქმისათჳს.

14) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი Ⴁოტანიატისაჲ, რომელსა შინა არს სიმოისინი პრასტინთათჳს Ⴔილიპოპოლელთა.

———

[1] ევფოსინესი.

[2] მისინოპოპოლისს.

15) სამეუფოჲ წიგნები, რომელნი კატასტროს-ქმნილ არიან სიკრიტონთა შინა; და სხუაჲ წიგნები თჳთო-სახეთა პირთათჳს, სამოცდა ექუსი.

16) Ⴃა სამთა ოქრობეჭედთა სწორნი Ⴀღმოსავლეთისა პრასტინთათჳს.

4

Ⴍქრობეჭედთათჳს, რომელნი დაისხნეს ნამარხევად მონასტერსა ჩუენსა და არიან ესე

1) Ⴍქრობეჭედი ორი უბრალოებისათჳს მთავრობისა ჩემისა დიდსა შინა დემესტიკოსობასა.

2) Ⴍქრობეჭედი ერთი სხუაჲ ციხისა Ⴏანსკაჲსათჳს და სოფლისა Ⴈრვენაჲსა.

3) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი ველტიოს-ქმნისათჳს პრასტინთა ჩემთაჲსა და მათ შინა ციხის გებისა და სოფლისა და მონასტრისა შენებისაჲ.

4) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი მაგისვე პირისათჳს და ვითარმედ, უკუეთუ [131] განმრავლდეს შემოსავალი პრასტინთა ჩემთაჲ, უურაობაჲ გუაქუნდის მე და ყოველთა ჩემთა შემდგომად ჩემსა.

5) Ⴍქრობეჭედი ოთხი მონასტრისა ჩუენისა Ⴎეტრიწონისაჲ, უფლებისათჳს და თჳთმფლობელობისა და მაგისვე მონასტრისა[1] ყოვლადვე აზნაურად ყოფისათჳს, და პრასტინთა ჩემთათჳს, რომელნი დაუმტკიცენ მონასტერსა მაგას.

6) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი სპაზმაჲსა და Ⴎანკალიწისათჳს.

7) სხუაჲ ოქრობეჭედი ორი უბრალოდ ყოფისათჳს და ულოღარიასოდ დადგრომისა ჩუენისაჲ სამეუფოჲსა განძისათჳს, რომელი წარვაგეთ კომანთა გამოყვანებასა შინა.

8) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი უბრალოებისათჳს თემისა Ⴆმოლინაჲსა.

9) სხუაჲ ოქრობეჭედი ორი Ⴀკრიტონისა პრასტინთა ჩემთა: Ⴗიკონისა და Ⴕართფრთიკისათჳს.

10) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი სამკაულთათჳს პატიოსნისა მონასტრისა Ⴞახულისაჲ.

11) სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი, რაჲთა ჴელმწიფებაჲ მაქუნდეს პრასტინთა ჩემთა[. . .][2], ვინაჲცა მენებოს, ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დაღაცათუ [132] სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა.

---

[1] მონასტრისაჲ.

[2] ერთი სიტყვა უნდა აკლდეს (წარცემად? მიცემად? განიჭებად?) ან აქ, ან მესამე «ჩემთა»-ს შემდეგ, «დაღაცათუ»-ს წინ.

12) Ⴍქრობეჭედისა სწორი ერთი, პრასტინთათჳს Ⴁოლერონისა და Ⴋისინოპოლისათა.

13) Ⴑხუაჲ ოქრობეჭედისა სწორი ერთი, Ⴔილიპოპოლისა პრასტინთა ჩემთათჳს.

14) Ⴑხუანი ოქრობეჭედთა სწორნი სამნი, Ⴔილიპოპოლისა პრასტინთა ჩემთათჳს.

15) Ⴑხუაჲ ოქრობეჭდისა[1] სწორი ერთი, Ⴉარნუქალაქს განგებისა ჩემისათჳს.

16) Ⴑამეუფოჲ პიტაკი ერთი, ლოგის-ქმნისათჳს ყოველთა პრასტინთა ჩემთაჲსა.

17) Ⴑხუაჲ სამეუფოჲ პიტაკი სამი აპოსკედეფსობისათჳს.

18) Ⴑხუაჲ პიტაკი ერთი, თემისა Ⴆმოლინაჲსათჳს.

19) Ⴀპოდიქსი Ⴋიხაელ მეფისაჲ სამისა კენტინარისაჲ და ოცდა შჳდისა ლიტრისაჲ, რომელ ავიღეთ სამეუფოჲთა ბრძანებითა Ⴉრტისისაგან Ⴉილიკიელისა და მისაგან Ⴎარაფშაფისა.

20) Ⴑხუაჲ აპოდიქსი აპეტისინისა[2] თემისა Ⴆმოლინაჲსაჲ.

21) Ⴀპოტიქსი განძისაჲ სამისა კენტინარისაჲ, რომელი ფილოტიმიად აიღეს ფრანგთა.

22) Ⴋაგისვე პირისათჳს პიტაკი ერთი.

23) და სხუაჲ მრავალ-სახე პიტაკები.

24) Ⴑიმეონისი ხარტოფილაკისაჲ [133] და წიგნი მისი თემისა მის მსაჯულისა მიმართ.

25) Ⴎიტაკი Ⴁოტანიატისაჲ, რომელი გარდაიწერა სიკრიტონსა შინა, მიწერილი იკონომოსსა თანა Ⴋისინოპოლისასა პრასტინთა ჩემთათჳს, რომელ, დაღაცათუ ეპისკევტობისაგან იყვნეს[3] პრასტინნი, და ბრძანებაჲ გამოვიდა მისვე მეფისაგან, რომელ ვისცა ვისდა ეპისკევტობისაგან მიცემულ იყოს, კუალად ეპისკევტობასავე მიექცეს, გარნა ჩუენნი შეურყეველად დაშთენ. Ⴃა ესე პიტაკი Ⴑოფიაწმიდას არს, სხუათა თანა სასამართლოთა ნაწერთა.

Ⴂ

Ⴋოსაჯსენებელი წიგნი და აპოტიქსი ოქრობეჭედთა ჩუენთაჲ და სხუათა სასამართლოთა ნაწერთაჲ, რომელნი ნამარხევად სხენან Ⴑოფიაწმიდას

1) Ⴈსოკოდიკონი Ⴆრავიკისაჲ და ჴელით წერილები მისვე სოფლისაჲ.

2) Ⴈსოკოდიკონი სოფლისა Ⴎრილონგისაჲ.

[1] ასეა (ზემოთ, 12 და 13, ოქრობეჭედისა). [2] ასეა. [3] იყვნენ.

3) Ⴙასყიდის ნაწერები Ⴅარდანისი ავლინისათჳს, რომელი Ⴋისინოპოლს არს და Ⴂიორგიწმიდისათჳს, რომელი Ⴎაპიკს არს.

4) Ⴎრახტიკონი და პერიერეზმონი Ⴔილიპოპოლისა პრასტინთათჳს.

5) [134] Ⴎრახტიკონი და პერიერეზმონი Ⴋისინიპოლისა პრასტინთა ჩემთაჲ.

6) Ⴃა ეგრეთვე აპოტიქსები კონომისაჲ — დიმოსისაჲ და [ლი]ველიკობისათჳს [1].

7) Ⴊოგისიმონობისა [2] წიგნი Ⴋისინოპოლისა პრასტინთა ჩემთათჳს.

8) Ⴎრახტიკონი და პარადოდიკონი Ⴆავაკაჲსაჲ.

9) Ⴤელით წერილები და აპოტიქსები Სტენიმახისა პანაქურელთაჲ.

10) Ⴣპომნიმაჲ, რომელი შექმნა Ⴋისოპოტმელმან სამეუფოჲთა [3] ბრძანებითა Ⴔრენაკსა შორის და Ⴆაქარიაჲს სოფელსა.

11) Ⴎრახტიკონი [4] მისვე პირისათჳს, რომელი შეიქმნა ბრძანებითა წმიდისა მეფისა ჩუენისა Ⴀლექსისაჲთა, ვიდრელა ჯერეთ დიდად დემესტიკოსად იყო.

12) Ⴎრახტიკონი და პერიერეზმონი Ⴎეტრიწონისაჲ, ყოველთა ადგილთაჲ, შექმნილი Ⴍფიდოფაისაგან ბრძანებითა წმიდისა და თჳთმპყრობელისა მეფისა ჩუენისაჲთა.

13) Ⴃა ესე ყოველი ოქრობეჭდები და სასამართლოჲ წიგნები, რომელნი სოფიაწმიდას ნამარხევად არიან და რომელნი მონასტერს არიან, ყოველნივე იყვნედ ჩუენსა მონასტერსა და ეკლესიასა შინა ჰელსა ქუეშე მამასახლისისასა, [135] რაჲთა მომავალსა შინა ჟამსა, ოდესცა საჭმარ იყოს, გამოიღებდენ და უჩუენებდენ.

[Ⴇავი ႪႥ]

[Ⴃამტკიცებისათჳს და დამარხვისათჳს წესისა ამის განგებისა]

1. Ⴃაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ ამის პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისა.[5] Ⴖმრთისმშობლისა Ⴎეტრიწონისაჲ ბრძანებითა ჩემ Ⴂრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა Ⴃასავალეთისა მიდამოჲსა, ძისა Ⴔაკურიანისაჲთა, მაშენებლისა ზემო თქუმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძულითა და ქართულითა, თუესა [6] დეკენბერსა, მეშჳდესა ინდიკ-

[1] ეს ადგილი შერყვნილი ჩანს. აქ იკითხება: აპოტიქსები კონომისაჲ დიმოსისაჲ და ველიკობისათჳს. [2] ლოგისი მონობისა. [3] სამეოფოჲთა. [4] აქ იკითხება: «რომელი შექმნა», რაც ზედმეტი ჩანს, და ამოვიღე. [5] ჩუენისაჲ. [6] თ̄ა.

ტიონსა, დასაბამითგანთა წელთა ექუს ათას ხუთას ოთხმეოცდა
მეათორმეტესა.

2. Ⴃა ქუემოჲთ წარიწერნეს[1] ჴელითა ჩემითა ზემო ჴსენებულისა
Ⴂრიგოლისითა ყოველნივე ესე ტიპიკონნი, ხოლო ბერძულნი ორნი-
ვე წარიწერნეს შემდგომად ჩემისა დაწერილისა წმიდისა პატრიაქი-
სა Ⴈერუსალემელისა[2] ღირსისა Ⴄფთჳმესითა დასამტკიცებელად და
სარწმუნო ყოფად ყოვლისავე, რომელიცა ტიპიკონსა ამას შინა წე-
რილ არს, დახუდომითა მისითა ჩუენ თანა, რამეთუ სამეუფოჲთა
ბრძანებითა Ⴇესალონიკედ მოსრულ იყო [136] მშჳდობისა და სი-
ყუარულისა ყოფად შორის ფრანგთა და მოქცევასა მისსა ჩუენ თანა
წარმოვიდა Ⴔილიპოპოლისა პრასტინთა ჩუენთა.

3. Ⴃა ამისთჳს დაიწერა ბერძულად და ქართულად, რამეთუ მო-
ნაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა
იციან ბერძული წარკითხვაჲ, და ჯერ-არს, რაჲთა ქართულად წე-
რილსა აღმოიკითხვიდენ და გულისჴმა-ჰყოფდენ აღწერილსა გან-
საზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა. Ⴞოლო სიმტკიცისა
ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა, რა-
მეთუ დასასრულსა საქმისასა ქუემო წარწერილი მას უპყრიეს.

4. Ⴃა შეიქმნა სწორი ამისი და დაიწერა ეგრევე სახედ და და-
იდვა პატიოსანსა მონასტერსა Ⴑანაგიისასა, რომელ არს ღმრთივ
დაცვულსა Ⴕალაქსა სამეუფოსა, რაჲთა უკუნისამდე მუნ დაიმარხოს
მასვე მონასტერსა შინა.

5. Ⴃა უკუეთუ სადა, — ვითარ-იგი მე არა მწადის,—წინამძღუარ-
თაგანი ვინმე მონასტრისა ჩუენისათაჲ, ანუ სხუაჲ ვინმე ძმათა-
განი მაოჴრებელად ზემო ჴსენებულისა ამის მონასტრისა, [141] გინა
პრასტინთა მისთა ანუ საჴმართა იპოოს და შეურაცხ-ყოფად ეცა-
დოს, რომელი-რაჲ ტიპიკონსა ამას შინა წერილ არს, ანუ თუ მებრ
დაჴსნად ამისა, გინა წარწყმედად ისწრაფოს, ტიპიკონი იგი, რომელი
Ⴑანაგიისა [მონასტერსა][3] ნამარხევად ძეს, გამოიჩინოს და ემხილოს
ესევითარსა მას, რომელმან ეგევითარი იგი უსამართლოებაჲ ყოფად
იკადროს და ქმნას, და ჯეროვნად განიწუართოს. Ⴃა რაჲცა დაეკ-
ლოს, ეზღვიოს მას და თჳთ განიძოს მონასტრისაგან. Ⴃა კუალად
ტიპიკონი იგი დაიდვას მონასტერსა Ⴑანაგიისასავე, და არა მნებავს
რაჲთურთიით გარეგან მონასტრისა გინა სამეუფოჲსა Ⴕალაქისა გან-
სლვაჲ ამისი, ანუ თუ დამალვაჲ.

6. Ⴐომლისათჳს ვაფუცებ მამასახლისთა, რომელნი ყოფად არიან
მონასტერსა ჩუენსა და მის თანა ძმათა ყოველთა თავადსა წმიდასა
Ⴖმრთისმშობელსა, რაჲთა დაიმარხოს მათ მიერ ნებაჲ ჩუენი და
შჯულის-დებაჲ ესე და ამასვე მონასტერსა შინა დამარხულ იქმნას

---

[1] წარიწერენ. [2] ი͞ჱლემელისა.

[3] მონასტერსა] ეს სიტყვა არ მოიპოვება დედანში.

ტიპიკონი ესე მონასტრისა ჩუენისაჲ. Ბა თუ ვისმე უჴმდეს გარე გან-
ღებაჲ [142] ამისი სასარჩლოჲსა რაჲსამე საქმისათჳს, ამისგან, რო-
მელ არს მონასტერსა ჩუენსა, სწორი მისი დაიწეროს და დაიმტკიცოს
წინამძღურისა და ძმათაგან და წარიცეს ვითა თავადივე ტიპიკონი და,
ვითარცა ვთქუთ, ნუოდეს ნუმცა განსრულ არს მონასტრისაგან ჩუე-
ნისა თავადი ტიპიკონი.

7. Ⴆ ტ კ ი ც ე: ა რ ი ა ნ: ზ ე მ ო: წ ე რ ი ლ ნ ი: ე ს ე: ნ ე-
ბ ი თ ა: ღ მ რ თ ი ს ა ჲ თ ა:.

8. Ⴕვეულნი ყოველნი რვითა ფურცლითა არიან და არა არს მათ
შინა აღმოკუეთილი და ნუცაღა ვინ იკადრებს აღმოკუეთად!

[Ⴐ ა ჲ ი ᲖᲖ]

[Ⴇ ო რ მ ე ტ თ ა ს ა უ ფ ლ ო თ ა დ ა ს ა მ თ ა ს ხ უ ა თ ა ს ა ჩ ი ნ ო თ ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ თ ა თ ჳ ს, თ უ ვ ი თ ა რ დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ბ დ ე ნ] [1]

1. [140, 18] Ⴂანვაწესებთ უკუე და ვამცნებთ ყოველთა შემდგო-
მად ჩუენსა მომავალთა წინამძღუართა და სულისა ჩუენისა მოურავ-
თა, მკჳდრთა მონასტრისა ჩუენისათა, რაჲთა წმიდათა ამათ ათორ-
მეტთა [137] ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა განგებულებისა საუფლო-
თა დღესასწაულთა უბრწყინვალესად დღესასწაულობდენ: ღამის
თევითა, გალობითა, ეკლესიისა შემკობითა ბრწყინვალედ სანთელთა
მიერ და კანდელთა და საკუმეველთა მიერ სულნელთა განშუენებითა,
უხუად ტრაპეზისა დაგებითა და ძმათა კრებულისათა კეთილად ნუგე-
შინის-ცემითა, გლახაკთა ღუწოლითა და ქველის-საქმისა მიცემითა
საჴსრად სულთა ჩუენთათჳს და ყოველთა მიცვალებულთა ჩუენთა.
Ⴄსრეთ ჰყოფდენ:

2. Ⴜ ა რ ე ბ ა ს ა დღესა ყოველთა ჟამი ჩემთჳს წირონ. Ⴋას
დღესა ტრაპეზი დაეგოს უხუებით და გლახაკთა უღონოთა განეყოს
დრაჰკანი ათი და მღდელთა ჟამის მწირველთა ექუსთა, ვითა ზემო
დაგჳწერია და განგჳწესებიან, სამთა და სამთა თჳთო დრაჰკანი.

3. Ⴕ რ ი ს ტ ე ს Ⴘ ო ბ ა დ ყოველთა მღდელთა ჟამი ჩემთჳს
წირონ. Ⴋას დღესა ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე და გლახაკთა უღო-
ნოთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ჟამის მწირველ[138]თა
მიეცეს დრაჰკანი ორი.

4. Ⴌ ი გ ე ბ ე ბ ა დ ყოველთა მღდელთა ჟამი ჩემთჳს წირონ.
Ⴒრაპეზი დაეგოს უხუებით მას დღესა და გლახაკთა განეყოს დრაჰკანი
ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

---

[1] სათაური არ მოიპოვება, სამაგიეროდ ოთხი სტრიქონი (Ⴂანვაწესებთ....
ჩ‾ნისათა») წითურადაა დაწერილი.

5. Ⴂ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წირონ. Ⴋას დღესა ტაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი Ⴁ.

6. Ⴔ ე რ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წირონ. Ⴋას დღესა ტრაპეზი დაეგოს უხუებით და გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ხუცესთა ექუსთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

7. Ⴁ ზ ო ბ ა დ ყოველთა მღდელთა ქამი ჩემთჳს წირონ. Ⴋას დღესა ტაბლაჲ დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი და ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

8. Ⴄსე ექუსნი საუფლონი დღესასწაულნი ჩემ Ⴂრიგოლისთჳს, ზემო ჴსენებულისა ამის მონასტრისა მაშენებლისათჳს განმიჩენიან, რაჲთა ჩემთჳს ალაპსა ჰყოფდენ ამით სახითა.

[143] Ⴃ ა კ უ ა ლ ა დ ა მ ა ს ვ ე პ ი რ ს ა ზ ე დ ა გ ა ნ ვ ა- წ ე ს ე ბ დ ა დ ა ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი ს ა ძ მ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა Ⴀ ბ ა ზ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი ს ა თ ჳ ს[1]:

9. Ⴃ ი დ ს ა Ⴎ ა რ ა ს კ ე ვ ს ა ტაბლაჲ დაეგოს ჯერისაებრ და გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი. Ⴃა დაღაცათუ მას დღესა ქამის წირვაჲ არა აღესრულების, არამედ ႵႡსისხლოჲსა მის Ⴋსხუერპლისა Ⴂანახლებაჲ იქმნების, ჯერ-არს, რაჲთა ექუსთა ქამის მწირველთა ორი დრაჰკანი მიეცეს.

10. Ⴃ ი დ ს ა Ⴘ ა ბ ა თ ს ა მღდელთა ქამი ძმისა ჩემისა Ⴀბაზისთჳს წირონ. Ⴋას დღესა ტაბლაჲ დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა მიეცეს დრაჰკანი ორი.

11. Ⴀ ღ ვ ს ე ბ ა ს ა დ ღ ე ს ა ყოველთა ქამი ძმისა ჩემისათჳს წირონ, ტრაპეზი დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა — დრაჰკანი ორი.

12. Ⴀ მ ა ღ ლ ე ბ ა დ ყოველთა ძმისა ჩემისათჳს წირონ. Ⴒრაპეზი დაეგოს უხუებით, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ქამის [144] მწირველთა — დრაჰკანი ორი.

13. Ⴑ უ ლ ი ს ა Ⴜ მ ი დ ი ს ა მ ო ს ლ ვ ა დ ყოველთა ძმისა ჩემისათჳს ქამი წირონ. Ⴒაბლაჲ დაეგოს ბრწყინვალე, გლახაკთა განეყოს დრაჰკანი ათი, ექუსთა ხუცესთა — დრაჰკანი ორი.

14. Ⴃ ი დ ი Ⴞ უ თ შ ა ბ ა თ ი ზემო დაიწერა სანატრელისა მამისა ჩუენისა Ⴁაკურიანისათჳს[2]. Ⴃა [რაჲ მ]ათთჳს[3] დაგჳწესებია გასაყოფელად გლახაკთა, კუალად მუნითცა[4] მიეცეს ქამის მწირველთა ორი დრაჰკანი.

15. Ⴃ ა Ⴋ ი ც ვ ა ლ ე ბ ა ს ა Ⴜ მ ი დ ი ს ა Ⴖ მ რ,თ ი ს მ შ ო- ბ ე ლ ი ს ა ს ა, რომელ არს დღესასწაული წმიდისა ეკლესიისა ჩუე-

---

[1] ეს სიტყვები (და კუალად... მაგისტროსისათჳს) წითურადაა ნაწერი.

[2] ნახე ზემოთ თ. 21, 11; 31, 2. [3] სამი ასო არ ჩანს და თითქო ასე უნდა წავიკითხოთ: [რ̄ჲ მ]ათთჳს. შეიძლება რაღაც გამოტოვებული იყოს. [4] მონითცა.

ნისაჲ, და Ⴇავის კუეთასა წმიდისა Ⴈოვანე Ⴌათლისმცემლისასა და Ⴂიორგიწმიდობად ძმათა მონასტრისათა განეყოს თორმეტ-თორმეტი დრაჰკანი. Ⴋათ სამთავე დღესასწაულთა ოცდა ათექუსმეტი დრაჰკანი მონასტრისა ჩუენისა მონაზონთა განეყოს, ჟამის მწირველთა და ყოველთა ძმათა ერთობით სწორად: ათორმეტი Ⴖმრთისმშობლისა Ⴋიცვალებად, ათორმეტი Ⴇავის კუეთად, ათორმეტი Ⴂიორგიწმიდობად.

16. [145] [Ⴟე]რ-არს უწყებად: უკუეთუ Ⴞარებაჲ Ⴃიდსა Ⴞუთშაბათსა მიხუდეს, ექუსთა მღდელთა ჟამის მწირველთა სამთა მამისა ჩუენისათჳს წირონ და სამთა — ჩემთჳს; ხოლო მათი განწესებული არა დააკლდეს, არცა რომელ ვითარ გლახაკთათჳს განგჳწესებია თითოეულისა დღესასწაულისაჲ, არამედ წარსაგებელი ყოველი განეყოს.

Ⴄგრეთვე Ⴃიდსა Ⴎარასკევსა და Ⴃიდსა Ⴘაბათსა და Ⴀღვსებასა უკუეთუ Ⴞარებაჲ მიხუდეს, ესრეთ ჰყოფდენ.

Ⴃიდებაჲ ღმერთსა სრულმყოფელსა
ყოველთა კეთილთასა!

Ⴃა დიდებაჲ ყოვლად წმიდასა Ⴖმრთისმშობელსა!

ტიპიკონის ენა

NB

ტიპიკონის ენაში (ორთოგრაფიულ-გრამატიკულ მიმოხილვაში, ლექსიკონში), შესავალსა და საძიებლებში ტექსტი დამოწმებულია თავებისა და მუხლების მიხედვით; მაგ. ზ ღ უ ა-ჲ 2, 17; ვ ა ნ დ ი 2, 5; 2, 17; კ ა ნ დ ე ლ-ი 12, 1; 34ა, 12; მ ო ქ ე ნ ე 4, 8 და მისთ.. ტიპიკონის შესავალი თავი აღნიშნულია ნულით (0-ით), მაგ., ზ ო გ ე ბ ი თ 0, 10. ხოლო, თუ სიტყვა სათაურში გვხვდება, ასეა ნაჩვენები: **სათ.;** მაგ., ს ა ხ ა რ კ ო ჲ 3, სათ.

დამოწმებისას, ადგილის მოგების მიზნით, ზოგჯერ სიტყვებია გამოტოვებული, მაგრამ გამოტოვება საგანგებოდ აღნიშნული არ არის; მაგ., მ კ ჳ დ რ ი: ვამცნებთ ყოველთა მკჳდრთა მონასტრისა ჩუენისათა 37, 1. დედანში არის: ვამცნებთ ყოველთა **შემდგომად ჩუენსა მომავალთა წინამძღუართა და სულისა ჩუენისა მოურავთა,** მკჳდრთა მონასტრისა ჩუენისათა.

ორთოგრაფიულ-გრამატიკული მიმოხილვა ტიპიკონის ენისა ლექსიკონში ამგვარად არის დამოწმებული: **მიმოხ.**

ნ. = ნახე.

შესავალი

1. ტიპიკონი დაწერილია XI საუკუნეში, 1083 წელს, და მასში ასახულია ამ საუკუნის სამეცნიერო სალიტერატურო ენის თავისებურებანი. ეს არის ძირითადად ძველი ქართული ენის ძეგლი, მაგრამ შიგ საკმაოდ გარეულია ახალი მოვლენებიც, რომლებიც საშუალი ქართულისათვის არის დამახასიათებელი. ძნელია იმის თქმა, რა შესძინა გადამწერმა XIII საუკუნეში ძველ ტექსტს, მაგრამ ზოგი რამ რომ მის მიერ უნდა იყოს შიგ შეტანილი, ეს უეჭველია. მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს, რომ ძეგლის ენა XI საუკუნისად მივიჩნიოთ.

2. **გადამწერის ლაფსუსები.** ტექსტის გადამწერი გაწაფული მწერალია და საზოგადოდ კარგად გამოჰყავს სიტყვები, ოღონდ აქა-იქ აკლებს ცალკეულ ასოებს (დაკლებული აქ ფრჩხილებშია ჩასმული): ვიხილ(ე) 1, 2; ღირ(ს) 1, 2; დამტკიცებუ(ლ) 3, 3; იყო(ს) 6, 12; თქუ(მუ)ლისა 9, 2; ვაჭ(რ)ობაჲ 9, 4; შე(დ)გომად 18, 11; რაჲ არ(ს) 24, სათ.; მიშუ(ჳ)ბასა 32, 1.

ასო ან სიტყვა რომ გამორჩენია, თავზე დაუწერია წვრილი ასოებით: მო-
ს ბ
ნატერსა 2, 11; განძარვაჲ 27, 1 და, შეცდომით რომ გადაუსვამს სიტყვები, მათ
ყ г
თავზე დაუწერია რიგის მაჩვენებელი ასოები: ჟამის მწირველნი იყვნენ მღდელნი (21, 1). მაშასადამე, უნდა ვიკითხოთ: ჟამის მწირველნი მღდელნი იყვნენ[1].

ორთოგრაფიული თავისებურებანი

3. ⴡ ასო ძეგლში იხმარება რიცხვის აღსანიშნავად. იგი ზის მერვე რვეულზე (თავსა და ბოლოში, გვ. 109 და 124) და აგრეთვე სათანადო თავთა აღრიცხვისას გარეთა აშიებზე: ⴡ (8), ⴈⴡ (18), ⴉⴡ (28).

ჱ იხმარება დადასტურების ნაწილაკში ერთხელ (ჰჱ და ჩემიცა 2, 16), მეორე შემთხვევაში მას იმავე ნაწილაკში **ე** ენაცვლება (ჰე, ნანდჳლვე 1, 4).

სხვა შემთხვევაში ჱ ასოს მხოლოდ ორთოგრაფიული დანიშნულება აქვს

---

[1] სოფიის ხელნაწერის გადმომწერს ეს თავზე დასმული ნიშნები კერ შეუნიშნავს და არც გადმოუღია და მათ მიხედვით სიტყვები არ გადაუსვამს. ამიტომ მ. თარხნიშვილის გამოცემაში (და აქედან ი. დოლიძისაშიც) „იყვნენ მღდელნი“ იკითხება.

და იხმარება ჱ-ს გადმოსაცემად უმარცვლო უ-ს შემდეგ: უკუჱ, უკუჱთუ, შუჱნიერი, გუჱგულების 0, 3; ჩუჱულნი 0, 4; . საჩუჱნებლად 16, 12; უშუჱრებაჲ 17, 4; უეჭუჱლად[1] 21, 2; აღმოკუჱთად 36, 8 და მისთ.. ეს ორთოგრაფიული წესი ხელნაწერში მტკიცედ არის დაცული ყველგან. ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც შევნიშნეთ, არის „სათუენი“ 34ა, 36. გამოცემაში კი ეს ორთოგრაფიული თავისებურება გასწორებულია: უჱ ჯგუფის ნაცვლად ყველგან უე არის დაბეჭდილი: უკუე, უკუეთუ, შუენიერი, გუეგულების, ჩუეულნი, საჩუენებლად, უშუერებაჲ, უეჭუელად, აღმოკუეთად და მისთ.

4. ჵ ასოც (ოჰ) ორთოგრაფიული დანიშნულებისაა და მხოლოდ ერთხელ გვხვდება წოდებითში დაყენებულ სახელთან: ჵ მამანო და ძმანო 0, 4. ამ შემთხვევაში მისი ფუნქციაა, გააძლიეროს ამ ბრუნვის შინაარსი.

5. **გრაფიკული მონაცვლეობა.** ძეგლში მოიპოვება ო და უ-ს გრაფიკული მონაცვლეობის შემთხვევები:

ა) ო არის დაწერილი და უნდა ვიკითხოთ უ: ეცროვის 0, 25 (ეცრუვის); სიცროვისა 1, 1 (სიცრუვისა); სამეოფოჲსაგანცა 18, 15 (სამეუფოჲსაგანცა); მოშაკთა 21, 5 (მუშაკთა); ცერცოთაგან 29, 1 (ცერცუთაგან); სარწმონოდ 29, 1 (სარწმუნოდ); მონითცა 37, 14 (მუნითცა).

ბ) უ არის დაწერილი და უნდა ვიკითხოთ ო: ჰქუნდა 2, 7 (ჰქონდა).

გ) გადმომწერს მიყოლებით უნდა დაეწერა უო ან ოუ, მაგრამ მან შებრუნებით დაწერა: ეცროუს 19, სათ. (ეცრუოს); შეოურგულებელად 29, 1 (შეუორგულებელად).

დ) მიჭირს თქმა, იმავე რიგის მოვლენა გვაქვს „ნუყიერისა“ სიტყვაშიც (5, 10), თუ არა (დღეს „ნოყიერს“ ვამბობთ) და აგრეთვე იაგონდ-ში (34ა, 7).

6. **ჳ ასო.** ეს ასო გვხვდება ტიპიკონში ყველგან, სადაც უი დიფთონგია მოსალოდნელი. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის და ცხადია, რომ ძეგლის შემდგენელი ათონური სკოლის წარმომადგენელია, ისე როგორც მისი გადამწერი. მაგალითები: თჳსი, -თჳს (ბაკურიანისათჳს, რავდენობისათჳს და მისთ.), თჳთმპყრობელი 2, 18; დაგჳწერიეს და მიგჳცემიეს 3, 1; განგჳსაზღვრებიეს 8, 1 და მისთ..

საყურადღებოა, რომ ერთმანეთს ენაცვლება თითოეული 1, 1; 18, 11 და თჳთოეული 2, 17; 5, 7; 8, 3; 9, 2 (არის აგრეთვე თითოეულად 2, 14), თითო და თჳთო: ორ-ორსა კრასაულსა სუმიდენ სამხრად და თითოსა — მწუხრი 10, 3; თჳთო კრასაულსა მწუხრი სერობასა სუმიდენ 10, 2; თჳთო კრასაულსა მწუხრი სერობასა 10, 4; თჳთო სანთელი 12, 2; თჳთო-სახეთა 35ა, 15.

7. **ჲ ასო.** ეს ასო გვხვდება დიფთონგის მეორე ნაწილად: დიდებაჲ, ასოჲ, სამწყსოჲსა, იესუჲსა, მაგრამ იგი არ გვხვდება ე-ს შემდეგ (არც ეჲ-ს და არც ჱ-ს სახით).

საყურადღებოა, რომ „საიდუმლოჲ“ უმეტესად „საჲდუმლო“-ჲს ფორმით გვხვდება: საჲდუმლოჲ 21, 10; საჲდუმლოსა 7, 1; საჲდუმლოთა 27, სათ.; საჲდუმლოდ 14, 1 და სხვაგან.

---

[1] ამ სიტყვაში პირველი უ მარცვლიანია, მეორე — უმარცვლო.

ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი   მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ი

8. **ბგერათა განვითარება. უა კომპლექსში ჩნდება ვ: აღუარებდენ 13, 7, მაგ**რამ: აღუვარებდენ 0, 19. შეიძლება იგივე ყოფილიყო სხვა მსგავს შემთხვევაშიც, მაგრამ გვაქვს: უაღრეს 5, 14; უარ-ეყო 4, 9.

9. **ბგერათა დაკარგვა.** გარკვეულ ვითარებაში იკარგება თანხმოვნები: **ვ მ რ ლ ნ ჰ**, აგრეთვე უმარცვლო **უ**.

ა) პოვნა ზმნისაგან გვაქვს ვპოვეთ (5, 1), მაგრამ ამასთანავე: პოოს 0, 6, ჰპოოთ 15, 14; პოონ 0, 5. ხოლო **ქსოვა** ზმნისაგან გვაქვს ქსოილი (ოქროქსოილ-ში 34ა, 47).

ბ) ვ, როგორც პირველი სუბ. პირის ნიშანი, ძველი ქართულის წესის თანახმად, ამ ძეგლშიც დაკარგულია უ-ს წინ (დაუმტკიცე 2, 1), მაგრამ შენახულია დაცვულ-ში (ღმრთივ დაცვულისა ქალაქისა 1, 3).

გ) ვ დაკარგულია სისტემებრ „ცხოვრება"-სა და მისი ფუძისაგან ნაწარმოებ სიტყვებში: ცხორებაჲ 0, 5; ზოგად მცხორებელთათჳს 4 სათ.; ზოგად ცხორებულთაჲ 6, 2; საცხორებელსა 18, 9.

დ) **ყოველ** სიტყვისაგან ვითარებითში უნდა გვქონდეს **ყოვლად**, მაგრამ ეს სიტყვა ჩვეულებრივ შემოკლებულად იწერება (ყ̄დ). ერთხელ სრულად არის დაწერილი **ყოლადვე** (0, 40) და ამის მიხედვით შეიძლებოდა, რომ ამ გამოცემაში ყველგან **ყოლად** და **ყოლადვე** გაგვეტარებინა ქარაგმის გახსნისას, მით უმეტეს, რომ **ყოლად**-ისაგან **ყოლა** წარმოდგა, რომელიც „ვეფხის ტყაოსანში" იხმარება, მაგრამ ერთ მაგალითს ვერ დავეყრდენ და ვამჯობინე, ყველგან **ყოვლად** ყოფილიყო.

ე) **ივო** კომპლექსში რომ ვ იკარგება, ეს საყოველთაოდ ცნობილია „პატიოსან" სიტყვით. ასეთივეა ამ ძეგლის გულ-მარტიობა-ც 24, 2.

ვ) **მბრწყინვალე.** „ბრწყინვა" ზმნისაგან მიმღეობის ფორმაა **მბრწყინვალე**, რომელიც ვხვდება ამ ძეგლში (ელვარედ მბრწყინვალესა მთავარმოწამესა გიორგის 1, 3). მიმღეობის **მ** დაცულია უფროობითი ხარისხის ფორმაშიც (მნებავს, რაჲთა კჳრიაკესა დღესა უმბრწყინვალესი დაეგებოდის ტაბლაჲ 8, 7), რადგანაც აქ მანის წარმოთქმას წინ დართული **უ** აადვილებს, მაგრამ საერთოდ ეს **მ** იკარგება თანხმოვანთა თავმოყრის გამო და მომდევნო **ბ**-ანის გავლენით: ტაბლაჲ დაევოს ბრწყინვალე 37, 3; 37, 5; 37, 11; 37, 13; ბრწყინვალედ 0, 17; 11, სათ..

ზ) უმარცვლო **უ** სისტემებრ დაკარგულია **შრომა**-ში და ზოგიერთს მისი ფუძის სიტყვაში (ნაშრომსა 4,3; შრომილსა 5, 9; უშრომელად 5, 13), თუმცა იგი შენახულია პირიან ფორმებში: დავშუერ 21, 12; დაშურეს 5, 9; დაშურებიან 8, 7; შურებოდინ 14, 1.

წინამძღუარ სიტყვისაგან გვაქვს წინამძღურისა, წინამძღურობასა 5, 1 და სხვა, მაგრამ აგრეთვე **უწინამძღრობისა 15, 4.**

ზ) **ჰ** გვხვდება ჰე-ში (1, 4; 2, 16), რომელიც დადასტურების სიტყვაა. როგორც პირის ნიშანი, ის კარგად შენახულია მეორე სუბ. პირისთვისაც (ჰპოოთ 15, 14) და მესამე ობიექტურისთვისაც (რაჲცა შეჰმთხუეოდის 0, 19).

სახელთაგან კი **ჰ** გვხვდება ძველად ნასესხებ სიტყვებში, სადაც იგი ტრადი-

ციულად არის შემონახული. ესენია: გეჰენია (1, 1), ანგაჰარნი (24, 2); მოჰაჰრაკებითა (1, 5), ჰასაკი, ჰაეროვანი 1, 3; ჰარშივი 35ა, 12; დრაჰკანი 21, 1. ამათგან **ჰ**ასაკი (1, 3; 18, 8) კარგავს თავკიდურ **ჰ**აეს, თუ მას თავში ხმოვანი დაერთო და ამის გამო ხმოვნებს შორის აღმოჩნდა: უასაკოჲ (17, 1). **ჰ**რომ-ში **ჰ** ბერძნულისაგან მოდის დასაწყისი თანხმოვნის წარმოთქმის თავისებურებათა გამო.

თ) გამარტივებულია ზოგჯერ **გან** და **აღ** ზმნისწინები ბოლოკიდური თანხმოვნის ჩამოკვეცით: გან-კითხვაჲ 1, 1, მაგრამ გაიკითხვოდის 26, 4; გასაყოფლად 30, 2; გაუთავისუფლონ 29, 7.

აღმოკუეთილი 21, 9; აღმოკუეთად 36, 8, მაგრამ: ამოკუეთილ იქმნას 21, 9; ამაღლდეს 8, 3; ავიღე 18, 11; აიღებდეს 26, 1 (აღიღებდეს 29, 1); აიღებდენ 9, 3 (აღიღებდენ 29, 5) და სხვ.

10. **კუმშვა.** ძეგლი დაწერილია ტაოელ ქართველთა წრეში და არ არის გასაკვირველი, რომ ზოგიერთი სახელი არ იკუმშებოდეს ან ნაკლებად იკუმშებოდეს.

ა) პირველ ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ ქვეყნის საპირისპირო მხარეთა აღმნიშვნელი ორი სახელი — **აღმოსავალეთი** და **დასავალეთი**, რომლებიც უმეტესად არ იკუმშება: აღმოსავალეთისა გინა დასავალეთისა 32, 1; აღმოსავალეთისა პრასტინთათჳს 35ა, 16; დიდმან დემესტიკოსმან ყოვლისა დასავალეთისამან 2, 1. ასეთივეა: აღმოსავალელისა 0, 2. შეკუმშული ფორმაც გვხვდება: აღმოსავლეთით 2; 16; დასავლეთს 2, 11.

ბ) **ლუაწ** ფუძისაგან საყოველთაოდ ცნობილია ლუწოლაჲ, ლუწაჲ და სხვა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ გვხვდებოდეს მოლუწე და მოლუწებაჲ: მოლუწეთაგანნი 6, 2; მოლუწებითა 6, 4, თუმცა გვაქვს აგრეთვე შეუკუმშავი ფორმები მოლუაწეთა 5, 4; 5, 5.

გ) **მოწაფე-ც** იკუმშება: მოწფისა 4, 6.

დ) **მონაზონ** ფუძე, ნასესხები ბერძნულისაგან, ზოგჯერ იკუმშება (სამონაზუნოჲ 0, 3; სამონაზუნოსა 0, 4), ზოგჯერ კი — არა: მონაზონისა 0, 30; მონაზონისათჳს 15, 5; მონაზონებად 4, 6; წესსა მონაზონებისასა 0, 31.

ე) **თუალ** სიტყვა არ იკუმშება მაშინაც კი, როდესაც იგი ძვირფას მინერალს აღნიშნავს: თუალებითა პატიოსნითა 2, 18; თუალებითა 34ა, 6; 34ა, 13.

ვ) **ოქრობეჭედი** ჩვეულებრივ იკუმშება (ოქრობეჭდისა, ოქრობეჭდები), მაგრამ უკუმშველი ფორმაც გვხვდება: ოქრობეჭედისა 35ბ, 12; 35ბ, 13.

ზ) **საკურთხეველ**-იც ეგეთია: არის პარალელური ფორმები, შეუკუმშველიცა და შეკუმშულიც: საკურთხეველისა 34ა, 53; 34ა, 54. მაგრამ: საკურთხევლისა 34ა, 55.

Ⴇ) **მპარავ** სიტყვისაგან (21, 5) გვაქვს მპარვობაჲ 4, 12.

თ) **ღმრთისმშობელ**-ი და **ნათლისმცემელ**-ი არც ერთი არ იკუმშება ჩვეულებრივ, მაგრამ გამონაკლისის სახით გვხვდება შეკუმშული ფორმაც: ღმრთისმშობლისა 34ა, 34; ნათლისმცემლისა 12, 1. შეიძლება ეს იმის ბრალი იყოს, რომ შემოკლების ნიშნის დასმა დაავიწყდათ.

ი) საერთოდ ძეგლში ხშირია შეუკუმშავი ფორმები, რომელთაგანაც აქ ზოგს დავასახელებთ: მოსაგებელისა 1, 3; სამკჳდრებელად 1, 3; დაუცადებე-

ლად 0, 39; სამართალითა 2, 5; შემოსავალითა 2, 8; მგალობელად 6, 21; წუენისა 4, 3 (მაგრამ საწუნე 6, 12; 29, 7, რადგანაც თავშიც დაერთო კუმშვის გამომწვევი აფიქსი და ბოლოშიც), სარგებელისა 7, 4; სეკდენბერისა თჳესა 9, 3; გასაყოფელად 1, 2; სარგებელისა წილ 4, 6 და სხვა.

11. **ასიმილაცია. დომესტიკოს**-ისაგან მიღებულია **დემესტიკოს**-ი, რომელიც ერთხელ შეცდომით **დემესტლიკოს**-ის სახით არის დაწერილი ტიპიკონის დასაწყისშივე (0, 2), არ ვიცი, რად მოუვიდა გადამწერს ასეთი კალმის შეცდომა, რადგანაც სხვაგან ყველგან დემესტიკოსია: 1, 2; 35ბ, 1; 35გ, 11; 36, 1. ის კი უეჭველია, რომ აქედან მოდის გრიგოლ ბაკურიანის-ძის „დიდ დემესტლიკოსად" მოხსენება ამილახორის სახლის კრებულის მოსახსენებელსა და მეწიეთის „მარხვანის" მოსახსენებელში (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები. გამოცემა ქრისტინე შ ა რ ა შ ი ძ ი ს ა, 1961, გვ. 18 და 21).

12. **დისიმილაცია** (გადასხვაგვარება) იყო მოსალოდნელი წულილ-წულილად-ში (2, 21), მაგრამ არ მომხდარა. სამაგიეროდ, **საზორავრო**-ს ნაცვლად მიღებულია **საზოლავრო** 34ბ, 4. დისიმილაციური გამჟღერების წესის თანახმად, გვაქვს **ტიპიკონ**-ის გვერდით (30, 3; 33, 2; 36, 2) **ტიბიკონი**-ც (0, 39; 11, 2; 33, სათ.).

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ა კ ი თ ხ ე ბ ი

ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ბ რ უ ნ ე ბ ა

13. **სახელობითი.** სახელობითი ბრუნვის ნიშანი ყველგან არის შემონახული, გარდა **ე**-ზე გათავებულ ფუძიანი სახელებისა: ამ მხრივ ძეგლში გამონაკლისი არ გვხვდება. მაგალითი: საქმე შუენიერ-ი და სათნო-ჲ უფლისა-ჲ 27, 1; სიბრძნე პირველ-ი 28, 4 და სხვ.

14. **ებ**-იანი მრავლობითის ფორმები უფრო გვხვდება მოქმედებით ბრუნვაში: „სოფელი ესე პრილონგი თავისა ძუელითა **ციხებითა** დ **აგარაებითა, ქსენადოშებითა** და ყოვლითა ზღვრითა მისითა 2, 12. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ტიპიკონის მეორე თავის ბოლო: ზემო ჴსენებულნი ეგე მონაგებნი ყოველნი, რომელთაცა **სახელებ**ი ზემოჲთ სწერიან, ესე სახედ მიგჳცემიან სრულებით ყოვლითა საჴმრითა მათითა, სეფითა **ულლებითა** და ეგრეთვე **გლეხებითა,** მთითა და ბარითა, ტყითა და **პლანინაებითა** და საძოვრითა **ადგილებითა, ვენაჴებითა** და **ხილნარებითა, წისქჳლებითა** და **სახლებითა,** ზღჳთა და ჴმელითა, **ციხებითა** და ყოვლითა **შენებულებითა** მათითა. ამ წინადადებაში **შენებულებითა** შეიძლება **შენებულ**-ის მრ. რიცხვის ფორმადაც გავიგოთ და **შენებულება**-ს მხ რიცხვის ფორმადაც. მე უფრო პირველი მგონია.

15. ბრუნების თავისებურებათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

ა) ძეგლში ძველი **აგარაკი**-ც გვხვდება (ივანოვა აგარაკი 2, 1; ანუ სოფელთა, გინა აგარაკთა მისთა 18, 5) და მისგან მიღებული ახალი **აგარაჲ**-ც. იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი წარმომდგარია თანხმოვანზე ფუძე-გათავებული სახელი**საგან** (კანის ჩავარდნის გამო), ჯერ კიდევ ბოლო-უკვეცელია: სათევზითა ტბითა მისითა და აგარაჲთა 2, 13; აგარაებითა 2, 12. როგორც ვხედავთ, **ტბა-ჲ** შეიკვეცა, **აგარა-ჲ** — არა. ფუძე-უკვეცელია აგრეთვე **მინა:** მინაჲთა 2, 18. **ამას უნდა მიეთვალოს აგრეთვე „პლანინა“: პლანინაებითა 2,17.**

ბ) პირთა სახელებს, საზოგ. სახელებთან გათანაბრების გამო, გასჩენიათ ნათ. ბრუნვაში **ა:** ბაკურიანისა-თჳს 21, 11; 31, 2 (ორჯერ!), 37, 14; ძისა ბაკურიანისა-ჲთა 36, 1; ხუასროვანისა-თჳს 31, 2.

გ) **ხუცეს** სიტყვის ნათ.-ის და ვით.-ის ფორმებია: **ხუცისა** და **ხუცად** (ბერძნისა ხუცისა 0, 30; ხუცად ეკურთხნენ 31, 5), რაც ადრევე მიღებულია ისტორიულად სიტყვის შეკუმშვით და ამის გამო სანი უშუალოდ მოხვდა ც-ს მეზობლად (*ხუცს-ისა, *ხუცს-ად), ეს პირველად ვ. თოფურიამ ახსნა.

დ) მოსალოდნელი **ჲ** არ მოიპოვება რამე-ში: ზაკულებაჲ რამე 34ბ, 3.

16. **რიცხვით სახელებში** აღსანიშნავია, რომ:

ა) **ორმეოცდაათი**-ც გვხვდება (6, 2) და ძველი **ერგასისი**-ც 6, 3.

ბ) დამახასიათებელია, რომ ათმეტეულებში შენახულია თავკიდური **ხ**მოვანი: ათერთმეტი 6, 3; ათორმეტი 8, 8; 21, 7; 37, 15; ათხუთმეტი 9, 2; ათექუსმეტი 37, 15; ათრვამეტი 18, 5. მაგრამ პარალელურად გვხვდება აგრეთვე უანო ფორმაც: თორმეტ-თორმეტი 37, 15.

გ) ოცეულების სახელთა **მე**-ში ხმოვანი ზოგჯერ ამოღებულია: გვაქვს როგორც ორმეოცსა 22, 2 და ორმეოცთა 10, სათ., ისე ო რ მ ო ც ს ა 22, 1. ამგვარივეა აგრეთვე სამეოცდა ათორმეტი 21, 1 და ს ა მ ო ც დ ა ათორმეტი 21, 4.

17. **ნაცვალსახელთაგან** შეიძლება აღინიშნოს, რომ

ა) გვხვდება როგორც ძველისძველი ურთიერთას 5, 11; 6, 22; 8, 3; და ურთიერთარს 5, 1; 18, 4, ისე მერმინდელი ერთმანერთისა 8, 2.

ბ) აგრეთვე აღსანიშნავია **ვინ** და **ვინმე**-ს მრავლ. რიცხვის ფორმები: ვიეთნიმე 15, 9; 18, 4; ვიეთ-გან 20, სათ.; ვიეთმე 21, 7 და ვიეთთამე 15, 7.

გ) უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება როგორც **თჳსი** (აგარაებითა თჳსითა 2, 1) და **თავისა** (პრასტინი ჩემი ზაუწი **თავისა** ყოვლითა ზღვრითა 2, 5; მონასტერი გიორგი წმიდისაჲ **თავისა** ვენაჴებითა და ყანებითა და მტილებითა 2, 5), ისე **თავიეთ.** ეს უკანასკნელი **(თავიეთ)** მიემართება მრავლობითში დასმულს (ან ნაგულისხმევ) სახელს: ესე ყოველნი **თავიეთ** ზღვრითა და სინორითა 2, 1; ესე ყოველნი მიმიცემიან **თავიეთ** ყოვლითა ზღვრითა დ **თავიეთ** ულლებითა 2, 8; რაჲთამცა აიღეს ძმათა **თავიეთ** შესამოსლისა ფასი 9, 3; ქარაკანდელნი **თავიეთ** ჯაჭუებითა 34ა, 20. ამ **თავიეთ**-ისაგან მოდის დღევანდელი **თავიანთ-ი.**

დ) „მავანის“ მნიშვნელობით იხმარება **იგი ვინმე** და **ესე ვინმე: მას ვისმე** ე ს ე-ე ს ე ვინმე ჰშუენინ თანაშემწედ საქმისა და **ამას ვისმე** — ს ხ უ ა ჲ ვ ი ნ-მ ე 13, 4.

18. **სახელთა წარმოქმნის** სფეროდან აღსანიშნავია, რომ

ა) **დროშა** სიტყვისაგან ნაწარმოებია **სადროშაე** (34ა, 6). მაშასადამე, **დროშა**-ს ბოლო არ ეკვეცება, რადგანაც იგი **დროშაკ**-ისაგან მოდის (ისე როგორც აგარაჲ — აგარაკისაგან).

ბ) კნინობითის ფორმათაგან გვხვდება **მცირაჲ** (34ა, 4; 34გ, 4).

გ) **სა—ეთ** აფიქსებით ნაწარმოებია არა მარტო სა-ბერძნ-ეთ-ი (მიმსახურებაა საბერძნეთისადა 1, 4; მერმე საბერძნეთს **მოსლვითა** 18, 9), არამედ სა-სარკინოზ-ეთ-იც (18, 9), რომლის ბადლად ბერძნულ ტექსტში (**Συρία** „ასურეთი") იკითხება.

დ) **ფერად-ფერად**-ისა და **კაცად-კაცად**-ის მსგავსად გაორკეცებით არის ნაწარმოები **გუარად-გუარადი**: მხლითა გუარად-გუარადითა 0, 4.

ზ მ ნ ე ბ ი

უღლების საკითხთაგან შეიძლება შემდეგი აღინიშნოს:

19. **ოდ**-იან **ზმნათა თავისებურება.** სამ მწკრივთაგან, სადაც **ოდ**-სავრცობიანი ზმნები თავისებურებას იჩენენ და განსხვავდებიან **დ**-სავრცობიანთაგან, **უწყვეტელი** იშვიათია ტიპიკონის სპეციფიკური ხასიათის გამო, მაგრამ მაინც გვხვდება და იგი ძველი ქართული ენის წესის მიხედვით არის გაკეთებული: მრავალთა შინა ჟამთა ვიქცეოდე ესრეთ 18, 9. სამაგიეროდ ხშირად გვხვდება **I ბრძანებითის** მწკრივისა და **I კავშირებითის** ფორმები და აქაც ძველი წარმოება ძალაშია, განსაკუთრებით მხოლობით რიცხვში. განვიხილოთ ამ ზმნათა ფორმები ორსავე მწკრივში.

20. **I კავშირებითის მწკრივი.** I კავშირებითის (ანუ I მყოფადის) მწკრივის მხოლობით რიცხვში **ოდ** სავრცობიან ზმნათა უღლებაში საერთოდ ძველი წარმოების ფორმებია წარმოდგენილი: უკუეთუ გამოჩნდეს ვინ და **იტყოდის** 18, 2; სამკაულთა და საფასეთა ეკლესიისათა წარწყმედად მიუშუებდეს და საქმესა მგლისასა **იქმოდის** 19, 2; რაჲთა ლოღარიასსა **უქმოდის** და რაჲცა შემოსავალი იყოს, აიღებდეს მათგან და აპოტიქსსა **შეუქმოდის** 26, 1. მწიგნობრობასა **იქმოდის** და თავადსა თანა **მიივლინებოდის** და **იურვოდის** 24, 1 და მისთ. გამონაკლისს შეადგენს „შეიქმნებოდეს" (რომელთა მიერ იჳ საგმობელი შეიქმნებოდეს 17, 2), რომელიც შეიძლება გადამწერს უნებლიედ გაეპარა.

მრავლობით რიცხვში კი ძველი წარმოების ფორმებიც არის და გარდამავალი საფეხურისაც:

ა) **ძველი წარმოება:** ძმათათჳს, რაჲთა არა განვიდოდიან, არცა იქცეოდიან გარეგან მონასტრისა 0, 21; და არცა თუ გულ-სავსებით **მსახურებაჲ** იცოდიან 25, 2.

ბ) **გარდამავალი საფეხურის (ოდ-ინ-იანი) ფორმები.** ძეგლში უმეტესად გარდამავალი საფეხურის ფორმები გვხვდება, რაც XI საუკუნის ძეგლთათვის არის დამახასიათებელი:[1] რაჲთა არარას შეექცეოდინ ლოცვასა შინა 12; სათ.;

---

[1] ამ გარდამავალი საფეხურის შესახებ ნახეთ ჩემი „გიორგი მთაწმიდლის ენა" (ძველი ქართული ენის ძეგლები. 3). 1946. გვ. 27—78.

სამნი სანთელნი დაუვსებლად ენთებოდინ 12, 1; კჳნდელნი ენთებოდინ 12, 3; რომელნი იგი კორციელად შურებოდინ 14, 1; რაჲთა ჯეროვნად და სამართლად იქცეოდინ 15, 2; რომელსა-იგი გარეგან მცნებისა მამათაჲსა იქმოდინ 15, 12; რომელნი მონაზონებისა წესსა მოვიდოდინ 25, სათ.. კარგი მაგალითია 23-ე თავის ბოლო, სადაც იკითხება: სიცოცხლესავე შინა ჩუენსა განვაგეთ, რომელ (დედაჲ იოვანესი და დაჲ ეფრემისი) ოდენ დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა **მოვიდოდინ** ლოცვად და დ ა ჰ ყ ო ფ დ ე ნ ვიდრე ჟამის წირვისა ჟამადმდე და მყის ხოლო მსწრაფლ **განვიდოდინ** მიერ 23,2.

21. **ბრძანებითის მწკრივი.** ტიპიკონში საკმაოდ მოიპოვება საკუთარი მწკრივის ფორმები მე-3 პირისათვისაც, რაც ამ ძეგლის ზმნათა უღლებას ძველი ქართული ზმნის უღლების სისტემასთან აახლოვებს. მაგალითები: იპყარნ კუალად ზემო დაწერილი წესი პანაგიელთაჲ 9, 5; საჴსენებელისა წილ წყევაჲ მიიღენ და უცხო იქმენინ წმიდისა ამის მონასტრისაგან 30, 3; იგივე ზემო წერილი წყევაჲ მიიღენ და განიძენ მონასტრისაგან 18, 11; კუალად აღესრულებოდენ ყოველთა ძმათა საჴსენებელი 27, 3; ტრაპეზისაცა საქმე და მსახურთაჲ კეთილად აღესრულებოდენ 8, 1; მეორე დასი იყავნ 9, 2; ესევითარი იგი ალიჴოცენ შორის ძმათა 13, 6 და მისთ.

მაგრამ ხშირად საკუთარი მწკრივის ფორმას იმავე მნიშვნელობით კავშირებითის ფორმა ენაცვლება. ხშირია შემთხვევა, რომ თანწყობილსა თუ შერწყმულ წინადადებაში ერთი ზმნა საკუთარი მწკრივის ფორმით იყოს, მეორე კი — კავშირებითისაგან ნასესხებით: **დადუმენინ** ეგევითარი იგი მღდელობისაგან და მის წილ სხუაჲ **დაეწესოს** 7, 2; წმიდისა ამის ადგილისაგან **განეშორენ** და მერმე ამისა შემდგომად ნაცვალად მისა სხუაჲ ღირსი **დაიდგინოს** 19, 2.

ტიპიკონის მე-6 თავში ერთისა და იმავე მნიშვნელობით ერთიმეორეს ცვლიან ბრძანებითი კილოს საკუთარი და ნასესხები ფორმები: **იყავნ** და **იყოს**, **იყვნედ** და **იყვნენ**, მაგრამ უმეტესად კავშირებითია (**იყოს, იყვნენ**). სათანადო მოწმობა: ერთი რჩეული და ღმრთის მოშიშთაგანი **იყავნ** იპტირიტად 6, 17. მაგრამ ამ ერთ საკუთარ **იყავნ** ფორმას გვერდში უდგას შვიდი **იყოს:** ერთი იყოს წინამძღუარ 6, 4; ერთი დეკანოზად იყოს 6, 6; ერთი იყოს მნათედ-კანდელაკად 6, 11; ერთი იყოს კელრად 6, 12; ერთი იყოს მემარნედ-ვაჟინრად 6, 13; ერთი იყოს მეტრაპეზედ 6, 14; ერთი იყოს მეპურედ 6, 18.

სათანადო ფორმები მრავლობითში: და ესე ყოველნი **იყვნედ** ერთ-სულ და, ერთ-ზრახვა 6, 22. ამ ერთ **იყვნედ**-ს პირისპირ უდგას სამი **იყვნენ:** ორნი იყვნენ იკონომოსად 6, 5; და იყვნენ მღდელნი ჟამის მწირველნი ექუსნი 6, 7; და სხუანი იყვნენ მგალობელად და მემკრედ და მეფსალმუნედ 6, 21.

ზემოთ მე-7 თავიდან დავიმოწმეთ **დაეწესოს** (**დადუმენინ** ეგევითარი იგი მღდელობისაგან და მის წილ სხუაჲ **დაეწესოს** 17, 2), მაგრამ მე-6-ში იმავე მნიშვნელობით **დაეწესენ** იკითხება: ხოლო ერთი დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად. სხვა მაგალითები კავშირებითის მწკრივის ფორმათა გამოყენებისა ბრძანებითი კილოს გამოსახატავად: მას ჟამსა მღდელმან მოგჳჴსენნეს ჩუენ 21, 10; ტიპიკონი იგი გამოიჩინოს და ემხილოს ესევითარსა მას და ჯეროვნად

განიწუართოს და, რაჲცა დაეკლოს, ეზღვიოს მას და განიძოს მონასტრისაგან და ტიპიკონი იგი დაიდვას მონასტერსა პანაგიისასავე 36, 5.

ამგვარად, ცხადია, რომ ბრძანებითი კილოს გამოსახატავად საკუთარი მწკრივის ფორმებიც იხმარება, მაგრამ მათ ბევრად სჭარბობს კავშირებითის მწკრივისაგან ნასესხები ფორმები.

22. **პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი I სერიის ფორმებში.** როგორც ცნობილია, გარდამავალ ზმნებს I სერიის ფორმებში პირდაპირ ობიექტად მიცემითში დაყენებული სახელი შეეწყობა, ძველ ქართულში ასეთი ზმნები, თუ ისინი ორპირიანებია და ფუძე თანხმოვნით ეწყებათ, პირის ნიშანსაც მიიღებენ მსგავსად ირიბ-ობიექტიანი ზმნებისა, რომელთაც ირიბი ობიექტი ყოველთვის მიცემითში უდგას, I სერიის მწკრივებშიც და II-ისაშიც. ტიპიკონის ტექსტში ეს მოვლენა საკმაო სიცხადით არის წარმოდგენილი: ორპირიან ზმნათა II სერიის უნიშნო ფორმებს აქ უპირისპირდება I სერიის ნიშნიანები: შევწირენით 2, 14; 2, 18; ძღუენი შემოწიროს 27, 4, მაგრამ: რომელნი საჭმარსა შემოსწირვენ 0, 26; შესწირვენმცა 12, 11. მსგავსი მაგლითებია: ჰყოფს 4, 9; ჰყოფენ 18, 4; ვჰყოფდითმცა 9, 2; აღვსწერ მტკიცედ 27, 1 (მაგრამ: შთავწერეთ 0, 6); კანონსა დავსდებ 6, 3; სიტყუასა დავსდებ 33, 1; საჭმართა ეკლესიისათა განჰლევდეს და მონაგებთა მისთა წარჰსწყმედდეს 19, 4 (აქ პირის ნიშნად **ჰს** არის **ნახმარი**); ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა 5, 8; ჰმწყსიდენ სულიერთა მათ სამწყსოთა 15, 3; განჰვლის 5, 8; შესცვალებენ 4, 6; ჰკურნებდეს სულთა მათთა 28, 2; სცნობდით 7, 3 და მისთ.

ჴელვიდენ-ში (21, 3) **ჰაე** დაკარგულია თავკიდური **ჴანის** გამო. „წირვიდეს“ და „წირვიდენ“ ფორმებში (7, 4; 7, 5) არ არის ობ. პირის ნიშანი, შეიძლება იმიტომ, რომ ამ ზმნას პირდაპირი ობიექტი არსებითად არ მოეპოვება.

23. **I თურმეობითის ფორმებში** მოქმედებითი გვარის ზმნებს, რომელთაც პირდ. ობიექტი მხოლობით რიცხვში აქვთ შეწყობილი, ბოლოში ძველი **იეს**-ი.კ მოუდის და მერმინდელი **ია**-ც:

იეს: მომიგიეს 18, 9; დაგჳწერიეს და მიგჳცემიეს 3, 1; აღუწერიეს 4, 3; შემოუკრებიეს 5, 9; გჳპოვნიეს 21, 12; მიგჳღებიეს 27, 1; განმისაზღვრებიეს 18, 3; 25, 2; განგჳსაზღვრებიეს 8, 1; უქადაგებიეს 0, 5. მსგავსივე ფორმა აქვს სტატიკურსაც აწმყოში: უპყრიეს 12, 6.

ია: მიმსახურებია 1, 4; დაგჳწერია 37, 2; (სტატ.) სწერია 2, 12; 9, 5; 30, 3; მქონებია 18, 9.

24. **სტატიკური ვნებითის** ფორმებად მიდის: სუენებია 34ბ, 3 და სუენებიან 34ა, 1. ამათ ნაცვლად დღეს ვამბობთ: ასვენია.

25. **ვნებითი გვარის წარმოება.** ყურადღებას იქცევს **ი** და **ე** პრეფიქსთა მონაცვლეობა ვნებითი გვარის ზმნათა ფორმებში: **აღიშენა** და **აღეშენა**, **დაიწესოს** და **დაეწესოს**, **დაიმტკიცოს** და **დაემტკიცოს** მაგალითებჲ: ივანოვა აგარაკი, რომელსა შინა აწ მონასტერი აღიშენა 2, 1; აღიშენა ჩემ მიერ ზემო თქუმული ესე ეკლესიაჲ 2, 11. არცა სადედოჲ მონასტერი აღეშენოს ოდესცა საზღვართა შინა მისთა 23, სათ.; გარეგან მონასტრისა სოხასტერთა დაიწესოს 7, 2; ერთი დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად 6, 10; და მის წილ სხუაჲ დაეწესოს ღირსი კა-

ცი 7, 2. დაიწეროს და დაიმტკიცოს 36, 6. აღიწერა და დაემტკიცა 0, 2. ასეთია აგრეთვე: **დაიხრწიოს** 29, 8 და დაეხრწიოს 21, 7. აღსანიშნავია აგრეთვე ვნებითი გვარის წარმოება **ი** პრეფიქსით **კრებ** ფუძისაგან: შემოიკრიბოს 21, 8 (მაგრამ შეკრბების 9, 3; შეკრბეს 18, 5).

26. **ტმესის** მაგალითებია: ანუ და- რაჲ -აკლოს ამისგანი 33, 1; და- რაჲ -ჰმატდეს 21, 4 (**შდრ.** გაუკვეთლად ხმარება ამავე ზმნისა ცოტა ქვემოთ იმავე თავში: და რაჲცა-რაჲ ყოვლისაგან შემოსავალისა წელიწდისა დაჰმატდეს 21, 5), ჯერ -ესრეთ -იყო 7, 4; ურწმუნოჲ იგი გან- თუ -ეყენებოდის, განეყენენ 13, 5 (ეს არის მოწმობა, მოყვანილი კორინთელთა მიმართ ეპისტოლედან). საყურადღებო ის არის, რომ ამ წიგნის ძველ რედაქციებში ზმნა გაუკვეთლად არის ნახმარი: უკუეთუ ურწმუნოჲ იგი განეყენებოდის, განეყენენ (I კორ. 7, 15).

27. გვხვდება III კავშირებითის ფორმა გარდაუვალ ზმნათაგან: ჯერ-არს, რაჲთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღუარსა გულის სიტყუათა და საქმეთა და ყოველსავე ბრალსა, რაჲცა **შეჰმთხუეოდის** მათ 0, 19. თუცა თუ არა **დაჰკლე-ბოდის** 31, 5.

28. **თავისებურ ზმნათაგან** შეიძლება აღინიშნოს:

ა) **აქუნდა,** რომელსაც ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმებიც მოეპოვება: მაქუნდა 2, 13; აქუნდა 2, 15; აქუნდეს (არავის აქუნდეს ზიარებაჲ 0. 24); გუაქუნდის (უურაობაჲ გუაქუნდის 35ბ, 4), მაგრამ ამათ გვერდით არის ჰქონდა 2, 7 ;ჰქონდის 6, 12.

ბ) უცნაურია **აღაოჭრდეს** ფორმა, რომელიც ორჯერ გვხვდება ხელნაწერში: ოთხნი ეკლესიანი მათ მიერ აღაოჭრდეს 17, 2; რაჲთა დაირღუას და აღაოჭრდეს ესევითარი ესე სამოწესეოჲ სამკჳდრებელი 19, 1. უთუოდ ინდივიდუალურია, მაგრამ აშკარა შეცდომა მგონია და გამოცემაში გავასწორე.

გ) **დარღუევა** ზმნისაგან II კავშირებითის ფორმად მოსალოდნელია **დაირ-ღუეს,** მაგრამ გვაქვს: რაჲთა დაირღუას 19, 1.

დ) გვხვდება ერთი მაგალითი არს ზმნის შემოკლებისა: რაჲ-ა ნაყოფი სუ-ლისაჲ 15, 11. შეიძლება ამას დავსძინოთ „დაკლებულ-ა“ (გარნა რიცხუსა ყრმა-თასა ნუმცა ოდეს დაკლებულა სწავლისაგან 31, 6).

ა) **უნდა** ზმნა ძველებური წესით აწარმოებს I კავშირებითს: უფროსი გან-სუენებაჲ უნდეს 0, 5. [თანა 21, 2.

ვ) **ქმნა** ზმნისაგან გვხვდება წყვეტილში „ქნა“: ძალმან ღმრთისამან ქნა ჩემ

უ დ ე ტ რ ე ბ ი

29. **კავშირთაგან** აღსანიშნავია **რაჲ,** რომელიც დროის დამოკიდებულ წინა-დადებაში გვხვდება: მოვიჴსენე რაჲ დღე აღსასრულისა ჩემისაჲ 1, 3; მიიცვა-ლებოდის რაჲ პირველი წინამძღუარი 5, 6: აღასრულონ რაჲ საღმრთოჲ საჲ-დუმლოჲ 5, 7.

30. **მო** და **მი.** ესენი კარგად ცნობილი ზმნისწინებია, მაგრამ წინდებულის ფუნქციითაც გვხვდება სახელთან და ზმნიზედასთანაც: ვიდრე მოაქამდე 27, 1;

მიმუნადმდე 3, 2; მიკნინადმდე 1, 5; დიდითგან და ვიდრე მიმცირეთამდე 3, 3; ვიდრე მიგანლიმებამდეცა 12, 10.

31. **თანდებულთაგან**

ა) **მდე** ერთხელ **მდინ** ფორმით გვხვდება: რაჲთა იყოს რიცხჳ ზოგად ცხორებულთა მათ ძმათაჲ ორმეოცდაათამდინ 6, 2.

ბ) **-და** თანდებული: მიმსახურებია საბერძნეთისადა 1, 4; მიცემული მისდა 2, 16; მიგჳცემიეს უკუე სოფელი ესე პრილონგი მონასტრისა ჩუენისადა 2, 2.

გ) **ებრ** თანდებული ნათესაობითში დასმულ სახელს დაერთვის: წესისაებრ, ჯერისაებრ, ჩუეულებისაებრ, ჩუენისა ამისებრ დამცნებისა 27, 4 და მისთ., მაგრამ გვხვდება აგრეთვე: ღმრთის მოყუარებრ 19, 4; ძმებრ-ივ-ად 19, 4.

სინტაქსის საკითხები

32. **პირდაპირი ობიექტის შეწყობა სახელზმნებთან.** ზმნის საწყისს შეუძლია პირდაპირი ობიექტი შეიწყოს სახელობითსა და მიცემითში:

ა) **სახელობითში:** წარყვანებად სტუმარი 8,12; ყოფად დღესასწაული 11, 1; მიცემად საკუმეველი, ზეთი და სანთელი 31, 3; უკუეთუ ინებოს ვინ დაჴსნად ესევითარისა ამის სტუმართმოყუარებისა წესი 29, 10; დაჴსნად სჯულის-დებაჲ ესე 33, 1; ყოფად **საჴსენებელი** ჩემი 0, 27; მოგონებად საშინელი იგი და შესაძრწუნებელი განკითხვაჲ 1, 1 და მისთ.

ბ) **მიცემითში:** ჩუენებად მათდა გზასა ჭეშმარიტებისასა 14, 2; ყოველსავე საზომისაებრ ჯერ-არს ქმნად 14, 3 და მისთ.

საყურადღებოა, რომ მიმღეობასა და მიმღეობის ტიპის სახელსაც შეუძლია შეიწყოს ობიექტი (პირდაპირი თუ ირიბი) მიცემითში: მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი 0, 4; უმეცარი სჯულსა მას კანონთასა 13, 7; მეცნიერი სჯულსა მას კანონთასა (იქვე).

შეიძლება, რომ ერთმა და იმავე ფორმამ პირდ. ობიექტი შეიწყოს სახელობითშიც და მიცემითშიც: ჯერ-არს ფსალმუნებითა და გალობითა **აღსრულებად** მის ზედა ყოველივე **წესი** სამკუდროჲ 22, 1; ვერ ღირს ვიქმენ **აღსრულებად გულის-ზრახვასა** ჩემსა 1, 2; ღირს მყო მე ღმერთმან **აღსრულებად გულის-თქუმასა** გულისა ჩემისასა 1, 5.

რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ხშირია პირდაპირი ობიექტის ნაცვლად უბრალო დამატების შეწყობაც ნათესაობითის ფორმით: და განვაწესეთ ყოფად მისთჳს ლოცვისა მრავლისა და ჟამის წირვისა (2, 12); არცა სადღესასწაულისა ჭურჭლისა ჯერ-არს ქონებად, არცა წუენისა ქმნად, გინა კიდეგნად ტაბლისა შემზადებად ანუ თუ მოღებად რაჲსამე საზიაროსა მას ტრაპეზსა 4, 4.

33. **მცა** ნაწილაკს ჩვენს ძეგლში ყველგან შენახული აქვს თავისი სინტაქსური ძალა: წინადადებაში იგი ზმნას შეიწყობს თხრობით კილოში და აძლევს მას კავშირებითის მნიშვნელობას. ასეთი ფორმა შეიძლება ბრძანებითის მნიშვნელობითაც იყოს გამოყენებული. მაგრამ, თუ **მცა** ნაწილაკი შერწყმულ წინადადებაშია ნახმარი და რამდენიმე ზმნას ემსახურება, შეიძლება ყველას არ გასწვდეს მისი ძალა. ამის მაგალითია: **რაჲთამცა** ანუ სახლი **იშენა** ამათ შინა, ანუ სა-

ხიზნავად თჳსად **შექმნა** ,ანუ დამკჳდრებად მას შინა **ინებოს**, გინა უფლებად მი-სა, ანუ რასაცა გუარსა სახესა შემოსავალთა მისთაგანსა **თუალ-ახუნეს** და **მია-ხუეჭოს**, ანუ **შეძინების-მოყუარებდეს** რასაცა ზედა·**საჭმარსა, დიდსა გინა მცი-**რესა, ანუ მებრ ლიტონითა სიტყჳთა ერთითა ხოლო მიტაცებად **მოიგონოს** 18, 5. აქ მოყვანილ ზმნის ფორმათაგან მხოლოდ პირველი ორია თხრობითი კილოსი (იშენა, შექმნა), რომლებზედაც ვრცელდება **მცა** ნაწილაკის გავლენა, მომდევნო-ები კი ყველა კავშირებითის ფორმებია. არ ვიცი, დედანშიც ეგრე იყო, თუ გადმომწერმა გადააკეთა უნებლიეთ. ამ საკითხს სხვა ძეგლების მიხედვით უნდა შესწავლა.

34. **შედგენილ შემასმენელში შემავალი სახელის ბრუნვა.** შედგენილი შე-მასმენლის სახელი ჩვეულებრივ წრფელობითში დგას: და მე ვიქმენ უფალ და ჴელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა 2, 13. აქ წრფელობითია როგორც **უფალ**, ისე **ჴელმწიფე** და მათთან შეწყობილი **სოფლისა** და **ციხისა**[1]. სხვა მაგალითი: ბრძენმცა არიან და გულისჴმის მყოფელ, ერთ-გულ და ერთ-სიტყუა 4, 1; და იყავნ ტაბლაჲ მათი საზოგადო და საერთადო 9, 2; და უკუეთუ... არა მაოჴრებელ იპოოს მონასტრისა ჩუენისა, იყავნ იგი კურთხეულ 30, 3; რაჲთა არა მოყუასთა თჳსთა სახე ბოროტისა ექმნას და მოძღუარ ურჩებისა და მისთ.

ხშირად წრფელობითის ნაცვლად ვითარებითი იხმარება: ერთი იყოს წინა-მძღუარ და მწყემს მონასტრისა და ძმათა 6, 3, მაგრამ იქვე: ორნი იყვნენ იკო-ნომოსად 6, 5; ერთი დეკანოზად იყოს 6, 6; ერთი იყოს კელრად 6, 12 და სხვ. ასეთივე მაგალითებია: ვყვენ ესენი **წინამძღუარ** ჩემდა ცხორებისა და **მეოხად** ქრისტეს მიმართ 1, 3; რომელი-იგი არა იყოს **მიზეზ** მონასტრისა **ვნებისა, არცა ახალ-სახეობად** რაჲმე, არამედ **სიმტკიცედ** **წინამდებარეთა საქმეთათჳს და ხის-რულედ ღმრთის მსახურებისა 20, 1.**

არის, რა თქმა უნდა, სახელობითი ბრუნვის ფორმის ხმარების შემთხვევე-ბიც: მდიდარი იყო 2, 15 და სხვ.

სხვადასხვა

35. **სტილისტიკის** თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ბაკურია-ნის-ძე ხან მხოლობითი რიცხვის ფორმით მოგვითხრობს თავის ნაქნარ საქმე-ებს, ხან მრავლობითით. მაგალითი: გარნა ვინაჲთგან, წინამძღურებითა ღმრთი-საჲთა, აღიშენა **ჩემ მიერ** ზემო თქუმული ესე ეკლესიაჲ და მონასტერი **ჩემი, ვყავთ ჩუენ** ბრძანებისაებრ მისისა და **მოვიყვანე** ლარნაკი მისი აქა, მონასტერსა და ეკლესიაჲსა სამარხოსა **ჩემსა**, და მუნ **დავდევით** საფლავსა შინა გუამი მისი 2, 11; აწ უკუე, ვითარცა **ვთქუ**, სოფელი იგი პრილონგი, მისისაებრ **განწესები-**სა, **მივეცით** მონასტერსა **ჩუენსა** და სამარხოსა მისსა და **განვაწესეთ** ყოფად მისთჳს ლოცვისა მრავლისა და ჟამის წირვისა.

36. აგრეთვე აღსანიშნავია სინონიმური გამოთქმები: დამჭირვად და პყრო-

---

[1] **სოფლისა** და **ციხისა** ნათესაობითის ფორმაა, ფუძედ გამოყენებული სხვა **სახელის გან-**საზღვრებისას და ამ შემთხვევაში ნათესაობით-წრფელობითია.

ხად 7, 2; ჯერ-არს და სამართალ 4, 12; 20, 2; 26, 1; დღეს და ეგოს 5, 5; მორჩილებასა და მსმენელობასა 6, 22; უჯეროვნეს და უმჯობეს 9, 2; ყოველსავე შინა საქმესა ურჩებისა და უსმენელობისასა 15, 2; განბძარვაჲ და განყოფაჲ 15, 6; შერჩულვაჲ და განკანონებაჲ 15, 6; ყოვლადვე და მარადის 27, 1; განუწესებ და განუსაზღვრებ 28, 1 და სხვ.

ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვებში ყურადღებას იქცევს:

37. პირველ ყოვლისა, **კომნიანოს**-ი (2, 18). ამ სამეფო გვარის ასეთი ფორმა ცნობილია აგრეთვე სხვა ქართული წყაროებიდანაც: „მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნიანოსი“ (ისტორიანი და აზმანი. ქ. ცხ. II, 16); „მოიყვანეს ასული კომნიანოსისა“ (ჟამთა აღმწერელი, ქ. ცხ. II, 274).

ბერძნული ანბანის მერვე ასო (η) რომ **ია**-დ იყოს გადმოცემული ქართულში, ამის მაგალითია კიდევ **სკლიაროს**-ი („მას ჟამსა შინა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ“ (ცხორ. იოვანესი და ეფთჳმესი, 16). ჩვეულებრივ η ასო ამ დროს **ი**-დ გადმოდის (დიმოსი, იპოტირიტ-ი, იპომნიმა-ჲ). უკანასკნელ ორ სიტყვაში მხედველობაში გვაქვს ის **ი**, რომელიც **რი** და **მნი** მარცვლებშია შესაბამისად.

38. χ ასო ვიწრო ჴმოვნების წინ **შ**-ინად არის გადმოცემული: დოშიარი, პანაშჳდი, ქსენადოში, შემეფტონი, შერნიმოქსესტი (ნ. თავ-თავის ადგილას ლექსიკონში). პანაშჳდ-ის ნაცვლად უნდა გვქონოდა **პანიშიდი**, მაგრამ ჴმოვანთა ასიმილაცია მომხდარა (**პანა-**) და შემდეგ რიცხვითი **შუიდ**-ის გავლენით უმარცვლო **უ** ჩართულა სიტყვაში (პანაშუიდი, პანაშჳდი).

χ რომ **შ**-დ იყოს ქცეული, ეს ცნობილია სხვა წყაროებიდანაც: ქუათაჴევის და ვლაშერნის ღმრთის მშობელსა შემოგწირეთ (ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. III, 76, 10); ანდიოშისა, რაც ამას უდრის: ანტიოხიისა, ანტიოქიისა (მცნება სარჯული, 1470—1474 წ., ს. კაკაბაძის გამოც. 1913); ეს ფართოდ გავრცელებული ფონეტიკური მოვლენა ცნობილია ჭანურიდანაც, სადაც იმავე ბერძნულიდან **შილიდონი** („მერცხალი“) და **შილია** („ათასი“) შემოსულა (ნ. მ ა რ ი, ჭანური გრამატიკა, 205).

39. γ ასო რომ **ღ** იყო ა-ს წინ XI საუკუნის ბერძენთა გამოთქმაში, ეს გიორგი მთაწმიდლის ანდერძიდანაც ვიცით, რომელიც მან მის ნარედაქციევ ფსალმუნთა წიგნს დაურთო[1]. ამის მაგალითები ტიპიკონშიც არის: აღაპი 36, 1; ღეღატად დამიც 18, 10; ლოღარიასობით 26, 4 და სხვ., მათ შეიძლება **დაემატოს** ამ ასოს **ღ**ანად გამოთქმა **ო**-ს წინაც (კაცის სახელი მარღონა 35ა, 10), მაგრამ იგი **გ**-დ რჩება **ლოგის-ქმნილ**-სა (2, 1) და **პანაგირ**-ში (9, 3) და **ჟ**-დ გვევლინება პანაჟურელთა-ში (35გ, 9), ვაჟინარ-ში (6, 21) და ჟელოვა სოფლის სახელში (6, 2).

---

[1] ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მზ. შანიძემ, I ტექსტი. 1960 (ძველი ქართული ენის ძეგლები. 11). აქ იკითხება: უკუეთუ ვინმე ამას ჩუენსა შრომით და რუდუნებით ქმნილსა და ყოვლითა ჭეშმარიტებითა სავსესა ნაშრომსა და აღწერილსა არა ჯერ-იყოს და კე იცოდის, ანუ **ღარ**, გინა **ოტი**, ანუთუ **ღმერთი** და **უფალი**, მაშა ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს“ (გვ. 027). აქ **ღარ** = γάρ.

40. ბერძნული **σμ**, **σρ** და **χτ** კომპლექსი გადმოცემულია **ზმ**, **ზრ** და **ხტ**-ს სახით (შესაბამისად): ზმოლინა (35ბ, 8, 18, 20), ზრავიკი (2, 13; 29, 6), პრახტიკონი (35ბ, 30, 31, 34).

41. ბერძნულს არა აქვს შიშინა ბგერები **შ** და **ჩ** (რა თქმა უნდა, არც სათანადო ნიშნები ანბანში), ამიტომ მათ ნაცვლად სისინა ბგერებს გამოთქვამენ. მაგრამ ქართველის ყურს რომ **შ** და **ჩ** ესმოდა ბულგართაგან სოფლის სახელებში, მას არ გაუჭირდა სწორად დაეწერა: შიკონი (35ბ, 9) და ჩრვენა (35ბ, 2).

42. ზოგი სახელი, წარმოშობით სლაური ან სლაური გზით შესული ბერძნულში, ტიპიკონის ქართულ რედაქციაში გადმოცემულია იმდროინდელი ბერძნული გამოთქმის მიხედვით. ეს ეხება **ჩ** ბგერას, რომლის საპირისპირო სისინა ბგერაა **ც** (უფრო ზედმიწევნით რომ ვთქვათ, სლაური ч ბგერის შესატყვისი საპირისპირო სისინა ბგერაა **ц**). მის გადმოსაცემად მარტო ζ არ ყოფილა საკმარისი და წინ **τ**-ს უწერდნენ, ალბათ, სიყრუვის გასაძლიერებლად: **τζ**. ეს კი ქართველის ყურს უფრო **წ**-დ ესმოდა, ვიდრე **ც**-დ. ამიტომაა, რომ გვაქვს გეოგრაფიული სახელები: პეტრიწონი, ლიპიწონი, ზაუწი და ეთნიკური პეწინაგი.

* *

II. ლექსიკონი

Ⴀ

აბარმად-ი (0, 22; 16, 1; 21, 5). ს. ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით **აბარმად**-ი ჰქვია (ს. ორბელიანს **აბრამად**-ი აქვს) ეზოს მოძღვარს ან კანდადატს (!). ხოლო „ნაზირ“ სიტყვასთან ლექსიკოგრაფი შენიშნავს, რომ „სალაროს ნაზირს აბრამადი ჰქვიან, ქარხნის ნაზირს კი — ეზოსმოძღვარიო“, მაგრამ არ ჩანს, საიდან აქვს მას დამოწმებული ეს სიტყვა. სულხანის ლექსიკონიდან **აბრამადი** გადასულა დ. ჩუბინაშვილისაში, სადაც იგი ასეა ახსნილი: „ნაზირი, дворецкий“ და ნაჩვენებია წყარო **გჯ.** 15, 20 (ე. ი. გუჯარი?). პეტრიწონის ტიპიკონში ეს სიტყვა სამჯერ გვხვდება, მაგრამ ისე, რომ მასთან ერთად დასახელებულია ან იკონომოსი, ან განმგე. ბერძნულ ტექსტში კი სათანადო ადგილას ორივე ქართული სიტყვის შესაბამისად ან ეპიტროპოსია ნახსენები, ან იკონომოსი: ჴელისუფალთათჳს მონასტრისათა, რომელ არიან იკონომოსნი და აბარმადნი 0, 22 **περὶ τῶν ἐπιτρόπων**: რაჲთა არაოდეს დაუტეონ პატიოსანი სამოწესეოჲ ჩუენი თჳნიერ ეპიტროპოსთა და იკონომოსთა (**ἄνευ ἐπιτρόπων**), რომელ არიან განმგენი და აბარმადნი 16, 1; და ყოველივე წინამძღუარმან და განმგეთა განუყონ თანაგანზრახვითა და მეცნიერებითა აბარმადთა და იკონომოსთაჲთა 21, 5 **διὰ τῶν καθηγουμένων καὶ οἰκονόμων.**

მოყვანილი ადგილების მიხედვით ცხადია, რომ აბარმადი მონასტრის ხელისუფალთაგანია.

სეტის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერაში მოხსენებულია აბარმადი იონა და ნაცვალი მიქელა-ჭურა: „მოიჭედა აბარმადობასა ინასსა (იკითხე: იონაისასა), ნაცლობასა მქელაჭურასასა“) [ეს ხატი, ე. თაყაიშვილის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მე-12-13 საუკუნეს: არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი 1937, გვ. 267—268]. ამ წარწერის მიხედვით აბარმადი მონასტრის წინამძღვარი ჩანს.

თამარ მეფისაგან გელათისათვის ბოძებულ სიგელში აჯამეთის აბარმადი იკითხება: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩემი შემდგომითი შემდგომად მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ოთხმიზდურთა, ნაცვალთა, აჯამეთის აბარმადთა[1], ტყისმცველთა, გოგნისა ციხის[ა ც]იხისთავთა, ჴელი-

[1] თ. ჟორდანიას მოჰყავს კითხვის ნიშნით: აჯამეთის აბრმდათა (?), ტყის მცველთა (ქრონიკები, II, 74). ალბათ, სიტყვა დედანში შემოკლებულად არის დაწერილი (აბრმადთა) და უნდა წავიკითხოთ „აბარმადთა“.

სუფალთა, გზირთა და ყოველთა საქმი[ს მოქმედ]თა ჩუენთა, დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ [უშალავთ] ბრძანებასა ამას ჩუენსა (თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 73—74; С. Какабадзе. Грамота царицы Тамары Великой на имя Гелат от 1193 г.: Известия Кавказского историко-археологического Института. III. (1925), გვ. 116. მ. თარხნიშვილით აბარმადი — dispensator („გამგე“, „ეკონომოსი“), ს. ყაუხჩიშვილით — კელარი (Georgica V, 85).

[**აბრაგ-ი.** ნ. ტაშტ-აბრაგი].

აგარაკ-ი, აგარა-ჲ [გვხვდება ორივე ფორმა]: სახნავ-სათესი ადგილი: ანუ სოფელთა, გინა აგარაკთა მისთა, ანუ ციხეთა 18, 5; აგარაებითა 2, 3; 2, 12; აგარაებითურთ 2, 2. (მიმოხ. 15ა).

ადგილ-ი: ნუჟიერისა ადგილისა 5, 10; ადგილი მოუყიდონ ეკლესიასა 26, 7; მისდა მინიჭებულთა ადგილთაგან 2, 13; ყოველსავე საქმესა შინა და ადგილსა 8, 4; მონაგებთაცა ადგილისათა 4, 6. ნახე ალაგი.

ადგილ-ცემა-ჲ: უკუეთუ მიუშუას ვინ და ადგილ-სცეს მათ 4, 6.

ადვილად 0, 6; 6, 3.

ავლინ-ი (αὐλή) ეზო, კარ-მიდამო: პერითორისა ციხესა შიგნით ავლინი 2, 7; ნასყიდის ნაწერები ვარდანისი ავლინისათჳს 35გ, 3.

აზნაურ-ი თავისუფალი: მნებავს, რაჲთა იყოს იგი აზნაურ და თავისუფალ ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თჳსთა და ნათესავთა ჩემთა 18, 1; რაჲთა აზნაურად ეგოს 18, 10; 25, 2; რაჲთა იყოს თავისუფალ ყოვლითურთ, აზნაურ და თჳთ-ჴელმწიფე და უფროჲსღა მიტროპოლიტისაგან ფილიპოპოლელთაჲსა არს აზნაურ და შეუვალ 3, 1-2.

აზნაურებაჲ თავისუფლება: აზნაურებისათჳს 0, 9.

ათორმეტ-ი: აღიღოს ათორმეტი ფოლი 18, 2; საუფლოთა მათ ათორმეტთა დღესასწაულთა წინაშე 12, 3; აქ იგულისხმება უთუოდ ხატები 12 საუფლო დღესასწაულისა კანკელზე.

ათრვამეტ-ი: სამას ათრვამეტთა წმ. მამათაგან 18, 5.

ალაგ-ი მიწის ნაკვეთი. საკუთრად თავისა თჳსისათჳს ალაგისა რაჲსამე ღუწოლაჲ ძმისაჲ 4, 3; ყოვლითა ალაგითა და შემოსავლითა 2, 8. ნახე ადგილი.

ალამ-ი ზეწრის კუთხე (?): სუდარაჲ ოთხი ოქროწერილითა ალმითა 34ა, 49 (არაბ. علم დროშა).

ამიერ განსლვაჲ მიცვალება, მოკვდომა: შემდგომად ამიერ განსლვისა პირველისა მის წინამძღურისა 5, 4 (შდრ.: შემდგომად მიცვალებისა მის წინამძღურისა 5, 5).

ამოკუეთა-ჲ. ნ. აღმოკუეთაჲ.

ანასდეულად 5, 5 უეცრად.

ანაფორა-ჲ: სამი სეფისკუერი უდიდროვნესი, რომელსა **ანაფორაჲ** ეწოდების 21, 9 (αἱ ἀναφοραί).

ანგარიშ-ი (სპ. انگارش): ლოღარიას ქმნისათჳს და ანგარიშის ყოფისა 0, 32.

ანგაჰარ-ი: ანგაჰარნი და ჴელოვანნი 24, 2; **ანგაჰრება-ჲ:** ანგაჰრებითა 4, 11 (მიმოხ. 9, ც).

ანდერძ-ი: ანდერძსა შინა მისსა 2, 9; 2, 13.

აპალარ-ი (ἀπαλαρία, ლათ. epularis-აგან) ლანგარი: მივსცენ ვეცხლისა აპალარნი სამნი, რაჲთა შექმნენ ზემო თქუმულთა წმიდათა შთასასუენებელნი ბუდენი, სამწერლობელნი და სხუაჲ, რაჲცა ჰმდეს 34ბ, 7.

აპეტის-ი, აპეტისონ-ი: დალაცათუ შემოსავალი ყოველი ფერი მონასტრი-

საჲ სეკდენბერისა თუესა შეკრბების და აპეტის იქმნების (καὶ ἀπαιτήσεις γίνονται) 9,3; სხუაჲ აპოდიქსი აპეტისინისა თემისა ზმოლინაჲსაჲ 35ბ, 20 (ἀπαίτησις, მრ. ἀπαιτήσεις) „მოთხოვნა“, „გადახდევინება“.

აპოდიქს-ი, აპოტიქს-ი ხელწერილი (ἀπόδειξις): აპოდიქსი მიხაელ მეფისაჲ... ოცდაშჳდისა ლიტრისაჲ 35ბ, 19; სხუაჲ ჲპოდიქსი აპეტისინისა თემისა ზმოლინაჲსაჲ 35ბ, 20; აპოტიქსსა შეუქმოდის 26, 1; აპოტიქსსა აიღებდეს 26, 2; 26, 3; აპოტიქსები 35გ, 9. „საბუთი“ (ყაუხჩ. 287).

აპოსკედეფსობა-ჲ: სხუაჲ სამეუფოჲ პიტაკი, აპოსკედეფსობისათჳს 35ბ, 17 **ἕτερα πιττάκια τρία ἀποσχιδευμοῦ.** გადასახადის „გაშვება“, „ამოკვეთა“, „გადასახადისაგან განთავისუფლება“ (ყაუხჩ. 287).

არცა თუ: რამეთუ არცა თუ ნეტართა მათ იწროჲ რაჲმე ცხორებაჲ უქადაგებიეს 0, 6.

არწივ-ი: მსგავსად არწივისა მაღლად მფრინვალისა 15, 13.

არხონდ-ი. ნ. საარხონდოჲ.

ასაკ-ი, უასაკოჲ. ნ. ჰასაკ-ი (მიმოხ. 9 Ⴇ).

ასო-ჲ ვითარცა ასოჲ დამპალი 15, 6.

ასოჲს მოდგამ-ი სახლეული, თავისიანი: ხარკად ზედა-აც ყოველთა მწყემსთა კრებულისათა, რაჲთა ჰმწყსიდენ სულიერთა მათ სამწყსოთა მათდა რწმუნებულთა, ვითარცა ასოჲს მოდგამთა თჳსთა 15, 3 ὡς οἰκείοις.

აღაპ-ი (ἀγάπη) მკვდრის სულის მოსახსენებლად დაგებული ტრაპეზი: აღაპისა ჴსენებაჲ 0, 21; რაჲთა ჩემთჳს აღაპსა ჰყოფდენ 37, 8 **любовная вечеря, поминальная трапеза по умершим.**

აღ-არ. ნ. აღსაარებაჲ.

აღგება-ჲ: ჩემგანვე აღგებულნი სახლნი 2, 5.

აღება-ჲ, აღღება-ჲ: რაჲთა წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს 6, 9; მის ხოლო საჭმრისა ჯერ-არს აღებაჲ და შეწყნარებაჲ 20, 1; ჩემთა პრასტინთა ყოველსავე შემოსავალსა აიღებდა და დაჰმარხვიდა 2, 16; აპოტიქსსა აიღებდეს 26, 2; 26, 3; რაჲთამცა აიღეს ძმათა თავიეთ შესამოსლისა ფასი 9, 3; ყოველსავე საჭმარსა თჳსსა კორციელსა ეკლესიისაგან აღიღებს მღდელი 7, 4.

აღვსება-ჲ: დიდებულსა მას ქრისტეს აღდგომისა დღესა, დიდსა კჳრიაკესა, რომელ არს აღვსებაჲ 9, 3; წმიდასა და დიდებულსა ბრწყინვალესა დღესა ქრისტეს აღდგომისასა — აღვსებასა 21, 10; ერთ-ჯერ სეკდენბერსა და მეორედ აღვსებასა 26, 1; ზატიკთა შინა აღვსებისათა 8, 8 აღდგომის დღესასწაულებზე.

აღზრდილ-ი: აღზრდილნი ფუფუნებით 0, 4; მჴედრობით აღზრდილნი 0, 4.

აღთქუმა-ჲ: უკუეთუ ეცრუვოს წინამძღუარი, ანუ სხუაჲ ვინ ჴელისუფალი აღთქუმასა თჳსსა 0, 25.

აღკუეცაჲ ბერად შედგომა, пострижение в монахи: უკუეთუ აღკუეცაჲ ინებონ 25, 3.

აღმართვა-ჲ: რომელი-ესე აღემართა მას შინა 0, 2.

აღმოკუეთა-ჲ, ამოკუეთა-ჲ: რვეულნი ყოველსი რვითა ფურცლითა არიან და არა არს მას შინა აღმოკუეთილი, და ნუცაღა ვინ იკადრებს აღმოკუეთად 36, 8; ყოველთა შინა ეკლესიათა ერთი სეფისკუერი აღმოკუეთილ იქმნას 21, 9; სამი სეფისკუერი... და ამოკუეთილ იქმნას ერთი 21, 9.

აღმოსავალეთ-ი, აღმოსავლეთ-ი. ნ. გეოგრ. სახელებში.

აღნთება-ჲ. ნ. ნთებაჲ.

აღოჴრება-ჲ: ამ ზმნისაგან ვნებითი გვარის ფორმა წყვეტილის მე-3 პირის მრავლ. რიცხვსა და I კავშირებითის (Iმყოფადის) მე-3 პირის მხოლ. რიცხვში იქნება: აღოჴრდეს 17, 2 (წყვ.); 19, 1 (I კავშ.). ხელნ.-ში: აღაოჴრდეს (აქ გასწორებულია). [მიმოხ. 28 ბ].

აღრაცხილებისა წესი: უკუეთუ იყვნენ ,სადა მახლობელთა თჳსთა ჩუენთა ცოცხალთაგანნი,—მათ ვიტყჳ, რომელნი აღრაცხილებისა წესითა მახლობელ ჩუენდა იყვნენ თჳსებით 25, 1. აღრაცხილებისა წესითა — **κατὰ βαθμόν** „საფეხურებრივ“ (ე. ი. ნათესაობის ხარისხის მიხედვით).

აღსაარება-ჲ, აღსარება-ჲ: ჯერ-არს აღსაარებად 13, სათ.; ძმათა თანა-აც არა წარსლვად და აღსაარებად სხუაგან სადა და ესრეთ სივერაგით ზაკულებად აღსაარებისა მიმართ 13, 2; მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭეშმარიტთა ბერძენთა ნათესავისასა 1, 2.

ი/უ: ჯერ-არს, რაჲთა ყოველთა დღეთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღუარსა გულის სიტყუათა და საქმეთა და ყოველსა ბრალსა 0, 19; მას უთხრობდენ და აღუარებდნენ ყოველთა ცთომათა 13, 7.

აღსავსე: რომელი აღსავსე არს ყოვლითა კეთილითა 0, 4. შდრ. სავსე.

აღსარება-ჲ. ხ. აღსაარებაჲ.

აღსასრულ-ი სიკვდილი: ჯერ-არს და სამართალ მარადის მოლოდებად ზოგადსა მას ყოველთა კაცთა აღსასრულსა 1, 1; ვიდრე დღედმდე აღსასრულისა მისისა 5, 1.

ნ. აღსრულებაჲ, აღსრულებადი.

აღსრულება-ჲ: ოდეს ზედა მწირველმან საიდუმლოჲ აღასრულოს 21, 10; დღესასწაულისათჳს წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა და სხუათათჳს საუფლოთა დღესასწაულთა და საჩინოთა წმიდათა, რომელ ბრწყინვალედ აღესრულებოდიან 0, 17.

აღსრულებად-ი რომელიც უნდა აღესრულოს, მოკვდეს: გარნა არა თჳნიერ ნებისა გინა დაჯერებისა აღსრულებადისა მის წინამძღურისა 5, 3.

აღსუარულ-ი 15, 7 ცომი.

აღფუვნება-ჲ. ნ. ცომი.

აღჩენა-ჲ ი/უ—დ: კეთილად აღუჩნდა ამისი შჯულად დამარხვაჲ 17, 3.

აღშენება-ჲ (ვნებითი ინითაც არის ნაწარმოები): ივანოვა აგარაკი, რომელსა შინა აწ მონასტერი აღიშენა' 2, 1; აღიშენა ჩემ მიერ ზემო თქუმული ესე ეკლესიაჲ 2, 11; აღიშენოს უკუე სამწიროჲსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი 29, 4 (მიმოხ. 25).

აღშფოთება-ჲ: რომელი ზეციერსა მას მორჩილებასა ზაკულებით აღაშფოთებდეს 4, 13.

ახალ-სახეობა-ჲ (*καινοτομία*): დიდიცა სავნებელი და ახალ-სახეობაჲ არა სულიერი ოდენ შორის შემოვალს 4, 6; რომელი-იგი არა იყოს მიზეზ მონასტრისა ვნებისა ,არცა ახალ-სახეობად რაჲმე 20, 1.

ახალ-შენებულ-ი: ახალ-შენებულისა მონასტრისა 0, 2

ახალი ციხე: ახალ ციხითურთ ვრისით 2, 3.

ახლავს: რომელი ფრენკსა ახლავს 2, 2; რომელი სოფელსა ახლავს 2, 2.

ახოვან-ი: ახოვნად მოღუაწესა წმ-დასა გიორგის 1, 3.

Ⴁ

ბარ-ი: მთითა და ბარითა, ტყითა და პლანინაებითა 2, 17.

ბარძიმ-ი (ποτήριον): ბარძიმი ერთი იასპი 34ა, 14 ბერძნულშია δίσκος ἴασπις, მაგრამ დისკოსი ქართულად არის ფეშხუემი; ბარძიმ-ფეშხუემი (δισκοποτήρια) ვეცხლისაჲ 34ა, 13; 34ა 14; ბარძიმ-ფეშხუმები 2, 18.

ბედ-ი: ნებითა ღმრთისაჲთა და ბედითა მეფეთაჲთა 2, 13; ბედითა მეფისა ჩუენისაჲთა 2, 18.

ბოსტან-ი (κῆπος ბაღი): ანუ ვენაჴი ანუ ბოსტანი 32, 1. შდრ. მტილი.

ბრალ-ი: რაჲთა აღუვარებდენ ძმანი წინამძღუარსა ყოველსავე ბრალსა 0, 19; ბრალთა და ცოდვათა ჩემთა თანა-მდებ იყავნ წინაშე ქრისტესა 33, 1.

ბრალობა-ჲ: ბრალობისა ჩუენისაგან თავისუფალ და კურთხეულ იყავნ 33, 2.

ბროლ-ი: ბროლისა ლუდედიკი ერთი 34გ, 1. ბროლი ბერძნულად κρύος. ამის შესახებ ნახეთ ყაუხჩ. 290.

ბრძენ-ი: ბრძენმცა არიან და გულისჴმის-მყოფელ 4, 1.

ბრწყინვა-ჲ. ამისგან მიმღეობის ფორმაა „მბრწყინვალე“ (ელვარედ მბრწყინვალესა 1, 3), მაგრამ პირველი თანხმოვანი ჩვეულებრივ დაკარგულია და შემონახულია უფროობითი ხარისხის ფორმაში (წინ ხმოვნის დართვის წყალობით): ბრწყინვალედ 0, 17; 10, 1; 11, 4; 37, 1; **უმბრწყინვალესი** ტაბლაჲ 8, 7; უმბრწყინვალეს 11, 3 (მაგრამ: უბრწყინვალესად 37, 1). (მიმოხ. 9გ).

ბუდე: ესენი დაისხნეს ვეცხლისა ბუდესა ოქროვანთა შინა 34ბ, 3; რაჲთა შექმნენ ზემო თქუმულთა წმიდათა შთასასუენებელნი ბუდენი 34ბ, 7.

ბუნება-ჲ: რომელნი ბუნებით მოქალაქენი ყოფილ არიან ოდესმე 0, 4.

ბჭობა-ჲ: უღირსი უფროჲს წარემატების ბჭობასა შინა, ვიდრჱლა ღირსი 18, 4.

Ⴂ

გ, ჰგიეს — ეგოს (სტატ. ვნებ.): დგეს და ეგოს 5, 5; რაჲთა აზნაურად ეგოს ყოველთაგან 25, 2; ეგოს იგი წინამძღურობასა მას შინა 5, 1; განუმართებელად ეგოს თჳსსავე თავჴედობასა 15, 6; რომელნი ამას წესსა ზედა ერთობით ეგნენ 15, 5.

გათავისუფლება-ჲ, ი/უ: გლეხი ერთი გაუთავისუფლონ მეჭველად 29, 6; გლეხი ერთი მუნითცა გაუთავისუფლონ 29, 7.

გაკითხვა-ჲ ლოღარიასობით: და ეგრჱთვე მეგანძური, რომელ არს დოშიარი, გაიკითხვოდის ლოღარიასობით წელიწადსა შინა ორ გზის მამასახლისისაგან 26, 4. ნ. ლოღარიას. შდრ. განკითხვაჲ.

გამობერილ-ი: სხუანი ბროლისა ჭიქანი ფსკერედნი, გამობერილნი, ორნი 34გ, 3. შდრ. სადაგი.

გამოზრდა-ჲ: სულთა მათთაჲ უქმს გამოზრდაჲ 28, 2.

გამოკითხვა-ჲ: ყოვლისავე ადგილისა მონაგებთა ჩუენთაჲსა მიმოხილვითა და გამოკითხვითა და განსასუენებელისა ძიებითა 5, 10.

გამოკრებულ-ი: სახარებაჲ ერთი გამოკრებული 34ა, 25; 34ა, 26 (εὐαγγέλιον

καθημερινόν); გამოკრებული იადგარი 34ა, 45; გამოკრებულნი პავლენი 34ა, 40.

გამომეძიებელ-ი: რაჲთა ყოველმანვე გამომეძიებელმან რომლისამე პირისამან ჟამსა თჳსსა ადვილად პოოს საძიებელი თჳსი 0, 6.

გამორჩევა-ჲ: ფრიადითა გამოძიებითა გამორჩევაჲ მღდელთაჲ 7, 1; გამორჩევაჲ და დაწესებაჲ (მღდელთაჲ) 0, 13; წინამძღურისათჳს მონასტრისა, თუ ვითარ ჴერ-არს გამორჩევაჲ და დამტკიცებაჲ 0, 11.

ა—2: რომელი-ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ 0, 6.

ი: ესე წესი, რომელი-იგი პირველითგან გამოცადეს და გამოირჩიეს 15, 8.

გამოსავალ-ი: აზნაურებისათჳს მონასტრისა ჩუენისა ყოველთაგან სამეუფოთა და სამღდელთმთავროთა ხარკთა და მისაჴდელთაგან გამოსავალთა 0, 9.

გამოსახულ-ი: გამოსახულნი (რიცხუნი) 0, 6.

გამოქანდაკებულ-ი: ბროლისა ღუდედიკი ერთი, გამოქანდაკებული 34გ, 1; სხუაჲ ბროლისა მცირე კეფი ერთი, გამოქანდაკებული 34გ, 5.

გამოყვანება-ჲ: რომელი წარვაგეთ კომანთა გამოყვანებასა შინა 35ბ, 7.

გამოჩინება-ჲ· ტიპიკონი იგი გამოიჩინოს 36, 5.

გამოცდა-ჲ: წესი, რომელი-იგი პირველითგან გამოცადეს 16, 8. **გამოცდილ-ი:** მორჩილი სიტყჳსა და საქმისა მიერ გამოცდილ არს 15, 8; რჩეულთამცა და გამოცდილთა დააწესებენ 16, 1; **გამოუცდელ-ი:** თჳთრჩული ყოველი მარადის მცთომ არს და გამოუცდელ 15, 8.

გამოცდილება-ჲ: რომელთა გამოცდილებით უწყიან 5, 9.

გამოცნობა-ჲ 15, 10.

გამოძიება-ჲ: ფრიადითა გამოძიებითა გამორჩევაჲ 7, 1; ჭეშმარიტითა გამოძიებითა სცნობდით ცთომასა მღდელისასა 7, 3. ნ. გამომეძიებელი 9, 8.

გამოწულილვა-ჲ: არა ჴერ-არს გამოწულილვაჲ ბრძანებათა მისთაჲ 15, 4; გამოწულილვისა და ბრძანებისაებრ 15, 10.

გამოჴსნა-ჲ, ი: კომანთა ტყუეობისაგან გამომიჴსნა 2, 19.

გამოჴუება-ჲ: გამოჴუებად ლოცვისაგან 9, 3; მოპარვაჲ ანუ წარწყმედაჲ და გამოჴუებაჲ მონასტრისა ამისგან მოიგონოს 33, 1. ნ. ჴუებული.

განათლება-ჲ: შემკობისათჳს და განათლებისა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა სანთელთა მიერ და კანდელთა 0, 18.

განახლება-ჲ: უსისხლოჲსა მის მსხუერპლისა განახლებაჲ (37, 1), ანუ **სიწმიდისა განახლებაჲ**—**литургия преждеосвященных даров**, missa praesanctificatorum, შემდგომში მას ეწოდება „პირველ შეწირული“ (კ. კეკელიძე **Иер. канонарь**, 338).

განბრწყინვება-ჲ: კანდელთა მიერ და სანთელთა განბრწყინვებისათჳს წმიდისა ეკლესიისა ჩუენისა 12 სათ.

განბძარვა-ჲ: რომლისა ძლით განბძარვაჲ და განყოფაჲ მრავალ გზის შეემთხუევის გუამსა მას ეკლესიისასა 15, 6.

განგება-ჲ. ა—2: არამედ თავადმან ღმერთმან განაგოს 8, 2; რომელსა-იგი თჳსთაგან საჴმართა ყოველთა ეჴმნას, ვითარ განაგებდეს სხჳსასა მას 4, 8; და მერმე თავ-მოთნებით განაგებდეს რასმე 4, 9; ვითარ იგი თავითგანვე **განგებულ** არს 8, 5; თანა-აც ესევითართა მათ სხუათაცა მსახურებისა **განგებაჲ** თავსიდვან 4, 6; არა აქუნდეს თავით თჳსით განგებად რაჲსამე 5, 6; სხუაჲ ოქრობეჭდისა სწორი ერთი კარნუ-ქალაქს განგებისა ჩემისათჳს 35ბ, 15.

განგება-ჲ (ნაზმნარი სახელი) **1.** წესდება: წესი და განგებაჲ სამონაზუ-ნოჲ და საკრებელოჲ... მითვე წესითა და განგებითა დაემტკიცოს 0, 3. **2.** სა-ეკლესიო წესები სვინაქსარის მიხედ-ვით შესასრულებელი: მეცნიერ ყოველ-სა განგებასა ეკლესიისასა წესისაებრ სჳნაქსარისა 6, 6. (ნახე გვ. 17—18).

განგებულება-ჲ 1. მაოკრებელ ამის მონასტრისა ჩუენისა განგებულებისა იპოოს 36, 5 (ნ. განგებაჲ ა—2). **2.** კან-კელი დიდისა კონქისაჲ, რომელსა აქუს გამოსახულად ათორმეტი საჲდუმლოჲ განგებულებისა ქრისტესი 34ა, 12 იგუ-ლისხმება თორმეტი საუფლო დღესას-წაულის თითო მომენტის დასურათება (ხატი).

განთავისუფლება-ჲ. ნ. გათავისუფ-ლებაჲ.

განთჳსება-ჲ: განთჳსებით საკუთ-რად წესისა ძიებითა 4, 6. **განთჳსებუ-ლ-ი:** რომელი განთჳსებულად ყოველ-თა დღესასწაულთა განგჳწესებიეს, რო-მლისა საზომი განთჳსებულად დასას-რულსა ამის ტიპიკონისასა დაგჳწე-რიეს 11, 2.

განიჭება-ჲ (←განნიჭება-ჲ) გაჩუქე-ბა: განსყიდასა და განიჭებასა არა უწა-მებთ 32, 2.

განკანონება-ჲ სასჯელის დადება სა-მონასტრო წესების მიხედვით: ჴერ-არს თქუმად განკანონებით 15, 8; ვაფუცებ განკანონებით 23, 2; ამას განკანონებით და დაშჯილებით ვამცნებ დამარხვად ყო-ველსა ძმობასა 21, 9; შეცოდებულთა მათ განკანონებად სინანულითა 15, 3.

განკითხვა-ჲ: მოგონებად საშინელი იგი და შესაძრწუნებელი განკითხვაჲ 1, 1. **ი:** განვიკითხეთ ურთიერთარს გა-მოცნობით 5, 1. **განმკითხველ-ი:** თუალ--უხუავისა მის, განმკითხველისა გულთა და თირკუმელთასა 5, 8.

განუკითხველობა-ჲ კაცს რომ ბრა-ლი არაფერში ედება: სხუაჲ ოქრო-ბეჭედი ორი განუკითხველობისათჳს კარნუ-ქალაქს მთავრობისა ჩემისა 35ა, 7. ნ. გაკითხვაჲ.

განკრძალვა-ჲ გარიდება, მორიდება: განკრძალვისათჳს საჭურისთაგან 0, 23; განკრძალვად ყოველთა 4, 12. **განკრძა-ლულად:** განკრძალულად ლოცვისათჳს 0, 18; განკრძალულად მოქალაქობითა 8, 4; რაჲთა განკრძალულად და შიშით დაიცვან 33, 2.

განკუეთა-ჲ: წყლულებისა განკუე-თაჲ მხილებისა მახჳლითა 14, 3. **გან-მკუეთელისა** უფროჲს ყოვლის მახჳლი-სა ორ-პირისა 5, 8.

განმართება-ჲ გასწორება: უკუეთუ არა ინებოს განმართებად თავისა თჳსი-სა 4, 13; უკუეთუ **განუმართებელად** ეგოს თჳსსავე ზედა თავჴედობასა 15, 6 (გაუსწორებლად).

განმართლება-ჲ: განმართლებად თა-ვისა თჳსისა 4, 13; და უკუეთუ არა მო-ვიდეს განმართლებად 19, 2.

განმგე-ჲ: თჳნიერ ეპიტროპოსთა და იკონომოსთა, რომელ არიან განმგენი და აბარმადნი 16, 1; და ყოველივე წი-ნამძღუარმან და განმგეთა განუყონ თა-ნა-განზრახვითა და მეცნიერებითა აბარ-მადთა და იკონომოსთაჲთა 21, 5; არა-ოდეს მნებავს ყოფად მონასტრისა თჳნიერ წინამძღურისა და განმგეთაჲსა 16, 1; უცხოთ-მოყუარებაჲ იგი და ქვე-ლის საქმე, რომელი იქმნების მნეთა მი-ერ და განმგეთა ეკლესიისათა 4, 12; ზე-და-მდგომელთა და განმგეთა 8, 1. **განმ-გეობა-ჲ:** რომელნიცა უპირატესნი იყვ-ნენ პატივითა და შემძლებელნი განმ-გეობად 16, 1.

განმგებელ-ი 1. მთავარი, თავადი (ორივე ძველი გაგებით): შემდგომად აღმოსავლეთს განმგებელად წარსვლი-

სა ჩემისა 2, 16. შდრ. მთავარი, თავადი. 2. გამგე საზოგადოდ: განმგებელად მონასტრისა 25, 1.

განმზადება-ჲ: ჯეროვანი ტაბლაჲ განემზადოს 21, 11. შდრ. შემზადებაჲ.

განმრთელება-ჲ განკურნება, მორჩენა: ჯერ-არს დამჭირვად მისა და ფუფუნებად ვიდრე სრულიად განმრთელებადმდე 8, 14; ჯერ-არს მუნამდის დამჭირვაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს 29, 3.

განრინება-ჲ გადარჩენა: რაჲთა ვილუაწოთ განრინებად საშინელთა მათგან საუკუნეთა სატანჯველთა 1, 1.

განსაგებელ-ი: კრძალულად დამარხვისათჳს წიგნისა ამის განსაგებელისა, რომელ არს გუჯარი ტიბიკონისაჲ 0, 39; რომელთათჳს განსაგებელსა ამას შინა ჩუენსა განგჳწესებიეს 7, 4.

განსაზღვრება-ჲ: აწ უკუე ვიწყოთ ჩუენ აღწერად ღმრთისა მიერ განსაზღვრებაჲ ესე საკრებულოჲ 0, 2; 0—2: საზომსა მას ზედა, რომელიცა საზრდელთათჳს განგჳსაზღვრებიეს 8, 1; ი/უ: ამას ვამცნებ და დამჯილებით ვასწავლი და განუსაზღვრებ ძმათა ჩუენთა 16, 1. რაჲთა გულისკმა-ჰყოფდენ აღწერილსა **განსაზღვრებულსა** ამას შინა ტიპიკონსა 36, 3.

განსასუენებელ-ი: გამოკითხვითა და განსასუენებელისა ძიებითა სამკჳდრებელად ძმათა 5, 10; მონასტრისა და მას შინა სამარხოჲსა მის განსასუენებელისა ჩემისა 0, 2.

განსაყოფელ-ი: რომელი ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჳნელისა და ნაწევართა მიიწევის და განჰვლის 5, 8.

განსრულება-ჲ, გასრულება-ჲ, ღ: განსრულდების რიცხჳ 6, 3; ვიდრე ჰასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდენ 31, 5. **განსრულებულ**-ი совершенный: რომელნიცა წმიდად და სათნოდ და ღირსად იპოვნენ და განსრულებულად 7, 1.

განსუენება-ჲ: ფუფუნებით და განსუენებით მსახურებაჲ მათი 0, 34; უკუეთუ უფროჲსი განსუენებაჲ უნდეს 0, 5; ჯერ-არს მისა სამ დღე განსუენებად 8, 13; ჯერ-არს მათი განსუენებაჲ სამ დღე 29, 3; ჯერ-არს მუნამდის დამჭირვაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს 29, 3; სტუმართათჳს განსასუენებლად 29, 2.

განსყიდა-ჲ: ეგრეთვე განსყიდასა და განიჭებასა არა უწამებთ 32, 2; არცა განსყიდად 0, 38.

განსწავლა-ჲ, ი ვნ.: თუ სადა განისწავლნენ 0, 37; 31, სათ.

განსხმა-ჲ გარეკა, გაგდება (პირდ. ობ. მრ.-ში), ი ვნ.: განისხნენ მიერ 31, 6. ნ. განძებაჲ

განფრდა-ჲ ცოდვითა განფრდილი 0, 2.

განფრთხობა-ჲ: განვაფრთხობთ უდებთა და განვაშორებთ მცონარებისაგან 12, 9. ი ვნ.: განვიფრთხვე საწუთროჲსა ამის ზრუნვათაგან 1, 3.

განლიმება-ჲ: ვიდრე მიგანლიმებამდეცა 12, 10.

განყენება-ჲ (მოითხოვს გან-დართულ ნათესაობითს): განყენებისათჳს მათისა მოსენაკეობისაგან 4 სათ.; განვაყენებთ ზეთისაგან 10, 3; განვაყენებ ამისგანცა 4, 3. ე: სიმართლესა განეყენების 2, 9. ნ. დაყენებაჲ 2.

განყოფა-ჲ: განბძარვაჲ და განყოფაჲ 15, 6; საფასეთა განყოფისათჳს 21, სათ.; განყოფასა შესამოსელთასა 9, 2; განყოფად შესამოსლისა 3, სათ. ი/უ: რაჲთა განუყოს წინამძღუარმან ძმათა 0, 15; კუალად განუყონ ძმათა მათ მოსრულთა 21, 4. ე: რომლისა კელითა განეყოფვოდის დაწესებული ესე საზრდელი გლახაკთა და მოგზაურთა, რაჲთა შიში-

თა ღმრთისაჲთა ჰყოფდეს განყოფასა მას; იგიცა მეორესა დღესა გლახაკთა განეყოს 21, 4; გლახაკთა უღონოთა განეყოს დრაჰკანი ათი 37, 1; რაჲთა არარაჲ ესევითარი შეემთხჳოს განმყოფელთა მათ 21, 6. **განყოფილ-ი:** რაჲთა იყვნენ ძმანი სამ დასად განყოფილ 9, 2; არა ხოლო თუ უსწორებლობაჲ და **განყოფილებაჲ** შეიქმნების ამის მიერ 4, 6; **გასაყოფელ-ი** დასარიგებელი საჩუქარი: ფრიადი გასაყოფელი მივეც 2, 11. ნ. განსაყოფელი.

განშუენება-ჲ: ამპარტავანთა სიმდაბლითა განშუენებაჲ 28, 3.

განჩინება-ჲ [განჩენა-ჲ], **ა—2:** დაწესება: ესე ექუსნი საუფლონი დღესასწაულნი ჩემ გრიგოლისთჳს განმიჩენიან 37, 8; და აქა განჩინებით დაგჳწერიეს 8, 1; ჩუენცა განჩინებით დავაწესეთ დღე ჴსენებისა მისისაჲ 30, 2; და ესე კუალად წესისაებრ პირველ ჩემ მიერ **განჩინებულისა** 5, 5.

განცდა-ჲ, ი: შეხედვა, დანახვა: განვიცადე თავი ჩემი 1, 3.

განცხადებულად: წუთლა უპირატეს მსახურთათჳს გუნებავს განცხადებულად თქუმად 8, 1.

განძ-ი (λογάριον) ფული (მონეტა) და სხვა საფასე: განძი როქისაჲ 9, 2 (τὸ λογάριον τῆς ῥόγας); ყოველივე განძი როქისაჲ იყავნ სტამილონი სრული 9, 2; რაჲთა არაოდეს დააკლდეს განძი საფასე (λογάριον) ვიდრე ათად ლიტრადმდე მონასტერსა 26, 7; სამეუფოჲსა განძისათჳს, რომელი წარვაგეთ კომანთა გამოყვანებასა შინა 35ბ, 7; განძითა ნასყიდნი სასახლენი ადგილნი 2, 5; აპოტიქსი განძისაჲ სამისა კენტინარისაჲ 35ბ, 21; ერთი დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად ეკლესიისა, სამკაულთა და სიწმიდეთა და ჱაკმართა და განძისა მცველად 6, 10; განძითა ჩემითა (ἐξ ἡμετέρου λογαρίου) ნასყიდნი სახლნი 2, 5; მონაგებთა და საფასეთა მისთაგან ჴელითა ჩემითა მიცემად სულისათჳს მისისა, ესე იგი არს განძისაგან (ἀπό τε νομισμάτων), ვეცხლის ჭურჭელთაგან, შესამოსელთაგან და სხჳსა ყოვლისავე საჴმრისაგან 2, 15; ძუელი განძი (παλαιὸν λογάριον): რომანატი, მონომახატი, დუკატი, ექუს-თავედი, მიხაილატი 2, 16. აქედან ჩანს, რომ განძი პირველ ყოვლისა ფულია (მონეტის სახით).

აქ ჩამოთვლილი მომენტებისაგან:

1) **რომანატი** უნდა იყოს რომანოზ II-ის მოჭრილი დრაჰკანი (959—963), უფრო კი რომანოზ III არგიროზისა (1028-34). ათონის ქართვ. მონასტრის ალაპებში ეს მონეტა **ჰრომანატ** ფორმით არის მოყვანილი: „დრაჰკანი ჰრომანატი **რ**“ (№ 51).

2) **მონომახატ-ი** კონსტანტინე მონომახის მოჭრილი დრაჰკანი (1042—1054).

3) **დუკატ-ი** კონსტანტინე დუკას მოჭრილი დრაჰკანი (1059—1067).

4) **ექუს-თავედ-ი** იგივე უნდა იყოს, რაც ათონის ქართველთა მონასტრის **ექუს-თავი** („მისცა მონასტერსა სტამენონი ექუს-თავი **ფ**“, № 111), ე. ი. რომანოზ დიოგენისა და მისი მეუღლის ევდოკიას მოჭრილი დრაჰკანი, რომელზედაც ექვსი თავია გამოხატული: წინ რომანოზ, იესო ქრისტე და ევდოკია, უკან ევდოკიას შვილები: მიხაილი, კონსტანტინე და ანდრონიკე. ეს მონეტა ბერძნულ ტექსტში „სკიპტრატად“ არის მოხსენებული (σκηπτράτον) და არა „ექსაკეფალად“, მსგავსად „ტრიაკეფალისა“, რომელიც ალაპებში გვხვდება (№№ 128, 143, 158).

ეს მონეტა საქართველოს სახ. მუ-

ზეუმის ნუმიზმატიკურ განყოფილებასაც მოეპოვება: თ. აბრამიშვილი. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები. 1965, გვ. 105 (აღწერილობა 442-ის ქვეშ), ტაბ. XXV (სურათი № 444-ისა)[1].

5) **მიხაილატ-ი.** პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის დაწერამდე საბერძნეთში ბარე შვიდი მიხაილი იყო იმპერატორის ტახტზე, მაგრამ აქ დასახელებული მონეტა უნდა ეკუთვნოდეს მიხაილ VII-ს (1071—1078), კონსტანტინე დუკას და ევდოკიას უფროს ვაჟს, რომლის მონეტას ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში „დუკატ-მიხაილატი" ეწოდება (№№ 43, 44, 97)[2].

განძება-ჲ გაძევება, გაგდება: ნუცა განაძებთ ვის მღდელთაგანსა მონასტრით 7, 3; და ესრეთ განაძებდით 7, 3; განიძენ მონასტრისაგან 18, 6; განიძოს მონასტრისაგან 36, 5; და თჳთ განიძოს მსახურებისაგან თჳსისა 26, 5. ნ. განსხმაჲ.

განწესება-ჲ წესის დადება, განსაზღვრა, დადგენა: განწესებისაებრ ჩუენისა 21, 5; განწესებისაებრ წმიდათა-პირველთა მამათაჲსა 4, 1; **სოფელი იგი პრილონგი**, მისისაებრ განწესებისა (**κατὰ τὴν ἐκείνου διάταξιν**) მივეცით მონასტერსა ჩუენსა 2, 12.

ა—2: ესე ესრეთ განვაწესეთ 0, 6; განვაწესებთ უკუე და ვამცნებთ 37, 1; განვაწესებ და დავამტკიცებ 37, 8; განვაწესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჩემი 3, 1; სოფელი და ციხე განვაწესე და მივეც 2, 13; მრავალი უკუე სხუაჲცა საქმარი განეწესა სანატრელსა ძმასა ჩემსა მონაგებთა და საფასეთა მისთაგან ჴელითა ჩემითა მიცემად 2, 15.

ი ვნ.: თუ ვითარ განიწესნეს იგინი (სასნეულონი) 0, 35.

ე: და განეწესოს დიდისა ეკლესიისაგან საკუმეველი 31, 3.

განწესებულ-ი: უკუეთუ მის დღისათჳს განწესებულთა ამათ დრაჰკანთაგან 21, 4; ჩუენ მიერ განწესებულისა ამის წესისა სხუად წესად ცვალებად 8, 5; ჯერისაებრ განწესებულისა ამის წესისა 8, 10; სხუათა მათ დამჭირვად და პყრობად განწესებულსა ამას ქუეშე 4, 2. ნ. დაწესებაჲ.

განწურთვა-ჲ. იოვანე და ეფთჳმეს ცხორების მიხედვით, **წურთნა** არის მიწაზე გართხმა და ცემა ლვედით (ნ. წურთნის აღწერილობა დასახელებული თხზულების 68-ე პარაგრაფში).

ი ვნ.: ჯეროვნად განიწუართოს 36, 5. ნ. წურთაჲ.

განქურვებულ-ი: ფურნე და თორნე განქურვებულნი ზამთრისა დღეთა სტუმართათჳს 29, 2.

გარდათარგმნა-ჲ ერთი ენიდან სხვა ენაზე გადაღება (წიგნისა, სიტყვისა): წესი ესე განგებისაჲ გამოვარჩიეთ და

[1] კონსტანტინე დუკას სიკვდილის შემდეგ მას დაჰრჩა შვილები: მიხაილი, ანდრონიკე და კონსტანტინე, რომლებსაც მამამ სიცოცხლეში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა გაუზიარა და გვირგვინი დაადგა. მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ქვრივმა ევდოკიამ შეირთო რომანოზ დიოგენი, რომელიც „ერთ წუთსაც არ ყოყმანობდა, აესრულებინა ვალდებულება, რომელიც მას მოსთხოვეს: დაეცვა ტახტის მემკვიდრეთა უფლება და სახელმწიფო საქმეები განეგო მეფის წულებთან ერთად: მიხაილთან, ანდრონიკესთან და კონსტანტინესთან ერთად, რომლებიც ხელს აწერდნენ ხოლმე ყველა სახელმწიფო აქტს" (**Ф. И. Успенский**, გვ. 66).

[2] ამ ბიზანტიური მონეტების შესახებ ნახეთ **R. P. Blake, Some byzantine accounting practices illustrated from georgian sources: Harvard Studies in Classical Philology. Vol, 51, pp. 11—33.**

გარდავთარგმნეთ ზემო ჴსენებულისა მონასტრისა პანაგიისა განგებისაგან 0, 6

გარდასლვა-ჲ წესის, მცნების დარღვევა: რომელმან გარდასლვაჲ ინებოს მოწევნულისა ამისგან ტიპიკონისა 18, 11; **გარდამავალ-ი:** გარდამავალი მცნებათაჲ 12, 7.

გარდაწყუედა-ჲ გადაგდება, გაუქმება: განწესებულსა მას უჴდურისასა ნუმცა დააკლებენ, გინა სრულიად გარდასწყუედენ თჳნიერ მარხვათაჲსა 8, 5.

გარდაჴდა-ჲ: ვითარცა ხარჯსა და თანა-ნადებსა, ესრეთ ჴერ-არს გარდაჴდაჲ თანა-წარუვალად 12, 5; და თანა-ნადებსა თჳსსა გარდაიჴდიდენ 32, 2.

გარე: შინა და გარე 8, 4; 16, 1. **გარე განდება-ჲ:** და თუ ვისმე უჴმდეს გარე განდებაჲ ამისი 36, 5. **გარე განდევნა-ჲ:** ამას ყოველსა გარე განვსდევნით 4, 3. **გარე განშორება-ჲ:** ამას ყოველსა გარე განვაშორებთ ქონებად ვისსამე 4, 6. **გარე შემოწერილითა ზღვრითა** 2, 2; **გარეთ მოლმართ** 27, 4 со стороны(?). **გარე-მიქცევა-ჲ:** სახლეულთაგან შენთა თუალსა შენსა ნუ გარე-მიიქცევ 15, 13.

გარეგან (მოითხოვს .ნათესაობითს) **1.** გარეთ: გარეგან მონასტრისა 0, 21; 7, 2; 36, 5; გარეგან ქალაქისა 0, 4, **2.** გარეშე: გარეგან შჯულისა 4, 7; გარეგან წესისა სამონაზუნოჲსა 8, 3. **გარეგნით:** ციხესა გარეგნით 2, 5 (შდრ. ციხესა მისინოპოლისასა შიგნით 2, 5).

გარეგან-ი გარეშე, посторонний: ვიდრე უცხოჲ ვინმე და გარეგანი 25, 1.

გარეშე გარდა: გარეშე პირველთა მათ ოქრობეჭედთა 18, 12; გარეშე ჩუენ მიერ განწესებულისა 26, 6.

გარნა 5, 2; 7, 4 მაგრამ.

გაროქვა. ნ. როქი.

გასაყოფელ-ი. ნ. განყოფაჲ.

გასაჴმობლად გასამშრალებლად: ფურნე და თორნე განჴურვებულნი ზამთრისა დღეთა სტუმართათჳს სატფობლად და გასაჴმობლად 29, 2.

გასრულება-ჲ: თჳთო სანთელი ენთებოდის ვიდრე ლოცვისა გასრულებადმდე. ა—**2:** და, რაჲ ლოცვაჲ გასრულიან, სანთელი დაივსნენ 12, 2. **დ:** ოდეს ჰასაკად მოიწინენ და წუერითა გასრულდენ 31, 5.

გაცემა-ჲ: რაჲთა წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს 6, 9.

გაჴმობა-ჲ. ნ. გასაჴმობლად.

გეჰენია-ჲ ჯოჯოხეთი: ცეცხლისა მისგან გეჰენიისა 1, 1.

გზა-ჲ: ვაჭრობისა გზითა 9, 2 ვაჭრობის გამო.

გზის: უკუეთუ შემდგომად ერთ გზის, ორ გზის და სამ გზისცა შერჩულდეს 15, 6.

გლახაკ-ი მათხოვარი: 0, 16; 0, 27; 4, 7; 37, 1.

გლეხ-ი (πάροικος): გლეხი ერთი გაუთავისუფლონ 29, 6, 7; მსახურთა და მუშაკთა მონასტრისათა და გლეხთა მისთა 21, 5; გლეხთა უსამართლოდ მოპაჲრაკებიდა 1, 5; გლეხთა ხოლო მიეცემოდის საკარგავი, რომელნი ეკლესიასა ჰმსახურებდენ და თანა-ნადებსა თჳსსა გარდაიჴდიდენ 32, 2; მონაგებთაგან მონასტრისათა: ანუ გლეხი, ანუ მიწაჲ, ანუ ვენაჴი, ანუ ბოსტანი 32, 1; ეგე მონაგებნი ყოველნი მიგჳცემიან სრულებით ყოვლითა საჴმრითა მათითა: სეფითა ულებითა და ეგრეთვე გლეხებითა, მითითა და ბარითა 2, 17; და გლეხი ერთი ულისა უფალი 29, 1.

გონება-ჲ 1. სინდისი: შიშითა ღმრთისაჲთა და წმიდითა გონებითა (**καθαρᾷ** συνειδήσει) და უბრალოჲთა ნებითა ჰყოფენმცა განყოფასა მას 21, 6; **2.** აზრი, ზრახვა: და იყავნ იგი წმიდა გონებითა (**ἐν καθαρᾷ γνώμῃ**) 29, 1.

გონება-ტკბილობა-ჲ: რეცა გონება-ტკბილობით 4, 12.

გრკალ-ი: უკუეთუ მოიდრიკო ქედი შენი ვითარცა გრკალი 15, 13.

გუადრუც-ი (γλωσσόκομον) კოლოფი, ყუთი: რომელსა გუადრუცი ეტჳრთა 21, 6.

გუარ-ი: 1. მოდგმა, ტომი, ეროვნება: მონაზონნი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან 36, 3. შდრ. ტომი. **2.** ნაირი: რაჲცა გუარი ნუგეშინის-საცემელი — საჭამადი, გინა სასუამადი 8, 10; ორი გუარი პური 4, 2 ორნაირი პური; რასაცა გუარსა სახესა შემოსავალთა მისთაგანსა თუალ-ახუნეს 18, 5.

გუარად-გუარად-ი ნაირ-ნაირი: მხლითა გუარად-გუარადითა 0, 4.

გულება-ჲ, ე: რომლისა თქუმაჲ ამისა შემდგომად გუეგულების 0, 3.

გულის თქუმა-ჲ ძლიერი სურვილი: გულის თქუმაჲ 0, 5. **ი/უ:** ჭამად გული უთქუმიდეს 4, 6, **გულის-სათქუმელი** 0, 4.

გულისჴმის-მყოფელი 5, 2.

გულ-მარტიობა-ჲ გულუბრყვილობა: ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულ-მარტიობისაგან 24, 2.

გულ-სავსება-ჲ გულ-სავსებით მხურებაჲ 25, 2.

გულს-მოდგინება-ჲ მეტად მონდომება, მთელი ძალ-ღონის მოკრეფა: ყოველი მოგონებაჲ და გულს-მოდგინებაჲ ჩუენი აღვძართ 5, 1; გულს-მოდგინებით 0, 18.

გუჯარ-ი: გუჯარი ტიბიკონისაჲ 0, 39; კრძალვით დამარხვისა გუჯარისა ამის ტიპიკონისაჲ 33, სათ. (**τόμος,** რომელიც სოფოკლეს მიხედვით არის: 1) გრაგნილი (**τόμος sc. χάρτου scroll; roll; 2) libellum, volume, document**).

გუჯარი დ. ჩუბინაშვილს არაბ حجة-სგან მიღებული ჰგონია (ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი 1840; ქართ. ქრისტომატია I, 1846, გვ. XIII—XIV), რაც შეცდომაა, რადგანაც ეს არაბული სიტყვა გუჯარს ვერ მოგვცემდა. ამ შეცდომას იმეორებს დ. ბაქრაძე (**Статьи по истории и древностям Грузии. СПб. 1887, стр. 25**). სიტყვა მოდის საშუალი სპარ. **vičār**-ისაგან, რამაც ახალ. სპარსულში **guzār** მოგვცა. (گزارش „ახსნა“, განმარტება“): (მ ზ ი ა ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, 1966, გვ. 305).

Ⴃ

დაგება-ჲ საჭმელ-სასმლის მოტანა სუფრაზე: ტაბლისა დაგებისათჳს 0, 14; ტაბლისა დაგებისა ჟამსა 8, 11. **ე** (2)1: დაეგებოდის ტაბლაჲ 8, 7; ტაბლაჲ (ტრაპეზი) დაეგოს უხუებით (ან: ბრწყინვალედ), ჯერისაებრ 37 (ბევრგან). **დასაგებელ-ი:** მწუხრსა ყველი დაეგოს და თუ სხუაჲ რაჲმე დასაგებელი იყოს 8, 8.

დადგინება-ჲ, ი ვნ. დაყენება: ნაცვალად მისა სხუაჲ ღირსი დაიდგინოს ადგილსა მისსა 19, 2; ჩემ მიერ დ ა დ გ ი ნ ე ბ უ ლ ი ს ა თ ჳ ს პირველისა წინამძღურისა 0, 36.

დადგრომა-ჲ, დადრგომა-ჲ, დადგომა: რომელი ამას წესსა ზედა დაადრგეს 4, 13; უკუეთუ დაადრგეს წესიერად 5, 1; მაგრამ: ულოღარიასოდ დადგრომისა 35ბ, 7; რომელნი დაუდგრომელ

იყვნენ ძმათაგან 15, 1. გამოცემაში გასწორებულია „დადგრომად“.

დადება-ჲ: კანონსა დავსდებ 6, 3; დადებული წესი 0, 4; დადებულსა წესსა 0, 4; ჩემიცა არა მცირედი აქუნდა მისთანა ნამარხევად დადებული 2, 16. ლელატად დამიც ნ. ლელატთან.

ი ვნ. დაიდვა მონასტერსა 36, 4. ნ. დაისხნეს (დასხმა-სთან).

დადუმება-ჲ: დადუმენინ ეგევითარი იგი მღდელობისაგან 7, 2.

დავითნ-ი 34ა, 46.

დავსება-ჲ დაქრობა; **დაუვსებელ-ი** დაუქრობელი. **ი** ვნ.: სანთელნი დაივსნენ, ხოლო კანდელნი დაუვსებელადმცა ენთებიან 12, 1; სამნი კანდელნი დაუვსებელად ენთებოდინ 12, 1.

დათმობა-ჲ, ი/უ: უკუეთუ დაუთმოს ვინ ეგევითართა მათ მავნებელთა 19, 1; არა დაუთმონ მას 19, 4 (არ მოუთმონონ).

დათრგუნვა-ჲ ფეხის დადგმა გასრესა, გადატ. არად ჩაგდება: განკანონებისა დათრგუნვითა 17, 4; **დაუთრგუნველ-ი** ფეხ-დაუდგმელი: დაუთრგუნველად ყოვლითურთ დედათაგან განვაწესეთ ყოფად ადგილი ესე 23, 2.

დაკარგვა-ჲ დაწესება, მონასტრის ძმობაში ჩარიცხვა. **ი** ვნ.: რაჲთა არაოდეს დაიკარგოს მონასტერსა შიგნით ბერძენი ხუცესი ანუ მონაზონი 24, სათ.; ეგუტერსა შინა მღდელი ერთი დაიკარგოს 27, 2; დაიკარგოს მას შინა მღდელი ერთი 31, 7. შდრ. საკარგავი.

დაკლება-ჲ, ა—3: ნუმცა დააკლებჱ 8, 5; 8, 6; ანუ და- რაჲ -აკლოს ამისგანი 33, 1; რაჲცა დაეკლოს, ეზღვიოს მას 37, 5. **დაკლებაჲ** ამის რიცხჳსაჲ 6, 3. **დაკლებულ-ი:** დაკლებული იგი და შეჭმული ეკლესიასავე შეუქციოს 26, 5; **დასაკლებელ-ი:** სავნებელი და დასაკლებელი რაჲმე 24, 2; **დაუკლებელად** 6, 3.

დალევნა-ჲ (τελευτή) სიკუდილი: შემდგომად ძმისა ჩემისა დალევნისა 2, 16 (გურიაში ეხლაც იციან წყევლა: შენი დალევა იქნა!).

დამალვა-ჲ: არა მნებავს რაჲთურთით გარეგან მონასტრისა განსლვაჲ ამისი, ანუ თუ დამალვაჲ 36, 5.

დამარხვა-ჲ 1. შენახვა, დაცვა: სენაკთა შინა მათთა (საზრდელისა) რაჲსაცა დამარხვაჲ 4, 3; კრძალულად დამარხვისათჳს წიგნისა ამის განსაგებელისა 0, 39; ამცნოს მას დამარხვად წესი 5, 6.

0—(3)2: ეგრევე სახედ თქუენცა დაჰმარხეთ, ვითარ-იგი დამარხულ არს ყოველთა შინა ეკლესიათა 27, 1; უკუეთუ ვინ დაჰმარხოს წესი ესე 29, 8; ჩემთა პრასტინთა ყოველსავე შემოსავალსა აიღებდა და დაჰმარხვიდა 2, 16; რაჲთა არა საჭამადთა და სასუამადთა სენაკთა შინა თჳსთა დაჰმარხვიდენ 4, 6.

ი: ვითარ უკუე არა უფროჲსად თავს-ვიდვათ და დავიმარხოთ წესი მცნებისა მისისაჲ 0, 4.

ი ვნ.: რაჲთა დაიმარხოს მათ მიერ ნებაჲ ჩუენი 36, 6; საქმარი რაჲცა იყოს, მას შინა დაიმარხოს 29, 4; რაჲთა უკუნისადმდე მუნ დაიმარხოს (სწორი ამისი) 36, 4. **დამარხულ-ი:** და ამასვე მონასტერსა შინა დამარხულ იქმნას ტიპიკონი ესე 36, 6.

2. დაფლვა, მიწას მიბარება (მიცვალებულისა): უკუეთუ წინამძღუარი მონასტრისაჲ აღესრულოს, თუ მღდელთაგანი იყოს, სამღდელოჲთა წესითა დაჰმარხონ 22, 1; ხოლო ოდეს ძმათაგანი ვინმე აღესრულოს, ესრევე ლოცვითა და გალობითა წესისაებრ დაჰმარხონ იგი 22, 2.

ი ვნ.: კუალად ესეცა დაეწესა ანდერძსა შინა თჳსსა (ძმასა ჩემსა): სადაცა დავიმარხო, მუნ მიეცეს ესე სოფელი 2, 10.

დამატება-ჲ, დამეტება-ჲ, 0—2—**დ,** ზედმეტი იყოს: უკუეთუ მის დღისათჳს განწესებულთა ამათ დრაჰკანთაგან ანუ შემზადებულთა მათ საზრდელთაგან დარაჲ -ჰმატდეს 21, 4 ზედმეტი იყოს რამე, გადაჰრჩეს რამე, მორჩეს რამე: რაჲცა-რაჲ ყოვლისაგან შემოსავალისა წელიწდისა დაჰმატდეს 21, 5 რაც რამ ზედმეტი იყოს მთელი წლიური შემოსავლისაგან; და რომელი რაჲმე დაჰმეტდეს ეკლესიისა შემოსავალთაგან, იგი ყოველი დამარხულ იყავნ 26, 6.

დამიც. ნ. ლღლატიდ დამიც.

დამკჳდრებულ-ი: და შას შინა დამკჳდრებულთა ძმათა 4, 4.

დამოკიდებით მისსა: ეგრეთვე მივეც დამოკიდებით მისსა ჩემი დიდი სოფელი სტენიმახი 2, 2 (მასთან ქვემოთ მდებარე).

დამონება-ჲ, დამონებულ-ი, დაუმონებელ-ი: სიმართლისადა იყოს დამონებულ 4, 9; რაჲთა იყოს **დაუმონებელ** და რასჳვე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ 3, 1.

დამპალ-ი: ვითარცა ასოჲ დამპალი 15, 6.

დამტკიცება-ჲ: წინამძღურისათჳს მონასტრისა, ვითარ ჯერ-არს გამორჩევაჲ და დამტკიცებაჲ 0, 11.

ა—2: განვაწესებ და დავამტკიცებ 7, 2; 37, 8.

ი ვნ.: სწორი მისი დაიწეროს და დაიმტკიცოს 36, 6.

ე: რომელი-ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა . ჩემ გრიგოლისითა 0, 2; დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისაჲ 36, 1 (მიმოხ. 25). **დასამტკიცებელად** და სარწმუნო ყოფად 36, 2. **დამტკიცებულ-ი:** ვითარ-იგი სარწმუნოთა მიერ სამეუფოთა ოქრობეჭედთა არს დამტკიცებულ ესე ყოველი 3, 3.

დამყარება-ჲ დაფუძნება: არა თუ ვითარ-იგი ვიეთნიმე იქმან, რომელ მონასტერთა დაამყარებენ 18, 4.

დამცნება-ჲ: ჩუენისა ამისებრ დამცნებისა 27, 4.

დამძიმება-ჲ: არა დასამძიმებელად 20, 1.

დამჭირვა-ჲ 1. ხელში დაჭერა: რაჲთა ესრეთ შეუძლოს მან სხუათა მათ დამჭირვად და პყრობად განწესებულსა ამას ქუეშე 4, 2. ნახე მჭირვაჲ.

2. დაკავება, არ გაშვება, задержать: ჯერ-არს მუნამდის დამჭირვაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს 29, 3; ჯერ-არს დამჭირვად მისა და ფუფუნებად 8, 14.

დამქობა-ჲ: ოდეს-იგი ღმერთმან დაამქუა ჩუენ მიერ უშჯულოჲ ნათესავი პეწინაგთაჲ 2, 18.

დამქსნელ-ი: საეშმაკო არს ესე და გარეგან სჯულისა, და კანონისა მის მოძღურებისა დამქსნელ 4, 7.

დანაშთომ-ი 26, 3.

დანეცუვა-ჲ: დაუნეცუე მშიერთა პური შენი 15, 12.

დარეცვა-ჲ: ანუ თუ ნაცარი დაირეცო ქუეშე შენსა 15, 12.

დას-ი (τάξις), **დასისაგან-ი:** განვაწესეთ ყოფად ესრეთ, რაჲთა იყვნენ ძმანი სამ დასად განყოფილ და როქსა აიღებდენ... პირველი დასი... მეორე დასი... მესამე დასი 9, 2; დაიწესოს დასსა მას თანა ძმათასა, რომელთა-იგი არა აქუნდეს მღდელობაჲ 7, 2; აღიღებდეს როქსა, ვითარცა ერთი მესამისა დასისაგანი 29, 1.

დასაბამ-ი: პირველ დასაბამსა 6, 1. **დასაბამითგან-ი:** დასაბამითგანთა წელთა 36, 1.

დასაგებელ-ი ნ. დაგებაჲ.

დასავალეთ-ი: დასავალეთს მოსლვასა ჩემსა 2, 11; ბრძანებითა დიდისა დემესტიკოსისა დასავალეთისაჲთა 0, 2; დიდისა დემესტიკოსისა ყოვლისა დასავალეთისა მიდამოჲსა 36, 1 (მიმოხ. 10 ა).

დასამტკიცებელ-ი. ნ. დამტკიცებაჲ.

დასწავლა-ჲ, ი: ვიდრემდის დაისწავლონ სრულიად ყოველი წესი სამღდელოჲ 31, 4. ნ. სწავლაჲ.

დასხმა-ჲ (პირდ. ობ. მრ.-ში) დადება: რომელნი დაგჳსხმან ეკლესიასა და მონასტერსა ჩუენსა 34, სათ.

ი ვნ.: და ესენი დაისხნეს ვეცხლისა ბუდეთა შინა 34ბ, 3; ოქრობეჭედთათჳს, რომელნი დაისხნეს ნამარხევად 35ბ, სათ.

დასჯა-ჲ, დასჯილება-ჲ. ნ. დაშჯაჲ, დაშჯილებაჲ.

დატევება-ჲ, ი/უ—(3)2: და ჩუენ მცირენი დაგჳტევნა 18, 8; ამისთჳს არა დაუტეობთ 17, 2; ლეღატად ჩემდა დაეტევა 2, 13; რომელნი დაეტევნეს ანტიოქიას 2, 9. **ე:** ნახევარი კუალად ეკლესიასავე საკმრად დაეტეოს 21, 5. **დატეობილ-ი:** მისგანვე დატეობილი ჩემდა მცირე ხატი 34ბ, 3.

დაუდგრომელ-ი: რომელნი დაუდგრომელ იყვნენ ძმათაგან 15, 1. ნ. დადგრომაჲ.

დაუმტკიცებელ-ი: თჳთრჩული მარადის მცთომ არს და გამოუცდელ და დაუმტკიცებელ 15, 8. **ნ.** უმტკიცებლობაჲ.

დაუსაბამო-ჲ: მამასა დაუსაბამო-[სა 0, 1.

დაუცადებელად განუწყვეტლივ: რაჲთა დაუცადებელად იქსენებოდიან 0, 33.

დაუცხრომელ-ი შეუნელებელი: დაუცხრომელითა ლოცვითა 27, სათ.; რაჲთა მარადის დაუცხრომელად კსენებასა ჰყოფდეს შესუენებულთასა 27, 2.

დაუხრწეველ-ი შეუფერხებელი, ხელ-შეუშლელი: რაჲთა ყოლადვე და მარადის დაუხრწეველად აღასრულებდეთ საჲდუმლოსა საღმრთოჲსა მის მსხუერპლისასა 27, 1; და ამის ყოვლისა დაუხრწეველად და უქცეველად პყრობად ვამცნებ ყოველთა 27, 5. ნ. დახრწევაჲ.

დაფქვა-ჲ: რაჲთა საფქავსა დაუფქვიდეს 29, 1. ნ. ფქვაჲ.

დაღაცათუ 1. თუნდაც: გინა მიცემად ვისამე ქველის საქმედ, დაღაცათუ გლახაკცა იყოს 4, 7; ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა, დაღაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა 35ბ, 11.

2. თუმცაღა: დაღაცათუ მას დღესა ჟამის წირვაჲ არა აღესრულების 37, 9.

დაყენება-ჲ 1. დადგინება, დანიშვნა: ვითარ ჴერ-არს მეორისა დაყენებაჲ 0, 11; მსახურად და ქელისუფლად დაყენებაჲ 0, 12. **დაყენებად-ი:** შემდგომად მისსა დაყენებადი იგი წინამძღუარი 5, 2.

ა—2: და რომელნიცა წმიდად და სათნოდ და ღირსად იპოვნენ, იგინი დააყენენ ჟამის მწირველად 7, 1.

2. აკრძალვა, არ დაშვება: დაყენებისათჳს მოსენაკეობისაგან 0, 10, სათ.; რომელნი დაუდგრომელ იყვნენ ძმათაგან, ჴერ-არს დაყენებაჲ მათი 15, 1.

ა—2: დავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოჲსა მონასტრისა 23, 2. ნ. განყენებაჲ.

დაყოფა-ჲ დარჩენა: მოვიდოდინ ლოცვად და დაჰყოფდენ ვიდრე ჟამის წირვისა ჟამადმდე 23, 2.

დაშთომა-ჲ, 0—1: სხუაჲ, რაჲცა ამისსა უმეტესი დაშთეს 26, 7; გარნა ჩუენნი [პრასტინნი] შეურყეველად დაშთენ 35ბ, 25.

დაშურომა-ჲ 1. შრომის გაწევა: კმა არს მათდა მადლი ესე, რამეთუ რომელსა შინა არა დაშურეს, სხუათა შრომილსა

და ნაოფლავსა შინა იშუებენ 5, 9; არცა თუ მცირედ რაჲთამე **დამაშურალ** არს (=შრომა გაუწევია) რჩეულისა ამის და ნუყიერისა ადგილისა ძიებასა 5, 10.

2. დაღლა: მაშინ ღამესა ათევენ ძმანი და დაშურებიან აღდგომისა გალობასა შინა და ფსალმუნებასა 8, 7.

დაშჯა-ჲ, დასჯა-ჲ: მცნებად მიგცემ თქუენ ყოვლითა დამოწმებითა და სიმტკიცითა და კანონებით დასჯითა 27, 1 (კანონებით დასჯაჲ იგივე უნდა იყოს, რაც „განკანონებაჲ და დაშჯილებაჲ“). **დასჯილ-ი** გასამართლებული: დასჯილ იყავნ ღმრთისაგან 33, 1.

დაშჯილება-ჲ, დასჯილება-ჲ: და ამას განკანონებით და დაშჯილებით ვამცნებ 21, 9; კუალად შემდგომად თქუმულთა ამათ ამას ვამცნებ და დაშჯილებით ვასწავლი 16, 1; რაჲთამცა ესრე სახედ არა მიემთხჳე მეცნიერებით **დასჯილებასა** 4, 11.

დაცადება-ჲ: თანა-აც ფსალმუნებისა არა დაცადებაჲ 14, 1.

დაცვულ-ი: შინაგან ღმრთივ დაცვულისა ქალაქისა კოსტანტინოპოლისა 0, 3; ღმრთივ დაცვულსა ქალაქსა სამეუფოსა 36, 4.

დაწერა-ჲ 1. დახატვა: სხუანიცა ხატნი ფიცრისანი, ოქროპეტალოჲთა და წამლითა დაწერილნი 2, 20.

2. ხელის მოწერა; **დაწერილ-ი** ხელის მონაწერი: შემდგომად ჩემისა დაწერილისა 36, 2.

დაწესება-ჲ, ა—2: რავდენობისათჳს მონაზონთაჲსა და რიცხჳსათჳს, რომელნი დავაწესენით 0, 12; რომელიცა მე დავაწესო წინამძღურად 5, 1; დაგჳწესებიეს გასაყოფლად გლახაკთა 37, 14; ესრეთ დაეწესა ანდერძსა შინა მისსა 2, 9; და კუალად ესეცა დაეწესა ანდერძსა შინა თჳსსა 2, 10. **ი** ვნ.: დაიწესოს წინამძღურად 5, 5; ეგრეთღა დაიწესოს დასსა მას თანა ძმათასა 7, 2. **ე:** მის წილ სხუაჲ დაეწესოს ღირსი კაცი 7, 2; ხოლო ერთი დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად 6, 9 (მიმოხ. 25).

გამორჩევაჲ და **დაწესებაჲ** (მღდელთაჲ) 0, 13; არა დაწესებისათჳს ბერძნისა ხუცისა 0, 30; ჩუენ მიერ **დაწესებული** წესი 0, 5; სხუასა მისდა დაწესებულსა წესსა 6, 16.

დაწესებულ-ნ-ი: პირველ „დაწესებულთა“ წართქუმისა 6, 17. „დაწესებულნი“ სიტყვა-სიტყვით: узаконения, правила, канон. „ძველ ძეგლებში აგრე ეწოდებოდა ექვსფსალმუნებას (шестопсалмие-ს). ეს ჩანს შიომღჳმის მონასტრის 1270 წლის ტიპიკონიდან, სადაც ეს აგრეა ახსნილი: „ექუსფ̄ნ ცისკრისა დ ა წ ე ს ე ბ უ ლ თ ა უწოდენ ბერძენნი, ვითარ არიანცა ჭეშმარიტებით“. „ექვსფსალმუნებას ასეთი სახელი დაერქვა (ქართულად) იმიტომ, რომ იგი წარითქმის ცისკრის დაწყებისას. ცისკარს ძველად კანონი ეწოდებოდა“ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, Иерусалимский канонарь VII века, გვ. 326). „ყოველგვარ საღვთისმსახურებას (ქართულად) სახელი ეწოდება დღის იმ დროის მიხედვით, როდესაც ის უნდა სრულდებოდეს. გამონაკლისია ცისკარი, რომელსაც ძველ ძეგლებში ჰქვია კანონი, რომელიც შემდეგში ექვსფსალმუნებას (шестопсалмие-ს) შეჰრჩა. ეს გარემოება გვეუბნება, რომ ქართული ლიტურღიკული მწერლობა ადრეა წარმოშობილი, რადგანაც ცისკარს კანონი ჰქვია“ (იქვე, გვ. 322—323).

დაწყნარებულ-ი: მყუდროსა მას შინა და დაწყნარებულსა ცხორებასა 3, 1.

დახედ-ნ-: უკუეთუ წინამძღუარმან ჟამისამან დახედნეს და სხუაჲცა რაჲმე შესძინოს 8, 9.

დახრწევა-ჲ, ი ვნ. (ან ე) მოშლა, გა-

უქმება: ნუმცა დაიხრწევის 11, 2; არაოდეს დაიხრწიოს განწესებაჲ ესე სასტუმროთაჲ 29, 8; რაჲთა არცა ერთითა რაჲთ მიზეზითა დაეხრწიოს რაჲ ამათგან 21, 7. ნ. დაუხრწეველი.

დახუდომა-ჲ მოხდომა: დახუდომითა მისითა ჩუენ თანა 37, 2 რომ მოხდა ისე, რომ ის ჩვენთან იყო; უკუეთუ ესრე სახედ დახუდეს, რომელ ანასდეულად მიიცვალოს 5, 5 ისე რომ მოხდეს, რომ უეცრად მოკვდეს.

დაქსნა-ჲ დარღვევა, გაუქმება, მოშლა, ი ვნ.: რაჲთა დაიქსნას ჩუეული მათი 8, 9; რაჲთა არა დაიქსნას საკრებულოჲ წესი 8, 11. ნ. დამქსნელი.

დაჯერება-ჲ თანხმობა, კმაყოფილება; **დაჯერებულ-ი** თანახმა, კმაყოფილი: გარნა, არა თჳნიერ ნებისა გინა დაჯერებისა აღსრულებადისა მის წინამძღურისა 5, 3; უკუეთუ იგინი დაჯერებულ არიან ეგევითარსა მაშენებლისა მათისა დადებულსა წესსა 0, 4.

დედა-ჲ 1. დედა, მშობელი: ნუმცა იქმნების ესე ოდესვე მიზეზითა იოვანეს დედისა და ეფრემის დისაჲთა 23, 2. **2.** დედაკაცი, ქალი. აქედან: **სადედოჲ მონასტერი**: დავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოჲსა მონასტრისა საზღვართა შინა მონასტრისათა, რამეთუ დაუთრგუნველად ყოვლითურთ დედათაგან განვაწესეთ ყოფად ადგილი ესე 23, 2.

დედაკაც-ი: არა შესლვისათჳს მონასტრად ჩუენდა დედაკაცისა 0, 29; რაჲთა არა შევიდეს დედაკაცი ეკლესიასა ჩუენსა 23, სათ.; არა მნებავს უკუე რაჲთურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა ჩემსა 23, 1.

დედობრივ-ი ქალური, დედაკაცური: დედამან ჩუენმან დედობრივისა პირველულობასა მიხედვითა 18, 8.

დედულ-ი: ჩუენ შიშუელნი დავჳტევნა ყოვლისაგან მამულისა და დედულისაგანცა საჭმრისა 18, 8.

დეკანოზ-ი 6, 6; 6, 11 მთავარი მღვდელი ეკლესიაში (**ἐκκλησιάρχης**): ბრძანებისაებრ დეკანოზისა 9, 2. დეკანოზი პირველ დასს ეკუთვნოდა და წელიწადში 20 დრაჰკანი ჰქონდა როქად (6, 6). ამჟამად დეკანოზი იმასვე აღნიშნავს, რასაც რუსული протоиерей, მაგრამ ძველად ეს იყო პირი, რომელსაც მეორე ადგილი ეჭირა წინამძღვრის შემდეგ მონასტერში. იგი სხვა მღვდლებისა და მგალობლების მეთაური იყო (თავდაპირველად ალბათ ათის უფროსი). ეს თანამდებობა ამჟამადაც არის კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც დეკანოზი მეორე პირია აბატის შემდეგ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, Литург. груз. пам., 479; მისივე Иерус. канонарь, 327). გვხვდება **ეკლესიარქ**-იც (მარჯუენესა ხოროსა აწუევს და ჰმართებს ეკლესიარქი, ხოლო მარცხენესა — სხვა ვინმე: იერუსალიმის მონასტერთა საეკლესიო განწესებაში: A—186, თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, Описание рукописей I, გვ. 194).

დეკენზერ-ი: თუესა დეკენზერსა 36, 1.

დემესტიკოს-ი (δομέστικος ლათ. domesticus-ისგან), **დიდი დემესტიკოსი** — მთავარსარდალი, ამირსპასალარი (0, 2; 1, 2; 36, 1); ვიდრე-ღა ჯერეთ დიდად დემესტიკოსად იყო 35გ, 11. **დემესტიკოსობა-ჲ:** დიდსა შინა დემესტიკოსობასა 35ბ, 1 (მიმოხ. 11).

დიაკონ-ი (διάκονος): მოყმეთათჳს დიაკონთა 0, 37. ნ. კერძოდიაკონი, მთავარდიაკონი.

დიდ-ი: დიდი ანუ მცირე 18, 1; დიდთაგან და ვიდრე მიმცირეთადმდე 3, 3; დიდი ხუთშაბათი 37, 14: დღესა დიდსა ხუთშაბათისასა 21, 11; დიდსა პარასკევ-

სა 37, 9; დიდსა შაბათსა 37, 10; დიდთა დღესასწაულთა 6, 10.

დიდების მეტყუელებაჲ 6, 3.

დიდროვან-ი крупный. ნ. უდიდროვნესი.

დიდფას-ი: სამოსელნი დიდფასისანი 2, 20; თუალნი დიდფასისანი 34ა, 21.

დიდძალ-ი: დიდძალითა წარსაგებელითა 2, 18.

დიკა-ჲ (σῖτος): დიკაჲ ორი მოდი 29, 1; დიკაჲ მოდი ერთი 29, 6.

დიმოს-ი: აპოტიქსები იკონომოსისაჲ — დიმოსისაჲ 35გ, 6 [შდრ. ,,ბაგრატის დედამან ლიტრაჲ ერთი სოლიმნი შეგჳქმნა და ბაგრატ დიმოსი მოგჳწყჳდა“, ალაპები, № 15; ,,თუესა იანვარსა **ვ** ნათლისღებაჲ კონსტანტი მონომახისა ალაპად განგჳწესებიეს: სოლიმნი ჩუენი ყოველი მან შეგჳქმნა და დიმოსი მოგჳწყჳდა“, ალაპები № 27]. **τὸ δημόσιον** გადასახადი, ბეგარა (ყაუხჩ. 288).

[**დომესტიკოსი.** ნ. დემესტიკოსი].

დოქ-ი. ნ. დოშიარი.

დოშიარ-ი (δοχειάριος, δοχειάρης) მეგანძური: და ეგრეთვე მეგანძური, რომელ არს დოშიარი, გაიკითხვოდის ლოღარიასობით 26, 4; მამასახლისი ნაშთომსა მისცემდეს მეჭურჭლესა და დოშიარსა 26, 3; ერთი, რომელიცა იყოს მისანდობელი და მოშიში ღმრთისაჲ, დაეწესენ მეჭურჭლედ და დოშიარად 6, 9 (მიმოხ. 38). როგორც ჩანს, პეტრიწონში მეჭურჭლე (σκευοφύλαξ) და დოშიარი ერთი კაცი იყო; დოშიარი პირველი დასისა ყოფილა და წელიწადში როქად 20 დრაჰკანი ჰქონებია დანიშნული (9, 2) [შდრ.: ,,სადოშიაროს რომელ მივათუალეთ პერპერაჲ **მ**, ტრიაკეფალი **ჩ** და სხუანი შჳდას სამოცი“: ალაპები, № 158]. დოშიარი — დოქის მზრუნველი მონასტერში; ხოლო დოქი (δοχεῖον) — სურსათის საწყობი მონასტერში (ყაუხჩ. 223, დიმიტრაკის ლექსიკონის მიხედვით). მაგრამ სურსათის საწყობი, პეტრიწონის ტიპიკონის მიხედვით, ოსტიგნის ანუ კელრის ხელშია.

დრაჰკან-ი 1. ფულის ერთეული ოქროსი (ეტიმოლოგიურად: დარეჰული, ანუ დარიოს მეფის მოჭრილი), ბერძნულში მას ჩვეულებრივ νόμισμα შეესატყვისება. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის მიხედვით, წინამძღვარს წელიწადში როქად 40 დრაჰკანი ჰქონებია დანიშნული (ბერძნული ტექსტის მიხედვით — 36 დრ.), დანარჩენი მონაზვნები სამ დასად იყვნენ გაყოფილი: პირველ დასში შედიოდნენ: ორი დიდი იკონომოსი, დეკანოზი, დოშიარი და სხვა ,,უთავესნი ძმათაგანნი“ (სულ 15 კაცი), რომელთაც სარგოდ წელიწადში ოცოცი დრაჰკანი ჰქონდათ; მეორე დასის მონაზვნებს (აგრეთვე 15 კაცს) 15-15 დრაჰკანი, მესამე დასისას კი (რიცხვით 20 კაცს) დანიშნული ჰქონდა 10-10 დრაჰკანი (თავი 9).

აბაზ მაგისტროსის ხსენების დღეს (20 სექტემბერს) გლახაკებისთვის უნდა გაეყოთ 72 დრაჰკანი, ხოლო (სტუმრად) მოსული ხალხისათვის—24 დრაჰკანი (21, 1); ეგევე უნდა გამეორებულიყო თვით გრიგოლ ბაკურიანის-ძის ხსენების დღეს (21, 4); პეტრიწონის მონასტრის პირველი წინამძღვრის გრიგოლ ვანელის სულის ხსენების დღეს გლახაკთათვის უნდა დაერიგებინათ ექვსი დრაჰკანი (30, 2); ორი დრაჰკანი ეძლეოდა ჟამის მწირველ ექვს მღვდელს ხარებას, შობას, მიგებებას, განცხადებას, ფერისცვალებას და ბზობას (37, 2-6), თითო დრაჰკანი სამ-სამს.

2. ფული საზოგადოდ: უკუეთუ ძმათა შემოწირულისა ანუ სხუათა ვიეთმე

მიერ მოძღუანებულისაგან შემოიკრიბოს დრაჰკანი, არა ჯერ-არს ნამეტნავისაჲ მის სულისათჳს ჩუენისა წარგებად 21, 7. ბიზანტიურ დრაჰკანში 4, 55 გრამი ოქრო იყო (Успенский, История Визант. империи III. 1949, გვ. 132).

დროშა-ჲ. ნ. სადროშაე.

დუკატ-ი 2, 16 კონსტანტინე დუკას მიერ მოჭრილი დრაჰკანი (1057—1067). ნ. განძი.

დურა-ჲ: დურაჲ სამეუფოჲ (ἐπιλώρικα βασιλικά) ოქსიკასტორი ოთხი 34ა, 41. დურა ამჟამად მთის კილოებში ცხვრის ტყავისაგან გაკეთებულ უსახლო ბეწვიან მოსასხამს ნიშნავს, ქურქს, რომელსაც საბნადაც ხმარობენ.

დურანგ-ი: სტავრაჲ ერთი — დურანგი გაუკუეთელი 34ა, 51; შეკერული სკარამანგი დურანგითა 34ა, 53 (სპარს. دورنگ „ორფერა“?).

დურჯ-ი (სპ. درج დურჯ „კოლოფი“): დურჯი ვეცხლისაჲ 34ა, 19.

დღესასწაულ-ი, დღესასწაულობა-ჲ: საუფლოთა დღესასწაულთა 0, 17. რაჲთა ამათ საუფლოთა დღესასწაულთა უბრწყინვალესად დღესასწაულობდენ 37, 1; დიდთა დღესასწაულთა 6, 10; ბრწყინვალედ დღესასწაულობაჲ 30, 2.

დღე საჴსენებელ-ი 20, 2; 21, სათ.

Ⴄ

ებისკოპოს-ი, საებისკოპოსო-ჲ. ნ. ეპისკოპოსი.

ებრ (მოითხოვს ნათ.-ს): ყოვლისაებრ წესისა მათისა 0, 3; ბრძანებისაებრ დეკანოზისა 6, 10; წესისაებრ მონასტრისა 6, 11; ძალისაებრ ჩუენისა 19, 3; კაცად-კაცადი თჳსისაებრ შრომისა მიიღებს სასყიდელსა 21, 2 (=I კორ. 3, 8); ნებისაებრ წინამძღურისა 13, 6 (მიმოხ. 31გ).

ეგევითარ-ი იგი 0, 25; 4, 13.

ეგრევე მსგავსად 2, 18.

ეგრევე სახედ 0, 3. [0, 5.

ეგრეთ: უკუეთუ ეგრეთ რაჲმე არს

ევუტერ-ი (εὐκτήριον) ეკლესიაზე მიშენებული (ან ცალკე აშენებული) მცირე სამლოცველო: ევუტერსა შინა 27, 2; ევუტრისა მისისა კარსა 12, 1; სხუაჲ საბურავი საკურთხეველისაჲ ორთა ევუტერთაჲ სრულებით 34ა, 54.

ევლოგია-ჲ: ერთი იგი (სეფისკუერი) ევლოგიად განეყოს გლახაკთა და უძლურთა 21, 9.

ეკლესიარქ-ი. ნ. დეკანოზი.

ეპისკევტობა-ჲ: დალაცათუ ეპისკევტობისაგან იყვნეს პრასტინნი და ბრძანებაჲ გამოვიდა მისვე [ვოტანიატ] მეფისაგან, რომელ, ვისცა ვისდა ეპისკევტობისაგან მიცემულ იყოს, კუალად ეპისკევტობასავე მიექცეს, გარნა ჩუენნი შეურყეველად დაშთენ 35ბ, 25 (სათანადო ადგილი აკლია ბერძნულს).

ეპისკოპოს-ნ-ი 3, 2.

ეპიტირიტ-ი. ნ. იპიტირიტი.

ეპიტროპოს-ი: ლოღარიას ქმნისათჳს წინამძღურისა ეპიტროპოსთაგან და ძმათა 26, სათ. ნ. კიდევ აბარმადთან.

ერ-ი ხალხი: დიდსა და ერ-მრავალსა ქალაქსა 0, 4; დათხევად სისხლთა ჩემთა და თჳსთა ჩემთა და მრავლისა მის ერისა ჩემისა 1, 4; საჲდუმლოჲ ალასრულოს და ერი აზიაროს 21, 4; სიმცროჲსაგან მოსრულისა მის ერისა 21, 4. **საეროდ** 33, სათ. საჯაროდ, публично. ნ. ერისთავი.

ერგასის-ი: რიცხჳ ერგასისთაჲ 6, 3.

ერთბამად ერთად: აღვაშენენ ეკლესიანი ერთბამად სახელსა ზედა სამთა

ამათ ზეშთა საკჳრველთასა 1, 3; შემდგომად ამისსა განმხიარულებულნი ერთბამად ყოველნი ტრაპეზად იწოდნენ 5, 7.

ერთ-გულ-ი (1) ერთი აზრისა: ბრძენმცა არიან და გულისჭმის-მყოფელ, ერთ-გულ და ერთ-სიტყუა 4, 1.

ერთგულ-ი (2): და იყოს ერთი კელრად, უზაკუველი და ერთგული 6, 11;

ერთ-ზრახვა-ჲ 6, 22.

ერთი მეორე: არა ჯერ-არს, რაჲთა ერთი მეორისა უმჯობესთა საზრდელთა იჭუმევდეს 4, 2.

ერთ-სიტყუა-ჲ. ნ. ერთ-გული (1).

ერთ-სულ-ი: ერთ-სულ ქმნულთა მათთჳს მონაზონთა 0, 2; ესე ყოველნი იყვნედ ერთ-სულ და ერთ-ზრახვა 6, 22.

ერთიერთ-ი: უბნობად ერთიერთისა 12, 11.

ერთმანერთ-ი: ერთმანერთისა ზემო ჯდომაჲ და ქუემო ჯდომაჲ 8, 2.

ერთობა-ჲ: ერთობისათჳს და ზოგებით ცხორებისა ძმათა კრებულისათა 0, 10; რაჲთა იყვნენ იგინი ზოგად მცხორებელ ერთობით 4, 1.

ერთობით-ი: ერთობითითა წამებითა და განშჯითა ზოგადითა 19, 2.

ერისთავ-ი, ერისთავთა მთავარ-ი, ერისთავთა ერისთავ-ი: ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა 0, 2; დღესა დიდსა ხუთშაბათისასა საჴსენებელი აღესრულებოდის მამისა ჩუენისა ერისთავთა ერისთავისა ბაკურიანისათჳს 21, 11.

ერისკაც-ი. ნ. საერისკაცოჲ.

ესევითარ-ი: ესევითარსა მას შორის დიდსა და ერ-მრავალსა ქალაქსა 0, 4; ესევითარსა ამას შუენიერსა უდაბნოსა 0, 4; თანა-გუაც ყოველთა ამათ ესევითართათჳს ზრუნვაჲ 1, 1.

ესე-ვინმე. ნ. იგი-ვინმე.

ესრე სახედ 6, 1.

ესუა. ნ. მესუა.

ექსამიტონ-ი (ἑξάμιτος аксамит, оксамит) ქსოვილი, რომელიც ექვსი ძაფისაგან იყო მოქსოვილი: თეთრი ექსამიტონი 34ა, 55 (Дьяченко, 9, ყაუხჩ. 289).

ექუს-თავედ-ი: 2, 16 დრაჰკანი, მოჭრილი რომანოზ დიოგენისა (1067-1071) და ევდოკიას მიერ. ნ. განძი.

ექუს-კარედ-ი: ხატი ექუს-კარედი 34ა, 8.

ექუსფესალმუნნი: ნ. დაწესებულნი.

ეშმაკ-ი, საეშმაკო-ჲ: საეშმაკო არს ესე 4, 7; ნუცა სხჳთა რაჲთმე საეშმაკოჲსა მტერობისა ძჳრის ზრახვითა განაძებთ ვის მღდელთაგანსა მონასტრით 7, 3. [ლად 21, 2.

ეჭუა-ჲ: მე არა ვეჭუ 19, 1; უეჭუე-

Ⴅ

ვანდ-ი თემში შემავალი სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული, თემის განყოფილება (βάνδον): გრიგოლ ბაკურიანის-ძის ერთი პრასტინი, ზაუწი, იყო „თემსა შინა ვოლერონისასა, ვანდსა მისინოპოლისასა“ 2, 5; სხვა პრასტინი ჰქონდა „მასვე თემსა შინა, ვანდსა პერითორისასა“ 2, 6; აბაზ მაგისტროსს ეკუთვნოდა სოფელი ზრავიკი კესაროპოლითურთ, რომელიც მდებარეობდა „თემსა სერაჲსასა, ვანდსა შინა ზავალტონისასა“ 2, 13. სოფოკლე ამ სიტყვას ტევტონური წარმოშობისად თვლის (ლათინურის გზით), მისი პირვანდელი მნიშვნელობა არისო „დროშა“ (Banner).

ვაჟინარ-ი მემარნე, ღვინის მწდე: და ერთი იყოს მემარნედ — ვაჟინრად 6, 12

(აქ უთუოდ „მემარნე“ და „ვაჲინარი“ სინონიმებია). იოვანეს და ეფთჳმეს ცხორებაში, რომელშიც ათონის ქართველთა მონასტრის წესდების ნაწილებია შეტანილი, „ვაჲინარ“-ის ნაცვლად „მევაჲინე“ იკითხება: „კელარნი სამხრად ყოვლადვე სატრაპეზოს მივიდიან და ეგრეთვე მევაჲინენი“ (96, 5); „დაეუბნის მევაჲინესა: უკუეთუ სუბუქი ღჳნოჲ იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა, და უკუეთუ საშუალი იყოს, ჯერისაებრ ურთე, და უკუეთუ უმჯობესი-რე იყოს, ვითარცა ჯერ-იყოს (70, 6-10). ს ა ვ ა ჲ ი ნ რ ო-ჲ: [მამამან პავლე] აღაშენა ეკლესიაჲ მელინძათა ყოვლად წმიდისაჲ... და მეტოქი როდოვილს ს ა ვ ა ჲ ი ნ რ ო ჲ თ ვიდრე სამზარევლოდმდე“: აღაპები, № 165.

სიტყვა წარმომდგარია βαγενάρι-საგან; იგი ნაწარმოებია ბიზანტიურსა და ახალ ბერძნულში ხმარებული βαγένι სიტყვისაგან, რომელიც „ქვევრს“, „კოკას“ „ღვინის ჭურჭელს“ აღნიშნავს (ს. ყაუხჩიშვილი, ახალი წიგნი პეტრიწონის შესახებ; „მნათობი“ 1956 წ. № 1, გვ. 177; Georgica, V, 155).

ვასილიკოსობა-ჲ: რომელსა პეტრიწონ ეწოდების, რომელი-იგი ვასილიკოსობად ჩინებულ არს 1, 3; სოფელი პეტრიწონისაჲ, რომელი ვასილიკოსობად წოდებულ არს 2, 1 (**βασιλικίς**). ვასილიკატის შესახებ ნ. Литаврин, 138-141.

-ვე (ნაწილაკი): რასავე მსახურებასა შინა 1, 5; რაჲთა ყოველმანვე გამომძიებელმან რომლისავე პირისამან 0, 6.

ველიკობა-ჲ. ნ. ლიველიკობაჲ.

ველტიოს-ქმნა-ჲ (βελτίωσις „გაუმჯობესება“): სხუაჲ ოქრობეჭედი ველტიოს-ქმნისათჳს პრასტინთა ჩემთაჲსა 35ბ, 3.

ვენაჴ-ი: ხილითა და ვენაჴებითა 0, 4; თავისა ვენაჴებითა და ყანებითა და მტილებითა 2, 5; ანუ მიწაჲ, ანუ ვენაჴი, ანუ ბოსტანი 32, 1.

ვერაგ-ი, სივერაგე: სივერაგით ზაკულებად 13, 2.

ვეშაპაკ-ი. ეს სიტყვა პეტრიწონის ტიპიკონის ქართულ ტექსტში უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ გვხვდება, რადგანაც სათანადო ადგილის შემცველმა ფურცელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. სამაგიეროდ იგი გვხვდება იოვანე და ეფთჳმეს ცხორებაში: „და მისცეს იკონომოსსა საშოალისასა ლიტრაჲ ერთი განძი საშოალისათჳს წასაგებელად: სასყიდლად ქორაკანდელთა, ვეშაპაკთა და ჯაჭუთა და კელაპტართა“. ეს უნდა შეესატყვისებოდეს ბერძნულ **δρακοντάριον**-ს, რომელიც გვხვდება ტიპიკონის ბერძნულ რედაქციაში და „დროშას“ ნიშნავს. დროშაზედ ეხატა ვეშაპი ანუ დრაკონი.

ვეცხლ-ი: ჯუარი ერთი ვეცხლისაჲ 34ა, 6; ხატი შეშისაჲ ვეცხლითა შემოჭედილი 34ა, 9; სარუთითა და ვეცხლითა მოჭედილი 34ა, 10; პეტალოჲთა ვეცხლითა შემოჭედილი 34ა, 9.

ვეცხლისმოყუარება-ჲ: თუ ვითარ დაისაჯა გეეზი კეთროვნებითა ვეცხლისმოყუარებისა მისისათჳს 21, 6.

ვიდრე, ვიდრელა: დიდითგან და ვიდრე მცირეთადმდე 3, 3; ვიდრე-ღა ჯერეთ დიდად დემესტიკოსად იყო 35გ, 11; ვიდრელა-იგი სოფელსა შინა ვიყვენით 0, 4; ვიდრელა ცხორებასა ამას შინა ვართ ყოფით 1, 1.

ვი-ეთ. ნ. ვინ.

ვითა: სწორი მისი დაიწეროს და დაიმტკიცოს და წარიცეს ვითა ზემო დაგჳწერია 36, 1; ვითა თავადივე ტიპიკონი 36, 6.

ვითარ სახედ როგორ 0, 7; ვ ი თ ა რ-ს ა ხ ე ნ ი შესაწირავნი 0, 8.

ვი-ნ, ვი-ნ-მე: ანუ სხუაჲ ვინ 0, 25; სხუაჲ ვინ 2, 16; ოდესლა-იგი არა ვის აქუნდეს ჴელმწიფებაჲ თავისა თჳსისა უფლებად 4, 8. ვ ი ე თ (ნათ. მრ. რიცხვისა): აზნაურებისათჳს მონასტრისა და თავისუფლად ყოფისათჳს ყოველთაგან თჳსთა ჩემთა და სხუათა ვიეთგანცა 0, 24; უკუეთუ ძმათა შემოწირულისა ანუ სხუათა ვიეთმე მიერ მოძღუანებულისაგან შემოიკრიბოს დრაჰკანი 21, 7; არა უგულებელს-ყოფად მცირეთა ცოომათა ვიეთთამე 15, 7.

ვინაჲვე: არავის სხჳსა მიკნინადმდე საჴმრისა, გინა ვინაჲვე მონახუეჭისა 1, 5 (საიდანმე?). [4 რადგანაც

ვინაჲთგან: ვინაჲთგან-იგი 13, 3; 13,

ვინაჲცა სადაც (где, куда): ვინაჲცა პოონ 0, 5; განსლვად და რონინებად, ვინაჲცა ენებოს 15, 1; ვინაჲცა მენებოს 35 ბ, 11.

ვიწყ. ნახე მოვიწყე.

ვნება-ჲ: ვნებისა შემთხუევად 9, 1.

ზ

ზაკუვა-ჲ: განზრახვაჲ ზაკუვისაჲ 18, 11. **ზაკულება-ჲ:** ზაკულებით აღაშფოთებდეს 4, 13; სივერაგით ზაკულებად 13, 2. **უზაკუველ-ი:** და იყოს ერთი ჴელრად, უზაკუველი და ერთგული 6, 12. **მზაკუვარ-ი:** ვითარცა შინა-განმცემელი და მზაკუვარი დაისაჯენ 18, 11.

ზარ-ი: ზარი და შიში 1, 3.

ზატიკ-ი: ზატიკთა შინა აღვსებისათა 8, 8 აღდგომის დღესასწაულებზე.

ზე 1. საპირისპიროა ქუე-სი: ზე და ქუე სლვითა ჩუენითა 5, 10; ზე დგანან მსახურებად 8, 1;

2. დროს: უმბრწყინვალეს აწინდელისა ჩუენ-ზე ყოფილისა 11, 3.

ზედა: ყოვლითა ამით ზედა წერილით მონაგებითა 3, 1; ზედა სოფელნი 6, 5; ოდეს ზედა მწირველმან საჲდუმლოჲ აღასრულოს 21, 10.

ზედა-აც. ნ. ზედა-დებაჲ.

ზედა-დება-ჲ: ხარკად ზედა-აც ყოველთა მწყემსთა კრებულისათა 15, 3.

ზედა-მდგომელ-ი: 1. ზედამდგომელთა და განმგეთა 8, 1; ბრძანებასა მოელოდის ზედამდგომელისასა 5, 3. **2.** პეტრიწონის მონასტრის შენებისას ზედამდგომელი ყოფილა გრიგოლ ვანელი: ზედამდგომლობასა შინა ეკლესიისა და მონასტრისა შენებისასა 30, 1.

ზედა მწირველ-ი 21, 10 პირველი მწირველი; იგივეა, რაც უპირატესი (Кекелидзе, Иерус. канонарь, 328).

ზედამხედველ-ი: ერთი რჩეული იყავნ იპტირიტად — ძმათა ზედამხედველად 6, 17; მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებელად 6, 16.

ზედა-ნართაულ-ი: ზედა-ნართაულით მიწით და ყანებით მისითურთ 2, 6.

ზედაშე ზიარების შესამზადებლად საჭირო ღვინო: ზეთი და სანთელი და მჴმელი და ზედაშე 31, 3; ზედაშესა 6, 11.

ზეთ-ი: 6, 11; 6, 12; თჳნიერ ზეთისა 10, 2; განვაყენებთ ზეთისაგან 10, 3; **უზეთოდ** 10, 4.

ზემავალ-ი: ზემავალი ანუ ქუემდებარე ანუ თჳთმოძრავი 18, 6; ზემავალითა და ქუემდებარითა და თჳთმავალითა ყოვლითა 3, 1.

ზემო: დიდი ხუთშაბათი ზემო დაიწერა 37, 14; ვითარცა ზემო წერილ არს 27, 3; ვითარ-იგი ზემოცა ვთქუთ 19, 1; ჴელითა ჩემითა, ზემო ჴსენებულისა

გრიგოლისითა 36, 2; ზემო ქსენებული-სა მონასტრისა პანაგიისანი 0, 3; ზემო ჯდომაჲ და ქუემო ჯდომაჲ 8, 2; ზემო ქსენებულნი ეგე მონაგებნი ყოველ-ნი 2, 17.

და ესევითარნი იგი მსახურისა გინა მოწფისა საკუთრად დადგინებასა ინუკევდენ 4, 6; ტრაპეზისა შემზადებისათჳს და მსახურთა დუმილით და სიმშჳდით მსახურებისა 8, სათ.; ტრაპეზისაცა საქმე და მსახურთაჲ კეთილად აღესრულებოდენ... წუთღა უპირატეს მსახურთათჳს გუნებავს განცხადებულად თქუმად და რომელნი იმსახურებიან, ესე იგი არს რომელნი დასხდებიან ტაბლასა, და რომელნი ზე დგანან მსახურებად 8, 1; იკონომოსთა და სხუათა მსახურთაჲსა 0, 32. **კეთილად მსახური** 21, 5 благочестивый.

0—(3)2: საქმართა და ქველის საქმითა ჰმსახუროს ეკლესიასა 27, 4. მიმსახურებია საბერძნეთისადა 1, 4; რაჲთა ოდენ სამწიროსა ჰმსახურებდეს 29, 1; თუ ვითარ უჴმს ყოფაჲ და მსახურებაჲ კრეზულისათა თანა 0, 31; ვიბრძანე მსახურებად საბერძნეთისა სარგებელსა და მსახურებასა 1, 4; ოდეს მსახურებაჲ ეკლესიისაჲ განმრავლდეს 6, 11; თჳნიერ

ყოვლისა მსახურებისა სამეუფოჲსა და სამთავროჲსა 3, 1; ნაცვალად ჩემთა მათ მრავლითა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა 1, 4;

მსაჯულ-ი: წიგნი მისი თემისა მის მსაჯულისა მიმართ 35ბ, 24.

მსგეფს-ი ერთი კვირე, შვიდეული: სხუათა მათ მსგეფსისა დღეთა სამსა დღესა სასეფოდ წირვიდენ 7, 4; მსგეფსა შინა სამსა დღესა სასეფოდ ჟამსა წირვიდენ 31, 2; სამთა მათ დღეთა მსგეფსსა შინა განვაყენებთ ზეთისაგან 10, 3; მსგეფსსა შინა რავდენი დღე ჯერ-არს, რაჲთა სასეფოდ ჟამი წირონ 8, 5; ხუთთა მათ დღეთა შინა მსგეფსისათა 8, 5.

მსმენელობა-ჲ: მორჩილებასა და მსმენელობასა წინამძღურისა მათისასა 6, 22.

მსოფლიო-ჲ 1. სოფელი: შორს სოფელთაგან და მსოფლიოთა 0, 4.

2. არა სასულიერო, საერო, СВЕТСКИЙ: ყოველთაგან მთავართა და ჴელმწიფეთა მსოფლიოთა არს თავისუფალ მონასტერი ჩემი 3, 3.

მტილ-ი (κῆπος ბაღი): თავისა ვენაჴებითა და ყანებითა და მტილებითა 2, 5; შდრ. ბოსტანი.

მტკიცე: მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე ნებითა ღმრთისაჲთა (გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელის მოწერა ტიპიკონის ბოლოს) 36, 7. ნ. დამტკიცებაჲ, სიმტკიცე.

მუნ იქ: მუნ დაიმარხოს 36, 4 (იქ იქნეს დაცული); მუნითცა მიეცეს 37, 14 (იქედანაც მიეცეს); ერთი მუნ და ერთი მუნ 29, 5.

მუნამდის მანამდის: ჯერ-არს მუნამდის დამჭირვაჲ მისი და განსუენებაჲ, ვიდრე სრულიად განმრთელდეს 29, 3.

მუშაკ-ი ნაქირავები მუშა (?): განეყოს მსახურთა და მუშაკთა მონასტრისათა და გლეხთა მისთა 21, 5.

მუკამ-ი: მუკამი კეფი ერთი ძუძოანი 34გ, 7; მუკამი ჭიქაჲ დიდი ერთი 34გ, 10.

მუკლ-ი: მუკლნი მოუდრიკნეს 5, 7.

მფლობელ-ი. ნ. თჳთმფლობელი.

მფქველ-ი: და გლეხი ერთი გაუთავისუფლონ მფქველად და მრეშუელად და მერწყულად 29, 6.

მღდელ-ი (არ იკუმშება: მღდელისა, სამღდელო): მღდელისათჳს, რომელი იყოს ნიკოლწმიდას 0, 37; ცთომასა მღდელისასა 7, 3; მღდელნი ჟამის მწირველნი 6, 7; თუ მღდელთაგანი იყოს, სამღდელოჲთა წესითა დაჰმარხონ 22, 1; ყოველთა მღდელთა ჟამი ჩემთჳს წირონ 37, 1. შდრ. ხუცესი.

მღდელთმთავარ-ი, სამღდელმთავრო-ჲ: აზნაურებისათჳს ყოველთაგან სამეუფოთა და სამღდელთმთავროთა ხარკთა 0, 9. ნ. პატრიაქი.

მყუდრო-ჲ: მყუდროსა მას და დაწყნარებულსა ცხორებასა 3, 1; მიმოსლვასა მათსა მყუდროდ იქმოდინ 8, 1.

მშუებელ-ი: და ამის ყოვლისა უშრომელად და თჳნიერ ზღვევისა მშუებელ და მკმარებელ იქმნეს 5, 9. ნ. შუებაჲ.

მშჳლდ-ი: ძალნი მშჳლდთანი 15, 15.

მშჳდობა-ჲ ზავის ჩამოგდება: (იერუსალიმის პატრიარქი ეფთჳმე). სამეუფოჲთა ბრძანებითა თესალონიკედ მოსრულ იყო მშჳდობისა და სიყუარულისა ყოფად შორის ფრანგთა 36, 2.

მცველ-ი: სამკაულთა და სიწმიდეთა და საკმართა და განძისა მცველად 6, 10.

მცირა-ჲ (კნინობ.): სხუაჲ ხატი ერთი მცირაჲ 34ა, 4; სხუაჲ ჭიქაჲ ბროლისაჲ მცირაჲ 34გ, 4.

მცირე: დიდთაგან და ვიდრე მიმცირეთადმდე 3, 3; არა უგულებელს-ყოფად მცირეთა ცთომათა ვიეთთამე, რაჲ-

თა არა მცირემან მან ცომმან ყოველი ალსუარული აღაფუვნოს სიბოროტედ 15, 7. ნ. მცირაჲ, მცირედი, სიმცროჲ.

მცირედ-ი: და სხუაჲ მცირედი, რომელ ჩუენ შევსძინეთ 0, 6.

მცნება-ჲ: მცნებაჲ ძმათა მიმართ 0, 27; ანუ მცნებაჲ განწესებულისაჲ ამის შეცვალოს 33, 1; მცნებაჲ კანონისაჲ 0, 2.

ა—3: ამას ყოვლითა სიმტკიცითა ვამცნებთ 32, 2; განვაწესებთ უკუე და ვამცნებთ ყოველთა 31, 1; მცნებად მიგცემ თქუენ 27, 1.

მცონარება-ჲ ზარმაცობა: თჳნიერ ყოვლისა მცონარებისა 15, 17. ნ. უცონილად.

მძიმე: სკარამანგნი მძიმენი ხუთნი 34ა, 51.

მძლავრ-ი მოძალადე: უშჯულოჲ და ფრიად მძლავრი მტერი 2, 18; არიან ბუნებით მძლავრნი და ანგაჰარნი და ქელოვანნი 24, 2; არავის ქელ-ეწიფოს მძლავრთა მგზავრთაგანსა უნებლებით მიტაცებად 29, 4.

მწიგნობრობა-ჲ: რომელმან ქელით წერილი იცოდის და მწიგნობრობასა იქმოდის 24, 1.

მწირ-ი. ნ. სამწიროჲ.

მწუანე: მწუანე მინაჲ, კეფი ერთი 34გ, 13.

მწუხრ-ი: მწუხრი სერობასა 10, 4; ორ-ორსა კრასაულსა სუმიდენ სამხრად და თითოსა — მწუხრი 10, 3; მწუხრსა ყველი დაეგოს 8, 8.

მწყსა-ჲ, მწყემს-ი, სამწყსო-ჲ: ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა 5, 8; მწყემსად ძმათა 5, 2; მწყემსობისა წილ მგელ იქმნეს სამწყსოთა მათ ზედა 19, 4.

მჱირვა-ჲ, ი: (მნათე) იმჱირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხჳმელსა 6, 11. ნ. დამჱირვაჲ.

მხალ-ი: მხლითა გუარად-გუარადითა 0, 4; საწუნე ცერცუთაგან და მხალთა 29, 1; სხუაჲ საწუნე, გინა თუ ცერცჳ, გინა თუ მხალი 29, 7.

მხილება-ჲ, ა—(3)2: ასწაონ და ამხილონ ძმებრივად 19, 4.

ე: უკუეთუ კულა ემხილოს ვისმე ძმათაგანსა და ურგებად შეჰრაცხოს მხილებაჲ იგი უხუცესისაჲ 15, 5; წყლულებისა განკუეთაჲ მხილებისა მახჳლითა 14, 3.

მხჳმელ-ი სასეფისკვრე ფქვილი: მხჳმელი და ზედაშე 31, 3; ზედაშესა და მხჳმელსა 6, 11. ს. ორბელიანს მოჰყავს: „**მახვიმალი** — სასეფისკვრე ფქვილი" (ალბათ, შეცდომაა: „მხვიმელი" უნდა).

[**მჴარ-ი** сторона, крыло; так назывались клиросы в храмах (К. Кекелидзе, Иер. Канонарь, 334). «Клиросами называются места, устроенные в передней части храма для чтецов и певцов. Таких мест обыкновенно бывает два, по правую и левую сторону на некотором расстоянии от амвона, так что правый клирос большею частью приходится против южной алтарной двери, а левый — против северной». Дьяченко, 252. აქედანაა „მემჴრე"].

მჴედრობა-ჲ. მოწმობა ნ. მჴნე-სთან.

მჴიე რუხი: და ჯუარი ერთი სხუაჲ, შემისაჲ, ოქროჲთა მოჭედილი და ზედა ხუთი თუალი, მჴიე იაგუნდი 34ა, 7.

მჴმარებელ-ი: მშუებელ და მჴმარებელ იქმნეს 5, 9.

მჴნე: ვინაჲთგან ქართველნი ვართ ნათესავით მჴნენი და მჴედრობით აღზრდილნი 0, 4.

მჴურვალე: მჴურვალითა გულითა 19, 2; 30, 1.

ნ

ნავის სახე: მახრუდი ორ-ბაგედი ნავის სახე ჭიქაჲ ერთი 34გ, 11.

ნათელ-ღებულ-ნ-ი 1, 1.

ნათესავ-ი 1. ერი, ხალხი: სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭეშმარიტთა ბერძენთა ნათესავისასა 1, 2; ქართველნი ვართ ნათესავით მჴნენი და მჴედრობით აღზრდილნი 0, 4; ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულ-მარტიობისაგან 24, 2. **2.** ნათესავი (დღევანდელი მნიშვნელობით): ნათესავთა ჩემთა და მსახურთა ჩემთა 35ბ, 11; ნათესავთა და მსახურთა ჩუენთა 0, 31; თავით ჩემით და ჩემ თანა არა მცირედთა ნათესავთა ჩემთა ჴელსა წარმართთასა მიცემადმდე მიმსახურებია საბერძნეთისადა 1, 4.

ნამარხევ-ი: რომელი-იგი (წესი) პირველითგან გამოცადეს და გამოირჩიეს და მომცეს ჩუენ საღმრთოდ ნამარხევად 15, 8; ჩემიცა არა მცირედი აქუნდა საფასე მის თანა ნამარხევად დადებული 2, 16; ოქრობეჭედთათჳს, რომელნი დაისხნეს ნამარხევად მონასტერსა ჩუენსა 35ბ, სათ.; რომელნი სოფიაწმიდას ნამარხევად არიან 35გ, 13; ნამარხევად სხენან სოფიაწმიდას 35, სათ.; მათდა მიცემული ნამარხევი დადებულისა მის წესისაჲ 0, 4.

ნამეტნავ-ი ზედმეტი: ნახევარი ყოვლისა მის ნამეტნავისაჲ 21, 5.

ნანა-ჲ, ი: მიცემულისაებრ მისდა მამასახლისისა მიერ კანონისა ინანდეს 7, 2.

ნანდჳლვე 1, 1; 1, 4; 28, 1.

ნაოფლავ-ი: ნ. ოფლი.

ნართაულ-ი რომელიც ახლავს, მასთან არის: ზედა ნართაულით მიწით და ყანებითურთ 2, 6.

ნასყიდ-ი: ნასყიდის ნაწერები ვარდანისი ავლინისათჳს 35გ, 3. ნასყიდობის საბუთები.

ნაქონებ-ი: პირველითგანვე ქონებულითა ნაქონებითა მათითა 2, 1; და ყოვლითა ნაქონებითა სრულებით 2, 4; მითვე ყოვლითა შენებულებითა და ნაქონებითა 2, 7; პირველითგანითა ნაქონებითა და სამართალითა 2, 12.

ნაყოფ-ი: თითო-სახითა ნაყოფითა 0, 4; **ნაყოფიერება-ჲ** 20, 2.

ნაყროვან-ი, უნაყროვნეს-ი: რაჲთა დაიჴსნას ჭუილი მათი, რომელნი უნაყროვნეს-რე იყვნენ 8, 9.

ნაშთომ-ი: ნაშთომსა მისცემდეს მეჭურჭლესა 26, 3.

ნაშრომ-ი შრომის ნაყოფი: საკუთრად თავისა თჳსისათჳს ადგილისა რაჲსამე ღუწოლაჲ ძმისაჲ, ანუ თუ ნაშრომისა, ანუ თუ ოთხფერჴისა მოგებაჲ 4, 3.

ნაცვალ-ი: ნაცვალისა მიგებაჲ 20, 2; **ნაცვალად:** სოფელი პრილონგი, რომელი-იგი აქუნდა მას ნაცვალად პრასტინთა მისთა, რომელნი დაეტევნეს ანტიოქიას 2, 9; რომელიცა თჳთმპყრობელთა მეფეთა ჩუენთა თჳსითა ოქრობეჭდებითა მოუნიჭებიეს ჩემდა ნაცვალად ჩემთა მათ მრავლითა სისხლითა სარწმუნოებით მსახურებათა 1, 4.

ნაძუელავ-ი: რაჲთა ჴელ-ეწიფებოდის როქსა მათსა და ნაძუელავსა ზედა ყოფად, ვითარცა ენებოს 9, 4; რაჲთა არა აქუნდეს ძმათა ჴელმწიფებაჲ ნაძუელავსა განცემად ვისსაცა 10, 5.

ნაწევარ-ი: ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჳნველისა და ნაწევართა 5, 8.

ნაწერ-ი: ნასყიდის ნაწერები ვარდანისი 35გ, 3; სხუათა თანა სასამართლოთა ნაწერთა 35ბ, 25; და სხუათა სასამართლოთა ნაწერთაჲ 35გ, სათ.

ნაწილ-ი 1. სავსენი ნაწილთა ძელისა ცხორებისაჲთა 2, 18. ნ. სანაწილე. **2.** ნაწილად სულისა თჳსისა 2, 9;

მოეცა ლღლატად ნაწილად ჩემდა 2, 13.

ნახევარ-ი: ნახევარი კუალად ეკლესიასავე საჭმრად დაეტეოს 21, 5.

ნება-ჲ მნებავს, მენება: **უკუეთუ** უფართესი და უმდიდრესი ცხორებაჲ ვისმე ენებოს 0, 5.

ნესტჳ: ტარსუნელისა მის ნესტჳსა პავლესი 15, 11 (ხელნაწერშია ნესჳტისა).

ნეფსით: ნეფსით თჳსით 5, 3.

ნთება-ჲ, აღნთება-ჲ: ენთებოდინ 12, 1; ენთებოდიან 12, 4; აღენთნენ 12, 4; აღნთებაჲ 12, 5.

ნიჭ-ი: დიდთა ნიჭთა მიიღებენ 11, 3. ნ. მინიჭებაჲ, მონიჭებაჲ.

[**ნოყიერ-ი.** ნ. ნუყიერი].

ნუგეშინის-ცემა-ჲ გამასპინძლება ან საჭირო რამის ჩუქება: ძმათა კრებულისათა კეთილად ნუგეშინის-ცემითა 37, 1; რაჲცა გუარი ნუგეშინის-საცემელი (**სა-ჭამადი ანუ სასუამადი**) 8, 10; ნუგეშინის-ცემითა ძმათა უმეტესთა საზრდელთა მიერ და სასუმელთა 30, 2; ნუგეშინის-საცემელად ძმათა ჟამსა **ჭამისასა** სასუმელი განწესებულ არს 10, 1.

ნუთუ ვაი თუ: მეშინის, თუ **ნუთუ** სავნებელი და დასაკლებელი რაჲმე შეამთხჳონ მონასტერსა 24, 2.

ნუკევა-ჲ: მსახურისა გინა შოწფისა საკუთრად დადგინებასა ინუკევდენ **4, 6.**

ნუ ოდეს 36, 6.

ნუ რაჲ: მცირედი ნუ რაჲ მიზეზი 1, 1.

ნუყიერ-ი ნოყიერი: რჩეულისა ამის და ნუყიერისა ადგილისა ძიებასა **5, 10** (აქ **უ** ონის ნაცვლად უნდა იყოს დაწერილი და უნდა იკითხებოდეს: ნოყიერისა) [მიმოხ. 5].

ჲ

ოდენ: რაჲთა ოდენ სამწიროსა მას ჰმსახურებდეს 29, 1; საშუალსა ოდენ გზასა 0, 5.

ოდეს: ოდეს გამომიჴსნა 2, 19.

ოდესვე ოდესმე: არცა წესსა მას მორჩილებისასა მნებავს დაჴსნად ოდესვე 15, 5; ნუმცა იქმნების ესე ოდესვე 23, 2; რომელი-ესე ნუ იყოფინ ყოფად ოდესვე 32, 2.

ოდეს-იგი როდესაც: ოდეს-იგი ღმერთმან დაამჴუა ჩუენ მიერ უშჯულოჲ და ფრიად მძლავრი მტერი 2, 18. ნ. ოდესცა.

ოდესმე: რომელნი ბუნებით მოქალაქენი ყოფილ არიან ოდესმე 0, 4; არცა სადედოჲსა მონასტრისა შენებად ოდესმე 0, 29 (შდრ. ოდესცა, ოდესვე).

ოდესღა-იგი: ოდესღა-იგი არავის აქუნდეს ჴელმწიფებაჲ თავისა თჳსისა უფლებად **4, 8.**

ოდესცა: რაჲთა მომავალსა შინა ჟამსა, ოდესცა საჭმარ იყოს, გამოიღებდენ და უჩუენებდენ 35ბ, 38; არცა **სადედოჲ** მონასტერი აღეშენოს ოდესცა 23, **სათ.** ნ. ოდეს-იგი (შდრ. ოდესმე).

ოთხთავ-ი: 34ა, 23; 34ა, 24; 34ა, 25 (τετραευαγγέλιον).

ოთხთა ჴმათა-ჲ: პარაკლიტონი ოთხთა ჴმათაჲ 34ა, 44 (**τετράηχος**).

ოთხფერჴ-ი: ოთხფერჴთაგან 2, 15.

ორ-ბაგედ-ი ორპირიანი: მახრუდი ორ-ბაგედი ნავის სახე **ჰიქაჲ** 34გ, 11.

ორგულ-ი ფარისევლურად მოქმედი: რომელნი ორგულთაებრ მაჩუენებლობით ილოცვიდენ 0, 21; რომელნი-იგი მაჩუენებლობით ილოცვენ ვითარცა ორგულნი 15, 8; **ორგულება-ჲ:** მას წესსა და საქმესა უწესოებად და ორგულებად შესცვალებენ 4, 6. **შეუორგულებელად** 29, 1.

ორმეოცდაათამდინ, ორმეოცდა ათ-თაჲ 6, 3; ნ. ერგასისი. **ერმეოცდა ათ-ერთმეტისა** 6, 3.

ორ-პირ-ი: განმკუეთელისა უფროჲს ყოვლისა მახჳლისა ორ-პირისა 5, 8.

ოსტიგან-ი: და ერთი იყოს კელრად, რომელ არს ოსტიგანი 6, 12 (სიტყვის ახსნა ნ. 31—32 გვერდზე).

ოფლ-ი; ოფლითა მრავლითა შრომილებაჲ ჩემი 21, 2; **ნაოფლავ-ი** ოფლით, შრომით შეძენილი: სხუათა შრომილსა და ნაოფლავსა 5, 9.

ოქრობეჭედ-ი (**χρυσόβουλλον, χρυσοβούλλιον**) სიგელი: რომელიცა თჳთმპყრობელთა მეფეთა ჩუენთა თჳსითა სარწმუნოჲთა ოქრობეჭდებითა მოუნიჭებიეს ჩემდა 1, 4; მივეც ოქრობეჭდებითა ჩემდა მონიჭებულისაგან მონაგებისა და მამულისა ჩემისა, რომელნიცა მაქუნდეს, ჭკლმწიფებით სრულითა და შეუძრავითა უფლებითა, ლოგის-ქმნილითა ოქრობეჭდებითა 2, 1; სარწმუნოსა სიმტკიცისა ოქრობეჭედსა 2, 14; ვითარ-იგი სარწმუნოთა მიერ სამეუფოთა ოქრობეჭედთა არს დამტკიცებულ ესე ყოველი 3, 3; არა საკმარ იყო ჩემდა სხჳსა ოქრობეჭდისა აღებაჲ მონაგებთა ჩემთათჳს გარეშე პირველთა მათ ოქრობეჭედთა, რომელნი მაქუნდეს 18, 10. ამას გარდა, 35-ე თავში ბევრგან არის საუბარი ოქრობეჭდებზე.

ოქროვან-ი: და ესენი დაისხნეს ვეცხლის ბუდეთა ოქროვანთა შინა 34ბ, 3.

ოქროპეტალო-ჲ ოქროს ფურცელი, ოქროს ვარაყი: მივსცენით სხუანიცა ხატნი ფიცრისანი, ოქროპეტალოჲთა და წამლითა შუენიერად დაწერილნი 2, 20. ნ. პეტალოჲ.

ოქრო-ქსოილ-ი: დურაჲ ოთხი, — ერთი მათგანი ოქრო-ქსოილი არს 34ა, 7.

ოქრო-ცურვებულ-ი, ოქროჲთა ცურვებულ-ი: 34ა, 13; 34ა, 20; 34ა, 22; 34ა, 25.

ოქრო-წერილ-ი: სუდარაჲ ოთხი ოქრო-წერილითა ალმითა 34ა, 47.

ოქსიკასტორ-ი: დურაჲ სამეუფოჲ ოქსიკასტორი ოთხი (**ἐπιλώρικα βασιλικὰ ὀξυκάστωρα τέσσαρα**) 34ა, 47; სტავრაჲ სამოსელი უკერავი ოქსიკასტორი, ორი 34ა, 49.

ოცდა ოთხთა ჟამთა-ჲ. ნ. ჟამნი.

ოჭრება-ჲ. ნ. აღოჭრებაჲ, მაოჭრებელი.

Ⴎ

პავლე-ნ-ი პავლეს ეპისტოლენი: სხუანი ორნი წიგნნი გამოკრებულნი პავლენი 34ა, 40.

პანაგირ-ი, პანაჱურ-ი (**πανάγυρις, πανήγυρις**) სახალხო დღესასწაული, ხალხის შეკრებილება; ბაზრობის დღე; ბაზრობა: რაჟამს-იგი ჩუენ მიერ განსაზღვრებული პანაგირი შეიქმნას პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისაჲ, მაშინ თჳთოეულმან მათმან ვაჭრობაჲ თჳსი ქმნას და პანაგირსა მას იყიდოს რაჲცა უჴმდეს 9, 3. **პანაჱურელ-ი** (**παναγυρίστος**) ბაზრობის მონაწილე: ჴელით წერილები და აპოტიქსები სტენიმახისა პანაჱურელთაჲ 35გ, 9.

პანაშჳდ-ი (**παννυχίς, —ίδος, ἡ**) ღამის თევა დაწესებული მსახურების შესრულებით, მუხლთ მოდრეკით და სხვა (ჩვეულებრივ ეკლესიის გარეთ): მესამესა დღესა ყონ მისთჳს პანაშჳდი და ღამის თევაჲ 22, 1; იქმნას მისთჳს პანაშჳდი და ღამის თევაჲ 22, 2; ღამის თევაჲ და პანაშჳდი 5, 7 (მიმოხ. 38).

პარადოდიკონ-ი: პრახტიკონი და პა-

რადოდიკონი (**παραδοτικόν**) ლავაკაჲსაჲ 35გ, 8. **საპარადოდიკო-ჲ:** ვითარ-იგი საპარადოდიკოსა პრახტიკონსა შინა სწერია 2, 6.

პარაკლიტონ-ი: პ. ოთხთა ქმათაჲ 33ა, 43 (βιβλίον τετράηχος, **παρακλιτική μία**).

პარვა-ჲ, ი: და იპაროს მონასტრისაჲ გინა ეკლესიისაჲ რაჲ 0, 25. ნ. მპარავი.

პატივის-ცემა-ჲ, პატივ-ცემა-ჲ: მუნ პატივ-სცეს 8, 11; პატივ-სცემდენ 11, 3; პატივ-იცემებოდენ დღესასწაული 11, 3.

პატიოსან-ი: რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უპატიოებისაგან 28, 4. ეს სიტყვა გვხვდება სხვადასხვა რამის ეპითეტად: მონასტრისა (0, 3; 0, 5; 35ბ, 10), შესამოსლისა (2, 18), ჭიქისა (ჭიქანი ბრწყინვალედ• პატიოსანნი 2, 18), ჯვრისა (34ა,.5), ძელისა ცხორებისაჲსა (34ბ, 2), სამკაულისა (პატიოსანთა სამკაულთათჳს 34, სათ.), ოქრობეჭდისა (2, 14), **ხატისა** (2, 18). **თუალი პატიოსან-ი** ძვირფასი ქვა: შემკულ არიან თუალებითა პატიოსნითა 2, 18.

პატრიაქ-ი (ბერძნ. მამათმთავარი, მღდელთმთავარი: პ. იერუსალემელი 36, 2; **საპატრიაქო-ჲ:** რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ: სამეუფოსა და საპატრიაქოსა, სამეტროპოლიტოსა და საებისკოპოსოსა და სამამასახლისოსა ყოველსა 3, 1; სამეუფოჲსაგანცა კერძისა და საპატრიაქოჲსა 18, 10. ნ. მღდელთმთავარი.

პაჭრაკ-ი. ნ. მოპაჭრაკებაჲ [პაჭრაკად წარყვანებაჲ: მარკ. 15, 21].

პერიერეზმონ-ი (**περιορισμός**) შემოსაზღვრა, საზღვარი: პრახტიკონი და პერიერეზმონი ფილიპოპოლისა პრასტინთათჳს 35გ, 4; პრახტიკონი და პერიერეზმონი მისინოპოლისა პრასტინთა ჩემთაჲ 35გ, 5; პრახტიკონი და პერიერეზმონი პეტრიწონისაჲ 35გ, 12; მათდა ქმნულისა მისებრ პერიერეზმონისა 2, 1. „აღწერა და შემოსაზღვრა“ (ყაუხჩ. 253).

პეტალო-ჲ (**πέταλον** „ფურცელი“) ვარაყი: პეტალოჲთა ვეცხლითა შემოჭედილი 34ა, 9; სხუაჲ ხატები შეშისაჲ ოქრო-პეტალოჲთა შეკაზმული 34ა, 11.

პირ-ი 1. ჭურჭლის წამოსადინარი. **პირ-ცხავი** პირ-ნახვრეტებიანი(?): პირ-ცხავი კუტალი 34გ, 6. **2.** საქმე, საკითხი, რაიმე: გამომეძიებელმან რომლისავე პირისამან 0, 6; ამასვე პირსა ზედა 36, 2 (ამავე საქმეზე, ამავე საკითხის შესახებ); სხუაჲ ოქრობეჭედი მაგისვე პირისათჳს 35ბ, 4; მაგისვე პირისათჳს პიტაკი ერთი 35ბ; 22; სხუაჲ წიგნები თჳთო სახეთა პირთათჳს 35ა, 15; ყოვლისაგანვე ჰასაკისა პირთაჲსა 2, 15.

პირველ (ზმნიზ.) -მდის, წინ, წინათ, ადრე: მაშენებელი ვარ პირველ ხსენებულისა მონასტრისა 0, 2; პირველ დაწესებულთა წართქუმისა 6, 17 „დაწესებულთა“ წართქმამდის; პირველ ყოვლისა 12, 6.

პირველ-ი. აქედან: **პირველობა-ჲ:** პირველობაჲ და უკუანაჲსკნელობაჲ (რომელ არს ერთმანერთისა ზემო ჯდომაჲ და ქუემო ჯდომაჲ) 8, 2.

პირველად во-первых: პ ი რ ვ ე ლ ა დ სურვილისათჳს მისისა და მოწლედ სიყუარულისა, და მ ე რ მ ე რამეთუ არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა საჴმართათჳს 2, 13; პირველად თავითგანვე 2, 1.

პირველითგან: პ. გამოცადეს და გამოირჩიეს 15, 8; პირველითგანვე ქონებულითა 2, 1. **პირველითგან-ი:** ყოვლითავე ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა მისითა 2, 3; თავისა ყოვლითა ზღვრითა და პირველითგანითა ნაქონებითა სრულებით 2, 5; და პირველითგა-

ნითა ნაქონებითა და სამართალითა მისითა 2, 12.

პიტაკ-ი (πιττάκιον, ლათ. pittacium-ისაგან) რისამე აღსანიშნავი ნაწერი, წერილი: 35ბ, 16, 17, 18, 22, 23, 25.

პლანინა-ჲ ტყიანი მთა, საძოვარი, ВЫГОН: მიჳეც კუალად ციხეცა ვანსკაჲ ახალციხითურთ ვრისით და სხჳთა ყოვლითა სოფლებითა და აგარაებითა მისითა და პლანინაებითა 2, 3 (σὺν ταῖς πλανηναῖς); სეფითა ულლებითა, და ეგრეთვე გლეხებითა, მთითა და ბარითა, ტყითა და პლანინაებითა და საძოვრითა ადგილებითა, ვენაჴებითა და ხილნარებითა 2, 17. აქ „პლანინა" და „საძოვარი" სინონიმები მგონია (ნახე планина გვ. 336).

პრასტინ-ი (προάστειον) მამული (с усадьбой владельца, или без нее: Виз. сборник 1945, стр. 74), владение, имение: პრასტინი ჩემი ზაუწი 2, 5; პრასტინი ჩემი სახელით მინა 2, 6; ზემო თქუმულნი ესე ციხენი და სოფელნი და პრასტინნი ყოველნივე 2, 14; ნაცვალად პრასტინთა მისთა 2, 9; ჩემთა პრასტინთა ყოველსავე შემოსავალსა ამათ წელთა ბრძანებითავე ჩემითა აიღებდა 2, 16; უკუეთუ პრასტინთაგან ანუ საცხოვართა 8, 10.

თუმცა „პრასტინი" ბერძნული სიტყვაა, მაგრამ ბერძნულ რედაქციაში მას ბევრგან κτῆμα (მრ. κτήματα) შეესატყვისება: 35ა, 2, 4-14-16; 35ბ, 9-11-12-13-14-16, ხოლო προάστειον შემდეგ ადგილებში იკითხება: 2, 5; 2, 6; 2, 14.

პრაქტიკონ-ი (35ბ, 30-31-34-37-38 πρακτικόν): ვითარცა-ივი საპარადოდიკოსა პრაქტიკონსა შინა სწერია 2, 6. საგადასახადო დავთარი: „ბიზანტიელ დიდ მოხელეთა, აღმწერთა ოქმები, სადაც აღნუსხული იყო აწერილი ადგილ-მამულის შედგენილობა, სახელი მფლობელისა და მისი ოჯახის შედგენილობა სათანადო გადასახადის აღნიშვნით" (ყაუხჩ. 293 Fr. Dölger-ის დამოწმებით). (მიმოხ. 40). ნ. პერიერეზმონი, შდრ. ისოკოდიკონი.

პრეტორ-ი (πραιτώριον): ეგრეთვე მიჳეც თოფოლიწონთა პრეტორად სახელდებული სოფელი, რომელსა ჟელოვა ეწოდების 2, 4 (აღნიშნული სოფელი ალბათ პრეტორის გამგებლობაში იყო. ცნობილია, რომ კონსტ. მონომახის დროს (1042—1054) თემებში შესუსტეს სამხედრო ხელისუფალთა (სტრატიგების) ძალა-უფლება და მათ გვერდში ამოუყენეს სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები, პრეტორები (Ш. Диль, Осн. проблемы, 109).

პრონოიტის-ი (προνοητής) მამულის მოურავი, იჯარისა და გადასახადის ამკრეფი: და ეგრეთვე ყმისა ჩემისა ვარდან პრონოიტისისა ჴელითა განძითა ჩემითა ნასყიდნი სახლნი 2, 5.

პურ-ი: 6, 12; პურისა გინა ღჳნისა 8, 5; პურის ფასად 0, 12.

პყრობა-ჲ, ი: წესსაცა მტკიცედმცა იპყრობენ 8, 4. **ი/უ** (სტატიკ.): უპყრიეს 0, 4; 36, 3.

ჟ

ჟამ-ი 1. დრო: ჟამსა ჴამისასა 10, 1; ცისკრისა ლოცვისა ჟამსა 12, 2; ჟამსა თჳსსა 0, 6; თუ ვითარ ჴერ-არს ანუ რომელსა ჟამსა განწყოფაჲ 0, 15; უკუეთუ წინამძღუარმან ჟამისამან დახედნეს 8, 9 (იმ დროის, თავის დროის წინამძღვარმა); მრავალთა შინა ჟამთა 18, 9 (დიდი ხნის განმავლობაში); მენაცვლეობითა

ჟამთა ცვალებისაებრ 18, 4. **ჟამითი-ჟამად** 18, 3. **უჟამო-ჲ:** ჟამსა და უჟამოსა 15, 7. **2.** საათი: მეცხრესა ჟამსა 10, 3; მეშჳდესა ჟამსა 10, 4; სხუაჲ წიგნი ერთი ოცდაოთხთა ჟამთაჲ (=ჟამნი?) 34ა, 41. **3.** წირვა, ლიტურგია: ყოველთა მღდელთა ჟამი ჩემთჳს წირონ 36, 1; სასეფოდ ჟამი წირონ 0, 13; ჟამის წირვისა 2, 12; ჟამის მწირველი 0, 13; ჟამის საწირავად 0, 26; ღირსად ჟამის მწირველი 31, 1; მღდელნი ჟამის მწირველნი 6, 7; მღდელთა ჟამის მწირველთა 37, 2.

რ

რა-ჲ რამე, რაჲმე: რაჲთა არცა ერთითა რაჲთ მიზეზითა დაეხრწიოს რაჲ ამათგან 21, 7; არცა ერთი რაჲ ვპოვე 2, 16; არცა განიჭებად, არცა განსყიდად მონაგებთაგანი რაჲ ეკლესიისათაჲ 0, 38; ანუ და-რაჲ-აკლოს ამისგანი 33, 1; უკუეთუ იპოვოს ცთომასა რას შინა 30, 3; სხუად რად ნუ იჳმარების 21, 4. **არარა-ჲ** არაფერი: რაჲთა არარაჲ ესევითარი შეემთხჳოს განმყოფელთა მათ 21, 6. ნ. რაული.

რა-ჲ (ნაწილაკი): აღასრულონ რაჲ საღმრთოჲ საჲდუმლოჲ 5, 7.

რავდენ-ი: რავდენი დღე 0, 13. **რავდენობა-ჲ:** რავდენობისათჳს მონაზონთაჲსა 0, 12.

რაჲ-ვე: რაჲთა არავის აქუნდეს ზიარებაჲ რაჲვე რაჲთურთით 0, 24; არცა მაქუნდა ხუეჭაჲ რაჲსავე 2, 13; რასავე ხარკსა ქუეშე შევრდომილ 3, 1.

რაჲთურთით: არა მნებავს რაჲთურთით 4, 2.

რაჲ-იგი რაც: რაჲ-იგი მე არა მწადის 0, 5.

რაჲ-მე: საკუთრად რაჲსამე ზრუნვისა 0, 10; საწინაოთა მოულოდებელთა რათმე ჭირთა და წარსაგებელთათჳს 21, 5.

რაჲცა-რაჲ: 18, 10; 21, 5 რაც კი; გინა სხუაჲ რაჲცა-რაჲ ესევითარი 32, 1.

რაჟამს-იგი 4, 10 როდესაც.

რაულ-ი როგორი: თუ რაულნი ანუ ვითარ-სახენი შესაწირავნი და ადგილნი მიეცნეს 0, 8.

რე (ნაწილაკი): რომელნი უნაყროვნეს-რე იყვნენ 8, 9; სრულებით-რე თქუმად 20, 2.

რეშვა როშვა, მსხვილად ფქვა, ღერღვა: მრეშუელი 29, 6 მროშველი, მსხვილად მფქველი.

რეცა ვითომც, თითქოს: ოდესღა-იგი მათსა მას ზღვევასა რეცა ლმობიერად იჩქურებ 4, 11; და არა შთავრდომად რეცა გონება-ტკბილობით მპარვობასა 4, 12.

რეხუება-ჲ: რაჲთა რომელნი ზე--დგომით ჰმსახურებდენ, მიმოსლვასა მათსა მყუდროდ იქმოდინ, თჳნიერ რეხუებისა ფერჴთაჲსა 8, 1. შდრ. მრეხველი.

რვათა ჴმათა-ჲ: საგალობელი რვათა ჴმათაჲ 34ა, 38 (ὀκτάηχος, ОКТОИХ).

რვალ-ი: საკანდლენი რვალისანი 2, 20. შდრ. სარუთი.

რვეულ-ი: რვეულნი ყოველნი რვითა ფურცლითა არიან 36, 8.

რომანატ-ი 2, 16 რომანოზ მეფის მოჭრილი დრაჰკანი (რომანოზ II 959—963, ან რომანოზ III არგიროზი 1028-34, უფრო უკანასკნელისა). ნ. განძი.

რომელ რომ: რომელ ბრწყინვალედ აღესრულებოდიან 0, 17; უკუეთუ ესრეთ რაჲმე დახუდეს, რომელ ანასდეუ-

ლად მიიცვალოს 5, 5; და გლეხი ერთი მუნითცა გაუთავისუფლონ, რომელ საფქავსა უფქვიდეს და შეშასა მოართუმიდეს 29, 7.

რომელი-რაჲ 18, 10. **რომელი-რაჲმე** 26, 6. **რომელიცა-რაჲ 18, 6** რაც კი.

რომელნიმე... რომელნიმე ზოგი... ზოგი: რომელთაჲმე შერისხვაჲ ჯერ-არს უხუცესისაჲ, რომელთამე — შერჩულვაჲ, რომელთამე — წყლულებისა განკუეთაჲ მხილებისა მახჳლითა 14, 3.

რომლისათჳს ამიტომ: რომლისათჳს ვაფუცებ მამასახლისთა 36, 6.

რორინება-ჲ: ქამლთა ძიებად კარითი-კარად რორინებად 9, 1; ხოლო რომელნი დაუდგრომელ იყვნენ ძმათაგან, არა მიუშუას მას წინამძღუარმან ნებისაებრ მათისა განსლვად და რორინებად, ვინაჲცა ენებოს 15, 1. [შდრ.: (რომელსა ეპისკოპოსსა) „სამწყსოსა შიგან სიარულისაგან, თავი ქელთ არა ჰქონდეს და ანუ ავად არ იყოს, ანუ მისსა სამწყსოსა შიგან ქორეპისკოპოსსა გაუწყვეტლად არ **არონინებდეს** და სჯულის საქმესა მართლა არ მწყსობდეს". კათალიკოსის სამართალი, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913, გვ. 6]. ნ. იოვ. და ეფთ. ცხორების ლექსიკონი.

როქ-ი (ῥόγα, руга) სარგო, ჯამაგირი (ფულად): რაჲთა იყვნენ ძმანი სამ დასად განყოფილ და როქსა აიღებდენ 9, 2; ვინაჲთგან როქითა იქმნა დაწესებაჲ შესამოსლისა მათისაჲ, ამისთჳს ჯერ-არს მიშუებისა მიცემად, რაჲთა ქელ-ეწიფებოდის როქსა მათსა და ნაძუელავსა ზედა ყოფად, ვითარცა ენებოს 9, 4; და აღიღებდეს ძმათა თანა მონასტრისათა წესთასა თჳსსა და როქსა, ვითარცა ერთი მესამისა დასისაგანი 29, 1; და აღიღებდენ იგინიცა როქსა, ვითარ-იგი აღიღებს სტენიმახელი 29, 5; დაიკარგოს მას შინა მღდელი ერთი და აიღებდეს როქსა და საზრდელსა 31, 1. აქედან **გაროქვა-ჲ** ჯამაგირის დანიშვნა, ჯამაგირის მიცემა: და გუენება, რაჲთამცა არა იქმნებოდა ესე გაროქვითა 9, 1 (**διὰ δώσεως ῥογῶν**). [შდრ.: „და გაიროქნეს მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერსა, რომელთა დავასხმევინეთ ვენაჴი კე-სა მოდისაჲ": აღაპები, № 145].

ῥόγα მიღებულია ლათ. erogatio-საგან (სოფოკლე); erogo „გავსცემ", „ვხარჯავ". აქედანვეა ძვ. რუს. руга. ქართ. „როქი" ფორმით უფრო ახლო დგას სომხურში ხმარებულ *ռոճ* და *ռոճիկ* ფორმებთან (ჰ. აჭარიანის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, IV, 414—416).

[**როშვა-ჲ.** ნ. რეშვაჲ].

რუდუნება-ჲ: მრავლითა ღუაწლითა და რუდუნებითა 5, 9; ჩემითა მრავლითა მოჭირვებითა და რუდუნებითა 18, 9; მოიკსენებდით ჭირთა და რუდუნებათა და შრომათა ჩემთა 21, 12; ქამლთა ძიებითა კარითი-კარად რორინებად ანუ მექამლეთა რუდუნებად 9, 1.

რქა-ჲ: იოტაოდენი ერთი რქაჲ გამოიღოს ამისგან 33, 1 (შდრ. მათ. 5, 18).

რქუმა-ჲ: არა ჯერ-არს მონაზონისათჳს სხუაჲ რაჲმე სიტყუაჲ რქუმად წინამძღუარსა 15, 5.

რჩეულ-ი: რჩეულისა ამის და ნუყიერისა ადგილისა 5, 10.

რწმუნებულ-ი: მისდა რწმუნებულისა მსახურებისაჲთა 30, 1; სულიერთა მათ სამწყსოთა მათდა რწმუნებულთა 15, 3.

რწყ. ნ. მერწყული.

ს

საარხონდო-ჲ საარხონტო, არხონტის სახელო (ἀρχοντία): სოფელი პრილონგი თემსა შინა სოლონიკისასა, რომელ არს საარხონდოსა სტეფანიანისასა 2, 9.

საბურავ-ი: სხუა საკურთხევლისა საბურავი, შეკერული სკარამანგი დურანგითა 34ა, 53; სხუაჲ საბურავი საკურთხეველისაჲ... სხუაჲ საბურავი ერთი, თეთრი ექსამიტონი 34ა, 54-55.

საგალობელ-ი: ს. რვათა ჴმათაჲ 34ა, 37.

საგზალ-ი: საგზლისა ჩადებად 8, 13.

სადა 1. სადმე: წარსლვად და ალსაარებად სხუაგან სადა 13, 2. **2.** ოდესმე: და უკუეთუ სადა წინამძღუართაგანი ვინმე მაოჴრებელად ამის მონასტრისა განგებულებისა იპოოს 36, 5.

სადაგ-ი (სპ. ساده) უბრალო: ჰიქაჲ ბროლისაჲ ფსკერედი, სადაგი, 34გ, 2.

სადაჲთცა საიდანაც კი: რაჲთა, სადაჲთცა შემოვიდოდის, წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს 6, 10.

სადგურ-ი. ნ. უცხოთ სადგური.

სადედო-ჲ: სადედოჲ მონასტერი 0, 29 დედათა მონასტერი; დავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოჲსა მონასტრისა 23, 2.

[**სადოშიარო-ჲ.** ნ. დოშიარი].

სადროშაე (στρατηγικός): ჯუარი ერთი ვეცხლისაჲ, სადროშაე 34ა, 6. შდრ. საზოლავროჲ.

სადუღარ-ი: არცა სადუღარისა ჰურჰლისა ჯერ-არს ქონებად 4, 4.

საებისკოპოსო-ჲ: რასავე ხარკსა ქუეშე შევრდომილ, სამეტროპოლიტოსა და საებისკოპოსოსა 3, 1.

საერთადო-ჲ: და იყავნ ტაბლაჲ მათი საზოგადო და საერთადო 4, 2.

საერისკაცო-ჲ: საერისკაცოებისაებრ განგებისა 25, 2.

საეროდ საჯაროდ, публично: რაჲთა ეკლესიისა ჩუენისა დღესასწაულსა და სამთავე წმიდათა მარხვათა შემოსლვასა წარიკითხვოდის ტიპიკონი ესე საეროდ სრულებით 33, სათ.

საეშმაკო-ჲ. ნ. ეშმაკი.

[**სავაჟინრო-ჲ.** ნ. ვაჟინარი].

სავნებელ-ი: დიდიცა სავნებელი 4, 6; სარგებელისა წილ სავნებელი ფრიადი შეემთხჳოს 4, 6.

სავსე: ჯუარნი საუფლონი, სავსენი ნაწილითა ძელისა ცხორებისაჲთა 2, 18. შდრ. აღსავსე.

საზიარო-ჲ: საზიაროსა მას ტრაპეზსა 4, 4; 8, 11; საზიაროსა მას ტაბლასა 8, 10; საზიაროჲსა მის ცხორებისა წესისა შეცვალებაჲ 4, 6.

საზოგადო-ჲ: და იყავნ ტაბლაჲ მათი საზოგადო და საერთადო 4, 2.

საზოლავრო-ჲ სასარდლო (στρατηγικός): მივეც საზოლავროჲ ჯუარი ერთი სხუაჲ, ვეცხლისაჲ 34ბ, 4 (ზოლავარ-ი ანუ ზორავარ-ი *զաւրավար*—მხედართმთავარი, სარდალი). ზოლავარი საკუთარი სახელი უნდა იყოს ამ ადგილას: „ქრისტე, ადიდე სულითა ზოლავარი და შვილნი მისნი“ (მინაწერი 1040 წლის ხელნაწერზე: ა. ც ა გ ა რ ე ლ ი. ჯვარის მონასტრის ხელნაწერთა კატალოგი, № 144). შდრ. სადროშაე.

საზომ-ი (μέτρον): ამათ ყოველთა საზომი და სახე 2, 21; ტრაპეზისაცა საქმე და მსახურთაჲ კეთილად აღესრულებოდენ საზომსა მას ზედა, რომელიცა საზრდელთათჳს განგჳსაზღვრებიეს 8, 1; რომლისა საზომი განთჳსებულად დასას-

რულსა ამის ტიბიკონისასა დავჰწერიეს 11, 2; აღმიზრდიან და საზომად მომიწიფებიან 18, 7 (შდრ.: „იგი ყრმაჲ განსამე -ზრდილ არს, საზომსა ჰასაკისასა მიწევნულ არს“: მოქც. ქართლისაჲ, ე. თაყაიშვილის გამოც. 763, 4). შდრ. ზომი.

საზრდელ-ი საჭმელი: სხუაჲ ყოველი საზრდელი 6, 12; რაჲთა ერთი მეორისა უმჯობესთა საზრდელთა და სასუმელთა იჴუმევდეს 4, 2; ნუვეშინის-ცემად ძმათა უმეტესთა საზრდელთა მიერ და სასუმელთა 30, 2; საზრდელთა შემზადებაჲ 0, 10; საზომსა მას ზედა, რომელიცა საზრდელთათჳს განვჰსაზღვრებიეს 8, 1.

საზღვარ-ი: საზღვართა შინა მონასტრისათა 23, 2; საზღვართა მისთა 0, 29. შდრ. ზღვარი.

სათანადო-ჲ: ფრიად ჯეროვან და სასათანადო არს წინამძღურისა 13, 1.

სათევზე: სათევზითა ტბითა მისითა 2, 13.

სათნო-ყოფა-ჲ: სათნო-გიყო შენ 15, 12.

სათუე: სხუანი წიგნნი სათუენი, (μηναῖα) სამნი 34ა, 36. ამჟამად საეკლესიო პრაქტიკაში ამ წიგნს ჩვეულებრივ „თუენი“ ჰქვია და არა „სათუე“. ძველად „სათუეო“ც გვხვდება: „ერთი დიდი მეტაფრასი და ერთნი განყოფილნი დავითნი, ორი სათუეოჲ — მარტი და აპრილი — დაწერნა და მოაჴსენნა ყოვლად წმიდასა“, აღაპები, № 5, „სათუეონი ათორმეტთა თუეთანი“ იქვე № 32.

საიდუმლო-ჲ: აღასრულონ რაჲ საღმრთოჲ საიდუმლოჲ 5, 7.

საკანდლე: საკანდლენი რვალისანი 2, 20.

საკარგავ-ი: საკარგავისა არა მიცემისათჳს წინამძღურისაგან ძმათაგანსა 0, 38; განვაყენებ ამისგანცა და რაჲთურთით არა მივსცემთ მიშუებასა, ვითარმცა, აღმოსავალეთისა გინა დასავალეთისა მონასტერთა წესისაებრ, წინამძღუარმან საკარგავი მისცა ვის ძმათაგანსა: ანუ გლეხი, ანუ მიწაჲ, ანუ ვენაჴი, ანუ ბოსტანი, გინა თუ რაჲცა-რაჲ ესევითარი, გარნა გლეხთა ხოლო მიეცემოდის საკარგავი, რომელნი ეკლესიასა ჰმსახურებდენ და თანა-ნადებსა თჳსსა გარდაიჴდიდენ 32, 1—2. შდრ. დაკარგვაჲ.

[**მოსაკარგვე** საკარგავის მქონებელი: მონაზონმან ანუ მოსაკარგვემან (თამარ მეფის 1202 წ. სიგელში შიო-მღვიმის მონასტრისათვის წყაროს წყლის საქმის თაობაზე, ანტონი ჭყონდიდლის მინაწერი: თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ისტორ. საბუთები 28, 13)].

საკრებულო-ჲ: მონასტერი საკრებულოჲ 3, 1; რაჲთა არა დაიჴსნას საკრებულოჲ წესი 8, 11; წესი და განგებაჲ სამონაზუნოჲ და საკრებულოჲ 0, 3; განსაზღვრებაჲ საკრებულოჲ 0,2.

საკუთრად 1. განთჳსებით საკუთრად წესისა ძიებითა 4, 6; საკუთრად თავისა თჳსისათჳს ალაგისა რაჲსამე ღუწოლაჲ 4, 3; თავისა თჳსისათჳს საკუთრად რაჲსამე ზრუნვისა 0, 10. **2.** საგანგებოდ, განსაკუთრებით: ავიღე მეფეთა ჩუენთაგან საკუთრად სხუაჲ ახალი ოქრობეჭედი 18, 10.

საკუმეველ-ი 6, 11; საკუმეველი, ზეთი და სანთელი 31, 3. ნ. სასაკუმევლე.

საკურთხეველ-ი 1. алтарь: ერთი [სანთელი ენთებოდის] დიდსა საკურთხეველსა (ἐν τῷ μεγάλῳ βήματι) 12,1; წინაშე წმიდისა საკურთხეველისა დაადგინონ 5, 7. **2.** ტრაპეზი: სხუაჲ საკურთხეველისა საბურავი 34ა, 53 ἐνδυτὴ τῆς ἁγίας τραπέζης.

საკჳრველება-ჲ 2, 18.

სამართალ-ი (იჴუმშება ვითარებით-

ში, მოქმედებითში კი—არა) სწორი, სამართლიანი: ჯერ-არს და სამართალ 1, 1; ჯერ-არს უკუე და სამართალ 4, 12; რაჲთა ჯეროვნად და სამართლად იქცეოდინ 15, 2; სამართალთა მათ სასჯელთა 1, 1; სასჯელი ღმრთისაჲ სამართალ არს ესევითარისა მოქმედთა ზედა 15, 4; ყოვლითა სამართალითა 2, 1; 2, 5; და სამართალითა მისითა 2, 12; საქმეთა თჳსთაებრ სამართლად მიგებაჲ 1, 1; ჭეშმარიტად უკუე და სამართლად 5, 1. ნ. სასამართლოჲ, უსამართლოჲ.

სამარხო-ჲ 1. ეკლესიისაგან მარხვის დღეს ნებადართული საჭმელი: დიდთა უკუე მარხვათა შაბათ-კჳრეაკეთა შინა იგივე ზომი სამარხოჲ სანოვაგე დაეგებოდის 10, 2. **2.** დასამარხავი ადგილი მიცვალებულისა, საძვალე: მაშენებელი ვარ მონასტრისა და მას შინა სამარხოჲსა მის განსასუენებელისა ჩემისა 0, 2; აღშენებასა ეკლესიისასა და მონასტრისასა სამარხოდ და განსასუენებელად ბრალეულთა ძუალთა ჩემთა 1, 2; მოვიყვანე ლარნაკი მისი აქა მონასტერსა და ეკლესიასა სამარხოსა ჩემსა და მუნ დავდევი საფლავსა შინა გუამი მისი 2, 11; მივეცით მონასტერსა და სამარხოსა მისსა 2, 12; მივეც მონასტერსა ჩემსა და სამარხოსა მისსა 2, 13; ზედა საფლავსა სამარხოსა ჩუენსა სამი სანთელი 12, 1.

სამეტროპოლიტო-ჲ: რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ: სამეტროპოლიტოსა და საებისკოპოსოსა 3, 1. ნ. მიტროპოლიტი.

სამეუფო-ჲ სამეფო, მეფისა: სამეუფონი შესამოსელნი 2, 18; დურაჲ სამეუფოჲ 34ა, 47; სამეუფოჲ წიგნები 35ა, 15; სამეუფოჲთა ბრძანებითა 35გ, 10; თჳნიერ ყოვლისა მსახურებისა სამეუფოჲსა და სამთავროჲსა 3, 1; რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ: სამეუფოსა და საპატრიაქოსა 3, 1; ყოველთაგან სამეუფოთა და სამღდელთმთავროთა ხარკთა 0, 9; **სამეუფო-ჲ ქალაქი** კონსტანტინოპოლი: არა მნებავს რაჲთურთით გარეგან მონასტრისა გინა სამეუფოჲსა ქალაქისა განსლვაჲ ამისი 36, 5. ნ. მეფე.

სამთავროჲ. ნ. მთავარი.

სამკაულ-ი: სამკაულთა და სიწმიდეთა და საჴმართა და განძისა მცველად 6, 10; სამკაულთათჳს პატიოსნისა მონასტრისა ხახულისა 35ბ, 10.

სამკუდროჲ. ნ. მკუდარი.

სამკჳდრებელ-ი: განვარდინ საღმრთოჲსა ამისგან სამკჳდრებელისა 4, 13; სამკჳდრებელი ჩუენი სიონს 15, 15. ნ. მკჳდრი.

სამონაზუნო-ჲ. ნ. მონაზონი.

სამოსელ-ი: შესამოსელთათჳს გინა სამოსლისა ფასისა 0, 15.

სამოღუაწეო-ჲ. ნ. მოღუაწე.

სამოწესეო-ჲ: ესე შუენიერი სამოწესეოჲ სამკჳდრებელი 18, 1; რაჲთა არაოდეს დაუტეონ პატიოსანი ესე სამოწესეოჲ ჩუენი თჳნიერ ეპიტროპოსთა და იკონომოსთა 16, 1.

სამსახურებელ-ი 1. სამსახური: ვითარ ჯერ არს მეორისა დაყენებაჲ მასვე სამსახურებელსა ეკლესიისასა 0, 11; და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სამსახურებელი 29, 1. **2.** რა ნივთებიც საჭიროა ეკლესიისთვის: და სხუაჲ სამსახურებელი ეკლესიისაჲ 34ბ, 7.

სამსჯავრო-ნ-ი სასამართლო: ვითარ-იგი მებრ მრავალ გზის სამსჯავროთა შინა ვიხილე მე თუალითა ჩემითა 18, 4.

სამღდელთმთავრო-ჲ. ნ. მღდელთმთავარი.

სამშჳნველ-ი (ψυχή): ვიდრე განსაყოფელადმდე სამშჳნველისა და ნაწევართა 5, 8.

სამწეროზელ-ი ῥιπίδιον, рипида,

опахало: რაჲთა შექმნენ სამწერო-ბელნი 34ბ, 7.

სამწირო-ჲ. ნ. სასტუმროჲ.

სამწყსო-ჲ: წინამძღუარად სამწყ-სოჲსა მის 5, 5; რაჲთა წარმართებულად და სიწრფოებით ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა 5, 8.

სამხარ-ი შუადღის დრო; სადილი: ორ-ორსა კრასაულსა სუმიდენ სამხრად და თითოსა — მწუხრი 10, 3; ცისკრისა ლოცვისა ჟამსა და სამხრისა და მწუხ-რისასა 12, 2; და სამხრად, აღასრულონ რაჲ საღმრთოჲ საიდუმლოჲ 5, 7.

სანატრელ-ი ითქმის მიცვალებულის კრძალვით ხსენებისას: ძმისა ჩემისა სა-ნატრელისა აბაზ მაგისტროსისა 0, 2; სანატრელისა ძმისა ჩემისა აბაზ მაგის-ტროსისათჳს 37, 8; სანატრელისა მამისა ჩუენისა ბაკურიანისათჳს 37, 14.

სანაწილე: სანაწილე სიწმიდისაჲ 34ა, 19.

სანთელ-ი 6, 10. ნ. სასანთლე.

სანოვაგე სასმელ-საჭმელი: ნუმცა იქმნების პურისა, გინა ღჳნისა და სხუა-თა მათ სანოვაგეთა შეცვალებაჲ 8, 5; იგივე ზომი სამარხოჲ სანოვაგე დაეგე-ბოდის, თჳნიერ თევზისა 10, 2; არა მნე-ბავს, რაჲთა ორი გუარი პური, გინა საჭ-მელი ანუ სხუაჲ რაჲმე სანოვაგეთაგანი შეიქმნებოდის 4, 2.

საჲდუმლო-ჲ 21, 10; 34ა, 12; საჲ-დუმლოსა 7, 1; 21, 9; 27, 1; საჲდუმლოდ 14, 1; საჲდუმლოთა 27, 1. მაგრამ: საი-დუმლოჲ 5. 7; საიდუმლოსა 7, 2.

[**საოსტიგნე.** ნ. გვ. 31—32)].

საპარადოდიკო-ჲ, ნ. პარადოდიკონი.

საპატრიაქო-ჲ. ნ. პატრიაქი.

სარგებელ-ი: ვიბრძანე მსახურებად აღმოსავლეთს სარგებელსა და მსახუ-რებასა 1, 4; სარგებელსა მონასტრისა-სა 6, 22; სარგებელისათჳს ეკლესიისა 6, 22.

სარეცელ-ი ლოგინი: მცირედნი-ღა ვინ ჩუენგანნი მომკუდარ არიან სარე-ცელსა ზედა მშჳდობით 1, 4.

სარუთ-ი სპილენძი (? ას. სარუში-საგან?): სხუაჲ ხატი ერთი წმ. გიორგი-სი და თევდორესი, სარუთითა და ვეცხ-ლითა მოჭედილი 34ა, 10. სარუთი (ანუ საროთი) მოიპოვება მელქისედეკ კათა-ლიკოზის 1020 წლის სიგელში: და ხატი ერთი დიდი მაცხოვრისაჲ საროთითა და გარეშემო თუალითა შემკობილი; და ხა-ტი ნათლისმცემლისაჲ ერთი და თევდო-რესი ერთი და საროთითა შექმნილნი, ოქროჲთა და ვეცხლითა შეჭედილნი და სხუაჲ ხატები, საროთითა და ოქრო-ფურცლითა დაწერილნი (მელქისედეკ კათალიკოსის სიგელი: თ. ჟორდ., ქრო-ნიკები II, 32; ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, IV, 281) თ. ჟორ-დანიას და ნ. ბერძენიშვილს „ოქრო-ფურცლითა“-ს ნაცვლად „ოქროფორტ-ლითა“ ამოუკითხავთ. ს. ორბელიანი (და მასზე დაყრდნობით დ. ჩუბინაშვილი) სხვაგვარად ხსნის: „პატიოსანთა თუა-ლებთა და აღრალებთა დასთლიან და მათ შეაწყობენ ხატთა და ყვავილთა ძვირფასთა, იგი არს საროთი (ს. ორბ.); დ. ჩუბინაშვილით: „სოფიას კენჭი, სა-როთი, ხატი ან სხვა რამ მოხატული ფე-რადის კენჭებითა, мозаика“. შდრ. რვალი.

სარჩელ-ი. ნ. სასარჩლო. შდრ. სას-ჯელი.

სარწმუნო-ჲ: თაყუანის-საცემელითა და სარწმუნოჲთა ბეჭდითა 2, 9: სარწ-მუნოსა სიმტკიცისა ოქრობეჭედსა 2, 14; სარწმუნოთა მიერ ოქრობეჭედთა 3, 3; დასამტკიცებელად და სარწმუნო ყოფად 36, 2; კაცი ერთი სარწმუნოჲ მეშწი-რედ 29, 1.

სარწმუნოება-ჲ: ღალაცათუ სომეხნი იყვნენ სარწმუნოებითა 35ბ, 11.

სასაკუმევლე: სასაკუმევლე ვეცხლისაჲ ერთი 34ა, 18. ნ. საკუმეველი.

სასამართლო-ჲ: მოსაჴსენებელი წიგნი და აპოტიქსი ოქრობეჭედთა ჩუენთაჲ და სხუათა სასამართლოთა ნაწერთაჲ 35გ, სათ. καὶ λοιπῶν δικαιωμάτων; ესე ყოველი ოქრობეჭდები და სასამართლოჲ წიგნები 35გ, 13.

სასანთლე-ნ-ი 12, 4.

სასარჩლო-ჲ: სასარჩლოჲსა რაჲსამე საქმისათჳს 36, 6.

სასაძოვრე: სასაძოვრითა ადგილებითა 2, 17 (აგრეა ხელნაწერში, მაგრამ, შეიძლება აქ ერთი „სა“ ზედმეტად დაწერილი იყოს).

სასახლე: სასახლენი ადგილნი 2, 5.

სასეფო-ჲ. ამ ძეგლში ეს სიტყვა ნიშნავს საბატონოს, ე. ი. გრ. ბაკურიანისძის ოჯახის წევრების კუთვნილს, ან მათთვის განკუთვნილს. ბერძნულ რედაქციაში მას ზოგჯერ შეესატყვისება δεσποτικός: მსგეფსსა შინა რავდენი დღე ჯერ-არს, რაჲთა სასეფოდ ჟამი წირონ 0, 13; ჯერ- ესრეთ -იყო, რაჲთა ყოველთა დღეთა წელიწდისათა სასეფოდმცა წირვიდა, გარნა ჩუენ ესრეთ განვაწესეთ, რაჲთა ყოველთა საუფლოთა და სახელოვანთა დღესასწაულთა სასეფოდ წირვიდენ და სხუათა მათ მსგეფსისა დღეთა სამსა დღესა სასეფოდ წირვიდენ: ოთხშაბათსა, პარასკევსა და შაბათსა 7, 4; და მსგეფსსა შინა სამსა დღესა სასეფოდ ჟამსა წირვიდეს 32, 2; განუწესე წისქჳლიცა ერთი სასეფოთა წისქჳლთაგან 21, 1. ნ. სეფე.

სასნეულო-ჲ საავადმყოფო: სასნეულოთათჳს 0, 34.

სასოება-ჲ: სასოებითა 1, 1.

სასტუმრო-ჲ: და მიეცემოდის სასტუმროსა მარმარისასა 29, 6; არაოდეს დაიხრწოს განწესებაჲ ესე სასტუმროთაჲ ამათ 29, 8. ამავე მნიშვნელობით ამავე ძეგლში ნახმარია „სამწიროჲ“ და ბერძნ. „ქსენადოში“ (ξενοδοχεῖον), რომელიც ახსნილია „უცხო სადგურად“: სასტუმროს გამგეს ერქვა **მეშწირე. სამწიროჲ**: აღიშენოს უკუე სამწიროჲსა მის თანა ბორცუსა ზედა კოშკი ერთი 29, 4; და გლეხი ერთი გაუთავისუფლონ, რაჲთა ოდენ სამწიროსა ჰმსახურებდეს შეშისა მოღებითა და წყლისაჲთა და სხუაჲ რაჲცა უჴმდეს სამსახურებელი 29, 1. **მეშწირე**: და კაცი ერთი სარწმუნოჲ მეშწირედ მონაზონთაგანი, რომლისა ჴელითა განეყოფვოდის დაწესებული ესე საზრდელი გლახაკთა და მოგზაურთა 29, 1. **ქსენადოშ-ი**: თუ რაჲსათჳს აღშენებულ არიან ჩემ მიერ ქსენადოშნი, რომელ არიან უცხოთა სადგურნი 0, 35; სამთა მათ ჩემ მიერ აღშენებულთა ქსენადოშთათჳს, რომელ არიან უცხოთ სადგურნი 29, სათ.; სოფლისა სტენიმახის ქუემო კერძო აღვაშენეთ ქსენადოში ერთი 29, 1; და იყვნენ ქსენადოშსა მას შინა ცხედარნი მრავალნი და ფურნე და თორნე 29, 2; ხოლო ქსენადოში მარმარისაჲ, რომელ არს კიდსა ზედა, და მეორე ქსენადოში ნიკოლწმიდისაჲ, რომელ არს ზღჳს კიდესა 29, 5; რაჲცა უჴმდეს ქსენადოშსა ნიკოლწმიდისასა 29, 6; და სხუაჲ რაჲცა სამსახურებელი იყოს ქსენადოშისაჲ 29, 7; ქსენადოშებითა 2, 12 (მიმოხ. 38).

სასუამად-ი: საჭამადი გინა სასუამადი 8, 10; და უმატონ საჭამადსა და სასუამადსა 22, 1; საჭამადთა და სასუამადთა 4, 6. შდრ. სასუმელი.

სასუენებელ-ი: ყელსა სასუენებელი ჯუარი 34ბ, 1; 34ბ, 2.

სასუმელ-ი: საზრდელითა და სასუმელითა 28, 1. ნ. წყლის სასუმელი.

სასყიდელ-ი: 4, 10; 8, 15; უსასყიდლოდ 1, 5.

სასწავლოდ: ს. ყრმანი ექუსნი 31, 4.

სასწაულ-ი ნიშანი: რომელი ესე უწინამძღრობისა და თავჴედობისა არს სასწაული 15, 4

სასწრაფო-ჲ: უმეტეს ყოვლისა სასწრაფო არს ჩუენდა ფრიად 5, 1 ყველაზე უფრო უნდა ვისწრაფდეთ.

სასჯელ-ი: სამართალთა მათ სასჯელთა ქრისტესთა 1, 1. შდრ. სარჩელი (სასარჩლოსთან).

[**სატანუტრო-ჲ**. ნ. გვ. 29, 30].

სატანჯველ-ნ-ი 1, 1.

სატფობლად 29, 2.

საუკუნე: საუკუნეთა სატანჯველთა [1, 1.

საუფლო-ჲ: კჳრიაკე დღე თჳთ საუფლოჲ არს 7, 3; საუფლონი დღესასწაულნი 11, 3; საუფლოთა დღესასწაულთა 0, 11; ყოველთა საუფლოთა და სახელოვანთა დღეთა 7, 4.

საფარდულ-ი **1.** სავაჭრო ადგილი: რაჲთა არა საფარდულ იქმნას ადგილი ესე 4, 4. **2.**˚ საქონელი(?): საფარდულისა შეძინებითა და ანგაჰრებითა 4, 11.

საფარველ-ი: შესამოსლისა ფასისათჳს ვიზრუნეთ აღწერად და კამლთათჳს და საფარველთა კორცთაჲსა 9, 1.

საფასე ფული და სხვა ფასეული რამ: რაჲთა არაოდეს დააკლდეს განძი საფასე მონასტერსა 26, 7; ჰე და ჩემიცა არა მცირედი აქუნდა საფასე მის თანა ნამარხევად დადებული 2, 16; გინა ჩემისაგან, გინა თუ მისისაგან საფასისა 2, 16 (კონტექსტიდან ჩანს, რომ ფულზეა საუბარი, რაც ზემოთ „განძად“ არის ნახსენები); მონაგებთა და საფასეთა მისთაგან 2, 15; საკმართა და საფასეთა ჩემთაგან 2, 11; ჩემთა მრავალთა საფასეთა წარგებითა 1, 5; საფასეთა განყოფისათჳს 21, სათ. (შინაარსიდან ჩანს, რომ უნდა დაურიგონ ფული).

საფლავ-ი: ეკლესიისა და საფლავისაჲ 2, 9; საფლავსა შინა 2, 11.

საფქავ-ი: რომელ საფქავსა უფქვიდეს 29, 7; რაჲთა საფქავსა დაუფქვიდეს 29, 1.

საქმე: ქმნად ჩუენდა ყოლადვე საქმეთა კეთილთა 1, 1; სასარჩლოჲსა რაჲსმე საქმისათჳს 36, 6; დასასრულსა საქმისასა 36, 3; საღმრთოთაცა საქმეთა შინა და კაცობრივთა 3, 1.

საყვედურ-ი: ჩემდა მომართ საყვედურისა [არ] დადებითა 18, 9.

საშინელ-ი: საშინელი განკითხვაჲ 1, 1; საშინელთა მათგან სატანჯველთა 1, 1.

საშუვალ-ი: საშუვალსა ოდენ გზასა 0, 5.

საჩინო-ჲ: და სხუათათჳს საუფლოთა დღესასწაულთა და საჩინოთა წმიდათა 0, 17.

საჩუენებელ-ი: თჳთრჩულობით მოღუაწებასა და საჩუენებელად ქმნილსა, რომელსაცა სახილველად კაცთა მაჩუენებლობით იჩემებენ 15, 12.

საცეცხურ-ი: საცეცხურები 2, 18; საცეცხურნი ვეცხლისანი სამნი 34ა, 17;

საცნაურ-ი: მეგობართა საცნაურთა სახიერებით შემწყნარებელთა ჩუენთა 1, 1.

საცხოვარ-ი: პრასტინთაგან ანუ საცხოვართა 8, 10.

საცხორებელ-ი: საცხორებელსა ჩემსა ვეძიებდი და მოვირეწდი 18, 9.

საძიებელ-ი: რაჲთა ადვილად პოოს საძიებელი თჳსი 0, 6.

საძოვარ-ი. ნ. სასაძოვრე.

საწინავრო-ჲ: რაჲთა არაოდეს დააკლდეს ვიდრე ათად ლიტრადმდე განძი საფასე მონასტერსა, რაჲთა საწინავროდ საკმარად ეგოს მონასტრისათჳს მომავალსა შინა ჟამსა 26, 7. შდრ. საწინაოჲ.

საწინაო-ჲ: ნახევარი კუალად ეკლესიასავე საკმრად დაეტეოს საწინაოთა

მოულოდებელთა რათმე ჭირთა და წარსაგებელთათჳს 2, 15. შდრ. საწინავროჲ.

საწირავ-ი: ვისგანცა ეკლესიასა საწირავად საკმარი აღოს 7, 4.

საწუთრო-ჲ: ამის საწუთროჲსა 1, 3; 28, 5; საწუთროჲსა ამის ზრუნვათაგან 1, 3.

საწუნე წვნიანი საჭმლის გასაკეთებელი მასალა (ცერცვი, მხალი და სხვ.): პური და უქდური და საწუნე 6, 12; საწუნე, რაჲცა ღმერთსა მოეცეს ცერცუთაგან და მხალთა 29, 1; საწუნე, რაჲცა ღმერთსა მოეცეს — გინა თუ ცერცჳ, გინა თუ მხალი 29, 7. ნ. წუენი.

საწყაულ-ი (μέτρον): ღჳნოჲ საწყაული ერთი 29, 7 [შდრ.: ღჳნოჲ მეტროჲ ერთი 29, 6. აქედან ჩანს, რომ „მეტრო" და „საწყაული" ერთია მნიშვნელობით; ერთია ბერძნული, მეორე — ქართული].

საჭამად-ი საჭმელი: საჭამადი გინა სასუამადი 8, 10; რაჲთა არა საჭამადთა და სასუამადთა სენაკთა შინა დაჰმარხვიდენ 4, 6; და უმატონ საჭამადსა და სასუამადსა 22, 1.

საჭმელ-ი: რაჲთა ორი გუარი პური, გინა საჭმელი ანუ სხუაჲ რაჲმე სანოვაგეთაგანი 4, 2; და სამი საჭმელი იქმნებოდის 8, 6; საჭმელთა მიერ და სასუმელთა 21, 4.

საჭურის-ი: განკრძალვისათჳს საჭურისთაგან, რომელ არიან ყუერულნი 0, 23; საჭურისთათჳს, რომელნი ყუერულად სახელ-დებულ არიან 17, 1.

სახარება-ჲ 34ა, 21-27.

სახარკო-ჲ გადასახადი: აზნაურად ყოფისათჳს ყოვლისაგანვე სახარკოჲსა და მსახურებისა 3, სათ.; და სხჳსა ყოვლისაგან სახარკოჲსა 18, სათ.

სახე: ამათ ყოველთა საზომი და სახე 2, 21; რაჲთა არარაჲთა სახითა არა დააკლებდენ 11, 3; ამით სახითა 1, 1; ესრე სახედ 1, 1; 6, 1; ვითარ სახედ 0, 7; ვითარ-სახენი შესაწირავნი 0, 8; რასაცა გუარსა სახესა შემოსავალთა მისთაგანსა 18, 5. **სახეობა-ჲ:** ყოვლისა ფერისა სახეობისათჳს 34, სათ.

სახელ-განთქუმულ-ი: სახელ-განთქუმულსა ეკლესიასა 11, 5.

სახელ-დებით სახელის აღნიშვნით, დასახელებით: რომელიცა სახელ-დებით წოდებულ არს სახელსა მარიამისასა 0, 2; რომელნი სახელ-დებით ზემოჲთ სწერიან 2, 8; სახელ-დებით ზემო თქუმულნი ესე ციხენი და სოფელნი და პრასტინნი 2, 13; სახელ-დებით თჳთოეულისა დღესასწაულისათჳს 11, 2.

სახელოვან-ი: ყოველთა საუფლოთა და სახელოვანთა დღესასწაულთა 7, 4; სახელოვანთა წმიდათა 11, სათ. (შდრ. სახჩინოჲ).

სახიერება-ჲ: სახიერებით შემწყნარებელთა ჩუენთა 2, 1.

სახიზნავ-ი: რაჲთამცა ანუ სახლი იშენა ამათ შინა, ანუ სახიზნავად თჳსად შექმნა 18, 5.

საქამრობელ-ი < საქამლობელი) ფეხსაცმელი (თუ საფეხსაცმლე მასალა?): საქამრობლისათჳს 9, სათ. ნ. **ქამლი.**

საქელმწიფო-ჲ: საქელმწიფოჲსა და სამთავროჲსა 18, 10.

საქმარ-ი 1. (ზედსართ.) საჭირო: ოდესცა საქმარ იყოს 35გ, 13; რაჲ საქმარ არს თქუმად 12, 6.

2. (არსებ., იკუმშება) ყველაფერი, რაც კი საჭიროა: ყოველსავე საქმარსა თჳსსა ქორციელსა ეკლესიისაგან აღიღებს მღდელი 7, 4; საქმარსა მას უქმრად გამოაჩინებენ 4, 6; საქმარსა შემოსწირვენ ეკლესიასა 0, 26; რაჲთა წარაგოს საქმრად ძმათა 8, 10; თუ ვითარ სახედ აღიშენა ანუ ვითართა მიერ საქმართა 0, 7; საქმართა და საფასეთა ჩემთაგან 2, 11; არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა საქმართათჳს 2, 13; სამ-

კაულთა და სიწმიდეთა და საკმართა და განძისა მცველად 6, 10.

საკსარ-ი: საკსრად სულთა ჩუენთათჳს 37, 1; მივასხებად ღმრთისა საკსრისა კეთილისა თავთა თჳსთათჳს 1, 1.

საკსენებელ-ი: თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად საკსენებელი ჩემი და მიცვალებულთა ჩემთაჲ 0, 27; ჩემსაცა საკსენებელსა 21, 3; დღესაკსენებელი 20, 2.

საჯერო-ჲ: ოთხსა საჯეროსა ნუმცა დააკლებენ (ე. ი. ოთხჯერ ჭამას დღეში) და სამი საჭმელი იქმნებოდის (ე. ი. სამი თავი) 8, 6; მარხვის დღეებში ერთხელ ჭამა იყო დაწესებული ზამთარში, ქრისტეს შობის მარხვაში, ცხრა საათზე [10, 3] და ზაფხულში, მოციქულთა მარხვაში, შვიდ საათზე [10, 4].

სევასტოკრატორ-ი (σεβαστοκράτωρ): წარმოეცნეს ჩემდა მეფესა და ძლიერსა სევასტოკრატორსა[1], ძმასა მეფობისა მისისასა 2, 19.

სევასტოს-ი (σεβαστός): მე გრიგოლ, სევასტოსმან და დიდმან დემესტიკოსმან 1, 2; 2, 1; ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა დასავალეთისაჲთა 0, 2; ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა 36, 1. მნიშვნელობით უდრიდა ლათ. augustus-ს. ალექსი კომნიანოსმა იგი საპატიო ტიტულად აქციაო, ამბობს სოფოკლე. სამოხელეო იერარქიის მიხედვით სევასტოსს მეორე ადგილი ეკავა კესაროსის შემდეგ.

სეკდენბერ-ი: თუესა სეკდენბერსა ოცსა 21, 1; ერთჯერ სეკდენბერსა 26, 1.

სეკრეტონ-ი. ნ. სიკრიტონი.

სენ-ი: სენითა საუშმაკოჲთა არნ სნეულ ესევითარი 15, 6. ნ. სნეული.

სენაკ-ი ბერის ოთახი: სენაკსა შინა თჳსსა 0, 10; სამოღუაწეო სენაკები 3, 1. ნ. მოსენაკეობაჲ.

სერობა-ჲ ვახშამი: ჭამდენ ერთ გზის დღესა შინა, მეშჳდესა ჟამსა და სუმიდენ ორ-ორსა კრასაულსა და თჳთო კრასაულსა — მწუხრი სერობასა 10, 4; შდრ.: ორ-ორსა კრასაულსა სუმიდენ სამხრად (=შუადღისას) და თითოსა — მწუხრი 10, 3.

სეფე (ზედსართ.) ბატონისა, საბატონო, **δεσποτικός**: მიგჳცემიან სრულებით ყოვლითა საკმრითა მათითა: სეფითა ულლებითა და ეგრეთვე გლეხებითა, მთითა და ბარითა 2, 17, ნ. სასეფოჲ [„სეფე“ ზოგჯერ „სეფისკუერ“-საც ერქვა: „რაჲთა აღმოიკუეთებოდის ყოველთა დღეთა თჳთო სეფე“: ალაპები, № 145; „ჟამსა წირვიდენ და ტრაპეზად შევიდოდენ და ყოველთა სეფის ამოკუეთათა მოიკსენებდენ“: № 164].

სეფისკუერ-ი (προσφορά) პურის კვერი, რომელიც საჭიროა ე. წ. საიდუმლოს შესასრულებლად: სამი სეფისკუერი უდიდროვნესი, რომელსა ანაფორაჲ ეწოდების 21, 9. ყოველთა შინა ეკლესიათა სოხასტრისათა ერთი სეფისკუერი აღმოკუეთილ იქმნას 21, 9. [შდრ.: „შეიქმოდიან ორთა სეფისკუერთა დიდთა; მიეცემოდის: ერთი ბერძენთა ნათლისმცემელისასა და ერთი — დიდსა ეკლესიასა“. ალაპები, № 142].

სივერაგე: სივერაგით ზაკულებად აღსაარებისა მიმართ 13, 2.

სიკრიტონ-ი: პიტაკი ვოტანიატისაჲ, რომელი გარდაიწერა სიკრიტონსა შინა, მიწერილი იკონომოსსა თანა პრასტინთა ჩემთათჳს 35ბ, 25; სამეუფოჲ წიგნები, რომელნი კატასტროს-ქმნილ არიან სიკრიტონთა შინა 35ა, 15.

უნდა იყოს **სეკრეტონი** (ლათ. sec-

---

[1] ეს საპატიო წოდება ალექსი მეფეს შემოუღია (1081—1118). სევასტოკრატორი პირველი კაცი იყო იმპერატორის შემდეგ (Ф. Успенский. Очерки из истории Трапезунтской империи. Л. 1929, 27).

return), მაგრამ რადგანაც ადრე ეს სიტყვა σέκρετον-ადაც იწერებოდა და σήκρητον-ადაც, ხოლო უფრო მეტად σήκρητον-ად, რომლის გამოთქმა XI საუკუნეში უკვე სიკრიტონი იყო, ამიტომ ქართულში ამ ფორმით გადმოსულა. იგია სავაზირო (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ., ქართ. დიპლომატიკა, 153), ან უფრო სწორად საუწყებო დავთარხანა, სამდივნო, ძვ. რუს. приказ. (შდრ. ყაუხჩ. 294-5).

სიმეოხინ-ი, სიმიოხინ-ი (σημείωσις): სიმიოხინი ერთი პეწინაგისა ჰარშივისათჳს 35ა, 12; ეგრეთვე სიმიოხინი ერთი სხუაჲ მისვე მეფისაჲ ფილიპოპოლისა მიტროპოლიტისა საქმისათჳს 35ა, 13; სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი ვოტანიატისაჲ, რომელსა შინა არს სიმიოხინი პრასტინთათჳს ფილიპოპოლისათა 35ა, 14; სიმიოხინი ხარტოფილაკისაჲ 35ბ, 24. **სიმიოხინი** — სასამართლოს განაჩენი (Georgica VIII, 235. დამოწმებულია Dölger-ის ნაშრომი).

სიმტკიცე: სარწმუნოსა სიმტკიცისა ოქრობეჭედსა 2, 14; სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა 36, 3.

სიმცრო-ჲ: სიმცროჲსაგან მოსრულისა მის ერისა 21, 4.

სინორ-ი (σύνορον) ზღვარი: თავიეთ ზღვრითა და სინორითა 2, 1; ჩემ მიერ დადებულითა სინორითა 2, 2.

სისუბუქე: ნებისაებრ მათისა განსლვად და რორინებად, ვინაჲცა ენებოს ცნობისა სისუბუქითა 15, 1.

სისწორე: სისწორისათჳს მსახურთაჲსა 15, 16.

სისხლთა ფას-ი. ნ. მამათა სისხლთა ფასი.

სიტკბოება-ჲ: სიტკბოებისა ჩუენებაჲ 28, 1; პირველად სიტკბოებით 19, 2; მიემთხჳა ჩუენ მიერ სიტკბოებასა და სიყუარულსა 30, 1.

სიტყუა-ჲ: ს. შესავალი 1, სათ.; სიტყჳს მიცემაჲ მიგუეჭადების 4, 3. **სიტყჳსა დადება-ჲ:** ვაფუცებ უფლისა მიმართ და სიტყუასა დავსდებ ყოველთა თანა, რაჲთა... 33, 1.

სიქადულ-ი: დაღაცათუ სიქადული ჯერ-არს 21, 2.

სიყუარულ-ი: სიტკბოებასა და სიყუარულსა 30, 1; სურვილისათჳს მისისა და მოწლედ სიყუარულისა 2, 13; **სიყუარულისა ყოფაჲ, სიყუარულისა ჩუენებაჲ** გამასპინძლება: სიყუარულისა ყოფისათჳს 8, 12; სიყუარული აჩუენოს 8, 12.

სიწმიდე 1. სიწმიდით მარხვისათჳს 0, 16. **2.** ბარძიმში შემზადებული საზიარებელი მასალა. **3.** ეკლესიაში საჭირო ნივთები священная посуда (განსაკუთრებით, რომელიც საჭიროა საზიარებელი მასალის შესამზადებლად: ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და სხვ.): სამკაულთა და სიწმიდეთა და საკმართა და განძისა მცველად 6, 10. ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი **სიწმიდისა სამსახურებელი** 34, სათ.; სანაწილე სიწმიდისაჲ ერთი 34ა, 19.

სიწრფოება-ჲ: წესიერად და სიწრფოებით 5, 1; რაჲთა წარმართებულად და სიწრფოებით ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა 5, 8.

სკარამანგ-ი (σκαραμάγγιον) სახიანი ქსოვილი, ოქრონემსული: შეკერული სკარამანგი დურანგი 34ა, 53; სკარამანგნი მძიმენი ხუთნი 34ა, 50. „სკარამანგი" სხვა ძეგლებშიც გვხვდება, ზოგჯერ შერყვნილი ფორმით (საკრამანგი, საკარამანგი, რომლებიც აქ გასწორებულია): ა) ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ მეფემ ტფილისს მოწვეულს სპარსთა მეფეს უძღვნა, სხვათა შორის,

სტავრა სკარამანგი ხუთასი (ქ. ცხ. I, 182, 3). ბ) მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წლის გუჯარში იკითხება: „სკარამანგნი დიდნი გარე-შეოლვილნი ვეცხლისა გრგოლითა შეკაზმულნი Ⴀ და ბაგრატ კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი სკარამანგი ა". (ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა: საქ. ისტორიის საკითხები, IV, 282); „ამა სამარტჳლოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე სკარამანგითა, მოვჭედე ვეცხლითა, დავდგი ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ და კოვზი ვეცხლისაჲ, სანაწილე, და ასაპყრობელი, და საცეცხურნი და სასაკუმევლენი ვეცხლისანი, შესამოსელი სკარამანგი ა, ზეწარი ა, და დავჭკიდე ეზოჲ სკარამანგი შეოლვილი ა" (იქვე, გვ. 284). გ) ამირან-დარეჯანიანში იკითხება: „სკარამანგისა ფლასი ზედა ეხურა" (ცხენსა) 66, 6; „მას კართა ზედა ქალაქისათა დგა ათასი კაცი შემოსილი სკარამანგითა" 311, 1; „ამირან-დარეჯანის-ძესა სკარამანგისა სასთაული დაუდგა" 364, 8; „რა გათენდა, დილასა გამოიხუნეს სკარამანგნი კარავნი ოთხნი, ორნი დიდროვანნი და ორნი შედეგნი. ორნი ერთ-კერძ დადგეს და ორნი — ერთ-კერძ: ერთი საპურობოდ და სანადიმოდ და ერთი საწოლად დადგეს ტურფასა რასმე ველსა შინა" 468-9; „ჩამოიხუნა სკარამანგნი კარავნი" 536, 6 (მოსე ხონელი, ამირან-დარეჯანიანი, ლ. ათანელიშვილის გამოცემა. 1967) **სკარამანგ**-ადვე უნდა შესწორდეს „საფრამანგი" „ხელმწიფის კარის გარიგებაში": „და შთააცვეს სკარამანგი ტანსა მათსა" (ი. დოლიძე, ქართ. სამართლის ძეგლები II, 1965, გვ. 92. ი. სურგულაძე. ქ. სამართლის ძეგლები 1970, გვ. 46, 19). გვხვდება იგი აგრეთვე ვეფხის ტყაოსნის დანართში (A 2022) და როსტომიანში (I, 1811).

ამ ამონაწერების მიხედვით „სკარამანგი" ძვირფასი ქსოვილია, სტავრაა ერთგვარი, რომელიც თოფებადაც შეიძლება იყოს და შესაკერავადაც იქნეს გამოყენებული; მისგან აკეთებდნენ კაცის შესამოსელს (წამოსასხამს), საკურთხევლის გადასაფარებელს, ცხენის გადასაფარებელს, კარავს, ბალიშს („სასთაულს") და სხვას.

ბერძნული მასალების მიხედვით **სკარამანგს** ს. ყაუხჩიშვილი ასე ხსნის: 1) „ძვირფასი წამოსასხამი, ოქრომკერდით ნაკერი; 2) ძვირფასი ქსოვილი წამოსასხამისათვის ან გადასაფარებლისასათვის" (295-6).

ს. ორბელიანი ხსნის: „**სკარამანგი**— ესე არს ძვირფასად და ყვავილოვნად ნაკერი ოქროჲს თმითა და ჩიგინითა" და იმოწმებს გრიგოლ ღმრთისმეტყველის სხოლიონს: „ტრიონ" უწოდიან (იგულისხმება **τρίβων**) თვისგანსა რასამე სამოსელსა სწავლულებათასა, ვითარ-იგი **რიტორთა** იისფერი და მეწამული ჰმოსიედ და **ფილოსოფოსთა** — შავი — ღსანიშვნელად თვითოეულისა მათისა, ვითარ-ესე აწ **პოლიტნი მოქალაქენი** სკარამანგსა შეიმოსენ".

დ. ჩუბინაშვილი იმეორებს ს. ორბელიანის ახსნას: სკარამანგი — ოქრომკედით და ჩიგინით ნაკერი რამ, шитье канителью в строчку (იმოწმებს წმიდათა ცხოვრებას). სამწუხაროდ, ასეთ ქსოვილს ან მისგან შეკერილ სამოსელს ჩვენამდი არ მოუღწევია, რომ უფრო ზედმიწევნით აიხსნას ეს სიტყვა, თუმცა იუსტინე აბულაძე „როსტომიანის" ლექსიკონში (I, 826) სკარამანგს ასე ხსნიდა: „ძვირფასი ფარჩეული, ან ბადე, მარგალიტით ნაკერი მელოგინე ქალის გადასაფარებლად" და თან მიუთითებდა: „იხილე საისტორიო და საეთნოგრაფიო საგანძურის ვიტრინა, მე-33-ე

№ ი". შემდეგ განაგრძობდა: ,,აგრეთვე ცხენის ჩული მოთვალ-მარგალიტებული მილებ-მოვლებული; საკუთრივ **საკარმანგი** ნიშნავს პერანგის გულისპირის მარგალიტის საკინძეს". არ ვიცი, რაზეა დამყარებული ასეთი ახსნა. ი. ჯავახიშვილი, მასალები მატერ. კულტურის ისტორიისათვის, III—IV, (1962), გვ. 181-2.

[სკიტ-ი Σκίτις, Σκῆτις ადგილი ეგვიპტეში ლიბიის საზღვარზე]. **სკიტელ-ი.** სკიტში დამკვიდრებული ბერი, განდეგილი: მსგავსად მათ მამათა სკიტელთა 17, 2.

სნეულ-ი: მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებელად 6, 16; **სნეულება-ჲ, სენ-ი:** რომელნი-იგი მოუძლურდენ ძმათაგან, ჭირვეულნი სნეულებითა გინა თუ სიბერითა, ანუ სხჳთა რაჲთმე მიზეზითა სენთაჲთა 28, 1; **სასნეულოჲ** 0, 34 სავალდმყოფო,

სოფელ-ი 1. ქვეყანა: არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა საჭმართაჲ 2, 13; შემოსლვაჲ კაცთაჲ სოფლად 6, 1. **2.** სოფელი (დღევანდელი მნიშვნელობით): სოფელი პეტრიწონისაჲ 2, 1; საზღვართა შინა სოფლისა მის, რომელსა პეტრიწონ ეწოდების 1, 3; მუნ მიეცეს ესე სოფელი 2, 10; მე ვიქმენ უფალ და ჴელმწიფე ამის სოფლისა და ციხისა 2, 13; ვიდრელა-იგი სოფელსა შინა ვიყვენით 0, 4; ესე ციხენი და სოფელნი და პრასტინნი 2, 14; სოფელთა შინა და აგარათა იყვნენ 23, 1; ანუ სოფელთა გინა აგარაკთა მისთა 18, 5; სოფლებითა და აგარაებითა მისითა 2, 3; ზედა სოფელნი, ქუემონი სოფელნი 6, 5.

სოხასტერ-ი ἡσυχαστήριον სადაყუდებულო: ცთომილი იგი გარეგან მონასტრისა სოხასტერთა შინა დაიწესოს 7, 2; და სოხასტრებით მისით: ნიკოლწმიდით, ელიაწმიდით, ზემოჲთ გიორგიწმიდითურთ 2, 2.

სრულ-ი: ჴელმწიფებითა სრულითა 2, 1; **სრულად:** ოთხი კრასოვოლი სრულად მიეცემოდის 8, 6; **სრულიად:** ვიდრე სრულიად განმრთელებადმდე 8, 14.

სრულება-ნ-ი: შეწირვაჲ სათნოდ სრულებათა საღმრთოთაჲ 20, 2.

სტავრა-ჲ ძვირფასი ქსოვილი, ფარჩა. თუმცა ეს სიტყვა ბერძნულშიც გვხვდება, **σταυράκιον**, მაგრამ ტიპიკონის სათანადო ადგილას მას βλαττίον შეესატყვისება: სტავრაჲ სამოსელი უკევრავი ოქსიკატორი ორი 34ა, 50 (βλαττία **ὀξυκάστωρα δύο**); სტავრაჲ ერთი სხუაჲ ტრივლატი 34ა, 52 (βλαττὶν τριβλάττιον **ἕν**). უფრო ძველი ფორმაა **სტავრაკ-ი:** „და სახლეულნი მისნი შემოსილნი სტავრაკითა": ცხორებაჲ ევფემიანესი და ძისა მისისა ალექსისი". კიმენი I, 161, 4).

სტამილონ-ი: და ყოველივე განძი როქისაჲ იყავნ სტამილონი სრული 9, 2 (**ἱστάμενον τραχύ**). პეტრიწონის ტიპიკონის ,,სტამილონი" უთუოდ იგივეა, რაც ათონის ქართველთა მონასტრის ალაპების ,,სტამენონი": ,,დრაჰკანი სტამენონი ალექსატი ორას ოთხმოცი" (№ 42); „პერპერაჲ **მე**, სტამენონი ახალი, ლიტრაჲ **კ**" (№ 65); ,,განძი, სტამენონი ლიტრაჲ ერთი" (№ 78); „მოგუცა **ბ** ლიტრაჲ სტამენონი" (№ 84); ,,სამასი დრაჰკანი სტამენონი" (№ 106). აბაზ ბაკურიანის-ძეს სიცოცხლეშივე მიუცია ათონის ქართველთა მონასტრისათვის ,,სტამენონი ექუსთავი **ფ**" (№111); ,,განძი ლიტრაჲ ერთი სტამენონი და კუალად სხუაჲ ხუთასი დრაჰკანი სტამენონი; სხუაჲ დრაჰკანი სტამენონი ლიტრაჲ **ა**" № 120); ,,მისცა ეკლესიასა სტამენონი ექუსასი და პერპერაჲ **ჩ**" (№ 146). იგულისხმება თითქო წონით გაცემა და მიღება ფულისა (R. Blake, 28-29).

„სტამენონი (ἱστάμενον) უნდა იყოს რაღაც საზომის აღმნიშვნელი" (ყაუხჩ. 167).

სტოდიელ-ი: სხუაჲ წიგნი ერთი სტოდიელი 34ა, 35 βιβλίον τοῦ Στουδίτου.

[**სტოდიელი** ანუ, უკეთ, **სტუდიელი** — ბერი სტუდიუს კონსულის მიერ V საუკუნეში კონსტანტინოპოლს დაარსებული მონასტრისა; აქ იგულისხმება თეოდორე სტუდიელის წიგნი].

სტუმარ-ი, სტუმრება-ჲ: თუ სხუაჲ ვინმე სტუმარი ესტუმროს 8, 11; სტუმართ მოყუარეობისათჳს 4, 11. ნ. სასტუმროჲ.

სუ. ნ. მესუა.

სუბუქ-ი. ნ. სისუბუქე.

სუდარა-ჲ: სუდარაჲ ოთხი (σφιγκτούρια τέσσαρα) ოქროწერილითა ალმითა 34ა, 48. „სუდარა" კნინობითია **სუდარ**-ისა, რომელიც სახარების ენაში გვხვდება გასახვევი ან მოსახვევი ტილოს მნიშვნელობით: აჰა ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა (ლუკა 19, 20). აქაც და სხვაგანაც (იოვ. 11, 44; იოვ. 20, 7) სათანადო ბერძნულ ტექსტში ნახმარია იგივე სიტყვა (σουδάριον, გადმოსული ლათინურიდან: sudarium „ოფლის სახოცი"), მაგრამ ჩვენს ტიპიკონში მას უდრის „სფინკტური" (σφιγκτούριον ლათ. strictorium), რომელსაც Du Cange-ი მოგვიანო ბერძნულისათვის ხსნის როგორც „ტანსაცმელს, რომელიც არც ერთი მხრიდან არ არის გახსნილი და მჭიდროდ ეკვრის ტანს", ხოლო ნ. კონდაკოვს იგი მიაჩნია აღმოსავლურ სამოსლად და თარგმნის: pantalons collants: Byzantion I, p. 18. (ყაუხჩ. 298).

სუენება-ჲ (სტატიკ.): სუენებია (მხოლ.), სუენებიან (**მრავლ.**) ასვენია: მცირე ხატი, რომელსა შინა სუენებია ცხოველს-მყოფელისა სისხლისაგან ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა 34ბ, 3; ხატნი, რომელთა შინა სუენებიან ნაწილნი ძელისა ცხორებისანი 34ა, 1 (მიმოხ. 24).

სულ-ი 1. ნ. მოურავი სულისაჲ. **2.** კაცი (რაოდენობის აღსანიშნავად): რომელთაგან შეიქმნას რიცხჳ პირველისა დასისაჲ ათხუთმეტი სული 9, 2; მეორე დასი იყავნ ეგრეთვე ათხუთმეტი სული 9, 2; ხოლო მესამე დასი იყავნ რიცხჳთ ოცი სული 9, 2.

სულიერ-ი: ძმობაჲ სულიერი 0, 1; სწავლისათჳს და მოძღურებისა სულიერისა 6, 22.

სულნელ-ი არომატიანი, სასიამოვნო სუნის გამომცემელი: საკუმეველთა მიერ სულნელთა 36, 1. **სულნელება-ჲ:** სულნელებითა 12, 5.

სუმა. ნ. მესუა.

სურვილ-ი დიდი სიყვარული: მჴურვალედ შემწუველისა სურვილისა, რომელი მაქუნდა მისა მიმართ 2, 11; სურვილისათჳს მისისა და მოწლედ სიყუარულისა 2, 13.

სჳნაქსარ-ი 34ა, 38 (συναξάριον). საეკლესიო წიგნი, რომელშიც მოთავსებულია წმიდათა შემოკლებული ცხოვრებანი თვეებისა და დღეების მიხედვით: წესისაებრ სჳნაქსარისა 6, 6.

სყიდა-ჲ. ნ. განსყიდაჲ, მოსყიდაჲ, ნასყიდი.

სწავება-ჲ: პირველად უკუე სიმშჳდით და სიტკბოებით ღმრთის მოყუარებრ ასწაონ და ამხილონ 19, 4.

სწავლა-ჲ, დასწავლა-ჲ 1. სწავლა, სწავლება: მრისხანეთა სიმშჳდისა და სულგრძელებისა სწავლაჲ 28, 3; რიცხუსა ყრმათასა ნუმცა ოდეს დაკლებულა ნიკოლწმიდას სწავლისაგან 31, 6; 0—3: მათ სწავლიდეს და ასწრაფობდეს

6, 16; და იყვნენ სასწავლოდ ყრმანი ექუსნი 31, 4; **დასწავლა-ჲ, ი:** ვიდრემდის დაისწავლონ სრულიად წესი სამღდელოჲ 31, 4; **2.** მოძღვრება: სწავლაჲ, თუ ვიეთგან ჯერ-არს მოღება-ჲ ესე-ვითართაჲ 0, 26; სწავლისათჳს და მოძღურებისა სულიერისა 6, 22.

სწორ-ი 1. ნ. სისწორე, უსწორებლოიაჲ. **2.** (ἴσον) პირი, კოპიო: და შეიქმნა სწორი ამისი და დაიწერა ეგრეთვე სახედ 36, 4; ოქრობეჭდისა სწორი ერთი 35ბ, 12; 35ბ, 13; სხუაჲ ოქრობეჭდისა სწორი ერთი 35ბ, 15; სხუანი ოქრობეჭედთა სწორნი სამნი 35ბ, 14.

სწრაფა-ჲ, ი (უობ.): ისწრაფდეს და არა ელოდის 8, 12; წარწყმედად ისწრაფოს 36, 5.

სწრაფობა-ჲ, ა—2: მათ სწავლიდეს და ასწრაფობდეს 8, 6.

სწრობა-ჲ (და)სწრება: ნუმცა ჰყოფენ ურთიერთას სწრობით ფსალმუნებასა მას 12, 7 ფსალმუნების დროს ერთი მხრის მგალობლები ნუ დაასწრებენ მეორე მხრისასო.

სხენან 34ა, 31.

Ⴒ

ტაბლა-ჲ (ლათ. tabula) გაშლილი სუფრა, დალაგებული სასმელ-საჭმელი, საჭმელი: და იყავნ ტაბლაჲ მათი 4, 2; ტაბლისა შემზადებად 4, 4; ტაბლისა დაგებისათჳს 0, 14; ტაბლაჲ დაეგოს 5, 7. შდრ. ტრაპეზი.

[**ტანუტერ-ი.** ნ. გვ. 29, 30].

[**ტაშტ-აბრაგ-ი** (სპ. طشت ტაშტი და ابریق იბრი̄კ—მაღალ-ყელიანი თუნგი): „და ვეცხლისა ტაშტ-აბრაგი დიდი, წყვილი ორი, და ბერძული ტაშტ-აბრაგი ვეცხლისაჲ ოქროჲთა ცურვებული ერთი“ (მელქისედეკ კათალიკოზის გუჯარი 1020 წლისა), лохань и рукомой]. ნ. შრინიმოქსესტი.

ტაძარ-ი: ტაძრისა 0, 1. [2, 13.

ტბა-ჲ: სათევზითა ტბითა მისითა

ტიპიკონ-ი, ტიბიკონ-ი (τυπικόν) წესდება: ესე ტიპიკონი 33, 2; ტიპიკონსა ამას შინა 36, 2; რაჲცა მოწევნულსა ამას ტიპიკონსა სწერია 30, 3; ყოველნივე ესე ტიპიკონნი 36, 2; გუჯარისა ამის განსაგებელისა, რომელ არს ტიპიკონი 33, სათ.; დასასრულსა ამის ტიბიკონისასა დაგჳწერიეს 11, 2; წიგნისა ამის განსაგებელისა, რომელ არს გუჯარი ტიბიკონისაჲ 0, 39. ნახე კიდევ ამ წიგნის შესავალში გვ. 18—19.

ტკბილ-ი: მრავლითა და ტკბილითა წყლითა და წყაროებითა 0, 4 (აქ ტ კ ბ ი ლ ი — пресный?). ნ. გონება-ტკბილობაჲ.

ტომ-ი: თჳსთა და ნათესავთა ჩემთა გინა ტომად ჩემდა სახელ-დებულთა 18, 1. შდრ. გუარი.

ტრაპეზ-ი (τράπεζα): ტრაპეზი დაეგოს უხუებით 36, 1; ტრაპეზი დაეგოს ბრწყინვალე 37, 2; **უხუად ტრაპეზისა** დაგებითა 37, 1; ტრაპეზად იწოდნენ 5, 7; ტრაპეზისაცა საქმე 8, 1; საზიაროსა მას ტრაპეზსა 8, 11 [შდრ.: **ტაბლაჲ** დაეგოს უხუებით 37, 1; 37, 2; **ტაბლაჲ** დაეგოს ბრწყინვალე 37, 1. აქედან **ჩანს,** რომ „ტრაპეზი“ და „ტაბლა“ ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ ითქმის მხოლოდ: **სატრაპეზო-ჲ** (იოვ. და ეფთ. ცხორება) და **მეტრაპეზე** (6, 14)].

ტრივლატ-ი (τριβλάττιον): სტავრაჲ ერთი სხუაჲ ტრივლატი 34ა, 52.

ტფობა-ჲ. ნ. სატფობლად.

ტყუეობა-ჲ: ოდეს კუმანთა ტყუეობისაგან გამომიქსნა 2, 19.

ტყუილ-ი: არა ვტყუი 1, 4. **მტყუვარი** 15, 12.

უ

უასაკო-ჲ. ნ. ჰასაკი.

უაღრეს-ი: ნაშობთა შორის დედათაჲსა უმეტეს უაღრესსა წმ. იოვანეს 1, 3. შდრ. უდარესი.

უბიწო-ჲ: მართლიად და უბიწოდ 5, 9.

უბრალო-ჲ (ἀθῷος) ბრალის უქონელი, უდანაშაულო, მართალი. **უბრალოდ ყოფა-ჲ:** სხუაჲ ოქრობეჭედი ორი უბრალოდ ყოფისათჳს და ულოღარიასოდ დადგრომისა ჩუენისაჲ 35ბ, 7. **უბრალოება-ჲ:** სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი უბრალოებისათჳს კარს თავადობისა ჩემისა 35ა, 6; სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი უბრალოებისათჳს 35ბ, 8; ოქრობეჭედი ორი უბრალოებისათჳს ჩემისა დიდსა შინა დემესტიკოსობასა 35ბ, 1.

უგულებელს-ყოფა-ჲ: არა უგულებელს-ყოფად მცირეთა ცთომათა ვიეთთამე 15, 7; უგულებელს-ყოფითა 8, 5; რაჲთა არა უგულებელს-ყონ 19, 3.

უდაბნო-ჲ: ესევითარსა ამას შუენიერსა უდაბნოსა 0, 4.

უდარეს-ი: რაჲთა არა რაჲთა უდარესად შეჰრაცხონ ღმრთივ დადებულსა შჯულსა 15, 4. შდრ. უაღრესი.

უდებ-ი: რაჲთა არა უდებ იყვნენ 6, 16; განვაფრთხობთ უდებთა და განვაშორებთ მცონარებისაგან 12, 9.

უდიდროვნეს-ი крупнейший: სამი სეფისკუერი უდიდროვნესი 21, 9.

უეჭუელად 21, 2.

უზაკუველ-ი 6, 12. ნ. ზაკუვაჲ.

უკერავ-ი, უკერველ-ი: სტავრაჲ სამოსელი უკერავი ოქსიკასტორი 34ა, 49; სამოსელნი უკერველნი 2, 20 (ἄρραφα); შდრ. შეკერული.

უკლებად: აქუნდა ყოველივე საქმარი უკლებად 2, 15.

უკუანაჲსკნელ-ი: პირველობაჲ და უკუანაჲსკნელობაჲ 8, 2.

უკუე (ნაწილაკი, არასოდეს არ დგას თავში, როგორც ბერძნ. οὖν, რომელიც მას ზოგჯერ შეესატყვისება): აწ უკუე 0, 6 (οὖν); 0, 2; ვინაჲთგან უკუე 0, 3; ვითარ უკუე არა უფროჲსად თავს-ვიდვათ 0, 4; სანატრელსა უკუე ძმასა ჩემსა 2, 9; განვაწესებთ უკუე 37, 1; დაიწერა უკუე და დაემტკიცა 36, 1; არა მნებავს უკუე რაჲთურთით 23, 1.

უკუმოყვანება-ჲ. ნ. ზე-უკუმოყვანებაჲ.

ულოღარიასოდ. ნ. ლოღარიას ქმნაჲ.

უმადლო-ჲ უმადური: ესოდენ უმადლო და კეთილის მოვიწყე 18, 7.

უმანკოება-ჲ: ჩუენისა ნათესავისა უმანკოებისა და გულ-მარტიობისაგან 24, 2.

უმდიდრეს-ი: უმდიდრესი და უფართესი ცხორებაჲ 0, 5.

უმეტეს-ი: უმეტეს ჩუენ მიერ დაწესებულისა ამის წესისა 0, 5.

უმეცარ-ი: ნუმცა ვინ არს უმეცარ ესევითართა 4, 7. **უმეცრება-ჲ:** და არა უმეცრებად 4, 12.

უმტკიცებლობა-ჲ: შეცვალებისაებრ და მომართებისა ჟამთა ამათ და უმტკიცებლობისა 9, 2.

უმჯობეს-ი: უმჯობესთა საზრდელთა და სასუმელთა 4, 2; რომლისა უფრო უმჯობესი და შემსგავსებული ვერასადა ვპოვეთ 5, 10; უჯეროვნეს და უმჯობეს ამისსა 9, 2.

უნებლებით: უნებლებით მიტაცებად 29, 4.

უპატიოება-ჲ. ნ. პატიოსანი.

უპირატეს-ი: რომელნიცა უპირატესნი იყვნენ 19, 1; გარნა წუთლა უპირატეს მსახურთათჳს გუნებავს განცხადებულად თქუმად 8, 1.

უჟამო-ჲ. ნ. ჟამი.

ურვა-ჲ, ი: და მონასტრისა საქმეთა იურვოდის 24, 1. **უურაობა-ჲ** უზრუნველობა (***უურა(ვ)ობა-ჲ**): სხუაჲ ოქრობეჭედი ერთი მაგისვე პირისათჳს და ვითარმედ, უკუეთუ განმრავლდეს შემოსავალი პრასტინთა ჩემთაჲ, **უურაობაჲ** გუაქუნდის მე და ყოველთა ჩემთა შემდგომად ჩემთა 35ბ, 4 (იგულისხმება, რომ მეტი გადასახადი არ შეეწერებოდა). ნ. შეურვებაჲ.

ურთიერთას 6, 22; 8, 3; **ურთიერთარს** 5, 1.

ურიდ-ი: უჴეროდ და ურიდად წარაგებდეს 19, 2.

ურჩ-ი: წინა-აღმდგომ ანუ ურჩ 6, 22; **ურჩებაჲ** 15, 2.

ურჩეულეს-ი 4, 2; ურჩეულესი და უფრო უწესიერესი 5, 1.

უსამართლო-ჲ: მრავალ გზის უღირსი უფროჲს წარემატების ბჭობასა შინა, ვიდრე-ღა ღირსი, და უსამართლოჲ მართალსა წარჰკდის 18, 4; **უსამართლოება-ჲ** 36, 5.

უსმენელობა-ჲ 15, 2.

უსწორებლობა-ჲ: უ—ჲ და განყოფილებაჲ 4, 6. ნ. სისწორე.

უურაობა-ჲ ნ. ურვასთან [წარმოების მხრივ შეადარე: უნახავი — უნახაობაჲ, უურავი — უურაობაჲ. ამიტომ მ. თარხნიშვილი ცდება, **უურვაობა**-დ რომ ასწორებს; ცდება, რადგანაც გვაქვს **მოურავი** და **საურავი**, მაშასადამე, უნდა გვქონდეს **უურავ-იც**. **მოურავ**-ისაგან ნაწარმოებია **მოურაობა**, მსგავსადვე ნაწარმოებია აგრეთვე **უურა(ვ)ობა**.

უფალ-ი პატრონი, მფლობელი: და მე ვიქმენ უფალ . და ჳელ-მწიფე ამის სოფლისა და ციხისა 2, 13; ოდეს-იგი თჳთოეული მათი თავსა თჳსსა უწოდდეს უფლად ყოვლისა 18, 4; ანუ თუ თჳთ მებრ ძლუნისა მის უფალმან მოიღოს საზიაროსა მას ტაბლასა 8, 11; და გლეხი ერთი ულლისა უფალი 29, 1. ნ. უფლება. [შდრ.: და მივათუალეთ მონასტერი, ეზომ გლახაჲ და ვალთა უფალი, რომელ ხუთასი დრაჰკანი იპოა გარდაუჴდელი და სოფელნი დაჭირულნი“: ალაპები, № 165].

უფართეს-ი: უმდიდრესი და უფართესი ცხორებაჲ 0, 5.

უფლება-ჲ 1. უფლად ყოფნა, ბატონ-პატრონობა: ოქრობეჭედი უფლებისათჳს და თჳთმფლობელობისა 35ბ, 5. **2.** უფლება, право: რომელნიცა მაქუნდეს ჳელმწიფებითა სრულითა და შეუძრავითა უფლებითა 2, 1; ე: ოდეს-ღა-იგი არავის აქუნდეს ჳელმწიფებაჲ თავისა თჳსისა უფლებად, ვითარ უკუე ეუფლოს სხუათა საქმართა ვითარცა თჳსთა 4, 8.

უფროჲს-ი (ზედსართ.): უფროჲსი განსუენებაჲ 0, 5. **უფროჲს** (ზმნიზ.), **უფროჲსად:** უფროჲს მისსა 2, 16; უფროჲს ჩემსა 2, 16; ვითარ უკუე არა უფროჲსად თავს-ვიდვათ 0, 4; უფროჲსად უცთუნებელად 9, 1; უფროჲსღა 1, 3; და უფროჲსღა მიტროპოლიტისაგან ფილიპოპოლელთაჲსა 3, 2 (=უფრო კი); ხოლო უფროჲსღა უმეტესად პატივ-იცემებოდენ 11, 3.

უქცეველ-ი: დ უხრწეველად და უქცეველად პყრობად 27, 5.

ულელ-ი: და გლეხი ერთი ულლისა უფალი 29, 1; თავიეთ ულლებითა ყოვლითა 2, 8 (μετὰ τῶν ἐν αὐτοῖς ζευ-

γαρίων); სეფითა უღლებითა 2, 17 (σὺν δεσποτικῶν ζευγαρίων). „უღელი“ აქ უნდა ნიშნავდეს მიწის ფართობის ერთეულს, რომელიც უდრის ბერძნ. ζευγάριον-ს და მის მომუშავე გლეხს, რომელსაც ჰყავს ხარ-კამეჩები და სხვა. ზევგარის შესახებ აკად. თ. უსპენსკი წერდა: Рассматривая зевгарь как земельный и хозяйственный термин, свойства которого выясняются из писцовых книг, мы естественно можем искать в нем признаков измеряемости. Так и подходил уже раз к этому термину акад. В. Г. Васильевский, признавший в нем участок определенной величины и измерения [მოსდევს სქოლიო: ЖМНП, 1880, август, стр. 362]... Зевгарь нельзя рассматривать, как реальную земельную величину с определенным раз навсегда количеством модиев, ибо принималась во внимание качественность и производительность земли, чрезвычайно разнообразившая реальную величину модиев в зевгаре от 60 до 100 и свыше 300 модиев». (Ф. Успенский, История, стр. 815—816).

ულირს-ი. ნ. ღირსი.

ულონო-ჲ: გლახაკთა ულონოთა განეყოს დრაჰკანი ათი 37, 1.

უშრომელად 5, 9.

უშუერება-ჲ: უწესობაჲ არს ესე და უშუერებაჲ 17, 1.

უშჯულო-ჲ: უშჯულოჲ და ფრიად მძლავრი მტერი 2, 18.

უცთომელად: უ. უპყრიეს (წესი) 0, 4.

უცთუნებელად: რაჲთა უფროჲსად უცთუნებელად დაადგრენ მსახურებასა ეკლესიისასა 9, 1.

უცნაურ-ი გამოუცნობი: წინამდებარე მომავალი ყოველი უცნაურ არს კაცთაგან 19, 3.

უცონილად დაუზარებლად: უცონილად ყოფითა მისდა რწმუნებულისა მსახურებისაჲთა 30, 1. ნ. მცონარებაჲ.

უცხო-ჲ: ანუ თუ ხილვად მამისა გინა ძმათა მოვიდეს თჳსთა მათთაგანი, გინა უცხოთაჲ, ანუ მეგობართაგანი 8, 11; **უცხოთ მოყუარება-ჲ** (φιλοξενία) 4, 10; 4, 12. **უცხოთ სადგურ-ი** სასტუმრო. (ნ. ქსენადოში სასტუმროსთან).

უძლურება-ჲ ავადმყოფობა: უკუეთუ უძლურებაჲ შეემთხჳოს მას 8, 14 თუ ავად გახდეს.

უძრავ-ი: ძრვადითა და უძრავითა და თჳთმოძრავითა ყოვლითა 2, 17; რომელ არიან მოძრავნი და უძრავნი და თჳთძრვადნი 0, 8.

უძჳრეს-ი: რომელი-ესე უძჳრეს არს უფროჲს ყოვლისა 15, 12.

უწესიერეს-ი. ნ. წესიერი.

უწესო-ჲ: უწესოთა და ლირწთა წესიერებად მოყვანებაჲ 28, 3; **უწესოება-ჲ** 15, 4; შფოთი და უწესოებაჲ 8, 2; ზოგად საცხორებელსა მას წესსა უწესოებად და ორგულებად შესცვალებენ 4, 6; უწესოებაჲ არს ესე და უშუერებაჲ 17, 1.

უწუერულ-ი: მოყმისა ვისიმე უწუერულისაჲ 23, 1.

უწყება-ჲ: ჯერ-არს უწყებად 37, 16.

უხრწნელ-ი: უხრწნელსა დედასა მისსა 17, 4.

უხუ-ი (უხჳ), **უხუება-ჲ:** უხუად ტაბლისა დაგებითა 37, 1; ტაბლაჲ (ან: ტრაპეზი) დაეგოს უხუებით 37 (ბევრგან); უხუებით ტაბლაჲ დაეგოს 5, 7.

უხუცეს-ი: ოდეს ურჩ ექმნებოდის ვინ უხუცესსა თჳსსა 13, 6; რომელთაჲმე შერისხვაჲ ჯერ-არს უხუცესისაჲ, რომელთაჲმე — შერჩულვაჲ 14,3; მხილებაჲ იგი უხუცესისაჲ 15, 6. ნ. ხუცესი.

უჴდურ-ი რძის ნაწარმი, საურწყო (ყველი, ხაჭო, ერბო, კარაქი და სხვ.):

პური და უკდური და საწუნე 6, 12; განწესებულისა ამას უკდურისასა და ყველსა ნუმცა დააკლებენ 8, 5.

უკმარ-ი: საკმარსა მას უკმრად გამოაჩინებენ 4, 6,

უჯერო-ჲ: და ესე ფრიად უჯერო არს და უკმარ 18, 4; ჯეროვნად გინა უჯეროდ 12, 10.

უჯეროვნეს. ნ. ჯეროვანი.

ფ

ფარულ-ი: ცხადად გინა ფარულად 4, 7.

ფას-ი: სამოსლისა ფასისა 0, 15; შესამოსლისა ფასისათჳს 9, 1; პურის ფასად 0, 12; თუალნი დიდფასისანი 34ა, 21. ნ. საფასე.

ფერ-ი: სამკაული მრავალი ფერი ეკლესიისაჲ 2, 18. ნ. ყოველი ფერი.

ფეშხუემ-ი. ნ. ბარძიმ-ფეშხუემი.

ფილოტიმია-ჲ (φιλοτιμία უხვად გაცემა, ხელგაშლილობა; მოსაკითხი, ძღვენი): აპოტიქსი განძისაჲ სამისა კენტინარისაჲ, რომელიც ფილოტიმიად აიღეს ფრანგთა 35ბ, 21 (ძღვნად, საჩუქრად?). [შდრ.: „ესე აწ, ოჲ განმგონეო, გიფილოტიმიე", ი. პეტრიწის შრომები II, 1937, 71, 5].

ფიცარ-ი: ხატნი ფიცრისანი 2, 20. შდრ. შეშაჲ.

ფიცხო(ვ)ის: წინა-აღუდგებოდის და უმეტესად ფიცხოოდის 15, 6.

ფოლ-ი (follis სპილენძის ფული, რომელიც პირველად დიოკლიტიანეს დროს მოიჭრა, 284—305 წწ.): აღიღოს ათორმეტი ფოლი ლღლატად მისა (δώδεκα φώλεις) 18, 2. ბიზანტიური ფოლი 40 ნუმს უდრიდაო (ნუმი ცალკე არ იჭრებოდა: იყო ხუთ-ნუმიანი, ათ-ნუმიანი, ოციანი, ოცდაათიანი და სრული — 40-იანი: follis თავდაპირველად პარკს ერქვა, შიგ ეყარა შავი ფული, რომელიც გარკვეული წონისა იყო და ვერცხლზე ან ოქროზე გადაიანგარიშებოდა (H. Halske. Handwörterbuch der Münzkunde. 1909).

ფსალმონება-ჲ, ფსალმუნება-ჲ: ჯერ-არს ყოვლადვე ფსალმუნებაჲ შრომასა შინა, 0, 20; დაშურებიან ძმანი გალობასა შინა და ფსალმონებასა 8, 7. მეფსალმუნე 6, 21. ნ. სწრობით ფსალმუნებაჲ.

ფსკერედ-ი ფსკერიანი (აქ კი ფეხიანი?): ჭიქაჲ ბროლისაჲ ფსკერედი 34გ, 2; სხუანი ბროლისა ჭიქანი ფსკერედნი 34გ, 3.

ფურნე: ფურნე და თორნე განკურვებულნი 29, 2.

ფურცელ-ი: რვეულნი ყოველნი რვითა ფურცლითა არიან 36, 8.

ფუფუნება-ჲ: ჩუეულნი კეთილად ცხორებასა და აღზრდილნი ფუფუნებით 0, 4; თუ ვითარ ჯერ-არს ფუფუნებით და განსუენებით მსახურებაჲ 0, 34; უკუეთუ უძლურებაჲ შეემთხჳოს მას, ჯერ-არს დამჭირვად მისა და ფუფუნებად ვიდრე სრულიად განმრთელებადმდე 8, 14; ჯერ-არს უმეტესად ლუწოლაჲ და ფუფუნებაჲ საზრდელითა და სასუმელითა 28, 1. **მფუფუნებელ-ი:** მოხუცებულთა და სნეულთა ზედამხედველად და მფუფუნებელად 6, 16.

ფუცება-ჲ: გაფუცებ ღმერთსა 7, 3; ვაფუცებ ყოველთა ღმერთსა ცხოველსა 29, 8; ვაფუცებ მამასახლისთა 36, 6; ვაფუცებ თავადსა უფალსა ჩუენსა 17, 4.

ფქვა-ჲ, დაფქვა-ჲ: რომელ საფქავსა უფქვიდეს 29, 7; საფქავსა დაუფქვიდეს 29, 1.

ქალაქ-ი: ერ-მრავალსა ქალაქსა 0, 4; შორს ქალაქთაგან და მსოფლიოთა 0, 4; გარეგან ქალაქისა 0, 4.

ქანდაკება-ჲ. ნ. გამოქანდაკებული.

ქვა-ჲ: სხუაჲ ხატი ერთი ქვისაჲ 34ა, 8 (უთუოდ იგულისხმება მარმარილოსი, რომელიც ბევრგან არის პეტრიწონის მიდამოებში).

ქველის მეტყუელება-ჲ: და არა თუ სხჳსა ვისითაცა თანა-შეწევნითა გინა ქველის მეტყუელებითა მოცემულ არს **18, 9 მოწყალების** გამოთხოვით (?). შეიძლება გამოტოვებული იყოს სიტყვა ან სიტყვები გადაწერის დროს, ან შეცდომა იყოს „ქველის მოქმედებითა"-ს ნაცვლად.

ქველის საქმე ქველმოქმედება, მოწყალების გაღება: ქველის საქმისა მიცემითა 37, 1; ქველის საქმითა 0, 16; 27, 4. **ქველის მოქმედი:** ქველის მოქმედმან ღმერთმან 6, 1.

ქონებულ-ი: პირველითგანვე ქონებულითა ნაქონებითა მათითა 2, 1 (ამ შემთხვევაში „ნაქონები" არსებითია).

ქონიერება-ჲ: ყოვლითა ქონიერებითა მათითა 2, 17.

ქორაკანდელ-ი ხომლი, ლუსტრა: ქორაკანდელნი 2, 18; ქორაკანდელნი ვეცხლისანი ორნი, თავიეთ ჯაჭუებითა 34ა, 20.

ქსენადოშ-ი (ξενοδοχεῖον) სასტუმრო, სამწირო, უცხოთ სადგური (მოწმობები ნახე სასტუმროსთან). (მიმოხ. 38).

ქუე. ნ. ზე და ქუე.

ქუემდებარე: ზემავალი ანუ ქუემდებარე ანუ თჳთმძრავი 18, 6; ზემავალითა და ქუემდებარითა და თჳთმავალითა ყოვლითა 3, 1.

ქუემო-ჲ (ზედს.), **ქუემო, ქუემოჲთ** (ზმნიზ.): ქუემონი სოფელნი 6, 5. ქუემო დაგჳწერია 2, 21; ქუემო წარწერილი 36, 3; ზემო ჯდომაჲ და ქუემო ჯდომაჲ 8, 2. **ქუემო კერძო:** სოფლისა სტენიმახისა ქუემო კერძო 29, 1. **ქუემოჲთ:** ზემოჲთ გიორგიწმიდითურთ და ქუემოჲთ, რომელი სოფელსა ახლავს 2, 2; ქუემოჲთ წარიწერნეს კელითა ჩემითა 36, 2.

ქუეშე: რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ 3, 1.

ქცევა-ჲ, ი ვნ.: მრავალთა შინა ჟამთა ვიქცეოდე ესრეთ 18, 9; რაჲთა იქცეოდის მონასტერსა შინა 6, 17; რაჲთა არა განვიდოდიან, არცა იქცეოდიან გარეგან მონასტრისა 0, 21.

ქცეულება-ჲ: ძალისაებრ ჩემისა და ქცეულებისა დაუდგრომელთა მათ და დაუმტკიცებელთა ჟამთა ამის საწუთროჲსათა 1, 3.

ღ

ღა: ვიდრე-ღა ჯერეთ იყოს-ღა იგი ცხორებასა ამას 5, 6; და უფროჲს-ღა მიტროპოლიტისაგან ფილიპოპოლელთაჲსა არს აზნაურ 3, 2; უფროჲს-ღა მონაზონთაგან 27, 1; რაჲთა უპატიოსნესად-ღა ჰყოფდეთ 21, 2.

ღამის თევა-ჲ: ღამის თევაჲ და პანაშჳდი 5, 7; პანაშჳდი და ღამის თევაჲ 22, 1; საჴსენებელი ღამის თევითა და პანაშჳდითა 27, 3; რაჲთა დღესასწაულობდენ ღამის თევითა 37, 1. **ა—2:** ღამესა ათევენ ძმანი 8, 7.

ღირს-ი, უღირს-ი: ღირს არს წინამძღურისა 7, 1 ჯერ-არს, საჭიროა: მრა-

ვალ გზის უღირსი უფროჲს წარემატე-ბის ბჭობასა შინა, ვიდრეღა ღირსი 18, 4; რომელნიცა ღირს მღდელობისა იყვნენ მათგანნი 31, 5. **უღირსება-ჲ:** რაჲთა არავის მიუშუათ უღირსებით ჟამის წირვად 7, 3; უღირსებისა ჩემისაგან 18, 2.

ღმრთისმეტყუელ-ი: წიგნი ერთი ღმრთისმეტყუელი 34ა, 28. იგულისხმება გრიგოლ ღმრთისმეტყველის წიგნი.

ღუაწლ-ი შრომა, ჯაფა: მრავლითა ღუაწლითა და რუდუნებითა 5, 9.

ღუწა-ჲ, ღუწოლა-ჲ: გლახაკთა ღუწისათჳს 0, 16; გლახაკთა ღუწოლითა 37, 1; მათი ჯერ-არს უმეტესად ღუწოლაჲ და ფუფუნებაჲ საზრდელითა და სასუმელითა 28, 1; თანა-გუაც ყოველთა ამათ ესევითართათჳს ზრუნვაჲ და ღუწოლაჲ 1, 1; საკუთრად თავისა თჳსისა ალაგისა რაჲსამე ღუწოლაჲ ძმისაჲ 4, 3.

ი: რაჲთა მოსწრაფებით ვიღუაწოთ განრინებად 1, 1; ეგრე პატივით და ღირსებით ვიღუაწეთ იგი 2, 11; მიმოხ. 10გ.

ღუდედიკ-ი: ბროლისა ღუდედიკი ერთი, გამოქანდაკებული 34გ, 1. ბერძნულში სათანადო ადგილი არ არის.

ღჳნო-ჲ: ღჳნოჲ ორი მეტროჲ 29, 1; ღჳნოჲ მეტროჲ ერთი 29, 6; ღჳნოჲ საწყაული ერთი 29, 6; ღჳნისა შეცვალებაჲ 8, 5.

ღჳძლ-ი ნ. თანა-მეღჳძლე.

Ⴗ

ყანა-ჲ: თავისა ვენაჴებითა და ყანებითა 2, 5; ზედა ნართაულით მიწით და ყანებით მისითურთ 2, 6.

ყელ-იწრო-ჲ: მახრუდი ყელ-იწროჲ კუტალი, ორი 34გ, 8.

ყველ-ი: განწესებულსა ამას უჴდურისასა და ყველსა ნუმცა დააკლებენ 8, 5.

ყმა-ჲ. ნ. ყრმაჲ.

ყოველ-ი მთელი: ყოველი აღსუარული 15, 7.

ყოველი ფერ-ი: შემოსავალი ყოველი ფერი მონასტრისაჲ სეკდენბერისა თუესა შეკრბების 9, 3; ყოვლისა ფერისა სახეობისათჳს 34, სათ. **ყოვლადვე, ყოლადვე** ყოველთვის, მარად: ყოლადვე, აწ და მარადის 0, 40; რაჲთა ყოვლადვე და მარადის დაუხრწეველად აღასრულებდეთ 27, 1; ყოვლადვე აზნაურად ყოფისათჳს 35ბ, 5; ჯერ-არს ყოვლადვე ფსალმუნებაჲ შრომასა შინა 0, 20. ეს სიტყვა სრულადაც (ე. ი. უქარაგმოდ) არის დაწერილი (ყოლადვე 0, 40), მაგრამ უმეტესად შემოკლებულად არის დაწერილი, რაც აქ **ყოვლადვე**-დ არის გაშლილი (მიმოხ. 9დ).

ყოფა-ჲ 1. ყოფნა, ცხოვრება: გარეგან ქალაქისა არს ყოფაჲ ჩუენი 0, 4; ვითარ უჴმს ყოფაჲ და მსახურებაჲ 0, 31; ვიდრე-ღა ცხორებასა ამას შინა ვართ ყოფით 1, 1.—**2.** ქმნა: თუ ვითარ ჯერ-არს ყოფად საჴსენებელი ჩემი და წყალობისა ყოფად გლახაკთა მიმართ 0, 27; ლოღარიას ქმნისათჳს და ანგარიშის ყოფისა 0, 32; მიშუებაჲ აქუნდეს ჩუენგან ყოფად ამისა 8, 9.

ყოფად-ი რომელიც უნდა იყოს: მანვე პირველმან გამოარჩიოს მეორედ წინამძღურად ყოფადი იგი მწყემსად ძმათა 5, 2.

ყრმაჲ, ყმა-ჲ 1. ბავშვი: და იყვნენ მღდელსა მას თანა სასწავლოდ ყრმანი ექუსნი 31, 4; რიცხუსა ყრმათასა ნუმცა ოდეს დაკლებულა 31, 6. **2.** კაცი, **ἄνθρωπος**: ანუ მსახურთა და ყრმათა ჩემთაგანი 18, 5 (τῶν ἀνθρώπων ἡμῶν);.

თჳსნი ნათესავნი და ყრმანი (οἱ ἄνθρωποι) ჩემნი 18, 9; თჳსთა და ნათესავთა და ყრმათა ჩუენთათჳს ქართველთა 25, სათ.; და ეგრეთვე ყმისა ჩემისა ვარდან პრონოიტისისა ჴელითა განძითა ჩემითა ნასყიდნი სახლი 2, 5.

ყუერულ-ი. ნ. საჴურისი.

შ

შაბათ-ი 7, 4; დიდსა შაბათსა 37, 10; 37, 16.

შებღალვა-ჲ: ყოვლისაგან შებღალვისა 13, 1.

შეგვანება-ჲ: ვითარცა შეჰგვანდეს 31, 3; ვითარ-იგი შეჰგვანდეს 31, 4; ვითარ-იგი ჴერ-იყო და შეჰგვანდა 2, 11.

შედგომა-ჲ: ჴერ-არს წინამძღურისა სწავლათა შედგომად 4, 12.

შეზავებულ-ი: მარილითა მადლისაჲთა კეთილად შეზავებულ 8, 1; შეუნიერად შეზავებულისა ტაძრისა 0, 2.

შეკაზმვა-ჲ: სხუაჲ ხატები შეშისაჲ, ოქროპეტალოჲთა შეკაზმული 34ა, 11; ბარძიმი ერთი იასპი ოქროჲთა და შემეფტონითა შეკაზმული 34ა, 14.

შეკერულ-ი: შეკერული სკარამანგი დურანგითა 34ა, 52. შდრ. უკერავი.

შემატება-ჲ: კუალადმცა შეემატების 6, 3.

შემდგომ-ი: და შემდგომი ამისი 3, 2 и так далее; შემდგომთა მისთა. შემდგომებით მათითურთ 12, 6; **შემდგომად после:** ამისა შემდგომად 0, 3; შემდგომად პირველისა 0, 11; შემდგომად ჩუენსა მომავალთა წინამძღუართა 37, 1.

შემეფტონ-ი. ეს სიტყვა ქართულში არსებითადაა ყველგან ნახმარი (ოქროჲთა და შემეფტონითა შეკაზმული, შემეფტონითა და თუალებითა და სხვ.), მაგრამ გადმოგვცემს ბერძნ. მიმღეობის საშ. სქესის ფორმით: χειμευτόν-ს. მოსალოდნელი იყო ,,შიმეფთონი“, მაგრამ პირველი ხმოვანი მეორეს დაჰმსგავსებია. ბერძნულ ტექსტში კიდევ გვხვდება χείμευσις. რეალურად ეს არის მინა, ემალი: შემკულ არიან თუალებითა პატიოსნითა და მარგალიტითა, მინაჲთა და შემეფტონითა 2, 18. აქ მინა (სპ. مينا) და ,,შემეფტონი“ ერთსა და იმავეს უნდა აღნიშნავდეს, რაც ბერძნულში ამნაირად არის გადმოცემული διὰ χειμεύσεως (ნახე ცოტა ქვემოთ შ. ამირანაშვილის აზრი ამის შესახებ); ხატნი ოქროჲსანი შემეფტონითა ორნი 34ა, 1; და სხუაჲ ხატი ერთი დიდი, შემეფტონითავე, ფერისცვალებისა უფლისაჲ 34ა, 2; და სხუაჲ ხატი ერთი მცირაჲ, კარედი, წმ. ღმრთისმშობელისაჲ, შემეფტონითავე 34ა, 4; და სხუაჲ ხატი ერთი დიდი შემეფტონითა, რვა-კედლოვანი 34ა, 3. ჯუარი პატიოსანი ერთი, დიდი, შემეფტონითა და თუალებითა 34ა, 5; ბარძიმი ერთი იასპი, ოქროჲთა და შემეფტონითა შეკაზმული 34ა, 14; სახარებაჲ ერთი ბერძული, ოქროჲთა და და შემეფტონითა შეკაზმული 34ა, 21; იმავე ბერძნული სიტყვისაგან მოდის ძველი რუსული финифть. ,,პეტრიწონის მონასტრის ქართული და ბერძნული ტექსტების შედარება, განსაკუთრებით იმ ადგილებისა, სადაც ორივე ტერმინი, ე. ი. ,,შემეფტონი“ და ,,მინაჲ“ იხმარება, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ პირველი ტერმინი აღნიშნავს მინაქრის ნაწარმოებს, მეორე კი — მინის აფერადებულ მასას, smaltum-ს (შ. ამირანაშვილი, ქართ. ხელოვნების ისტ. 328). ,,ვეფხისტყაოსან-

ში“ გვხვდება **მინა, შემეფტონი** კი — არა. (მიმოხ. 38).

შემზადება-ჲ, განმზადება-ჲ: საზრდელთა შემზადებაჲ 0, 4; **შემზადებულთა** მათ საზრდელთაგან 21, 4; ნ. განმზადებაჲ.

შემთხუევა-ჲ, ე: უძლურებაჲ შეემთხჳოს 8, 14; რაჲთა არარაჲ ესევითარი შეემთხჳოს 21, 6; ვნებისა შემთხუევად 9, 1. შეჰმთხუეოდის 0, 19.

შემკობა-ჲ: შემკობისათჳს და განათლებისა ეკლესიისა 0, 18.

შემოკრება-ჲ, შემოკრიბნეს ძმანი ყოველნი 5, 6; რომელი-იგი სხუათა შემოუკრებიეს 5, 9. **ი** ვნ.: უკუეთუ ძმათა შემოწირულისა, ანუ სხუათა ვიეთმე მიერ მოძღუანებულისაგან შემოიკრიბოს დრაჰკანი 21, 8. (მიმოხ. 25).

შემოსავალ-ი: ჩემთა პრასტინთა ყოველსავე შემოსავალთა ამათ წელთა (ძმაჲ ჩემი აბაზ მაგისტროსი) ბრძანებითავე ჩემითა აიღებდა და დაჰმარხვიდა 2, 16; ყოვლითა სამართალითა და პირველითგანვე ქონებულითა ნაქონებითა მათითა და შემოსავალითა 2, 1; ყოვლითა ალაგითა და შემოსავალითა 2, 8; წლითი-წლადთა მათ შემოსავალთა მისთა 21, 3.

შემოსილ-ი: სახარებაჲ ლიტონად შემოსილი 34ა, 26.

შემოსლვა-ჲ: შემოსლვაჲ კაცთაჲ სოფლად 6, 1. ნ. შორის შემოსლვაჲ, შემოსავალი.

შემოწირვა-ჲ: მათთჳს, რომელნი საჭმარსა შემოსწირვენ მონასტერსა 0, 26.

შემოჭდომა-ჲ: რამეთუ მრავალი სავნებელი და ურთიერთარს ჭდომისა და წინა-აღდგომისა მიზეზი შორის მათსა შემოჭდების 18, 4. ნ.

შემსგავსებულ-ი: რომლისა უფრო უმჯობესი და შემსგავსებული ვერასადა ვპოვეთ 5, 10.

შემწე: შემწედ და შესავედრებელად და საკსრად ჩემდა 0, 2.

შემწყნარებელ-ი: ნ. შეწყნარებაჲ.

შენება-ჲ: სადედოჲსა მონასტრისა შენებად 0, 29; მონასტრისა შენებისასა 30, 1; შენებასა შინა 6, 22 (გადატანითი მნიშვნელობით).

შენებულ-ი, შენებულება-ჲ: მითვე ყოვლითა შენებულებითა და ნაქონებითა 2, 7; ციხებითა და ყოვლითა შენებულებითა მათითა 2, 17 (მიმოხ. 14).

შეორგულება-ჲ. ნ. შეუორგულებლად.

შერისხვა-ჲ: რომელთაჲმე შერისხვაჲ ჯერ-არს უხუცესისაჲ და რომელთამე შერჩულვაჲ 14, 3.

[**შერნიმოქსესტ-ი.** ნ. შრინიმოქსესტი].

შერჩულვა-ჲ დასჯა საეკლესიო კანონების მიხედვით; იგივე უნდა იყოს, რაც „განკანონებაჲ“: რომელთაჲმე შერისხვაჲ ჯერ-არს უხუცესისაჲ და რომელთამე — შერჩულვაჲ 14, 3; უკუეთუ შემდგომად ერთ გზის გინა ორ გზის და სამ გზისცა შერჩულვისა და განკანონებისა განუმართავად ეგოს თჳსსავე ზედა თავჭედობასა 15, 6; ყოვლითა სახითა შერჩულვაჲ 15, 10.

შესავალ-ი: სიტყუაჲ შესავალი 1, სათ.

შესამოსელ-ი: შესამოსლისათჳს ანუ სამოსლისა ფასისა 9, სათ.; შესამოსლისა ფასისათჳს 9, 1; სამეუფონი შესამოსელნი 2, 18.

შესაძრწუნებელ-ი: შესაძრწუნებელი განკითხვაჲ 1, 1.

შესლვა-ჲ: არა შესლვისათჳს მონასტრად ჩუენდა დედაკაცისა 0, 29.

შესმენა-ჲ: ნუცა შურისა მიერ შესმენითა 7, 3.

შესწავებულ-ი: წესსა მონაზონები-

სასა წურთილ და შესწავებულ იყვნენ 25, 1.

შეუვალ-ი: ხელ-შეუხებელი, ხარკ-დაუდებელი, გადასახადისაგან თავისუფალი: აზნაურ და შეუვალ 3, 2 (შეუვალობა — ἐξουσεία).

შეუვრდომელ-ი: რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ 3, 1.

შეუორგულებლად 29, 1.

შეურვება-ჲ: ვითარ-იგი ჴერ-იყო და შეჰგვანდა ჩემისა მისგან დიდისა და მრავლისა შეურვებისა 2, 11. ნ. ურვაჲ.

შეურყეველ-ი: კუალად ეპისკევტობასავე მიეცეს, გარნა ჩუენნი შეურყევლად დაშთენ 35ბ, 25.

შეუძრავ-ი: რომელნიცა მაქუნდეს ჴელმწიფებით სრულითა და შეუძრავითა უფლებითა 2, 1.

შექმნა-ჲ, ი ვნ: და შეიქმნა სწორი ამისი 37, 4.

შექცევა-ჲ, ი/უ დაბრუნება (ი/უ): რაჲთა არა აქუნდეს ძმათა ჴელმწიფებაჲ ნაძუელავსა განცემად ვისსაცა, გარნა მამასახლისსავე შეუქციოს 9, 5; რაჲთა დაკლებული იგი და შეჭმული ეკლესიასავე შეუქციოს 26, 5.

შეშა-ჲ 1. ხე, როგორც რომელიმე საგნის დასამზადებელი მასალა: ჯუარი შეშისაჲ 34ა, 9 (ξύλινος); ხატი ერთი დიდი შეშისაჲ 34ა, 9.—**2.** ხე, როგორც საწვავი მასალა: რაჲთა სამწიროსა ოდენ ჰმსახურებდეს შეშისა მოღებითა და წყლისაჲთა 29, 1.

შეცვალება-ჲ, ცვალება-ჲ: ნუმცა იქმნების პურისა, ღჳნისა და სხვათა მათ სანოვაგეთა შეცვალებაჲ, რაჲთა არა მიზეზ ექმნას მონაზონთა ამის მიერ შეცვალებად წესსა ამას ზოგად ცხორებისასა და ჩუენ მიერ განწესებულისა ამის წესისა სხუად წესად ცვალებად 8, 5; შეცვალებისაებრ და მომართებისა ჟამთა ამათ 9, 2. 0—2: ზოგად საცხორებელსა მას წესსა და საქმესა უწესოებად და ორგულებად შესცვალებენ 4, 6.

შეძენა-ჲ, 0—3: და სხუაჲ მცირედი, რომელ ჩუენ შევსძინეთ და შთავწერეთ მას შინა 0, 6; **შეძინების-მოყუარება-ჲ:** თჳთრჩულობითა მით და შეძინების-მოყუარებითა 4, 6.

შეწყნარება-ჲ: ვითარ ჴერ-არს შეწყნარებაჲ მათი 0, 31. სახიერებით **შეშწყნარებელთა** ჩუენთა 1, 1.

შეჭედილ-ი: სახარებაჲ ვეცხლითა შეჭედილი 34ა, 22.

შეჭმულ-ი: დაკლებული იგი და შეჭმული ეკლესიასავე შეუქციოს 21, 5.

შვილება-ჲ შვილად ყოფნა: ვითარცა კუებული შვილებისაგან 4, 13; (აქ „შვილებისაგან“ **გან**-დართული ნათ. ბრუნვის ფორმაა არა „შვილ“ სიტყვის **ებ**-იანი მრავლობითის ფორმისაგან, არამედ განყენებული ცნების აღმნიშვნელი სიტყვის მხოლობითისაგან. მისი მხოლ. რიცხვი ფორმალურია): შვილება-ჲ (სახ.), შვილებისა (ნათ.).

შთამოყვანება-ჲ: შთამოყვანებად რიცხჳ ერგასისთაჲ 6, 3.

შთასასუენებელ-ი: რაჲთა შექმნენ ზემო თქუმულთა წმიდათა შთასასუენებელნი ბუდენი 34ბ, 7.

შიგნით (ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით, მოითხოვს მიცემითს): ციხესა მისინოპოლისასა შიგნით 2, 5; პერითორისა ციხესა შიგნით 2, 7; მონასტერსა შიგნით 24, სათ. შდრ. შინაგან.

შინა (ზზ.): შინა და გარე 8, 4; 16, 1.

შინაგან (ზზ. თანდებულის ფუნქციით; მოითხოვს მიცემითს ან ნათესაობითს): შინაგან ქალაქისა 0, 3; შინაგან მონასტერსა 0, 30; შდრ. შიგნით.

შინა-განმცემელ-ი: და ვითარცა შინა-განმცემელი და მზაკუვარი დაისაჯენ 18, 6.

შინება-ჲ: ბრძანებათა და შინებათა ღმრთისათაჲ 12, 8.

[**შირნიმოქსესტ-ი.** ნ. შრინიმოქსესტი აქვე და გვ. 47].

შორიელ-ი: აზნაურებისათჳს ყოველთაგან თჳსთა ჩემთა შორიელთა და მახლობელთა 0, 24; აზნაურ და თავისუფალ ყოველთაგან შორიელთა და მახლობელთა თჳსთა 18, 1.

შორის (ზზ. თანდებულის ფუნქციით; მოითხოვს მიცემითს ან ნათესაობითს): ესევითარსა მას შორის დიდსა და ერ-მრავალსა ქალაქსა 0, 4; შორის კრებულისა 0, 21; შორის ძმათა 4, 6.

შორის შემოსლვა-ჲ: დიდიცა სავნებელი და ახალ-სახეობაჲ არა სულიერი ოდენ შორის შემოვალს, არამედ 4, 6; რაჲთა არა შფოთი და უწესოებაჲ შორის შემოვიდეს 8, 2; გარეგან კანონთაჲსა **შორის შემოსრული** და კანონთაგან განგდებული საქმე 17, 3.

შრინიმოქსესტ-ი ხელსაბანი ჭურჭელი, рукомой с лоханью: მივეც ვეცხლისა შრინიმოქსესტი წყვილი ერთი 34ბ, 8. რადგანაც აქ ერთ წყვილზეა საუბარი, შრინიმოქსესტი შედგებოდა, უთუოდ, ორი საგნისაგან, რომელთაგანაც ერთი იყო წამოსასხმელი ჭურჭელი, რომელშიც წყალი იდგა, და მეორე — ტაშტი, რაზედაც ნაბანი წყალი ისხმოდა (ე. ი. ტაშტ-აბრაგი მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წლის სიგლისა და ამირან-დარეჯანიანისა). ბარძიმ-ფეშხუემსაც ხომ წყვილობით თვლიდნენ, რადგანაც ორი საგანია: „ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ ხატოვანი სამი წყვილი" 34ა, 15. ხელნაწერში იკითხება **შრინიდოქსესტი,** მაგრამ, მე შეცდომა მგონია, რომელიც გადმოწერის დროს მოჰსვლიათ. (Ө ამოუკითხავთ შ-დ). შრინიმოქსესტი კი თავის მხრივ წარმოადგენს **შირნივოქსესტ**ის გადაკეთებას, ან **შერნივოქსესტი**-სას (χερνιβόξεστος). χ ბგერა ვერ გადაიქცეოდა **შ**-დ **ρ**-ს შემდეგ. ასეთად იგი უთუოდ **ე**-ს წინ ან **ი**-ს წინ არის გადაქცეული (მიმოხ. 38). ს. ყაუხჩიშვილს **χερνιβόξεστον** ახსნილი აქვს, როგორც „ჯამი ნაკურთხი წყლისათვის" (295). ნ. **ტაშტ-აბრაგი.**

შრომა-ჲ: არცა ერთი რაჲ შრომაჲ გინა ჭირი თავს-უც 5, 8; ჴელთ საქმეთათჳს და შრომისა და ვითარ ჯერ-არს ყოვლადვე ფსალმუნებაჲ შრომასა შინა 0, 20; თჳსითა შრომითა მოუგიეს 5, 7; ძმანო, მოიჴსენებდით ჭირთა და რუდუნებათა და შრომათა ჩემთა 21, 12 (მიმოხ. 9ზ).

შრომილ-ი: სხუათა შრომილსა და ნაოფლავსა 5, 9; უწყით კეთილად ყოველი ხარკებაჲ და სწრაფაჲ და ოფლითა მრავლითა **შრომილებაჲ** ჩემი 21, 2. ნ. უშრომელად.

შუებულ-ი: უკუეთუ მთავართაგანი ვინ, გინა თუ შუებულად ცხორებულთა მოსრულ იყოს მონაზონებად 4, 6.

შუენ, 0—2 (გარდაუვ.); ვითარცა ჰშუენის დიდსა მას და სახელ-განთქუმულსა ეკლესიასა ჩუენსა 11, 1.

შუენიერ-ი: საქმე შუენიერი 27, 1; ტაბლაჲ ბრწყინვალე და შუენიერი 21, 1; ესევითარსა ამას შუენიერსა უდაბნოსა 0, 4; ხატნი ფიცრისანი ოქროპეტალოჲთა და წამლითა შუენიერად დაწერილნი 2, 20.

შფოთ-ი: შფოთი და უწესოებაჲ 8, 2.

შჯულის დება-ჲ: რაჲთა დაიმარხოს მათ მიერ ნებაჲ ჩუენი და შჯულის დებაჲ ესე 36, 6.

ჩ

ჩადება-ჲ: ჯერ-არს საგზლისა ჩადებად 8, 13.

ჩემება-ჲ, ი: რომელი-იგი ბნელი არს და ნათელსა იჩემებს 15, 9; რომელსაცა სახილველად კაცთა იჩემებდენ 15, 12. ა—3 მიკუთვნება (ა): რაჲთა ყოველსავე კეთილსა, ნიჭსა და განმარჯუებასა ჩუენსა ღმერთსა მივაჩემებდეთ 15, 15.

ჩინება-ჲ: რომელი-იგი ვასილიკოსობად ჩინებულ არს 1, 3. ნ. განჩინებაჲ.

ჩუენება-ჲ, ა—3: სიყუარული აჩუენოს 8, 11 გაუმასპინძლდეს.

ჩუეულ-ი: ჩუეულნი კეთილად ცხორებასა და ფუფუნებით აღზრდილნი 0, 4; ქართველნი მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი 0, 4.

ჩუეულება-ჲ: მარადის იჴსენებიანმცა ჩუეულებისაებრ სულნი შესუენებულთა ძმათა ჩუენთანი 27, 1.

ჩქურება-ჲ, ი: ოდეს-იგი მათსა მას ზღვევასა რეცა ლმობიერად იჩქურებ 4, 11 (ἔστεργες). შდრ.: კეთილნი ბოროტთა განრეულ არიან და იცნის და მშვდნი — **ჩქურთა** (უდაბნოს მრავალთავი, 113v); უჩნდეს მათ სიტყუანი მათნი ვითარცა **სიჩქურისანი** (ლუკ. 24, 11); ქრისტეს ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ზედა **სიჩქურით** მეტყუელნი: რუის-ურბნისის კრების ძეგლის წერა: ქართ. სამართლის ძეგლები III, 1970 (ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც.). გვ. 119, 1 ქვ.; განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა ს ი ჩ ქ უ რ ი ს ა ჲ (იქვე, 109, 6).

ც

ცდა-ჲ, ე: სრულიად უფლებად მისა ეცადნენ 24, 1; შეურაცხ-ყოფად ეცადოს 36, 5.

ცერცჳ: გინა თუ ცერცჳ· გინა თუ მხალი 29, 7; ცერცუთაგან გინა მხალთა 29, 1.

ცვალება-ჲ: ჟამთა ცვალებითა 9, 5. ნ. შეცვალებაჲ.

ცთომა-ჲ: ცთომასა მღდელისასა 7, 3: უკუეთუ იპოვოს ცთომასა რას შინა 30, 3; არა უგულებელს-ყოფად მცირეთა ცთომათა ვიეთთამე 15, 7. უკუეთუ სცთეს წესსა მას შინა მღდელობისასა, 7, 3.

ცთომილ-ი: ცთომილი იგი გარეგან მონასტრისა სოხასტერთა შინა დაიწყოს 7, 2; **უცთომელ-ი** 15, 8; **მცთომ-ი:** თჳთრჩული ყოველი მარადის მცთომ არს 15, 8.

ცილობა-ჲ: თჳნიერ ყოვლისა ცილობისა 21, 9.

ცისკარ-ი: ჟამსა ცისკრისა გალობისასა 6, 17.

ციხე: ციხისა ვანსკაჲსათჳს 35ბ, 2; მათ შინა ციხის გებისა 35ბ, 3; უფალ და ჴელწიფე ამის სოფლისა და ციხისა 2, 13; ჩემ მიერ აგებულითა ორითავე ციხით მისითურთ 2, 2; ციხეცა ვანსკაჲ ახალ ციხითურთ ვრისით 2, 3; ციხედ წოდებული სოფელი პეტრიწონისაჲ 2, 1; ციხენი და სოფელნი და პრასტინნი ყოველნივე 2, 14; თავისა ძუელითა ციხებითა და აგარაებითა 2, 12; ციხებითა და ყოვლითა შენებულებითა მათითა 2, 17.

ცნობა-ჲ, ი: რომელნი-ეგე დასაბამითგან მიცნობთ მე 21, 2; რომელსა იგინი ხოლო იცნობენ 5, 9; 0—2: ჭეშმარიტითა გამოძიებითა სცნობდით ცთომასა

მღდელისასა 7, 3; ცნობისა სისუბუქითა 15, 1.

ცოლოსან-ი: არა მნებავს უკუე რაჲთურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა ჩემსა გინა მონასტერსა რაჲთაცა მიზეზითა, არცა ც ო ლ ო ს ნ ი ს ა კ ა ც ი ს ა დამკჳდრებაჲ საზღვართა მისთა 23, 1.

ცომ-ი საფუარი: რაჲთა არა მცირემან მან ცომმან ყოველი აღსუარული აღაფუვნოს 15, 7.

ცონ. ნ. მცონარებაჲ, უცონილად.

ცოცხალ-ი: უკუეთუ იყვნენ სადა მახლობელთა თჳსთა ჩუენთა ცოცხალთაგანნი 25, 1.

ცრუვება-ჲ, ე: უკუეთუ ეცრუვოს წინამძღუარი აღთქუმასა თჳსსა 0, 25; 19, სათ.

ცუდ-ი: ცუდ ვარ და ცარიელ 1, 3; მოეხუეჭოს ანუ ც უ დ ა დ წარეგოს 26, 5 (საპირისპიროა ჯ ე რ ო ვ ნ ა დ: ჯეროვნად წარგებული: 26, 6).

ცურვებულ-ი: ოქროჲთა ცურვებული 34ბ, 5; ოქროცურვებული 34ბ, 6.

ცხადად: ცხადად გინა ფარულად 4, 7.

ცხავ-ი. ნ. პირ-ცხავი.

ცხედარ-ი საწოლი: და იყვნენ ქსენადოშსა მას შინა ცხედარნი მრავალნი 29, 2.

ცხოველს-მყოფელ-ი: დიდებაჲ ცხოველს-მყოფელსა სულსა მისსა 0, 1.

ცხორება-ჲ, მცხორებელ-ი, ცხორებულ-ი: უფართესი და უმდიდრესი ცხორებაჲ 0, 5; ჩუეულნი კეთილად ცხორებასა 0, 4; მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი 0, 4; ვიდრე-ღა ცხორებასა ამას შინა ვართ ყოფით 1, 1; ერთობისათჳს და ზოგებით ცხორებისა 0, 10; საზიაროჲსა მის ცხორებისა 4, 6; ზოგად მცხორებელთათჳს **4,** სათ.; ზოგად ცხორებულთა 6, 2 (მიმოხ. 9გ).

ძ

ძ. ნ. ძეს, თანა-დებაჲ, თავს-დებაჲ, დამიც (ლეღატთან).

ძალ-ი 1. ღონე, შეძლება: ესე ძალისაებრ ჩუენისა კმა იყავნ 19, 3. ამის მიერ ყოველი ძალი წინააღმდეგობისა ჩუენისა ეშმაკისაჲ დაიჭსნების 27, 1. ნ. ძლით. **ძალ-მიც:** წიგნითა აღწერად ვერ ძალ-მიც 2, 18 (**ძალ-მიც**=ძალ-მიძს შემიძლია). ნახე ძლ. **2.** (მრ. რიცხვში, ჩვეულ. მიცემითის ფორმით და დროის გარემოების მნიშვნელობით) დღესასწაულის წინა დღე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი (კვირისათვის შაბათის საღამო, ახალწლისთვის 31 დეკემბრის საღამო) навечерие, канун: ჯერ-არს კჳრიაკისა ძალთა ღამის თევაჲ 12, 3.

ძაძა-ჲ 15, 12.

ძეს: რომელი ნამარხევად ძეს 36, 5. ნ. განძებაჲ.

ძიება-ჲ: ჭამლთა ძიებითა კარითი-კარად რორინებად 9, 1. **ი** ვნ.: რაჲთა არა დააკლდენ, არცა ამათგან საჭმარი პურის ფასად გინა ძღუნად იძიოს 0, 6. **ე** (დეპ.): საცხორებელსა ჩემსა ვეძიებდი 18, 9. ნ. გამომეძიებელი, საძიებელი.

ძლ, ი/უ: ვინმცა კაცთაგანმან უძლო ყოვლისავე უცთომელად წარმოთქუმად 19, 3.

ძლეულება-ჲ: რომელთაცა ძლეულებაჲ და მოსრვაჲ წიგნითა აღწერად ვერ ძალ-მიც 2, 18.

ძლით გამო,-თვის: მამულისა სამკჳდრებელისა ძლით 18, 7.

ძმა-ჲ 1. თანა-მეღჳძლისა ძმისა ჩემი-

სა აბაზ მაგისტროსისა 0, 2; სანატრელსა ძმასა ჩემსა 2, 9; 2, 13; 2, 15; ნეტარისა ძმისა ჩემისა 21, 1; სანატრელისა ძმისა ჩემისა 37, 8. **მამის ძმა-ჲ** ბიძა: მამის ძმისა ჩემისა ხუასროვანისათჳს და მამის ძმის წულისა ჩემისა ბაკურიანისათჳს 31, .

2. მონასტერში დამკვდრებული ბერი, წევრი მონასტრის კრებულისა (საპირისპიროა ზოგჯერ მ ა მ ა ჲ ან მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი, მონასტრის წ ი ნ ა მ ძ ღ უ ა რ ი): წინამძღუარიცა და ძმანიცა 4, 1; რაჲთა ეგრე მოქალაქობდენ წინამძღუარიცა და სხუანიცა ძმანი ყოველნივე 0, 3; ხილვად მამისა გინა ძმათა მოვიდეს თჳსთა მათთაგანი 8, 11; წინამძღუართა და სხუათა მათ ძმათა 22, სათ.; ერთობისათჳს და ზოგებით ცხორებისა ძმათა კრებულისათა 0, 10; შეწყნარებაჲ მათი მამასახლისისაგან და ძმათა 0, 31; ლოღარიას ქმნისათჳს წინამძღურისა ეპიტროპოსთაგან და ძმათა 26, სათ.; წინამძღუართაგანი ვინმე ანუ სხუაჲ ვინმე **ძმათაგანი** 36, 5.

ძმობა-ჲ: ძმობაჲ სულიერი 0, 3.

ძრვად-ი: ძრვადითა და უძრავითა და თჳთმოძრავითა ყოვლითა 2, 17; მოძრავნი და უძრავნი და თჳთძრვადნი 0, 8.

ძღუენ-ი: უკუეთუ მორწმუნეთაგანმან ვინმე გარეთ მოღმართ ძღუენი შემოწიროს 27, 4; ძღუნისა მის უფალმან მოიღოს საზიაროსა მას ტაბლასა 8, 11; მომრთუმელი იგი ძღუნისაჲ მის 8, 11; არცა ამათგან საჭმარი პურის ფასად გინა ძღუნად იძიოს 0, 12.

Ⴜ

წად-ილ-ი: არა მწადის 0, 5.

წადიერება-ჲ: წადიერებაჲ მაქუნდა 1, 2.

წამალ-ი სურათის დასახატი მასალა: **ხა**ტნი ფიცრისანი ოქროპეტალოჲთა და წამლითა შუენიერად დაწერილნი 2, 20.

წამება-ჲ დამოწმება, დასტური: ძმათა ყოველთავე წამებითა და დამტკიცებითა 5, 2.

წარგება-ჲ, ა—2 ხარჯვა: [მნათე-კანდელაკი] იმჭირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხჳმელსა და წარაგებდეს ჯეროვნად 6, 11; მამასახლისი ეპიტროპოსთა მეცნიერებითა წარაგებდეს შემოსავალსა საჭმრად ეკლესიისა და მონასტრისა და ნაშთომსა, რომელი არა **წარგებულ იყოს** სარგებელად და ჯამსად მონასტრისა, მისცემდეს მეჭურჭლესა 26, 3; რაჲთა ჯერისაებრ წარავოს საჭმრად ძმათა 8, 10; სამეუფოჲსა განძისათჳს, რომელი წარვაგეთ კომანთა გამოყვანებასა შინა 35ბ, 7. **წარსაგებელ-ი** ხარჯი: აღვაშენენ ყოვლითა გულს-მოდგინებითა და დიდითა წარსაგებელითა ეკლესიანი 1, 3; ამათგანნი უმრავლესნი დიდძალითა წარსაგებელითა შემკულ არიან 2, 18; წარსაგებელი ფრიად უქმდა 9, 1.

წარგზავნა-ჲ: მეოთხესა დღესა საგზლისა ჩადებად და წარგზავნად გზასა თჳსსა 8, 13.

წართქუმა-ჲ: პირველ დაწესებულთა წართქუმისა 6, 17.

წარკითხვა-ჲ: თუ ვითარ ჯერ-არს წარკითხვაჲ ამისი 0, 39; არა იციან ბერძული წარკითხვაჲ 36, 3.

წარმართ-ი: ქელთა წარმართთასა მიცემადმდე 1, 4.

წარმართება-ჲ: დადგინებასა და წარმართებასა მას წინამძღურისასა ესრეთ განვაგებთ 5, 6; ამის ყოვლისა ესრეთ

წარმართებითა მათ თანა მებრ ღირს ვიქმნნეთ 1, 1; ზედამდგომელობასა შინა ეკლესიისა და მონასტრისა შენებისასა კეთილად წარმართებითა 30, 1; **წარმართებულ-ი:** რაჲთა წარმართებულად და სიწრფოებით ჰმწყსიდეს სულიერსა მას სამწყსოსა 5, 8.

წარმდებ-ი უკუღმართი, თავხედი: უკუეთუ წარმდები ვინმე იპოოს მათგანი 7, 2. **წარმდებობა-ჲ:** რომელნი წარმდებობდენ ესევითარითა ჩუეულებითა 15, 1.

წარმოცემა-ჲ გამოგზავნა, ბოძება, 0—(3)2: შესამოსლები, რომელნიცა წარმოეცნეს ჩემდა 2, 19; შესამოსელნი, თჳსისა ტანისაგან წ ა რ მ ო ც ე მ უ ლ ი ჩემდა 2, 18. ნ. წარცემაჲ.

წარსაგებელ-ი. ნ. წარგებაჲ.

წარუვალ-ი: წარუვალთა კეთილთა დაიმკჳდრებენ 11, 3.

წარცემა-ჲ, ი ვნ.: სწორი ამისი დაიწეროს და დაიმტკიცოს და წარიცეს ვითა თავადივე ტიპიკონი 36, 6. ნ. წარმოცემა-ჲ.

წარწერა-ჲ: ქუემოჲთ წარიწერნეს ჴელითა ჩემითა ყოველნივე ესე ტიპიკონნი 36, 2; ქუემო **წარწერილი** მას უპყრიეს 36, 3.

წარწყმედა-ჲ: ანუ თუ მებრ დაკსნად ამისა, გინა წარწყმედად ისწრაფოს 36, 5.

წარჴდომა-ჲ წასწრება, წინ წასვლა: უსამართლოჲ მართალსა წარჰჴდის 18, 4 (წაასწრებს, აჯობებს).

წდევა-ჲ, ი ვნ.: ანუ ორი გუარი ღჳნოჲ იწდეოდის 4, 2; ორი კრასოვოლი იწდიოს 8, 8.

წელიწად-ი: წელიწდისა ყოველნი შაბათნი 21, 10; წელიწდისა აღსრულებასა 22, 1; 22, 2; 30, 2; ყოველთა დღეთა წელიწდისათა 7, 4; ყოველთა შინა დღეთა წელიწდისათა 29, 1.

წერა-ჲ: წერით აიღებდეს და წერით გასცემდეს 6, 9.

წერილ-ი ნაწერი: დაიწერა წესი ესე განგებისაჲ წერილითა ბერძულითა და ქართულითა 36, 1; რაჲთა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდენ 36, 3; სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა 36, 3; მტკიცე არიან ზემო წერილნი ესე 36, 7; სხუაჲ სახარებაჲ ერთი ქართულად წერილი ოთხთავი 34ა, 22; მრგულად წერილი ოთხთავი 34ა, 24; ოქრობეჭედი ერთი მარღონაჲსა, ჰილსა ზედა წერილი 35ა, 10. **ოქროწერილ-ი:** სუდარაჲ ოთხი ოქროწერილითა ალმითა 34ა, 49.

წეს-ი 1. ჯერ-არს აღსრულებად მის ზედა ყოველივე წესი სამკუდროჲ: თუ მღდელთაგანი იყოს, სამღდელოჲთა წესითა დაჰმარხონ და თუ ლიტონი მონაზონი იყოს, — მონაზონთა წესითა 22, 1; ჩუენ მიერ დაწესებულისა ამის წესისა 0, 5; მოსრულ ვართ აწ სამონაზუნოსა წესსა 0, 4; ყოვლისაებრ წესისა მათისა 0, 3; წესსა მონაზონებისასა მოვიდენ 0, 31; წესსა შინა მონაზონებისასა 25, 1; მაშენებლისა მათისა დადებულსა წესსა 0, 4. წესისაებრ სჳნაქსარისა 6, 6. ნ. უწესოჲ. **2. წესი განგებისა-ჲ, წესი და განგება-ჲ** ტიპიკონი, წესდება: წესი ესე განგებისა სამონაზუნოჲსა მის წიგნისაჲ, რომელი-ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ პანაგიისა განგებისაგან 0, 6; წესი და განგებაჲ სამონაზუნოჲ და საკრებულოჲ, რომელი აქუნდა მათ, მითვე წესითა და განგებითა დაემტკიცოს ჩემიცა ესე მონასტერი 0, 3.

წესთა-ჲ რაც წესით ეკუთვნის: აღიღებდეს წესთასა თჳსსა და როქსა 29, 1.

წესიერ-ი: წესიერად და ზომიერად 6, 1. **უწესიერესი:** ურჩეულესი და უფრო უწესიერესი 5, 1.

წესიერება-ჲ: ჯერ-არს ქონებად უმე-

ტესისა სიმდაბლისა და წესიერებისა 4, 2; უწესოთა და ლირწთა წესიერებად მოყვანებაჲ 28, 3.

წიგნ-ი: **1.** წიგნის მკითხველად 6, 9; წიგნის კითხვისასა 8, 4; წიგნისა ამის განსაგებელისა 0, 39; წიგნსა ამას შინა 2, 21; **2. ლოგისიმონობისა** წიგნი 35ბ, 33; სიმეოსინი ხარტოფილაკისაჲ და წიგნი მისი (**καὶ πιττάκιον**) თემისა მის მსაჯულისა მიმართ 35ბ, 24; და სხუაჲ წიგნები 35ა, 15. **3.** ასო(?), წერა, ნაწერი: წიგნითა აღწერად ვერ ძალ-მიც 2, 18.

წილ მაგივრად: ძუელისა წილ ახალსა ინებებდეს და უკმრისა წილ — საქმარსა **4**, 10; ტაძრისა წილ 4, 4; საქსენებელისა წილ 30, 3.

წინა-აღდგომა-ჲ, ი/უ: წინა-აღუდგებოდის 15, 6.

წინა-აღმდგომ-ი: წინა-აღმდგომ გინა ურჩ 6, 22; ყოველი ძალი წინა-აღმდგომისა ჩუენისა ეშმაკისაჲ დაიქსნების 27, 1.

წინა-განწყობა-ჲ, ე: წინა-განეწყუებოდის მწყემსსა მას 15, 6.

წინამდებარე (**προκείμενος** მომავალი, მოსალოდნელი): წინამდებარეთა საქმეთათჳს 20, 1; წინამდებარისა მის საქმისა 20, 1; წინამდებარეთა მათ განწესებათაჲსა 5, 1; წინამდებარე იგი საქმეთა ჩემთა მოსაგებელისა ზარი და შიში 1, 3; წინამდებარე მომავალი ყოველი უცნაურ არს კაცთაგან 19, 3.

წინამძღუარ-ი მონასტრის გამგე, მამა, მამასახლისი: წინამძღურისათჳს მონასტრისა 5, სათ. და სხვაგანაც. **წინამძღურობა-ჲ:** ეგოს იგი წინამძღურობასა 5, 1. **უწინამძღრობაჲ** 15, 4. ნ. მამაჲ, მამასახლისი, ძმაჲ.

წინამძღურება-ჲ: წინამძღურებითა ღმრთისაჲთა 2, 11.

წინდ-ი: ოქრობეჭედი ერთი. **მარღონაჲსა** ჭილსა ზედა წერილი, — იგი წინდად მაქუს 35ა, 10.

წირვა-ჲ, 0—2: სასეფოდმცა წირვიდა 7, 4; რაჲთა სასეფოდ წირვიდენ 7, 4. **ი** ვნ.: ჩუენთჳს იწირვოდის 7, 4.

წისქვლ-ი: განუწესე წისქვლიცა ერთი სასეფოთა წისქვლთაგან 29, 1.

წიფება-ჲ, ე: უკუეთუ ვერ ეწიფოს აღშენებად 2, 10; ანასდეულად მიიცვალოს და ვერ ეწიფოს ესრეთ განგებად 5, 5. შდრ. ჭელ-წიფებაჲ.

წლითი-წლად: წლითი-წლად ქსენებისა ყოფისათჳს 27, 4. **წლითი-წლად-ი:** წლითი-წლადთა მათ შემოსავალთა მისთა 21, 3.

წმიდა-ჲ: (ზედსართ.) **1.** სხვათა შორის, ეპითეტია მეფისა: ბედითა წმიდათა და თჳთმპყრობელთა მეფეთაჲთა 2, 13. **2.** (არს.) დღესასწაულისათჳს საუფლოთა დღესასწაულთა და საჩინოთა წმიდათა 0, 17. ითქმის ეკლესიაში სახმარებელ ნივთებზედაც (ჯვარზე და სხვ.): რაჲთა შექმნენ **ზემო** თქუმულთა წმიდათა შთასასუენებელნი ბუდენი 34ბ, 7.

წრფელ-ი: წრფელი გზაჲ 5,1. ნ. სიწრფოებაჲ.

წუენ-ი: არცა სადუღარისა **ჭურჭლისა** ჯერ-არს ქონებად, არცა წუენისა ქმნად 4, 4. ნ. საწუნე.

წუერ-ი: და ოდეს მოიწინენ და წუერითა გასრულდენ 31, 5.

წუთლა ჯერ: წუთლა უპირატეს მსახურთათჳს გუნებავს განცხადებულად თქუმად 8, 1.

წულ-ი ვაჟი: მამის ძმის წულისა ჩემისა 31, 2.

წულილ-ი, წულილ-წულილად დაწვრილებით: წიგნსა ამას შინა წულილ-წულილად ქუემო შთაგჳწერია 2, 21. ნ. გამოწულილვაჲ.

წურთაჲ: ჯერ-არს წურთაჲ მათი 15,

2. **წურთილ-ი:** წესსა მონაზონებისასა წურთილ და შესწავებულ იყვნენ 25, 1. ნ. განწურთაჲ.

წჲალ-ი. ნ. მერწყული.

წყარო-ჲ: ტკბილითა წყლითა და წყაროებითა 0, 4.

წყევა-ჲ: საკსენებელისა წილ წყევაჲ მიიღენ 30, 3; **წყეულ-ი:** წყეულ იყავნ 18, 5.

წყვილ-ი: ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ, ხატოვანი, სამი წყვილი 34ა, 15; ვეცხლისა შრინიმოქსესტი წყვილი ერთი 34ბ, 8.

წყლის სასუმელ-ი: სხუაჲ ბროლისა წყლის სასუმელი პირ-ცხავი კუტალი 34გ, 6.

ჭ

ჭაბუკ-ი: ჭაბუკნი ჰასაკითა 0, 23; მოყმეთა ჭაბუკთა 17, სათ.; უასაკოთათჳს ჭაბუკთა 17, 1; ნუ შემოიყვანებთ აქა ყრმათა ჭაბუკთა 17, 2.

ჭამულ-ი (ჭამულება-ჲ?): თავიეთ ყოვლითავე ზღვრითა და პირველითგანვე ქონებულითა ჭამულებითა და სამართალითა 2, 8. **ჭამულ-ი** თითქო ჭამის უფლებით მიცემულს ნიშნავს, ე. ი. სარჩოდ გამოყენების უფლებით მიცემულს, რომ თავისთვის მოიხმაროს კაცმა (მ. თარხნიშვილს გაუსწორებია: „მამულებითა“ 137, 7). ფორმის თვალსაზრისით შეადარე **შენებული.**

ჭელჭობა-ჲ: ნუმცა იქმნების ბურისა, გინა ღჳნისა და სხვათა მათ სანოვაგეთა შეცვალებაჲ უგულებელს-ყოფითა და ჭელჭობითა 8, 5. „ჭელჭობითა“ სიტყვის ბადლად ბერძნულ ტექსტში **διὰ φειδωλίαν** იკითხება, რაც ამას ნიშნავს: „დაზოგვით“. მგონია, „ჭელჭ-ი“, რომლისაგანაც ნაწარმოებია „ჭელჭობა-ჲ“, იგივე უნდა იყოს, რაც იმერეთში (მაგ., ქუთაისში) ხმარებული „ჭინჭყლ-ი“; **ჭინჭყლობს** — არ ყაბულობს, არ იჯერიებს, უსამართლობას იჩემებს და თავისკენ იხრის, მაგალითად, თამაშობაში, ვაჭრობაში. იგივე უნდა იყოს აგრეთვე **ჭელტობაჲ,** რომელიც ეფრემ ასურის ერთ ნაწერში იკითხება: ვაჭრობასა შინა არნ ჭ ე ლ ტ ო ბ ა ჲ და ცილობაჲ („მხილებაჲ მონაზონთა უდაბნოთაჲ“ ი. აბულაძე. მამათა სწავლანი 274, 14). თარხნიშვილი ასწორებს: ჭელტობითა.

ჭილ-ი: ოქრობეჭედი ჭილსა ზედა წერილი 35ა, 10.

ჭირ-ი 1: შრომაჲ და ჭირი 5, 8; მოიკსენებდით ჭირთა და რუდუნებათა და შრომათა ჩემთა 21, 12.—**2.** გლეხი ერთი უღლისა უფალი თავისუფლად ყოვლისა სამსახურებელისა და ჭირისაგან 29, 1 (ამ შემთხვევაში **ჭირი** — რაც უღლის უფალ გლეხს **სჭირდა,** ე. ი. ემართა გადასახდელად), ПОВИННОСТЬ.

ჭირვა-ჲ: ვითარ უკუე არა ცხად არს, ვითარმედ იჭირვი შენ 4, 11.

ჭირვეულ-ი 1. ძნელი: ქართველნი ვართ ჭირვეულსა ცხორებასა ჩუეულნი 0, 4. **2.** დამართებული, რომ სჭირს: რომელნი-იგი მოუძლურდენ ძმათაგან ჭირვეულნი სნეულებითა, გინა თუ სიბერითა 28, 1 (რომელთაც სნეულება ან სიბერე სჭირს) [შდრ.: „კაცი ზოგჯერ ჭირვეულია და ზოგჯერ ლხინიანი“ (ვისრ. 205, 11). აქ „ჭირვეული“ ჭირში მყოფს ნიშნავს].

ჭირვეულობა-ჲ ზნე რომ სჭირს, ზნე, ჩვეულება: დედობრივისა ჭირვეულობასა მიხედვითა 18, 8 **κατὰ γυναικείαν**

ἕξιν. ს. ყაუხჩიშვილი წერს: იქნება აქ ეწერა „ჭუეულებასა“, ე. ი. „ჩუეულებასა“ რაც უდრის ἕξιν-ს (201), მაგრამ ჩინი მოხაზულობით დღევანდელ ჭ-ს ჰგავს XIII საუკუნის მხედრულად დაწერილ სიგლებში ან წიგნებში. ტიპიკონი კი დაწერილია „ხუცურად“ და ჯ (ჭ) და ჩ (ჩ) ასოების აღრევა არ არის მოსალოდნელი.

ჭიქა-ჲ 1: შუშა. **2.** ჭიქა, стакан: ჭიქისაცა ჭურჭელნი 34გ, სათ.; ჭიქაჲ ბროლისაჲ ფსკერედი 34გ, 2; სხუანი ბროლისა ჭიქანი 34გ, 3; ჭიქანი ბრწყინვალედ პატიოსანნი 2, 18.

ჭუვილ-ი გვრემა, ტკივილი: რაჲთა დაიჴსნას ჭუვილი მათი, რომელნი უნაყროვნეს-რე იყვნენ 8, 9.

ჭურჭელ-ი: სადუღარისა ჭურჭლისა 4, 4; ჭიქისაცა ჭურჭელნი 34გ, სათ.

Ⴞ

ხარკ-ი 1. გადასახადი: რასავე ხარკსა ქუეშე შეუვრდომელ 3, 1; ხარკთა და მისაჴდელთაგან 0, 9; ვითარცა ხარკსა და თანა-ნადებსა საღმრთოსა, ესრე ჯერ-არს გარდაჴდაჲ 12, 6. ნ. სახარკოჲ. **2.** მოვალეობა: ხარკად ზედა-აც ყოველთა 15, 3 (მოვალენი არიან).

ხარკება-ჲ მონდომება: უწყით კეთილად ყოველი ხარკებაჲ და სწრაფაჲ და ოფლითა მრავლითა შრომილებაჲ ჩემი 21, 2.

ხარტოფილაკ-ი. (χαρτοφύλαξ) კონსტანტინოპოლის პატრიარქის არქივის გამგე): სიმიოსინი ხარტოფილაკისაჲ და წიგნი მისი თემისა მის მსაჯულისა მიმართ 35ბ, 22.

ხატ-ი: ხატნი ოქროჲსანი შემეფტონითა 34ა, 1; ხატი ერთი რვა-კედლოვანი 34ა, 3; სხუაჲ ხატი ერთი მცირაჲ კარედი 34ა, 4; ხატი ერთი ქვისაჲ, ექუს-კარედი 34ა, 8; ხატი ერთი დიდი, შეშისაჲ 34ა, 9.

ხატიერება-ჲ: პირ ჩემდა იწოდოს და ხატ — ხატიერებისათჳს პირმშოსა მას სახესა მიმსგავსებითა 28, 4.

ხატოვან-ი: ბარძიმ-ფეშხუემი ვეცხლისაჲ ხატოვანი 34ა, 15 (ბერძნულ ტექსტში არ მოიპოვება შესატყვისი სიტყვა. ზედ ალბათ ეხატა რამდენიმე გამოსახულება ქრისტეს სასწაულთაგან).

ხიზან-ი. ნ. სახიზნავად.

ხილ-ი: თითო-სახითა ნაყოფითა და ხილითა და ვენაჴებითა 0, 4.

ხილვა-ჲ ნახვა, **посещать:** და თუ სხუაჲ ვინმე სტუმარი ესტუმროს, ანუ თუ ხილვად მამისა გინა ძმათა მოვიდეს თჳსთა მათთაგანი 8, 11.

ხლება-ჲ. ნ. ახლავს.

ხოლო (ნაწილაკი): რომელსა იგინი ხოლო იცნობენ 5, 9; არა სიტყჳთა **ხოლო**, არამედ საქმითაცა 28, 2.

ხუედრებულ-ი: და არა სხჳსა ვისისაცა ნაწილისა გინა ხუედრებულისაგან მქონებია, გინა მიმიცემია 18, 9.

ხუეჭა-ჲ: არარაჲ მაქუნდა ხუეჭაჲ ამის სოფლისა საჴმართათჳს ...არცა მაქუნდა ხუეჭაჲ რაჲსავე 2, 13. ნ. მოხუეჭაჲ.

ხუცეს-ი (ხუცისა, ხუცად): ბერძნისა ხუცისა 0, 30; რომელნიცა ღირს მღდელობისა იყვნენ მათგანნი, ხუცად ეკურთხნენ და შეწყნარებულ იქმნენ დიდსა მონასტერსა და ჟამსა წირვიდენ სხუათა თანა მღდელთა 31, 5. ტიპიკონის ტექსტის მიხედვით, „ხუცესი“ იგივეა, რაც „მღდელი“. მონასტრის წესდებით გან-

